



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ინტერკულტურული სივრცე:
რუსთაველი და ნიჟამი

თბილისი 2021



Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Intercultural Space:
Rustaveli and Nizami**

Tbilisi 2021



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

წიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის (NFR17_109) ფარგლებში.

This Book was prepared as part of the Basic Research Grant Project (NFR17_109), supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

www.rustaveli.org.ge

უკ(UDK) 821.353.1. (092 რუსთაველი)+ 821. 512.162 (092 ნიზამი)
რ-937

რედაქტორები:

მაკა ელბაქიძე, ივანე ამირხანაშვილი

Editors:

Maka Elbakidze, Ivane Amirkhanashvili

© ივანე ამირხანაშვილი, მაკა ელბაქიძე, ნანა გონჯილაშვილი, ლია კარიჭაშვილი, ირმა რატიანი, ოქტაი ქაზუმოვი, ლია წერეთელი, ფირუზა აბდულაევა, ზაჰრა ალაჰვერდიევა, სამირა ალიევა, ნუშაბა არასლი, თაჰმინა ბადალოვა, ჰურნისა ბაშიროვა, ჩარლზ მელვილი, აბოლფაზლ მურადი რასთა, ისა ჰაბიბილი.

© Ivane Amirkhanashvili, Maka Elbakidze, Nana Gonjilashvili, Lia Karichashvili, Oktai Kazumov, Irma Ratiani, Lia Tsereteli, Firuza Abdulaeva, Zahra Allahverdiyeva, Samira Aliyeva, Nushaba Arasli, Tahmina Badalova, Hurnisa Bashirova, Isa Habibbayli, Charles Melville, Abolfasl Muradi Rasta.

ოპერატორ-დამკაბადონებელი

თინათინ დუგლაძე

Layout: Tinatin Dugladze

ყდის დიზაინი

თამარ ტყაბლაძე

Cover by

Tamar Tkabladze

გამომცემლობა „მწიგნობარი“

ISBN 978-9941-490-81-1

წინათქმა 9 Preface

**რუსთაველი და ნიზამი –
საკითხის შესწავლა ისტორიულ კრილში
Rustaveli and Nizami – Studies in Historical Context**

ლია წერეთელი	13	<i>Lia Tsereteli</i>
რუსთაველი და ნიზამი: საკითხის შესწავლის ისტორიისთვის		Rustaveli and Nizami: On the History of Studying the Topic
ზაჰრა ალაჰვერდიევა	33	<i>Zahra Allahverdiyeva</i>
ნიზამი და რუსთაველი: საკითხის შესწავლის ისტორია აზერბაიჯანში		On History of Study of Nizami Ganjavi and Shota Rustaveli in Azerbaijan

**რუსთაველი – გზა რენესანსისაკენ
Rustaveli – The Path to Renaissance**

მაკა ელბაკიძე	41	<i>Maka Elbakidze</i>
რუსთაველი – ნიზამის თანამედროვე		Rustaveli – Nizami’s Contemporary

**ნიზამი – პოეტი და მოაზროვნე
Nizami – Poet and Thinker**

ისა ჰაბიბილი	55	<i>Isa Habibbayli</i>
ნიზამი განჯელი – დიდი აზერბაიჯანელი პოეტი		Great Azerbaijani Poet Nizami Ganjavi

- ზაჰრა ალაჰვერდიევა** 73 **Zahra Allahverdiyeva**
ნიზამი განჯელის
სიყვარულის ფილოსოფია
Philosophy of Love of
Nizami Ganjavi
- ზაჰრა ალაჰვერდიევა** 85 **Zahra Allahverdiyeva**
ნიზამი განჯელის
„ისკანდერ-ნამე“
Nizami Ganjavi's
„Iskandar-nameh“
- ჰურნისა ბაშიროვა** 103 **Hurnisa Bashirova**
ნიზამი განჯელის
ეპიკური პოემა
„ლეილი და მაჯნუნი“
The Epic Poem „Leyli and
Majnun“ of Nizami Ganjavi
- ნუშაბა არასლი** 110 **Nushaba Arasli**
„ხუთი საგანძურის“
მეხუთე პოემა
The Fourth Poem of the
„Five Treasures“
- სამირა ალიევა** 141 **Samira Aliyeva**
ნიზამი განჯელის
ლირიკა
The Lyrics of Nizami Ganjavi
- თაჰმინა ბადალოვა** 156 **Tahmina Badalova**
ნიზამი განჯელი და
მსოფლიო ლიტერატურა
Nizami Ganjavi and World
Literature
- ნუშაბა არასლი** 177 **Nushaba Arasli**
ნიზამი და თურქული
ლიტერატურა
Nizami and Turkish
Literature

რუსთაველის და ნიზამის ესთეტიკური შეხედულებები
Aesthetic Views of Rustaveli and Nizami

- ივანე ამირხანაშვილი** 189 **Ivane Amirkhanashvili**
ნიზამი და რუსთაველი:
დრო და ესთეტიკური
მრწამსი
Nizami and Rustaveli:
Time and the Aesthetic
Creed

- ირმა რატიანი** 207 ***Irma Ratiani***
 რუსთაველის სამი
 რეალობა
 Rustaveli's Three Realities
- ივანე ამირხანაშვილი** 239 ***Ivane Amirkhanashvili***
 რუსთაველისა
 და ნიზამის
 კოსმოლოგიური
 შეხედულებები
 Cosmological Views of
 Rustaveli and Nizami
- ნანა გონჯილაშვილი** 248 ***Nana Gonjilashvili***
 „ვეფხისტყაოსნის“
 ასტრალური სიმბოლიკის
 გააზრებისთვის
 Towards the Understanding
 of Rustaveli's Astral
 Symbolics
- ნანა გონჯილაშვილი** 283 ***Nana Gonjilashvili***
 „ვეფხისტყაოსნის“ ერთი
 სახე-სიმბოლოს
 გააზრებისათვის
 (მარგალიტი)
 Towards the Understanding
 of Rustaveli's One Symbol
 (Pearl)

რუსთაველისა და ნიზამის ფილოსოფიური შეხედულებანი
Phylosophical Views of Rustaveli and Nizami

- ოქტაი კაზუმოვი** 309 ***Oktai Kazumov***
 „ვეფხისტყაოსნის“
 მუსლიმური ნაკადის
 კრიტიკის ზოგიერთი
 ასპექტისათვის
 Some Aspects of a Criti-
 cal Study of the Influx of
 Islamic Elements in „The
 Knight in the Panther's Skin“
- ივანე ამირხანაშვილი** 337 ***Ivane Amirkhanashvili***
 შოთა რუსთაველისა და
 ნიზამი განჯელის
 შემოქმედების ანტიკური
 წყაროები
 Antique Sources of
 Rustaveli's and Nizami's
 Literary Works

- აბოლფაზლ მურადი რასთა** 351 ***Abolfasl Muradi Rasta***
ოქტაი ქაზუმოვი ***Oktai Kazumov***
 ოთხი ელემენტის
 საკითხი ნიზამისთან
 და რუსთაველთან
 The Issue of Four Elements
 in Rustaveli's and Nizami's
 Works
- ფირუზა აბდულაევა** 377 ***Firuza Abdullaeva***
ჩარლზ მელვილი ***Charles Melville***
 ისკანდერი და წყარო
 სიცოცხლისა: ნიზამის
 გავლენა მოგვიანო ხანის
 ხელნაწერებზე
 Iskandar and the Water of
 Life: A note on Nizami's
 Impact on Later Manuscript
 Production

რუსთველისა და ნიზამის ეთიკური კონცეფცია
Ethical Views of Rustaveli and Nizami

- მაკა ელბაკიძე** 395 ***Maka Elbakidze***
 სიყვარულის
 რუსთველური კონცეფცია
 და შუასაუკუნეების
 ლიტერატურა
 Rustaveli's Conception
 of Love and Medieval
 Literature
- ნანა გონჯილაშვილი** 419 ***Nana Gonjilashvili***
 მეგობრობის კონცეფცია
 „ვეფხისტყაოსანში“
 Conception of Friendship in
 „The Knight in the Panther's
 Skin“
- ლია კარიჭაშვილი** 459 ***Lia Karichashvili***
 სიბრძნე, გონება,
 ჭკუა (ცნებათა
 დეფინიციისთვის)
 Semantics of Wisdom and
 Mind in „The Knight in the
 Panther's Skin“
- ლია კარიჭაშვილი** 475 ***Lia karichashvili***
 სიკეთის ცნებისათვის
 „ვეფხისტყაოსანში“
 Concept of Kindness in „The
 Knight in the Panther's Skin“
- პირთა საძიებელი** 493 ***Index***

წინათქმა

საქართველოში რუსთველოლოგიური კვლევების დიდი ტრადიცია არსებობს, მაგრამ ყოველი ეპოქა ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ქვეყნის ინტელექტუალურ მემკვიდრეობას. რუსთველოლოგიაც, ისევე როგორც ყოველი სხვა დარგი მეცნიერებისა, წინ მიიწევს, ითხოვს ახალი ხედვების დანერგვას, კვლევის ჰორიზონტების გაფართოებას, კონცეპტუალურ და სტრუქტურულ ინოვაციებს. ნაციონალური ლიტერატურების მიმართების დადგენა მსოფლიო ლიტერატურულ სივრცესთან თანამედროვე საერთაშორისო ფილოლოგიური კვლევების უმთავრესი მიმართულებაა, განსაკუთრებით პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებში, რომელთაც სურთ გაიაზრონ საკუთარი, ნაციონალური ლიტერატურები იდეოლოგიური კლიშეებისა და ჩარჩოების გარეშე, საერთაშორისო ლიტერატურული პროცესების კონტექსტში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე მონოგრაფია – **ინტერკულტურული სივრცე – რუსთაველი და ნიჟამი**, რომელიც ითვალისწინებს ქართული ლიტერატურის უმთავრესი ძეგლის – *ვეფხისტყაოსნის* – კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის ნიჟამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. ამ თვალსაზრისით წიგნში განხილულია ნიჟამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედების ძირეული პრობლემები, მათი თანხვედრის ტიპოლოგიური არსი, მეორე მხრივ, ის ისტორიულ-კულტურული თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური ფაქტორები, რომლებიც, განაპირობებს მათ შორის განსხვავებას. ეს კი გულისხმობს პროცესის თეორიულად გადააზრებას და საკვლევი პრობლემატიკის სოციალურ აქტუალიზებას, რაც, როგორც ცნობილია, თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის ხანგრძლივი და ნაყოფიერი კვლევის განმავლობაში არაერთი მოსაზრება თუ პოზიცია იქნა გამოვლენილი, რომელთა შორის უმთავრესია ტექსტის ძირითადი ორიენტირების დადგენა: დასავლეთი თუ აღმოსავლეთი?

რუსთაველის მსოფლმხედველობაში ასახულია გვიანდელი შუასაუკუნეების პროგრესული ქრისტიანული პრობლემატიკა, შესაბამისად, ვეფხისტყაოსნის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი, მხატვრულ-ესთეტიკური თუ ეთიკური კონცეფციები აგებულია იმ პრინციპებისა თუ ტენდენციების კვალობაზე, რომლებიც გვიანდელი შუასაუკუნეების ევროპული ცივილიზაციისთვის იყო დამახასიათებელი. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ ტექსტის სრულყოფილი კვლევა შეუძლებელია აღმოსავლურ პოეზიასთან მისი მიმართების გათვალისწინების გარეშე.

ამიერკავკასიის, კერძოდ, ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურების ბედი და თავისებურებანი, შემოქმედებითი ინტერესებისა და მსოფლმხედველობათა თანხვედრა შემთხვევითი არ არის. ისინი ერთმანეთთან ურთიერთკავშირში ვითარდება, ამავე დროს, შეხება აქვს ძველი მსოფლიოს სხვადასხვა ცივილიზაციასთან. ახლო ურთიერთობები და საერთო გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს კულტურულ თავისებურებათა ტიპოლოგიურ ნათესაობას. კვლევის სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი თემა გამოირჩევა თავისი მასშტაბითა და მრავალმხრივობით, განსახილველი პრობლემატიკის სიღრმითა და აქტუალობით; ქართველი, აზერბაიჯანელი და ინგლისელი მეცნიერების ცოცხალი კომუნიკაციის თვალსაზრისით კი ის სრულიად ახალ მიდგომებსაც გულისხმობს როგორც მეთოდოლოგიურად, ისე კონცეპტუალურად. აღნიშნული საკითხების კვლევა საგულისხმოა თანამედროვე მსოფლიო კულტურული პროცესების განვითარების თვალსაზრისითაც. პროექტის განხორციელების შედეგად გამოიკვეთება კავკასიის რეგიონის მწერლობის როლი და ადგილი შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. კვლევის პროცესში ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელ მკვლევართა აქტიური მონაწილეობა უდავოდ ხელს შეუწყობს ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, კერძოდ, რუსთაველოლოგიის ჩართვას მსოფლიო ლიტერატურულ და ფილოლოგიურ დიალოგში.

რუსთაველი და ნიზამი –
საკითხის შესწავლა ისტორიულ
ჭრილში



**„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-319
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)**



„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-138
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)

ლია წერეთელი
(საქართველო)

საკითხის კვლევის ისტორიისთვის

შოთა რუსთაველისა და ნიზამი განჯელის შემოქმედების კვლევის ისტორიას მდიდარი ტრადიცია აქვს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ნ. მარის, ი. მარის, ნ. ნიკოლაძის, ა. ხახანაშვილის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, შ. ნუცუბიძის, ი. აბულაძის, დ. კობიძის, კ. ფალავას, ე. მეტრეველის, გ. იმედაშვილის, მ. თოდუას, ე. ბერტელსის, მ. გულიზადეს, მ. რაფილის, მ. დადაშ-ზადეს, ნ. კონრადისა და სხვათა შრომებში თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი ნიზამისა და რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და მსოფლმხედველობის, ესთეტიკისა და პოეტიკის ისეთი პარალელები, რომლებიც ადასტურებს ამ ორი ჰუმანისტის შემოქმედებით ნათესაობას.

ჯერ კიდევ 1890 წელს „ნოვოე ობოზრენიის“ სამ ნომერში (N 2084, 3086, 2091) დაიბეჭდა გიორგი წერეთლის წერილი, სახელწოდებით „ნიზამი და რუსთაველი“, თუმცა შედარებისთვის გიორგი წერეთელი სარგებლობდა თეიმურაზ პირველის *ლეილმაჯნუნიანით*, რადგან შეცდომით ფიქრობდა, რომ თეიმურაზმა ნიზამი განჯელის პოემა თარგმნა.

საანალიზო საკითხს ეძღვნება გ. ქიქოძის სტატია „ახალი კულტურის მიჯნაზე“ (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, 1936 წ. N3), რომელშიც აღნიშნულია, რომ „მართალია ირანის გავლენა საქართველოზე ძალიან დიდი იყო, მაგრამ ქართული კულტურა მაინც არ დაექვემდებარა ირანულ-არაბული კულტურის სტილს... შოთა რუსთაველი და ნიზამი ალბათ თანამედროვეები იყვნენ... უეჭველია, მათ ერთმანეთის პოეტური ენა კარგად ესმოდათ, მაგრამ საკმაოა, კაცმა „ვეფხისტყაოსანი“ „ლეილმაჯნუნიანს“ შეადაროს, რათა ნათლად დაინახოს, თუ რა დიდი განსხვავება არსებობს მათი ავტორების მსოფლმხედველობასა და მსოფლშეგრძნებას შორის. ირანელი პოეტი მისტიკოსად რჩება ისეთი რეალური გრძნობის ასახვაში, როგორც ახალგაზრდა ქალ-ვაჟის

სიყვარულია... როგორც ცნობილია, ნიჰამის „ლეილმაჯუნნიანი“ მაჰმადიანური საიქიოს მისტიკური ხილვით მთავრდება, სადაც შეყვარებულნი ბოლოს აღწევენ იმ ბედნიერებას, რომელზეც ამქვეყნიურმა ცხოვრებამ უარი უთხრა. რუსთაველი, პირიქით, ცდილობს, რომანტიკოს-რეალისტად დარჩეს თვით ისეთი მისტიკური საგნების აღწერაში, როგორც ქაჯთა სამეფოა, ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარული კი მისთვის სხეულისა და სულის გამომწრთობი წვაა, რომელიც ამქვეყნიური ბედნიერებით მთავრდება. ქალ-ვაჟის აქტივობა, ქედმოუხრელობა ბედისწერის წინაშე, ნებისყოფის სილიერე, ვნებათა ღელვის დამორჩილება ცივი გონების მიერ, ყოველივე ეს რუსთაველის გმირებს სთიშავს ირანელ პოეტის სამყაროსთან და მათ საშუალო საუკუნეების ევროპის პოეტურ სამყაროს უახლოვებს (ქიქოძე 1936: 28).

კორნელი კეკელიძე თავისი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში დაწვრილებით შეეხო საანალიზო საკითხს¹. რუსთაველის განათლების დიაპაზონის სადემონსტრაციოდ და იმ ფაქტის დასასაბუთებლად, რომ პოეტი „შეუდარებელი მცოდნე იყო“ როგორც თავისი ქვეყნის მწერლობის, ისე „აღმოსავლურ-ირანული ლიტერატურისა“, რომ „მას უკითხავს ეს ლიტერატურა და საჭირო შემთხვევაში აღუბეჭდავს კიდეც თავის პოეზიაში მასთან ნაცნობობის კვალი“ (კეკელიძე 1981: 127), ის რამდენიმე ლიტერატურულ პარალელს მოუხმობს და მათ შორის ნიჰამის განჯელსაც ასახელებს. მეცნიერი შესაბამისი არგუმენტების მოხმობით ასაბუთებს, რომ რუსთაველი უცილობლად იცნობდა ნიჰამის შემოქმედებას „ქართულად თუ არა, სპარსულად მაინც“:

1. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ყველა ის ელემენტია დაცული, რომლებსაც „ლეილმაჯუნნიანის“ შესავალში ვეცნობით: მიმართვა ღვთისადმი, სიტყვის ჩამოგდება მეფეზე, აღნიშვნა თავისი სახელისა, მელექსეობისა და მიჯნურობის შესახებ მსჯელობა;

¹ იხ, ასევე: კ. კეკელიძე. საქართველო და ნიჰამი განჯელი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. IV. თბილისი: 1967.

2. შინაარსის მხრივ ამ ორ პოემას ბევრი საერთო ხაზი აქვს:

ა) ყაისის მამა არის “უნარიანი, ღირსეული, კმაყოფილი, ღარიბთ მოწყალე, ძლიერი, ქებული, როგორც ხალიფა; ადვსილი ბედით, როგორც სავსე ნაჭუჭი გულით; იგი შეწუხებული იყო იმით, რომ მას ვაჟი არა ჰყავდა. ამას ეხმაურება აღწერილობა როსტევან მეფისა, რომელსაც აწუხებდა ის, რომ „მე არ ესვა“.

ბ) სილამაზე და მოხდენილობა, ერთი მხრივ, ლეილისა და მაჯუნისა, მეორე მხრივ კი, ნესტან-ტარიელისა და ავთანდილ-თინათინისა ორივე პოეტის მიერ აღწერილია მსგავსი სიტყვებით, მეტაფორებითა და გამოთქმებით.

გ) მიჯნურობის გრძნობა ლეილსა და მაჯუნს, ასევე „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურებს შორის იღვიძებს ბავშვობაში, ერთად აღზრდის დროს.

დ) ლეილი მშობლებს კარავში ჰყავთ, უცხო თვალისაგან დაფარული, ნესტანიც შვიდი წლიდან ცხოვრობს მისთვის საგანგებოდ აგებულ სასახლეში და მას „ვერვინ ხედავდა“.

ე) სულიერი ტანჯვა-ვაება ყაისისა და ტარიელისა ერთნაირია; ისინი მიდიან გონების დაკარგვამდე, ასე რომ, „მაჯუნნი-მიჯნური“ (სიყვარულით გახელებული) მათი საერთო სახელია. სიყვარული მათთვის შეუწელებელი ტანჯვა და ცრემლთა ღვრაა. ცხოვრება მათი წვალეა, ის მათ არ სწყალობთ. ისინი არ ელიან თავიანთ სატრფოებთან ამქვეყნად შეერთებას და სიკვდილს ნატრობენ, რათა „აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შეიყარნენ“.

ვ) სიყვარულის ცეცხლით აღმოდებული ყაისი და ტარიელი გაიჭრებიან უდაბნოში და იქ მხეცებთან ერთად „იარებიან“.

ზ) უდაბნოში მაჯუნთან მიდის მისი მამა და ემუდარება, დაბრუნდეს სახლში. ამის მსგავსად ავთანდილი მოძებნის გამოქვაბულიდან უდაბნოში გავარდნილ ტარიელს და ევედრება, დაბრუნდეს შინ, გამოქვაბულში; ერთიცა და მეორეც უარზე არიან. ხასიათი და ტონი ხვეწნა-მუდარისა, აგრეთვე მოტივი უარისა, ორივე პოეტს თითქმის ერთნაირად წარმოუდგენია.

თ) მაჯუნიც და ტარიელიც სიმპათიით არიან განწყობილი მხეცებისადმი, რომელთა საზოგადოებაშიც მათ უხდებათ ცხოვრება. მხეცები მათ აგონებენ სატრფოებს. ტარიელს-ვეფხი,

მაჯუნუნს-შველი და ირემი, რომელთაც ის გამოისყიდის და გაათავისუფლებს და რომელთა თვალი მას სატრფოს თვალს აგონებდა.

ი) ერთმანეთს წააგავს, ერთი მხრივ, ლეილსა და მაჯუნუნს, მეორე მხრივ კი, ნესტანსა და ტარიელს შორის მიმოწერა. სატრფოს მოშორებული ლეილი ქმრის სახლში ტყვედ გრძნობს თავს და იტანჯება, ნესტანიც ქაჯეთის ციხეშია დატყვევებული. ერთნაირად ეპყრობიან ისინი სატრფოთა წერილებს. ტარიელმა ნესტანის წერილი „თვალთა ზედა დაიდვა“, მეორეჯერ, ქაჯეთის ციხიდან მოწერილი „წიგნი“ „პირსა ზედა“ დაიდო და გრძნობა დაკარგა, ასევე იქცევია ლეილი და მაჯუნუნი.

კ) ერთნაირად აღწერენ პოეტები ქალის უარყოფითი ხასიათის ზოგიერთ თვისებას; ორივეს შეხედულებით ქალი დაუნდობელია, „სამალავი არასთანა არ ეთხრობის“; მას „ცბიერი და სამაგელი ენა“ აქვს.

ლ) ნიზამის ნავფალი – უებრო რაინდი, მთლიანად ეწირება მსხვერპლად მეგობრის, მაჯუნუნის ინტერესებს; თავგამოდებით ეძებს და ცდილობს, შეაერთოს დაკარგულ სატრფოსთან, ამისთვის ცდილობს გადალახოს ბევრი დაბრკოლება. ის მოგვაგონებს ტარიელისათვის თავდადებულ ავთანდილს (კეკელიძე 1981: 134-136).

გარდა ზოგადი სიუჟეტურ-ფაბულური ელემენტების მსგავსებისა, რაც უთუოდ ადასტურებს, რომ რუსთველი იცნობდა ნიზამის „ლეილმაჯუნუნიანს“, ამ ორ თხზულებას აახლოებს შემდეგი სენტენციები:

ნიზამი

„უნდა გაშლილი იყოს ფართოდ
სიტყვათა ველი/რომ ზედ
მხედარმა მოიპოვოს დიდი
სახელი“.

რუსთველი

„ვითა ცხენსა შარა გრძელი
და გამოსცდის დიდი რბევა...
მოზურთალსა – მოედანი.../მართ
აგრეთვე მელექსესა ლექსთა
გრძელთა თქმა და ხევა“.

„მაჰი ის არის, ვინც საუნჯეს მთლიანად გასცემს“.

„რასაცა გასცემ შენია, რას არა დაკარგულია“.

„მთვარე გველემშაპის ხახაში იყო“.

„რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა“.

„დიდი სიუხვე ყველა კაცის გულს მოარბილებს“.

„უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების“.

„ტრფობა სარკვა დიდი, სხივით ნათელმოსილი, ჟინსა და ტრფობას შორის არის დიდი მანძილი“.

„მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი“.

„სიყვარულის წესს მხევიც კი ემორჩილება“.

„შენ დაჰბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა“.

სტატიაში „რუსთაველი და ნიზამი განჯელი“¹ მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ეპიზოდზე, როდესაც ავთანდილს ტარიელისთვის რიდის კიდეში გამოხვეული ნესტანის წერილი მიაქვს. დაბნედილი ტარიელის შესახებ რუსთველი ამბობს: „მისნი ვერ გასძლეს პატიჟნი ვერც კაენ ვერცა სალამან“. კ. კეკელიძის აზრით, აქ მოხსენიებულ „კაენში“ ნიზამის ყაისი იგულისხმება, „სალა“ კი არის ლეილის ქმარი იბნ-სელამი, რომელიც ლეილის სიყვარულისგან მოკვდა (კეკელიძე 1936: 158).

კ. კეკელიძის მიერ დასაბუთებულმა ნიზამი განჯელისა და რუსთაველის პოემების სიახლოვემ, მოსაზრებამ, რომ რუსთველი იცნობდა ნიზამი განჯელის შემოქმედებას, მეცნიერებს შემდგომი დაკვირვებისა და კვლევის გზა დაუხახა.

საანალიზო საკითხზე თავისი მოსაზრებები რამდენჯერმე გამოთქვა ა. ბარამიძემ². წიგნში „შოთა რუსთაველი“ (1975 წ.)

1 К. Кекелидзе. Руставели и Низами Гянджеви. Труды ТГУ, 1936. Стр. 157-178.

2 იხ. ალ. ბარამიძე. Низами и грузинская литература. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. XXXII, თბილისი: 1947, გვ. 139-144; მისივე „ნიზამი და რუსთაველი“. „ნარკვევები“, III, თბილისი: 1952, გვ. 209-229; ალ. ბარამიძე. ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის პოემების მიხედვით. „ლიტერატურული ძიებანი“, X. 1956, გვ. 173-185.

მეცნიერი ვრცლად მიმოიხილავს რუსთაველის მახლობელ წინამორბედთ და თანამედროვეთ მსოფლიო ლიტერატურაში (გვ. 211-272) და საგანგებოდ ჩერდება ნიზამი განჯელის პოემებზე „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“. მეცნიერის მოსაზრებით, ნიზამი და რუსთაველი დიდ ყურადღებას აქცევენ „პერსონაჟების სულიერი ცხოვრების დახასიათებას, გმირების ხასიათის ფსიქოლოგიურ მხარეს, მათთვის ნიშანდობლივია მხატვრული აზროვნების მეტაფორული სისტემა, მოეპოვებათ მსგავსი სენტენცია-აფორიზმები“ (ბარამიძე 1975: 233). მეცნიერი ერთმანეთს ადარებს მაჯნუნსა და ტარიელს, ეთანხმება ახერბაიჯანელი მეცნიერის მ. რაფილის მოსაზრებას¹ და აღნიშნავს, რომ მაჯნუნი სიყვარულმა გათელა, მოუსპო ნებისყოფა და მიიყვანა ნამდვილ სიგიჟედ. ტარიელს კი სიყვარულმა ფრთები შეასხა, აამალა, საარაკო გმირობა შეაძლებინა (ბარამიძე 1975: 239).

იმავს ამბობს ა. ბარამიძე ნესტან-დარეჯანსა და ლეილის შორის პარალელების გამოვლენისას. იგი განიხილავს ლეილისა და ნესტანის წერილებს, რომელთა შორის მსგავსებაზეც არაერთ მკვლევარს მიუთითებია. ალექსანდრე ბარამიძე ფიქრობს, რომ მართალია, ლეილის წერილი დიდი სიყვარულის გრძნობით არის სავსე, მაგრამ „ლეილი მაინც ვერ ამაღლდა ქალური მგრძნობელობის ზევით. მის წერილს აკლია ნესტანის მიერ ქაჯეთიდან გამოგზავნილი წერილის სიდიადის შარავანდედი“ (ბარამიძე 1975: 242). მისი აზრით, არც ის სიტუაციებია მსგავსი, რომლებშიც ეს წერილები იწერება და არც პერსონაჟ ქალთა ხასიათები: ლეილის სიტყვებში ალექსანდრე ბარამიძე „ენაწყლიან შეგონებას, მშრალ დიდაქტიკას, სამოდერო-დიდაქტიკურ კილოს, განყენებულ მორალისტურ ფილოსოფიას“ ხედავს, მის სიტყვებშიც შეიძლება ამოვიკითხოთ „უპერსპექტივობის შეგნება, ცხოვრების უკულმართობისადმი დამორჩილების საჭიროების ქადაგება, საიმქვეყნო ჯილდოს იმედით სიკვდილის პასიური მოლოდინის რჩევა“, მაშინ, როდესაც ნესტანის წერილში ჩანს გმირი-ქალის მემბოხე, შეუპოვარი ხასიათი, ქედუხრელობა, ბა, მტკიცე ნებისყოფა.

მეცნიერი ასკვნის, რომ „რუსთაველი ოპტიმისტური მსოფლმხედველობის გამომხატველი გენიოსი პოეტია, ნესტანი კი –

1 М. Рафили. Творчество Низами. Сборник «Низами». Баку, 1947. Стр. 48-52.

ამ მსოფლმხედველობის ნიადაგზე შექმნილი უკვდავი სახე“ (ბარამიძე 1975: 243-245).

ალექსანდრე ბარამიძის აზრით, სხვა ასპექტის თხზულებათა ნიჰამის „ხოსროვშირინიანი“. თუ „ლეილმაჯუნიაანი“ განყენებულ, მისტიკური იერის, სუფისტურ სულიერ ტრფობას აიდეალებს, „ხოსროვშირინიანიში“ სჭარბობს ხორციელი ტრფობის, დაუცხრომელი ვნებათა დეღვის, შიშველი ეროტიკის მოტივები. მეცნიერი შეუძლებლად მიიჩნევს ხოსროვ-შაფურისა (ისევე, როგორც ნავვალ-მაჯუნისა) და ავთანდილ-ტარიელის ძმობის შედარებას. განიხილავს პოემაში ყველაზე ნათელ სახეს შირინს, რომელიც კავკასიის მკვიდრია.¹

ა. ბარამიძე ასკვნის, რომ არსებითი განსხვავება, რომელიც რუსთველის მსოფლმხედველობას ნიჰამისგან განასხვავებს ისაა, რომ „რუსთველისთვის უცხოა მისტიციზმი, მისი გმირები ცხოვრობენ და იბრძვიან საამქვეყნო იდეალებისთვის, საამქვეყნო სიყვარულისთვის. საარაკო დაბრკოლებათა ძღვევის გზით რუსთველის გმირებმა აქ, დედამიწაზე, მიაღწიეს ადამიანური იდეალების განხორციელებას. რუსთველის სიყვარული დედამიწაზე ზეიმობს გამარჯვებას, ნიჰამის სიყვარული კი საამქვეყნო ზღვევის მომლოდინეა“ (ბარამიძე 1975: 249).

„ლიტერატურული ძიებანის“ მესამე ტომში (1947 წ) დაიბეჭდა დ. კობიძის ნაშრომი „რუსთაველისა და ნიჰამის ურთიერთობისთვის“.² მეცნიერი გამოყოფს „ვეფხისტყაოსანსა“ და „ხოსროვშირინიანიში“ როგორც მსგავს (ტარიელის და ხოსროვის

1 სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა შირინის ეროვნებასთან დაკავშირებით. რაფილი მას აზერბაიჯანლად მიიჩნევს (M.Раффи. Творчество Низами. Сборник «Низами». IV. Баку, 1947), მეცნიერთა ერთი ნაწილი აზრით, შირინის სახე შთაგონებულია თამარით (იური მარი, ა. ბოლდირევი, კ. კეკელიძე), მით უფრო, რომ ნიჰამის მიხედვით, შირინის მამიდის, ბანუ შამირას (რომლის პროტოტიპადაც იმავე მეცნიერებს თამარის მამიდა, რუსუდანი მიაჩნიათ) სამფლობელოში საქართველო (აფხაზეთი) შედიოდა.

2 დ. კობიძე. რუსთაველისა და ნიჰამის ურთიერთობისათვის. „ლიტერატურული ძიებანი“, 3, 1946, გვ. 203-215. ამ საკითხზე მსჯელობა მეცნიერმა გააგრძელა 1969 წელს გამოცემულ წიგნში „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ პოეტური აზროვნების, მხატვრული სახეების, შედარება-მეტაფორების გამოყენების თვალსაზრისით რუსთველი ყველაზე მეტად ნიჰამისთან ამჟღავნებს ნათესაობას.

აღზრდა, ავთანდილი და შაფური, ტარიელისა და ფარჰადის ველად გაჭრა, ზოგიერთი აფორიზმის მსგავსება), ისე განმასხვავებელ მომენტებს, ძირითადად, ეთიკურ და რელიგიურ შეხედულებებს. სტატიის ბოლოს მეცნიერი იმ ვარაუდასაც კი გამოთქვამს, რომ რუსთაველი და ნიჰამი პირადად იცნობდნენ ერთმანეთს და რომ შესაძლოა, ნიჰამი მონაწილეობასაც კი ღებულობდა პოეტთა შეჯიბრებაში, რომელიც თამარის კარზე იმართებოდა (კობიძე 1946: 214). სტატიის გამოქვეყნებას მწვავე დისკუსია მოჰყვა. გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ მარტის ნომერში (1948 წ. 21 მარტი) დაიბეჭდა გ. ნატროშვილის გამოხმაურება, რომელშიც ავტორმა „უგზო-უკვლო ძიებანი“ უწოდა კობიძის სტატიას. მან მკაცრად გააკრიტიკა კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“¹, რომელიც შევსებული და შესწორებული სახით 1941 წელს გამოვიდა. გ. ნატროშვილის აზრით, „კ. კეკელიძე ცდილობს, დაასაბუთოს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ქართული ნაწარმოებია, მაგრამ ამ დასაბუთება-დამტკიცების პროცესში ისეთ სურათს ხატავს, რომ წინააღმდეგობაში მოდის თავისსავე ნათქვამთან. კეკელიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანზე“ გავლენა მოუხდენია „ვისრამიანს“, „ლეილ-მაჯნუნთან“, „შაჰ-ნამეს“, „ვამეყ და აზრას“, „ამირან-დარეჯანთან“, „თამარიანს“, „აბდულმესიანს...“ ეს გავლენები, ნატროშვილის თქმით, მას იმდენად აქვს გაზვიადებული, თითქოს „ვეფხისტყაოსანი“ ამ თხზულებათა უბრალო კომპილაცია იყოს (ნატროშვილი 1948: 3). კ. კეკელიძე გამოეხმაურა ამ რეცენზიას და მას „აჩქარებული და არამართებული“ უწოდა². მეცნიერი უსაფუძვლოდ მიიჩნევს რეცენზენტის ბრალდებას და წერს: „დ. კობიძე თითქოს ცდილობდეს ერთმანეთს დაუპირისპიროს რუსთაველი და ნიჰამი. სინამდვილეში, ადგილი აქვს არა დაპირისპირებას, არამედ ამ ორი პოეტის შემოქმედების შედარებით შესწავლას, რაც კანონიერი და სავალდებულო საქმეა მეცნიერულ ლიტერატურათმცოდნეობაში“ (კეკელიძე 1947:3).

1 გ. ნატროშვილი. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის გამო“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 21. 03. 1948. N 11. გვ. 3.
 2 კ. კეკელიძე. წერილი რედაქციისადმი. გაზ „კომუნისტი“. 5.10. 1947. N199. გვ.3.

დისკუსიაში ჩაერთო სიმონ ჩიქოვანი¹. ის დაეთანხმა გ. ნატროშვილს, რომელმაც უარყოფითად შეაფასა დ. კობიძის ნაშრომი. რუსთაველი და ნიზამი თავიანთი პოეტიკით და მსოფლმხედველობით სხვადასხვა პოეტური სამყაროს წარმომადგენლები არიან, – წერდა სიმონ ჩიქოვანი, – ორივეს თემა სიყვარულია, პოეტური სახეები და მეტაფორები მსგავსია, მაგრამ რუსთაველის პოემის შინაარსი ყოველგვარ მისტიკას ემიჯნება და ძალზე ოპტიმიზტურია. ნიზამის ქმნილებაში ბევრია მისტიკური, მასთან ამქვეყნიური ცხოვრების ფინალი უბედურებაა, რუსთაველის გმირები კი ამქვეყნად იმკვიდრებენ ბედნიერებას (ჩიქოვანი 1947: 2).

საანალიზო საკითხის კვლევა ახალ ეტაპზე ავიდა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. ამ თვალსაზრისით საყურადღებო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ნიზამი განჯელის „ხოსროვისა და შირინის“ ამბაკო ჭელიძისეული თარგმანის გამოქვეყნება 1964 წელს (დაიბეჭდა კრებულში „ირანელი კლასიკოსები“), რომელსაც ახლდა მაგალი თოდუას შესავალი, განმარტებები და კომენტარები². მეცნიერი თავის შესავალ წერილში მიუთითებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი დეტალი ნიზამისას ჰგავს (მხატვრული სახეები, რეალიები, სენტენციები), მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის ყოფიდან და ლიტერატურიდან წარმომდინარე ასეთი დეტალებისა და მოტივების აღნუსხვის დროს მეტი სიფრთხილე გვმართებს... აღმოსავლური პოეტური სახეები ძნელია რომელიმე ავტორს მიეკუთვნოს. ისინი ხშირად მეორდებიან სხვადასხვა ავტორთან“ (თოდუა 1964: 23). მაგალი თოდუა აკრიტიკებს ალექსანდრე ბარამიძეს, რომელმაც მკვეთრი ზღვარი გაავლო „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ პერსონაჟებს – ტარიელ/ავთანდილსა და ხოსროვ/მაფურს შორის – და აღნიშნავს, რომ მათი შედარებისას არსებითი უნდა იყოს არა მათი იერარქიული პროპორცია ან მორალური მხარე, არა-

1 ს. ჩიქოვანი. ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხები. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“. 28.09.1947. №36. გვ.2.

2 მაგალი თოდუას ეკუთვნის ნიზამი განჯელის „ლეილისა და მაჯნუნის“ ქართული თარგმანი (ნიზამი განჯელი. „ლეილი და მაჯნუნი“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1974).

მედ „ის ფუნქცია, რომელიც ამ პერსონაჟთ აკისრიათ პოემებში. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ვერც ტარიელი ეწეოდა ნესტანს და ვერც ხოსროვი – შირინს. განა შირინი არა ჰგავს ნესტანს მამინ, როდესაც ხოსროვს მოუწოდებს: წადი, ტახტი დაიბრუნე და მერე შეგეყრებიო? განა გაბრაზებული ხოსროვის ბუზღუნში არ გვაგონდება ტარიელის: „ქალი ომსა რაგვარ მაწვევს“? ვიმეორებთ, ამით ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ მათ ნათესაობაზე მი-ვუთითებთ და არა იმაზე, თუ როგორია ეს ნათესაობა“ (თოდუა 1964: 25).

ჟურნალ „მაცნეს“ 1972 წლის მე-3 ნომერში გამოქვეყნდა მაია მამაცაშვილის გამოკვლევა „გალობა შვიდთა მნათობთათვის ნიზამის „ლეილი და მაჯუნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანში“. განხილულია ასტრონომიისა და ასტროლოგიის განვითარების ზოგადი ეტაპები უძველესი დროიდან მე-12 – მე-13 საუკუნეებამდე ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ავტორი აღნიშნავს, რომ ასტრონომიული ცოდნა ციურ მნათობთა შესახებ გაიზიარეს ქრისტიანობამ და ისლამმა. სამყაროს აგებულების მოდელი ორივე სარწმუნოებაში ერთნაირად არის წარმოდგენილი. ნი-ზამი „ლეილი და მაჯუნუნის“ ვარსკვლავიანი ღამის აღწერისას ამჟღავნებს ასტრონომიისა და ასტროლოგიის ცოდნას და პოეტურ ფონად იყენებს თავისი თეოლოგიური კონცეფციის გასაშლელად. აღწერს შუასაუკუნეების ცის სურათსა და მუსლიმანური სამყაროს უპირველესი მნათობის – ღვთაება მთვარის მოძრაობას ზოდიაქოთა სარტყელში. აღმოსავლურ პოეზიაში პირველად ნიზამისთან არის მოცემული მნათობდამი ვედრების პოეტური მოდელი. მაჯუნუნი შემწეობას სთხოვს სიყვარულში მნათობებს და შემდეგ ღმერთს. რუსთაველის პოემაშიც ავთანდილი ვედრებით მიმართავს მთელ ვარსკვლავურ ცას – შვიდ მნათობს. ეს ვედრება ასტროლოგიური ხასიათისაა. თითოეული მნათობი თავისი ბუნებისა და ნიშნის მიხედვით ხასიათდება (მამაცაშვილი 1972: 41-81).

საანალიზო საკითხის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა გურამ ასათიანმა წიგნში „ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე“ (1974 წ). ავტორი მიიჩნევს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მოტივის (ქალის ტყვეობა და მისი დახსნა) საფუძვლად

შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ნიზამის „ისკანდერ-ნამეში“ განხილული ერთი ეპიზოდი: ალექსანდრე ამარცხებს კაც-ურჩხულს, რომელიც შემდეგ მიიყვანს ქალს-ნესტან დარჯიხანს. ის ურჩხულის პატრონებს ჰყავდათ დატყვევებული. „ალბათ არსებობდა მითოლოგიური პირველწყარო, რომელიც გამოიყენეს ნიზამიმ და რუსთველმა“, – წერს ავტორი (ასათიანი 1974: 16-17).

საანალიზო საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ემიგრანტი ქართველი მეცნიერის, ვიკტორ ნოზამის თვალსაზრისი. მისი „განკითხვანის“ ყველა წიგნში „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერი ნიზამი განჯელის პოემების შესაბამის პასაჟებს მოიხმობს და მათ აანალიზებს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველებაში“ მეცნიერი ავთანდილის მნათობთადმი ლოცვის პარალელურად მაჯუნუნის ლოცვასაც მიმოიხილავს (ნოზამე 2005: 213-215). ნოზამე გამოყოფს მნათობთა, კონკრეტულად კი მზისა და მთვარის, მხატვრულ ფუნქციებს „ვეფხისტყაოსანში“ (ასტრონომიულს – პოეტური შედარებისათვის; ესთეტიკურს – გმირთა მშვენიების დასახატად გამოყენებულ სილამაზის სიმბოლოს) და ასკვნის, რომ ნიზამისთან ხშირად მზეს ცვლის მთვარე – „ის უფრო ხშირად იხსენიება სილამაზისა და ბრწყინვალეების დასასურათებლად, ვიდრე მზე...ქართულ მწერლობაში კი მთვარეს მეორე ადგილი უკავია. ვეფხისტყაოსნის ტახტზე ბრძანდება მზე!“ (ნოზამე 2005: 152-153).

„ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველებაში“ ვიკტორ ნოზამე დეტალურად მიმოიხილავს რუსთაველისა და ნიზამის მიერ ძვირფასი ქვების მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენების ყველა ცალკეულ შემთხვევას და ასკვნის, რომ რუსთაველთან, ისევე როგორც ნიზამისთან, „ძვირფასი ქვანი, ანუ თვალნი პატოსანნი გამოყენებულნი არიან უმთავრესად მხატვრული მიზნით. ეს მხატვრული მიზანია: ფერთა ჩვენება და ამ ფერთა ჩვენების საშუალებით სილამაზის დახატვა“ (ნოზამე 2004: 358). განსაკუთრებით ვრცლად მეცნიერი მარგალიტის სიმბოლურ მნიშვნელობაზე საუბრობს (ნოზამე 2004: 358-385) და ამ თვალსაზრისით პარალელს ავლებს „ვეფხისტყაოსანსა“

და ნიზამის თხზულებებს შორის. მეცნიერი აღნიშნავს, რომ რუსთველის მსგავსად, ნიზამიც მარგალიტს თავის პოემებში ვითარცა სილამაზის სიმბოლოს ხმარობს (სიტყვა, პოეტური თქმა, ლექსი, ცრემლი, კბილი, პირი, ყური და სხვ), მაგრამ, ამას გარდა, ნიზამისთვის მარგალიტი სქესობრივი კავშირის დასახატავადაცაა აღნიშნული, მაშინ, როდესაც „ვეფხისტყაოსანში“ მარგალიტი არის მხოლოდ დაქორწინების სიმბოლო (ნოზაძე 2004: 372-381).

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვიკტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (პარიზი, 1975 წ). მეცნიერი ვრცლად მსჯელობს მიჯნურობის ინსტიტუტზე არაბულ-სპარსულ-თურქულ მწერლობაში (მოტივები, გამოხატულების ფორმები და ა.შ) და საგანგებოდ ჩერდება ნიზამის „ლეილა და მაჯნუნსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის პარალელებზე: „ყაისი სოფელს გაექცა და უდაბნოში ცხოვრობს, მხეცებთან ერთად დაიარება, მათ მფარველობს (თუმცა ტარიელი სოფელს გასცილდა, მაგრამ ნადირს ხოცავს); ტარიელი და ყაისი „გაჭრილნი“ არიან, კაცრიელ ადგილებს მოშორებულნი, ოღონდ მათი გაჭრის, ველთა რბენის მიზეზი სულ სხვადასხვა სიყვარული არის. ყაისის სატრფო იქვეა, დედ-მამის ბანაკში, ტარიელისა კი გადაკარგულია და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის. ყაისი ნავფაღის დამარცხებისთვის ლოცულობს, ტარიელი და მისი მეგობრები ქაჯეთის ციხეს იღებენ. ყაისის სიყვარული მაჯნუნობით განისაზღვრება, ტარიელის სიყვარული კი მიჯნურობით შემოიფარგლება. მაჯნუნობასა და მიჯნურობას შორის უფსკრულია. მიახლოება სიყვარულის რელიგიაში დასაგმობია – ესაა მაჯნუნობა. ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობა არის ცეცხლადი სწრაფვა მიახლოებისა და შეერთებისათვის. ყაისისა და ლეილის სიყვარულის გზანი, ირანული მისტიკის მიხედვით, „სიყვარულის რელიგიას“ მისდევენ, ერთმანეთს ეჯვარედინებიან მხოლოდ ტრანსცენდენტურში; მხოლოდ სიკვდილი გაუღებს კარს იმ სინამდვილისაკენ, როგორც ეს შეყვარებულებს სწამთ, რასაც ამ ცხოვრებაში სული მოითხოვდა. მისტიკოსთა აზრით, უკანასკნელი გაერთიანება შეყვარებულთა ამ ქვეყანაზე

შეუძლებელი არის. ტანჯვა-წამება მიჯნურს საკუთარი ბორკი-ლებისგან ათავისუფლებს... ეს არის ნამდვილი სუფისტური კონცეფცია. მაჯნუნი გაურბის ლეილის, შორდება მას, იმიტომ, რომ მისი სიყვარული უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული... ე.ი. ნიზამისებური მაჯნუნობა არის მისტიციზმის ნაყოფი, რუსთველისებური მიჯნურობა კი – ცხოვრებისეული და რეალური. მაჯნუნობა – არაბულ-სპარსული და სუფისტურია, მიჯნურობა – ქართული და ქრისტიანული“ (ნოზაძე 1975: 119-122).

პეტრე შარია არ იზიარებს თეორიებს, რომელთა მიხედვითაც, ნიზამი სუფიზმის მიმდევარია. ნაშრომში „შოთა რუსთაველისა მსოფლმხედველობის ზოგიერთი საკითხი“ მეცნიერი აღნიშნავს, რომ ნიზამის პოეზიაში არსად ვხვდებით ამქვეყნიურობისაგან განდგომის აპოლოგიას. მისი აზრით, ძალიან დიდი მსგავსებაა რუსთველისა და ნიზამის ზოგადეთიკურ შეხედულებებში: ორივე პოეტი ჰუმანისტია, ორივე იცავს ადამიანის ღირსებას და ადამიანს უმაღლეს ღირებულებად მიიჩნევს. ნიზამი მეტად პროგრესულია ქალის საკითხში და ამითაც უახლოვდება რუსთველს, მაგრამ იგი მაინც ვერ სძლევს აღმოსავლურ ტრადიციას მამაკაცის ქალთან დამოკიდებულების საკითხში. ეს ორი პოეტი ენათესავება ერთმანეთს სიყვარულის ამამაღლებელი ძალის აღიარებაში; პოეზიის არსისა და ბუნების გაგებაში. დიდი მსგავსებაა ამ პოეტებს შორის პოეტიკის ასპექტშიც. ორივე პოეტი გაურბის სახოტბო-პანეგირიკულ სტილს, ოღონდ ნიზამი ხარკს უხდის აღმოსავლური პოეზიის ნატურალისტურ ტრადიციას, რაც უცხოა რუსთველისათვის (შარია 2019: 148-158).¹

ნიზამის „ხოსროვშირინიანისა“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტიპოლოგიურ ურთიერთმიმართებას ეძღვნება ირინა კილაძის საკანდიდატო დისერტაცია (2001 წ). „ნაშრომში წარმოდგენილია ორივე ავტორის თეორიული შეხედულებები მიჯნურობის შესახებ და ამ თეორიულ შეხედულებათა მხატვრული ასახვა გმირის განცდებსა და გრძნობებში. დეტალურად არის გაანალიზებული სამიჯნურო მოტივები: სიყვარულის აღმოცენების, გაჭრის, განშორების, სევდის, მიჯნურის სამსახუ-

1 პ. შარია. რჩეული ნაწერები. თბილისი, 2019.

რის მოტივები და სხვ...დადგენილია მიჯნურობის თემის ტიპოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი ორივე პოემაში და წარმოჩენილია მსგავსება-განსხვავებანი ამ კუთხით“. ავტორთა მხატვრული ენის შედარებითი ანალიზის შედეგად წარმოდგენილია ორივე ავტორის პოეტური ენის სპეციფიკური ხასიათი. აღნიშნულია, რომ საერთო ტიპოლოგიური ნიშნებით ხასიათდება ამ ორი პოემის სიუჟეტი და მსოფლმხედველობა, ასახული ბრძნულ გამონათქვამებსა და აფორიზმებში (კილაძე 2001:142-148).

საანალიზო საკითხს არაერთი წერილი მიუძღვნეს უცხოელმა მეცნიერებმაც.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოში“ გამოქვეყნდა ჩეხი მეცნიერის ივო ვაცულინის სტატია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ¹. ავტორი შენიშნავს, რომ ქართული სახელმწიფოსა და მისი კულტურის განვითარებისათვის რუსთველის ეპოქა იყო მეტად მნიშვნელოვანი ხანა, რომელსაც ისტორიკოსები ოქროს საუკუნეს უწოდებენ. იგი საუბრობს უძველეს ქართულ კულტურასა და ლიტერატურაზე და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რუსთველის ეპოქაში ქვეყანა ეგრეთ წოდებული აღმოსავლური რენესანსის სულმა მოიცვა. ამის მტკიცების საფუძველს ავტორს აძლევს იმ პერიოდის საქართველოში ანტიკური ფილოსოფიისა და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე. ი. ვაცულინი „ვეფხისტყაოსანს“ შუა საუკუნეების ამიერკავკასიის ლიტერატურის უშესანიშნავეს ძეგლს უწოდებს და დასძენს, რომ ამ ნაწარმოებს შეიძლება მხოლოდ ნიჰამის ქმნილებანი შეეძაროს (ვაცულინი 1967).

ნიჰამისა და რუსთაველის შემოქმედების შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი აზერბაიჯანელ მეცნიერს დილარა ალიევას. წიგნში „აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობათა ისტორიიდან“, რომელიც 1958 წელს ბაქოში გამოიცა, ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი იხსენიებს ნიჰამი განჯელის პოემის „ლეილმაჯნუნიანის“ გმირებს და სალამან იბნ სალამს („მისნი ვერ გასძლნეს პატიჟნი ვერ ყანენ, ვერცა სალამან“). მკვლევარი დასძენს, რომ რუსთველი

1 ვაცულინი ი. ლეგენდარული პოეტის კულტი: „ლიტერატურული საქართველო“, N 15, 7.09.1967

იცნობდა ნიჰამის ნაწარმოებებს, წაკითხული ჰქონდა „ლეილ-მაჯნუნისანი“, რომ ამ ორი დიდი პოეტის შემოქმედებაში გვხვდება მსგავსი მოტივები, მათი გმირები გამსჭვალული არიან მეგობრობისა და ხალხთა პატივისცემის გრძნობის მაღალი ზრახვებით (ალიევა 1958).

1983 წელს ჟურნალ „მნათობში“ (N 9) გამოაქვეყნებულ წერილში „ქალი – მთავარი მოქმედი გმირი“ (ესთეტიკური იდეალის გამოხატულება ნიჰამისა და რუსთაველის შემოქმედებაში) ავტორი ერთმანეთს ადარებს ნიჰამისა და რუსთაველის ფილოსოფიურ მრწამსსა და ესთეტიკურ შეხედულებებს და აღნიშნავს, რომ ორივე შემოქმედის ნაწარმოებები თავიანთი ეპოქის კულტურისა და მსოფლხედვის გამოვლინებაა. მათ საერთო აქვთ ადამიანის ჰუმანიზმისა და კეთილშობილების იდეალი. გმირი ქალების სიბრძნე და დიდსულოვნება, ერთგულება და სიყვარული, სამშობლოს მსახურება ორივე პოეტის შემოქმედებაში უმთავრესია. მეცნიერი აფორიზმთა მსგავსებასაც განიხილავს. ქალის კულტი და რენესანსისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი ორივე პოეტთან, უპირველეს ყოვლისა, ქალთა სახეებშია წარმოჩენილი. ალიევა აღნიშნავს, რომ „ნიჰამი და რუსთაველი ერთნაირი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან ქალებს, ხოლო მათი მოსაზრებანი და შეხედულებანი დაფუძნებულია ქალის როლის სწორ გაგებაზე საზოგადოებაში“ (ალიევა 1983: 151-155).

დილარა ალიევას კიდევ ერთი სტატია „ნიჰამი და რუსთაველი მხატვრული შემოქმედების როლისა და მნიშვნელობის შესახებ“ „ლიტერატურნაია გრუზიას“ 1984 წლის მე-9 ნომერში დაიბეჭდა. მეცნიერი განიხილავს ამ ორი ავტორის საერთო ლიტერატურულ მოტივებს და შეხედულებათა მსგავსებას მხატვრული სიტყვის დანიშნულების თაობაზე ადამიანის აღზრდასა და მისი ეთიკურ-ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის პროლოგსა და ნიჰამის პოემის „საიდუმლოებათა საგანძურის“ ერთ თავს, რომლებშიც ავტორები საუბრობენ პოეზიის რაობისა და დანიშნულების შესახებ. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ

ნიზამი და რუსთაველი პოეტური შემოქმედების თეორიულად გააზრების მხრივ თანამოაზრეები არიან. მათ ერთნაირი ფილოსოფიური და ესთეტიკური მოსაზრებები აქვთ (ალიევა 1984: 168-174).

თავისი სადისერტაციო ნაშრომის „ნიზამი და ქართული ლიტერატურა“ (1984) მესამე თავი (გვ.29-45) დილარა ალიევამ მიუძღვნა ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედებით ურთიერთკავშირს. მეცნიერმა განიხილა შემდეგი საკითხები: ნიზამისა და რუსთაველის ჰუმანისტური კონცეფციის საფუძველი; ნიზამი და რუსთაველი მხატვრული სიტყვის როლისა და დანიშნულების შესახებ; სიყვარულის კონცეფცია ორივე პოეტის შემოქმედებაში, ქალის როლი და პოეტთა ესთეტიკური იდეალი, სრულყოფილი პიროვნების პრობლემა.

1984 წლის 22-23 ნოემბერს ბაქოში ჩატარდა საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია „ნიზამის როლი მსოფლიო ლიტერატურაში ლირიკის განვითარებაში და 800 წელი „ხოსროვისა და შირინის“ შექმნიდან“. კონფერენციის მასალებში დაბეჭდილია ინგა კალაძის სტატია „ეპიკურისა და ლირიკულის შესახებ ნიზამისა და რუსთაველის შემოქმედებაში“¹, რომელშიც მეცნიერი ნიზამი განჯელს იმ მასშტაბის პოეტად და მოაზროვნედ სახავს, რომლის შემოქმედებაშიც ასახვა ჰპოვა მთელი ეპოქის მხატვრული აზროვნების ძირითადმა ტენდენციებმა. ამ თვალსაზრისით ნიზამის შემოქმედება უკავშირდება შუასაუკუნეების მეორე დიდი მოაზროვნის, რუსთაველის ნააზრევს. „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სახეთა სისტემა, ასევე ტროპის სახეები ავარაუდებინებს მეცნიერს, რომ რუსთაველი თავისი ღრმად ინდივიდუალური და ფსიქოლოგიზმით დატვირთული პერსონაჟების ხატვისას იყენებს მზა ფორმულებს და კლიშეებს, რომლებიც, პრინციპში, სპარსული პოეზიიდან არის ამოზრდილი. იქვე აღნიშნულია, რომ ნიზამის დივანი და რუსთაველის პოემის ლირიკული პასაჟები მეტყველებს არა მარტო ამ ავტორების მაღალ ლირიკულ ტალანტზე, არამედ სრულიად ახალ მხატვრულ ფენომენზე,

1 Каладзе, И. Об эпическом и лирическом в творчестве Низами и Руставели. Всесоюзная научная конференция «Роль Низами в развитии лирики в мировой литературе и 800-летие создания поэмы «Хосров и Ширин». Баку: Издательство «ЭЛМ», 1984, стр. 18-21.

რაც მდგომარეობს რომანტიკული ეპოსის ფარგლებში ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ასახვაში (კალაძე 1984: 19).

ზ. ყული-ზადე თავის ნაშრომში „აღმოსავლური კულტურის ისტორიის თეორიული პრობლემები და „ნიზამიოლოგია“¹ მაჯუნის მხატვრული სახის გაანალიზებისას აღნიშნავს, რომ პიროვნული ერთიანობით, განუსაზღვრელი სულიერი სიდიადით ყაისი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ისკანდერს. შესაბამისად, მეცნიერს მიზანშეწონილად არ მიაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ ტარიელსა და მაჯუნს შორის პარალელების გავლება. მისი აზრით, ტარიელის ნაღველი და სასოწარკვეთა რეალურ ადამიანს, ნესტან-დარეჯანს უკავშირდება, თანაც ქორწინებამდე, მაჯუნის ჭმუნვა კი – მსოფლიო სევდაა, შეყვარებულის პროტესტი ამქვეყნიური ცხოვრების, სამყაროში გამეფებული ბოროტების წინააღმდეგ (ყული-ზადე 1987: 160).

საანალიზო საკითხის შესახებ მოსაზრება აქვს გამოთქმული დონალდ რეიფილდს წიგნში „ქართული ლიტერატურა“². მეცნიერი ვარაუდობს, რომ რუსთაველი სპარსულ ენაზე იცნობდა ნიზამი განჯელის ყველაზე ტრაგიკულ რომანს „ლეილი და მაჯუნნი“. მისი აზრით, ამაზე მეტყველებს „ვეფხისტყაოსნისა“ და ნიზამის დასახელებული პოემის პროლოგთა სტრუქტურის იდენტურობა – უფლისადმი მიმართვა, მეფე-პატრონთა ქება, მოსაზრებანი შაირობასა და მიჯნურობაზე. მსგავსია შეყვარებულ წყვილთა – ლეილსა და ყაისს, თინათინსა და ავთანდილს, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის სიყვარულის აღმოცენება და განვითარება. რეიფილდი ფიქრობს, რომ მაჯუნსა და ნავვალს შორის ჩასახული ალტრუისტული მეგობრობის კულტი, გარკვეულწილად, გავლენას მოახდენდა რუსთაველის მეგობრობის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე (რეიფილდი 2014: 81).

2015 წელს ბაქოს სლავურ უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია „კომპარატივისტული ლიტერატურა და კულტურა: ნაციონალური კულტურის საწყისი წერტილი“, რომელზეც გაგა ლომიძემ წარმოადგინა მოხსენება „სიყვარულის ორგვარი

1 Кули-заде, З. Теоретические проблемы истории культуры востока и Низамиведение. Баку: ЭЛИМ, 1987.

2 The Literature of Georgia: A History By Donald Rayfield, Routledge, 2014, p. 81.

აღქმა“ (ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯნუნი“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“). ნაშრომში აღნიშნულია, რომ შოთა რუსთაველი იცნობს ნიზამი განჯელის პოემას „ლეილი და მაჯნუნი“ – „ვეფხისტყაოსანში“ ნახსენებია მაჯნუნის ნამდვილი სახელი, ყაისი. ყურადღება გამახვილებულია სიყვარულის განსხვავებულ აღქმაზე ამ ავტორებს შორის. ამ თვალსაზრისით გამოყენებულია ფროიდისტული კონცეფციები სიკვდილისკენ სწრაფვის და სიცოცხლის ნების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ სიყვარულის რუსთაველისეულ და ნიზამისეულ აღქმაში ვლინდება სხვაობა ამ კონცეფციის შუასაუკუნეებრივ და რენესანსულ ხედვებს შორის. სიყვარულს მართავს ძირითადი ადამიანური სწრაფვები: სიკვდილის ნება („ლეილი და მაჯნუნი“), რომელიც უფრო მეტად შუასაუკუნეებრივია; და სიცოცხლის ნება („ვეფხისტყაოსანი“), რომელიც შუასაუკუნეებრივი ეპოქის დასასრულს და აღორძინების ხანის დასაწყისს მოასწავებს. პირველი მათგანი უფრო ახლოა სუფისტური ფილოსოფიის ასკეტიზმთან, მეორე – თომისტური ტიპის მიწიერი ცხოვრებით ტკობასთან, რაც ღმერთის ორბუნებოვნებას გულისხმობს – რომ მასში თანაბრადაა მიწიერი და ღვთაებრივი ასპექტები¹.

ამავე კონფერენციაზე წარმოდგენილი ივანე ამირხანაშვილის მოხსენება „პოეტური კანონი, როგორც ხასიათი (ნიზამი და რუსთაველი)“² ეძღვნება ნიზამისა და რუსთაველის პოეტური მეტყველების მიმოხილვას. ავტორი აღნიშნავს, რომ ორივე პოეტისთვის დამახასიათებელია მეტაფორული აზროვნება და წარმოდგენათა ჰიპერბოლიზაცია. ეს, ძირითადად, ლირიკულ წიაღსვლებში, ჩანართებსა და აღწერებში ვლინდება. ხორციელდება მხატვრული გამომსახველობის მაქსიმალიზაციის პრინციპი. ნიზამი და რუსთაველი მაქსიმალურად ათავისუფლებენ პოეტური ენის ფსიქოლოგიურ და მენტალურ მხარეებს და

1 Lomidze, G. Two Perceptions of Love (“Layli and Majnun” by Nizami Ganjevi and “The Knight in the Panther’s Skin” by Shota Rustaveli). *Comparative Literature and Culture: Starting points of national literature and culture*. Baku, 27-28 November, 2015.p.95.

2 Амирханавили Иванэ. Поэтический канон как характер (Низами и Руставели). *Comparative Literature and Culture: Starting points of national literature and culture*. Baku Slavic University. Azerbaijan Comparative Literature Association. Baku, 27-28 November, 2015, p. 98.

ამით ქმნიან მონუმენტალურობის კანონს. ზრდიან მანძილს რეალურსა და წარმოსახვითს, ცნობიერსა და არაცნობიერს შორის. ჰიპერბოლიზაციის პროცესში ობიექტურობა არათუ არ იკარგება, არამედ უფრო დამაჯერებელი ხდება, რადგან საგანსა და მოვლენას კი არ ცვლის, არამედ ახდენს მათ ტრასფორმირებას. აღნიშნულ პოეტურ კანონს ივანე ამირხანაშვილი განიხილავს როგორც მეტაენას, რომელსაც რუსთაველი და ნიჟამი იყენებენ თავისებური წარმოსახვითა და აზრობრივი სტრუქტურის აგების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი პრინციპით. საგნის ჰიპერბოლიზაციის გზით იქმნება უფრო მაღალი ესთეტიკური და მენტალური დონის მხატვრული განზოგადება. თუკი ესთეტიკაში შესაძლებელია არსებობდეს ისეთი ცნება, როგორცაა ხასიათი, მაშინ შესაძლებელია, ეს პოეტური ხერხი გავიაზროთ როგორც ესთეტიკური ტემპერამენტის გამოვლინება.

2020 წელს საერთაშორისო სამეცნიერო კრებულში „ნიჟამის კულტურული მემკვიდრეობის ინტერპრეტაცია თანამედროვე პერიოდში“ დაიბეჭდა ირმა რატიანისა და მაკა ელბაკიძის სტატია „რუსთაველი – ნიჟამის თანამედროვე. ზოგიერთი პოეტიკური და ესთეტიკური პრინციპის რევიზია“¹. სტატიაში საუბარია რუსთაველის ესთეტიკური და ეთიკური კონცეფციის მიმართებაზე, ერთი მხრივ, შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპული, მეორე მხრივ კი, აღმოსავლური ლიტერატურის შესაბამის პრობლემატიკასთან. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია რუსთაველური სიყვარულის კონცეფციაზე, რომელშიც, ავტორთა აზრით, ჩანს როგორც კურტუაზიული რომანის, ისე აღმოსავლური პოეზიისთვის დამახასიათებელი (სახელდობრ, ნიჟამის პოემების) მოტივები, რომლებიც მეტწილად კონვენციურია, ამიტომ ვეფხისტყაოსანში ისინი მზა ფორმულათა სახით გვხვდება და განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგება. ავტორები ასკვნაიან, რომ დასავლური და აღმოსავლური ლიტერატურული მოდელების მორიგების მცდელობა ქმნის ორი განსხვავებული კულტურული სამყაროს შეხვედრის პირველ პრეცედენტს ქართულ ლიტერატურულ

1 Ratiani, I, Elbakidze, M. Rustaveli, Nizami's Contemporary. Revisiting Some Poetical and Aesthetical Principles. In: The Interpretation of Nizami's Cultural Heritage in the Contemporary Period. Berlin: Peter Lang, 2020.

სივრცეში, *ვეფხისტყაოსანს* კი უნიკალური ტექსტის სტატუსს ანიჭებს. სწორედ ამ სინთეზით ამდიდრებს და აფართოებს რუსთველის რომანი გვიანი შუასაუკუნეების მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს: თუკი იმ პერიოდის დასავლური ქრისტიანული სამყაროსთვის *Weltliterature* ცალსახად ევროპულ სივრცესთან და კულტურასთან გაიგივებული ცნებაა, საქართველოში ის აღმოსავლური ლიტერატურული კანონის პრინციპებსაც ითვალისწინებს.

წინამდებარე წიგნი **ინტერკულტურული სივრცე – რუსთაველი და ნიჟამი** აგრძელებს თითქმის საუკუნოვან ტრადიციას – ვეფხისტყაოსნის კვლევას შუასაუკუნეების აღმოსავლური მწერლობის კონტექსტში, კონკრეტულად, რუსთაველის თანადროული დიდი აღმოსავლელი პოეტის ნიჟამი განჯელის შემოქმედებასთან მიმართებაში. წიგნში წარმოჩენილია ამ ორი პოეტისა და მოაზროვნის შემოქმედების ძირეული პრობლემატიკა, მათი თანხვედრის ტიპოლოგიური არსი, ასევე, ის ისტორიულ-კულტურული თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მათ შეხედულებათა განსხვავებას. ეს ამოცანა მიღწეულია პროცესის თეორიულ ასპექტში გადააზრებისა და საკვლევო პრობლემატიკის სოციალური აქტუალიზებით, რაც თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი ტენდენციაა.



The miniature painted for „The conversation of Anushiravan vizier and two owls“ from „Treasury of Mysteries“

Zahra Allahverdieva

(Azerbaijan)

On history of study of Nizami Ganjavi and Shota Rustaveli in Azerbaijan

The great Azerbaijani poet Nizami Ganjavi, who reached the peak of the Eastern Renaissance of the XII century, is a great humanist of the world. He is worthy to be called “the king of kings in composition of words”. His unique creativity reflects the high level of the urban culture of Azerbaijan and the culture of the Ancient East. Nizami’s heritage is also the property of his native Caucasus.

Spiritual and cultural ties between Azerbaijani and Georgian peoples has been linked for centuries. The creativity of such great Azerbaijani poets as Abul-ula Ganjavi, Khagani Shirvani, Feleki Shirvani, Mekhseti Ganjavi, Nizami Ganjavi, also famous Georgian poets like Chakhrukhadze, Shavteli, Khoneli, Shota Rustaveli and others is a vivid example of the relationship between Azerbaijani and Georgian literature of the 12th century.

The famous scientist Dilara Aliyeva noted: “Azerbaijani-Georgian literary ties are a core part of a large sphere of literary science. The history of literary relation between the Azerbaijani and Georgian peoples is rich as theirs culture. The origins of these relations take us to the era of our ancient ancestors, their echoes come to us through fairytales, legends, bayats and songs, Ozano-Ashug’s music”.¹

As mentioned above, themes, subjects and philosophical thoughts of Nizami deeply influenced Georgian literature. Many orientalist have confirmed that “the Georgian public of the XII-XIII centuries was closely familiarized with Nizami’s creativity either from the original or from the translated version. «² As it’s known, such poems as «Khosrov

1 Алиева Дилара. Низами и грузинская литература . – Автореф. дисс. на соиск. учен. степ. доктора филол. наук. – Баку, 1984, стр.9.

2 Алиева Дилара. Азербайджанско-грузинские литературные связи в XII в. //Альманах Низами Гянджеви; АН Азерб.ССР Ин-т лит-ры им. Низами.– Баку, 1984.– Ч.1.– с.225.

and Shirin» and «Leyli and Majnun» were translated into Georgian during Nizami's lifetime.

During commemoration the 840th anniversary of the great Azerbaijani poet Nizami Ganjavion on October 6-9, 1981 in Baku, what comes to mind is the warm and sincere speech of the honored guest – Secretary of the Board of the Writers' Union R.S.Miminoshvili: “The overall interest in Nizami never weakened in Georgia since the XII century. We are proud that our literature is rich with the most ancient translations of his works. Shota Rustaveli also studied Nizami's creativity, and perfectly expressed his attitude towards his older contemporary in artistic images. For thousands of years their poetic roll call will continue.”¹

In Georgia, as well as in Azerbaijan, scientific work is being done in studying the creative heritage of Nizami Ganjavi. Periodically, such Georgian scientists as N.Y.Marr, K.Kekelidze, A.Baramidze, A.Gvakharia, K.Pagava and others collaborated with Azerbaijani Nizami studiers such as Hamid Arasli, M. Rafili, Mir Jalal, M. Jafar, R. Aliyev, G. Aliyev, D. Aliyeva, A. Rustamova and others.

Since the 40s of the XX century, scientists have treated the issue of humanism in the works of Nizami and Rustaveli as a phenomenon of the Caucasian Renaissance. Prominent scientists such as Hamid Arasli, Mamed Amin Rasulzade, Mikael Rafili, Yevgeny Eduardovich Bertels, Nikolay Yakovlevich Marr, Shalva Isakievich Nutsunidze, Azada Rustamova, Rustam Aliyev, Dilara Alieva, Khalil Yusifli and others expressed their opinions.

Researches related to the humanistic concepts of Nizami and Rustaveli are concentrated around such problems as the idea of social justice, utopian society, human rights, the code of ethics, and the Renaissance worldview. Especially, the idea of social justice is considered by researchers through the confrontation of heroes – toilers and despotic tyrants – at the level of psychology, lifestyle and moral criteria.

Investigating the problem of «Nizami and World Literature», special attention was paid to the issues of studying the influence of the

არ ხარობს თესლი, თუ არ არის ტრფობის მარცვალი...
ზევცა არ ტირის, ვერ იცინის უმისოდ ვარდი...
სიყვარულია ქვეყანაზე ყველაფრის ფუძე“.
(ნიზამი განჯელი 1964: 59-60)

ნიზამის მსოფლმხედველობას განსაზღვრავს სწორედ ის რწმენა, რომ სიყვარული არის ყოფიერების არსი და ეს, ზ. ა. ყული-ზადეს აზრით, უნდა იყოს რეგიონში გაბატონებული ფილოსოფიური შეხედულებების, უპირველეს ყოვლისა, სუფიზმის, გავლენის შედეგი (ყული-ზადე 1987: 131).

სუფისტური გავლენა ტერმინოლოგიაშიც ჩანს. მაგალითად, „სიყვარულში“ იგულისხმება „ღმერთი“. მაგრამ აქ მთავარია პოეტური თავისუფლება. ნიზამის მიხედვით, სიყვარული არის მიზიდულობა, საყოველთაო მიზიდულობა, დაახლოებით იგივე, რასაც ფიზიკოსები გრავიტაციას უწოდებენ.

ნიზამის შემოქმედებაში სხვაგანაც ჩანს სუფისტური ელემენტები, მაგრამ ის არ არის სუფისტი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით (მუსტაფაევი 1962: 33). ნიზამის ფილოსოფიური მრწამსის საფუძვლები, ერთი მხრივ, დაკავშირებულია მის თანამედროვე აზერბაიჯანულ სინამდვილესთან, მეორე მხრივ, წინარე საუკუნეების მსოფლიო ლიტერატურასთან (მაკოველსკი 1965: 121).

როგორც ზ. ა. ყული-ზადე ამტკიცებს, პოემაში „ლეილი და მეჯნუნი“ სიყვარულის კონცეფცია არ იმეორებს არც სუფიურ და არც პერიპატეტიკულ გაგებას, თუმცა მათთან უშუალო შეხება მაინც აქვს. თუ „ხოსროვი და შირინის“ მთავარი ობიექტია მიწიერ-ზეციური, სულიერ-ფიზიკური სიყვარული, „ლეილი და მეჯნუნში“ ვხედავთ სულიერი საწყისის უპირატესობას. მეჯნუნის სიყვარული – ეს არის უმაღლესი გრძნობა, რომელიც თრგუნავს ხორციელ საწყისს, როგორც შეუთავსებელს ყოფიერების ძირითად პრინციპთან – ჭეშმარიტ სიყვარულთან (ყული-ზადე 1987: 145).

საერთოდ, ნიზამის „ხამსეს“ მიხედვით, სიყვარული არის ის ძალა, რომელიც წარმოშობს ყველა არსების დაბადებასა და განვითარებას. ამ ძალის მეშვეობით ბოროტება შეიძლება სიკე-

თედ გადაიქცეს. სიყვარული არის ნათელი, რომელიც ადამიანის კეთილ მომავალს განაპირობებს.

ნიზამი სიყვარულს განიხილავს არა მხოლოდ ორი პიროვნების მიერ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ურთიერთგრძობას, არამედ როგორც განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც მოიცავს ყოველი არსის სულსა და გულს – უმნიშვნელო ქმნილებიდან დაწყებული გიგანტური თანავარსკვლავედებით დამთავრებული (კაფარლი 2001: 12-13).

რამდენადაც ღრმად განათლებული ადამიანია ნიზამი, იმდენად თავისუფალი პოეტია და ეს ეტყობა მის ესთეტიკას. ისლამური თეოლოგიის, იურისპრუდენციისა და ლოგიკის გარდა, ნიზამიმ, ასევე, კარგად იცოდა ანტიკური ფილოსოფია, ასტრონომია, ასტროლოგია და გეოგრაფია (გულიზაძე 1984: 328).

ფართო ერუდიცია დამოუკიდებელს ხდის ნიზამის პოეტურ აზროვნებას. რაციონალური ცოდნის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პოეტი ქმნის საკუთარ ირაციონალურ სისტემას, რომელშიც ვლინდება მისი პოეტური ხელწერა.

გარკვეულწილად მისაღებია აზრი, რომ ნიზამის მსოფლმხედველობაში შეინიშნება სკეპტიციზმი ისეთი საკითხების მიმართ, როგორებიც არის სამყაროს წარმოშობა და შემოქმედის არსი. და რომ აქ ნიზამი ცდილობს ფილოსოფია გამოეყოს თეოლოგიისგან, ხოლო ცოდნა – რწმენისგან (მამედოვი 1959: 15).

აღსანიშნავია ისიც, რომ ნიზამის ესთეტიკა მკვეთრად განსხვავდება საკარო პოეტების შემოქმედებისგან. მისი ესთეტიკა უფრო ახლოს არის ხალხურ წარმოდგენებთან. ხალხურობის პრიმატი – ეს არის მისი პოზიცია, რის გამოც მას აქტიურად ებრძოდნენ საკარო პოეტები (ეფენდიევა 2013: 74).

როდესაც დიდი პოეტების ესთეტიკაზე ვსაუბრობთ, ნებაუნებლიეთ წამოიჭრება რომელიმე შემოქმედებით მიმდინარეობასთან ან ფილოსოფიურ მოძღვრებასთან მიმართების საკითხი. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იარსებებს, მაგრამ ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ არ შეიძლება პოეტი მივაკუთვნოთ რომელიმე ფილოსოფიურ მიმდინარეობას. მწერალი, საზოგადოდ, არ შეიძლება ბოლომდე დარჩეს ფილოსოფიური მოძღვრების ადეპტად. მწერლობა და ფილოსოფიური აზროვნება

სხვადასხვა კატეგორიას წარმოადგენს და მათი ერთ სიბრტყეზე მოთავსება შეუძლებელია.

შეიძლება ნიჰამი კარგად იცნობს და იყენებს კიდეც სუფიზმის, არისტოტელიზმის ან ზოროასტრიზმის კონცეპტებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის არის სუფიზმის, ანტიკური ფილოსოფიის ან ზოროასტრიზმის მიმდევარი. ასევე, რუსთაველის პოეზიაშიც შეინიშნება სუფიზმის, მანიქეიზმის, ნეოპლატონიზმის, არისტოტელიზმისა და სხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ელემენტები, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ის ამ ფილოსოფიურ სისტემათა მიმდევარია, უბრალოდ, მათ იყენებს თავისი ესთეტიკური მრწამსის შესაქმნელად.

ქართული ეროვნული ლიტერატურის ესთეტიკური კანონების კლასიფიცირებისას ირმა რატიანი სამ კულტურულ ვარიანტს გვთავაზობს: შუა საუკუნეების, რომანტიზმისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მოდელებს. ცალკე ქვესტრუქტურად გამოყოფს „რუსთაველის კანონს“, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურული ტრადიციების პირველ სინთეზს ქართულ მწერლობაში (რატიანი 2015: 43).

შუა საუკუნეების აზროვნებაში სამი მთავარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ბაზისი არსებობს: ქრისტიანობა – დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაწილისთვის; ისლამი – აღმოსავლეთისთვის; ანტიკური ფილოსოფია (პლატონიზმი, არისტოტელიზმი, ნეოპლატონიზმი) – ორივე, აღმოსავლეთ-დასავლეთ, სამყაროსთვის.

რუსთაველი მეტწილად ნეოპლატონიზმს ეყრდნობა, ოღონდ ეს არის „ქრისტიანიზებული“ ნეოპლატონიზმი. ამ ფილოსოფიის ქრისტიანიზება ნაწილობრივ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებაში მოხდა, ნაწილობრივ რუსთაველის მიერ არის ადაპტირებული პოეტურ აზროვნებასთან.

ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაცია – ეს არის ნეოპლატონური ემანაციონიზმის შეცვლა ქრისტიანული კრეაციონიზმით. ნოდარ ნათაძის განმარტებით, მაშინ, როდესაც ნეოპლატონიზმისთვის სამყარო წარმოადგენს ერთის ანუ ღმერთის ემანაციის შედეგს, ქრისტიანობისთვის ღმერთი არის ტრანს-

ცენდენტი, რომელმაც თავისუფალი ნების აქტით შექმნა სამყარო არაფრისგან (ნათამე 1965:183).

რუსთაველთანაც ღმერთი წარმოდგენილია როგორც სამყაროს შემქმნელი და არა როგორც მისი პირველწყარო:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.

რუსთაველის ღმერთი არის სრული სიკეთე, ხოლო წუთისოფელი მისი ანტიპოდია, როგორც ბოროტი, მაცდური და მუხანათი. ამ შეპირისპირებას დონალდ რეიფილდი ქრისტიანულ დიქტომიას უწოდებს (რეიფილდი 2000: 77).

რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ესთეტიკური კონცეფცია, როგორც სისტემა, კონცენტრირდება სათაურშივე, რომელიც ერთდროულად მეტაფორაც არის, სიმბოლოც და მისტიკური გამოცანაც.

ვეფხვის ტყავის – ამ ტროპული სახის საფუძველი წინარე ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებშია საძიებელი. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ყველა კულტურულ სამყაროსთან ამყარებს კავშირს, ამდენად, „ვეფხვის“ „ვეფხისტყაოსნობის“ კონოტაციური არე საკმაოდ ფართოა, მაგრამ საბოლოო ჯამში განახლების, განწმენდის, კათარზისის სიმბოლოდ წარმოგვიდგება (სულავა 2009: 80).

რუსთაველის ესთეტიკურ სამყაროს ახასიათებს მწყობრი არქიტექტონიკა. ადამიანი მისი ცენტრია, ხოლო ბუნება – პერიფერიული ესთეტიკური სფეროების არე. თავის მნიშვნელოვან ნაწილში ბუნება მოკლებულია დამოუკიდებლობას. მისი ესთეტიკური ღირებულება ფუნქციურია და არა თავისთავადი. იგი ხან ფონია, ხან ჩარჩო, ხან საღებავების რეზერვუარი პერსონაჟების პორტრეტებისათვის (ნადირაძე 2006: 145).

რაც შეეხება პერსონაჟებს, „ვეფხისტყაოსანში“ მეტაფორიზებულია ყველაფერი, რისი წარმოდგენაც შეიძლება ამ მხრივ – ადამიანის გარეგნობა, ხასიათი, საქციელი, ფიქრი, ოცნება, განცდა. აქ ხშირია მეტაფორებად ისეთი ძვირფასი ქვების გამოყენება, როგორებიცაა ლალი, ბადახში, მარგალიტი, ალმასი, ბროლი, გიშერი, მოწი, სათი, მინა, აყიყი, იაგუნდი, ამარტა, ქარვა და სხვ.

მეტაფორიზაციის აქტიური სახეებია ლომი, ვეფხვი, ვარდი, მზე...

რუსთაველი ყველაზე ხშირად ახსენებს სიტყვა „მზეს“, რომელსაც მრავალ კონტექსტში იყენებს და ასტროლოგიური მოძღვრების მთელ სპექტრს წარმოგვიდგენს, მაგრამ უმეტესწილად სიყვარულის, სილამაზის, სიცოცხლის, თავისუფლების გამომხატველად გვისახავს.

საინტერესო ესთეტიკური მოვლენა გვხვდება პოემის 836-ე სტროფში, სადაც ავთანდილი მზეს მიმართავს: „ჰე, მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად“. მატერიალური მზე წარმოდგენილია ღვთის სიმბოლოდ, თვით ღმერთი კი არის „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“.

მზეს ღვთის ხატად თვლიან ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლებიც და გნოსეოლოგებიც, ანტიკური ნეოპლატონიკოსებიც და ქრისტიანი ნეოპლატონიკოსებიც, მაგრამ, როგორც ირკვევა, რუსთაველთან ეს სიმბოლო ქრისტიანული თეოლოგიიდან მომდინარეობს (ნოზამე 1963: 119).

საერთოდ, რუსთაველის მიერ გამოყენებული ბევრი ხატოვანი თქმა და მხატვრული სინტაგმა ბიბლიიდან მომდინარეობს ან ბიბლიური რეალიების ფილოსოფიური გადააზრებაა.

ქრისტიანულ კულტურასთან ერთად, რუსთაველის ესთეტიკის საფუძველს წარმოადგენს აღმოსავლური კულტურა. პოეტს კარგად სცოდნია სპარსული და არაბული ენები, იცნობდა სპარსულ და არაბულ კულტურებს, ღრმად იყო ჩახედული აღმოსავლური ლიტერატურის ისტორიაში. რუსთაველს მიჯნურობა, გრძნობის კულტი, ველად გაჭრისა და დაბნედის მოტივები სწორედ აღმოსავლური მწერლობიდან აქვს ათვისებული. ასახელებს კიდევ პოპულარულ პერსონაჟებს: ვისსა და რამინს, ყაისსა და მეჯუნს.

რუსთაველის კონცეფციით, სიყვარული ღვთაებრივი გრძნობაა, ღვთისგან გვეძლევა. სიყვარული, როგორც ამქვეყნიური, ადამიანური გრძნობა, ბაძავს ღვთაებრივ გრძნობას, პირველ სიყვარულს, რომელსაც რაციონალურად მოაზროვნე, პრაქტიკული გონების ადამიანები ვერ ჩასწვდებიან. იმისათვის, რომ ღვთაებრივი სიყვარული გაიგო, საჭიროა სიშმაგე, სასიყვარულო გახელება.

რუსთაველი სიყვარულს განიხილავს როგორც ეთიკურ, ისე ესთეტიკურ პლანში. სიყვარული, მისი აზრით, უმაღლესი სათნოებაც არის და უმაღლესი მშვენიერებაც.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კონცეფციას თუ გავითვალისწინებთ, მართებულია მოსაზრება, რომ რუსთაველი ხატავს სიყვარულს არა მხოლოდ ისეთად, როგორც უნდა იყოს, არამედ ისეთად, როგორც ის არის (ნათამე, ცაიშვილი 1966: 93).

სიყვარულის მსგავსად, მეგობრობაც და გმირობაც ეთიკური სფეროდან თავისუფლად გადადის ესთეტიკურ სფეროში, რადგან მშვენიერია, როდესაც ადამიანი ბოლომდე ავლენს მეგობრობას ანუ მოყვასისადმი სიყვარულის გრძნობას და მშვენიერია, როდესაც ადამიანი საჭირო მომენტში ავლენს გმირობას და თავს წირავს მოყვასისათვის.

გიორგი ნადირაძე „ვეფხისტყაოსანში“ მხატვრული ფერწერის ხუთ ესთეტიკურ ფენომენს გამოყოფს: ცის მნათობები, ყვავილები (ძირითადად ვარდი), ძვირფასი ქვები, ცხოველები (ლომი და ვეფხვი), მცენარეები (ალვა და სარო). აქედან ყველაზე პოპულარულია მზე. რუსთაველი მზეს მიიჩნევს ბუნების უმაღლეს მშვენიერებად. ამ თვალთახედვას მეცნიერმა „ესთეტიკური სოლარიზმი“ უწოდა (ნადირაძე 2006: 148).

რუსთაველისთვის ფერი შეიძლება მივიჩნიოთ შემოქმედების იმ ძირითად კატეგორიად, ურომლისოდაც პოეტური სახე არ განხორციელდება (გოგიბერიძე 1961: 278).

ფერთა სიმბოლიზმი „ვეფხისტყაოსანში“ დიდად არ განსხვავდება შუა საუკუნეების ფერთა სიმბოლიზმისგან. როგორც აღმოსავლური და დასავლური სიმბოლიზმი, ისე ქართულიც კულტურის ერთ კონტექსტში თავსდება. ვიკტორ ნოზაძის დასკვნით, რუსთაველური ფერთა სიმბოლიზმი ეპოქის კულტურის სახეს გვიჩვენებს (ნოზაძე 2004: 511).

რევაზ სირაძე ყურადღებას მიაქცევს იდუმალების ესთეტიკას. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იდუმალების ფენომენს წარმოადგენს არა მხოლოდ რელიგიურ-მისტიკური პასაჟები, არამედ არაერთი რეალისტური სახეც: ესთეტიკურ განცდას ბადებს, ერთი მხრივ, დაფარული შინაარსის ამოცნობა,

მეორე მხრივ, შეუცნობლობის, ამოუხსნელობის, მიუწვდომლობის გრძნობის გაჩენა (სირამე 2012: 45).

უფრო შორს მიდის ზვიად გამსახურდია, რომლის აზრით, რუსთაველი მხატვრული პირობითობის ენაზე ასახავს ინიციაციური სიბრძნის ძირითად იდეებს. მხატვრული ენის მეშვეობით ქმნის სინკრეტული ეზოთერიზმის სინთეზს. პოეტის მიზანია, ეზოთერულ-ქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე შეაჯამოს კაცობრიობის სულიერი განვითარების განსხვავებული გზები. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლური აზროვნებისთვის ძირითადი გასაღებია ანტიკურობისა და შუა საუკუნეების ეზოთერული სიბრძნე (გამსახურდია 1991: 342).

„ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელოვან პლასტს წარმოადგენს პარადიგმული სახეებისა და სიტყვათა ბინარული მნიშვნელობები, რომლებშიც წარმოჩინდება რუსთაველის ინდივიდუალობა, მისი ხედვის მასშტაბურობა, საერთო კულტუროლოგიური ცოდნა, გარდაქმნილი ესთეტიკურ ნააზრევად (გონჯილაშვილი 2017: 283).

რუსთაველის პოემის ერთ-ერთი მთავარი კონცეპტია ბოროტების არასუბსტანციურობის ნეოპლატონური თეორია, რომელიც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიიდან მომდინარეობს: თუკი ქვეყანა შექმნა ღმერთმა, რომელიც სიკეთის უზენაესი გამოხატულებაა და ბოროტებას თავისი არსი, თავისი სუბსტანცია არ გააჩნია, ის (ბოროტება) უბრალოდ სიკეთის დაბალი ხარისხია, მაშინ ბოროტება დიდხანს ვერ იარსებებს, მას საბოლოოდ მაინც სძლევს სიკეთე, რომლის არსებობაც უსასრულოა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ (1351).

რუსთაველის ფილოსოფიაში ჰეტეროგენულ, არაქრისტიანულ ელემენტებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ანტიკურ ფილოსოფიასა და ნეოპლატონიზმს. პოემაში დამოწმებულია პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პროკლე დიადოხოსისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრები. რუსთაველის ესთეტიკასთან ყველაზე ახლოს დგას ნეოპლატონიზმის ქრისტიანული ინტერპრეტაცია, რომელიც XII საუკუნეში განახორციელა ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა. იოანემ ქართულ ენაზე თარგმნა პროკლეს „თეოლოგი-

ის ელემენტები“ და დაურთო ვრცელი კომენტარები, რომლებშიც მოცემულია ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაციის ცდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ნეოპლატონურ თეორიაში გაჩნდა პერსონალური ღმერთის იდეა.

ცნობილი ღვთისმეტყველის, პაველ სვეტლოვის მტკიცებით, რუსთაველი არ არის წარმართი, არც პანთეისტი. ის მონოთეისტია, რომელიც აღიარებს ღმერთს, როგორც შემოქმედს... მისი აზრით, პოემაში შეინიშნება პლატონის ფილოსოფიის იმ ნაწილის კვალი, რომელიც ქრისტიანობასთან უფრო ახლოს არის (სვეტლოვი 2018: 249).

ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველი პირდაპირ მიჰყვება ან გადმოაქვს რომელიმე დასავლური თუ აღმოსავლური მოძღვრება. უბრალოდ, ის ეხმიანება თავისი ეპოქის სააზროვნო სტილს, ან ეს სტილი ზემოქმედებს მასზე.

აკაკი გაწერელიას მოსწრებული თქმით, რუსთაველი ფილოსოფიურ-რელიგიურ იდეათა მოზაიკის ოსტატი არ ყოფილა, მაშინ ის რუსთაველი არ იქნებოდა (გაწერელია 1977: 16).

ვფიქრობთ, გასაზიარებელია შემდეგი მოსაზრება: როდესაც რუსთაველის მსოფლმხედველობაზე ვსაუბრობთ, ზუსტად შუა საუკუნეების ქრისტოლოგიაზე ან ზუსტად რენესანსულ აზროვნებაზე კი არ უნდა შევჩერდეთ, არამედ საკუთრივ XII-XIII საუკუნეების, ანუ გვიანდელი შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის ეტაპზე. ამ ეპოქის აზროვნებას უნდა მივუსადაგოთ „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სამყარო და ამავე ეპოქის მსოფლმეგრძნების ბაზაზე უნდა გამოვავლინოთ რუსთაველის მხატვრული სიტყვის მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის კონტექსტში (ხინთიბიძე 2009: 771-772).

უფრო ზოგადი თვალსაწიერიდან თუ გადავხედავთ, რუსთაველის მსოფლმხედველობას განსაზღვრავს სამი ძირითადი უნივერსალი: რწმენა, იმედი, სიყვარული. ეს კარგად ვლინდება სიუჟეტში, რომელიც მიემართება ესქატოლოგიური დასასრულისკენ იმ რწმენით, რომ ბოროტს სძლევს კეთილი, და რწმენა და იმედი შეერთდება საღმრთო სიყვარულში (კარიჭაშვილი 2011: 30).

„ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთს თანხვედბა ორი გზა – ტრადიციული და ნოვატორული. ერთი მხრივ, რუსთაველი შვილია თავისი ეპოქისა, ერთგულად მიჰყვება ამ დროის იდეოლოგიასა და მორალს; მეორე მხრივ, ახალი, პროგრესული იდეები გადმოაქვს ქართულ ეროვნულ ნიადაგზე. სიახლეს, რომელიც თავს იჩენს პოემის სტრუქტურაში, განაპირობებს ის, რომ რუსთაველი ახლოს არის შუა საუკუნეების მოწინავე აზროვნებასთან, რის შედეგადაც პოეტის შემოქმედებაში ჩნდება იდეები და ტენდენციები, რომლებსაც შემდეგ რენესანსი განახორციელებს (ელბაქიძე 2007: 173-174).

დაბოლოს, სავსებით ნიშანდობლივია მორის ბოურას სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“ ისეთი ქართული ნაწარმოებია, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთსაც ერთნაირად გაცქერის და მაინც იგი წმინდა ეროვნული ხასიათისაა“ (ბოურა 1966: 17).

დამოწმებანი:

ალიევა 1989: Алиева, Д. *Низами и грузинская литература*. Баку: „ЭЛМ“, 1989.

ბატკინი 1969: Баткин, Л. *Тип культуры как историческая целостность*. Вопросы философии, № 9. Москва, 1969.

ბერტელსი 1956: Бертельс, Е. *Низами*. Москва: Издательство Академии наук СССР, 1956.

ბოურა 1966: ბოურა, მ. *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

გამსახურდია 1991: გამსახურდია, ზ. *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

გაწერელია 1977: გაწერელია, ა. *რჩეული ნაწერები*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1977.

გვახარია 1995: გვახარია, ა. *ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან*. ტ. 1. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1995.

გოგიბერიძე 1961: გოგიბერიძე, მ. *რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

გონჯილაშვილი 2017: გონჯილაშვილი, ნ. *ვეფხისტყაოსნის მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის*. თბილისი: გამომცემლობა „ბიბლიო“, 2017.

გულიზადე 1984: Гулизаде, М. Ю. „Низами Ганджеви“. *История всемирной литературы в девяти томах*, т. II, „Наука“, М., 1984.

ელბაქიძე 2007: ელბაქიძე, მ. ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“, 2007.

ეფენდიევა 1998: Эфендиева, Н. Эстетика Низами. Баку: „Мутарджим“, 1998.

ეფენდიევა 2000: Эфендиева, Н. Эстетико-культурологический анализ творчества Низами Гянджеви. Автореферат диссертации. Баку: 2000.

ეფენდიევა 2013: Эфендиева, Т. *Роль Низами в восточной литературе*. კულტურათმშორისი კომუნიკაციები. №20, თბილისი: 2013.

თოდუა 1964: თოდუა, მ. ზოგი რამ ნიზამის „ხოსროვშირინიანის“ შესახებ. ნიზამი განჯელი. „ხოსროვი და შირინი“. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

კალაძე 1984: Каладзе, И. *Об эпическом и лирическом творчестве Низами и Руставели*. Всесоюзная научная конференция „Роль Низами в развитии лирики в мировой литературе и 800-летие создания поэмы „Хосров и Ширин“. Тезисы докладов. 22-23 ноября 1984 года. Баку: „ЭЛМ“, 1984.

კარიჭაშვილი 2011: კარიჭაშვილი, ლ. ვეფხისტყაოსანი და პოსტმოდერნიზმი. თბილისი: 2011.

კაფარლი 2001: Кафарлы, Р. *Философия любви на древнем востоке и Низами*. Санкт-Петербург: „Леила“, 2001.

კონრადი 1966: Конрад, Н. *Запад и Восток*. Москва, 1966.

მაკოველსკი 1965: Маковельский, А. *О ошибочных интерпретациях философии Низами*. Известия академии наук Азербайджанской ССР. Серия общественных наук, №6. Баку, 1965.

მამედოვი 1959: Мамедов, Ш. *Философские и общественно-политические взгляды Низами (лекции)*. Баку: Издательство МГУ, 1959.

მირზოევა 1975: Мирзоева, Ш. *Проблема художественного образа в эстетике Низами*. Баку: Известия академии наук Азербайджанской ССР. „ЭЛМ“, 1975.

მუსტაფაევი 1962: Мустафаев, Д. *Философские и этические воззрения Низами*. Баку: Издательство академии наук Азербайджанской ССР. „ЭЛМ“, 1962.

ნადირაძე 2006: ნადირაძე, გ. *რუსთაველის ესთეტიკა*. თბილისი: 2006.

ნათაძე 1965: ნათაძე, ნ. *რუსთაველური მიჯნურობა და რენესანსი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1965.

ნათაძე ... 1966: ნათაძე, ნ; ცაიშვილი, ს. *შოთა რუსთაველი და მისი პოემა*. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1966.

ნიზამი განჯელი 1964: ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ნოზაძე 1963: ნოზაძე, ვ. *ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება*. პარიზი: 1963.

ნოზაძე 2004: ნოზაძე, ვ. „ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება“. *თხზულე-ბათა სრული კრებული ათ ტომად* გურამ შარაძის საერთო რედაქციით. ტ. I. თბილისი: 2004.

ნუცუბიძე 1976: ნუცუბიძე, შ. *რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი*. შრომები., ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

რატიანი 2015: რატიანი, ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი, 2015.

რეიფილდი 2000: Rayfield, D. *The Literature of Georgia*. Curzon, 2000.

რუსთაველი 1966: რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

სვეტლოვი 2018: სვეტლოვი, პ. „წერილი კალისტრატე ცინცაძის მიმართ. ნუგზარ პაპუაშვილი. პავლე სვეტლოვი – კალისტრატე ცინცაძეს რუსთაველის შესახებ“. კრებულში: *ელენე მეტრეველი 100*. თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2018.

სირაძე 2012: სირაძე, რ. „ვეფხისტყაოსნის ცნებამეტყველებანი და სახისმეტყველებანი“. *რუსთაველოლოგია*. VI. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.

სულავა 2009: სულავა, ნ. *ვეფხისტყაოსანი – მეტაფორა, სიმბოლო, ალუზია, ენიგმა*. თბილისი: გამომცემლობა „ნეკერი“, 2009.

ყული-ზადე 1987: Кули-Заде, З. *Теоретические проблемы истории культуры востока и низамиведение*. Баку: „ЭЛМ“, 1987.

ხინთიბიძე 2009: ხინთიბიძე, ე. *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო*. თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი“, 2009.

ჰაჯიევი 2000: Гаджиев, А. *Ренессансный мир “Хамсе” Низами Ганджеви*. Баку: „Мутарджим“, 2000.

ჰაჯიევა 2004: Гаджиева, В. *Ономастическое пространство поэмы „Искандер-Наме“ Низами Ганджеви*. Баку: „ЭЛМ“, 2004.

ჰაჯიევა 2010: Гаджиева, В. *Типология поэтика-стилистических функций имен собственных в творчестве Низами Ганджеви*. Баку: „ЭЛМ“, 2010.

ირმა რატიანი
(საქართველო)

რუსთაველის სამი რეალობა

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, კერძოდ კი რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში, საკმაოდ მასშტაბურადაა წარმოდგენილი ნაშრომები, მიძღვნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ კონცეპტუალური, მსოფლმხედველობრივი და სარწმუნოებრივი ასპექტების კვლევისადმი¹. წინამდებარე სტატიის მიზანს არ შეადგენს არცერთი ამ კომპონენტის სიღრმისეული კვლევა და მით უფრო – კრიტიკა, არამედ სურვილი, გაითვალისწინოს არსებული სამეცნიერო მიღწევები და შემოგვთავაზოს რუსთაველის ტექსტის სივრცის ტიპოლოგიური ანალიზი ქრონოტოპისა და ლიმინალობის თეორიების ინოვაციურ ჭრილში.

რეალობა, რომელზეც ტექსტის სათაურშივე კეთდება აქცენტი, ცხადია, პირობითია იმ ფუნდამენტური მიზეზით, რომ მწერლობა თავად არის დიდი პირობითობა, განსაზღვრული ცნებით „თამაში“. ამ უტყუარ ჭეშმარიტებაზე ჯერ კიდევ არისტოტელე მიუთითებდა „პოეტიკაში“, როდესაც მიმეზისის ანუ ბადვის პრინციპს განმარტავდა. „პოეტიკის“ ავტორისათვის პოეტური ბადვა თამაშის, ერთგვარი ამბივალენტური ქმედების მნიშვნელობას იძენს, სადაც პოეტური დისკურსი ბადავს რეალურად არსებულ დისკურსებს და ქმნის პირობითობას, რომელიც ვერასოდეს გაუტოლდება ვერც ფილოსოფიურ ჭეშმარიტებას და ვერც ისტორიულ რეალობას: „პოეტის ამოცანაა, – წერს არისტოტელე, – ისაუბროს არა რეალურად მომხდარზე, არამედ იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, ე. ი. აუცილებლად ან საჭიროებისამებრ შესაძლებელზე“ (არისტოტელე 1957: 67). არისტოტელეს მიერ შემოთავაზებული თეორია მისაღები აღ-

1 იხ. კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ვ. ნოზაძის, ა. ბარამიძის, რ. თვარაძის, ს. ცაიშვილის, ე. ხინთიბიძის, რ. სირაძის, გ. ფარულავას, ლ. გრიგოლაშვილის, ც. კარბელაშვილის, მ. ელბაქიძის, ბ. დარჩიას, მ. ლაღანიძის, მ. ქურდიანის და სხვ. შრომები.

მოჩნდა შემდგომი ეპოქების მოაზროვნეებისათვის, მათ შორის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის თეორიის ფუძემდებლებისთვის¹. შესაბამისად, ნებისმიერი ტიპის რეალობა, რომელზეც კი მხატვრულ ტექსტში, მათ შორის „ვეფხისტყაოსანში“, შეიძლება საუბარი, შაულებდური ფორმაა შესაძლებელსა და აუცილებელს შორის, პირობითობა, რომელიც ავტორის შემოქმედებითი ნიჭის ფარგლებში ყალიბდება, ხოლო ტექსტის ფარგლებში უნიკალურ ტრანსფორმაციულ უნარებს იძენს.

პირობითი რეალობა, რომელიც, წარმოდგენილია რუსთაველის ტექსტში, ჩვენი აზრით, სამი მოდელითაა განსაზღვრული: *მხატვრული, ისტორიული და ტრანსცენდენტული* მოდელებით. აქედან, *მხატვრული რეალობა* ტექსტის სიუჟეტური ქრონოტოპისა და პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპის მთლიანობას წარმოადგენს, *ისტორიული და ტრანსცენდენტული* მოდელები კი, გადააზრებული და მხატვრულად დამუშავებულია ავტორის მიერ და გზადაგზა სინთეზირდება ტექსტის ზოგად-მხატვრულ ქსოვილთან. მიგვაჩნია, რომ თითოეული ამ მოდელის ერთმანეთთან ბმა და გამართული მუშაობა, განპირობებულია:

ა) გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის მხატვრულ-ლიტერატურული და ესთეტიკური პრინციპებით;

ბ) რაინდული რომანის ჟანრის კანონით;

გ) ტრანსფორმაციული ლიმინალური მოდელების მხატვრული გააქტიურებით.

1. გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის მხატვრულ-ლიტერატურული და ესთეტიკური პრინციპები და „ვეფხისტყაოსანი“ მიმართებისთვის

გვიანი შუასაუკუნეები, როგორც ცნობილია, შუასაუკუნეების ეპოქის ბოლო, დასკვნითი პერიოდია, რომელიც მოსდევს ადრეული შუასაუკუნეების ეპოქას და წინ უსწრებს რენესანსს.

¹ იხ. სერ ფილიპ სიდნის, შილერის, ჟ.პ. სარტრის, ვ. იზერის, აგრეთვე, რუსული ფორმალური სკოლის, ფრანგული სტრუქტურალიზმისა და პოზიტიური ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა ნაშრომები.

როგორც ერთი, ისე მეორე კულტურული მოდელი მნიშვნელოვნად განაპირობებს გვიანი შუასუკუნეების მხატვრულ-ლიტერატურულ და ესთეტიკურ პრინციპებსა და გემოვნებას.

უკვე VII-VIII საუკუნეებისთვის ნათელი ხდება ადრეულ შუასუკუნეებში გაწეული ტიტანური შრომის შედეგი: ქრისტიანული აზროვნება ევროპული ცივილიზაციის ქვაკუთხედად იქცევა, მთავარ იდეოლოგიად, რომელიც ამკვიდრებს საკუთარ ესთეტიკურ და პოეტიკურ სტანდარტს. გამომდინარე მისი კონცეპტუალური ამოცანიდან, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი პრინციპების დანერგვა-ქადაგებასა და ბიბლიის ტექსტის ინტერპრეტაციაში მდგომარეობს, ადრეული შუასუკუნეების ევროპული პოეტიკა, უპირისპირდება ანტიკური კულტურის წიაღში დადგენილ პოეტიკურ ტრადიციას: უარს ამბობს შეთხზულ ფაბულაზე, ემიჯნება გამონაგონისა და სიამოვნების ანტიკურ კონცეფციას, უარს ამბობს ანტიკურ ლიტერატურულ ჟანრებზე და ა.შ.ამ პერიოდში სიტყვის შემეცნებითი მნიშვნელობა მეტ დატვირთვას იძენს და სპეციფიკურ სტილისტურ და ლინგვისტურ მოდელებზე ინაცვლებს, რაც ქრისტიანული რიტორიკის დამკვიდრებაში გამოიხატება¹.

1 თუმცადა, „შუასუკუნეების ნაწარმოებების შესწავლისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ დიდი ხნის მანძილზე გაცნობიერებული არ იყო განსხვავება გამონაგონისა და მართალს შორის“ (გურევიჩი 1984: 55). თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომების გათვალისწინებით, ცნებები პირობითია – არ არსებობს წმინდად რეალისტური ან წმინდად მხატვრულ-გამონაგონი ტექსტი (იხ. G. Genette, *Narrative Discourse Revisited*. Translated by Jane E. Lewin. Ithaca, New York: Cornell University Press, 1988); „ის, რასაც შუასუკუნეების ეპოქის მწერლები და პოეტები მოგვითხრობდნენ, დიდი ხნის მანძილზე აღიქმებოდა მათ მიერ, და მკითხველების მიერაც, როგორც ნამდვილი ამბავი. მოგეხსენებათ, ეპოსის შემთხვევაში კატეგორიები – „გამონაგონი“ და „სიმართლე“ – საერთოდ არ მოიხმარება. თუმცა, ისტორიოგრაფიაშიც საკმაოდ ძლიერი იყო სადღეისიმეტყველო და ლეგენდარული ელემენტები. „პოეზია“ და „სიმართლე“ ჯერ კიდევ არ დაცილებულან, ისევე როგორც სასულიერო მწერლობა არ დაცილებულა საეროს, არც ფუნქციურად, არც სტილისტურად. თხზულებები, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ, რომ მოეთხროთ ნამდვილი, ისტორიული დროის შესახებ, შეუძლებელია დაუპირისპიროთ თხზულებებს, სადაც მოსალოდნელი იყო სუბიექტური, მხატვრული დროის ასახვა“ (გურევიჩი 1984: 55); „ადრეული შუასუკუნეების მწერლობაში შემოქმედებითი პროცესისა და ტექსტის მხატვრულობის მსაზღვრელად ვერ მივიჩნევთ ოდენ ოპოზიციას ნამდვილი ამბავი/გამონაგონი, არაფიქციური/ფიქციური ან ფაბულა/სი-

გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა, მიუხედავად იმისა, რომ შუაუკუნეების ერთიანი მოდელის ნაწილს შეადგენს, მნიშვნელოვანი ცვლილებებით იწყება. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება ევროპული ლიტერატურის სეკულარიზაციის პროცესს. გვიანი შუასაუკუნეების ეპოქა სეკულარიზაციის ეპოქაა და მიუხედავად იმისა, რომ რიგი სეკულარული ტექსტები ჯერ კიდევ ექცევა ალეგორიული ინტერპრეტაციის არეალში (მაგალითად, ვირგილიუსისა), ძირითადი ლიტერატურული ტენდენცია ცხადყოფს, რომ ლათინური ენა ადგილს უთმობს ადგილობრივ ენებს, ხოლო ლიტერატურა ინაცვლებს საერო სიბრტყეზე და ახალ თემებსა და მიზნებს ეჭიდება. სიახლის უპირველეს მაცნედი ექცევა გამონაგონის ესთეტიკის აღორძინება მწერლობაში, აგრეთვე, ახალი ლიტერატურული ჟანრებისა და ტენდენციების დამკვიდრება: გვიანი შუასაუკუნეების რაინდული ეპოსისა და ადრეული რენესანსის ეპოქის სატირული რომანების, ნოველებისა და სონეტების ავტორები სიამოვნებით უბრუნდებიან შეთხზული პერსონაჟებისა და ამბების ესთეტიკას, გაჯერებულს ჰეროიზმით, რომანტიკით, სათავგადასავლო ავანტიურითა და სხვა ფიქციური ელემენტებით. რუსთველოლოგი მაკა ელბაქიძე აღნიშნავს: „გვიანდელი შუასაუკუნეების მწერლობის ერთ-ერთ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ისტორიზმის პრინციპის უფულებელყოფა, რამაც ბიძგი მისცა ახალი ჟანრებისა თუ თემების ძიების ხანგრძლივ პროცესს. კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში მომხდარმა ძვრებმა, ე. წ. „კულტურულმა აფეთქებამ“, რომელმაც XII საუკუნის შუახანებისათვის თითქმის მთელი ცივილიზებული მსოფლიო მოიცვა, თავისი ღრმა კვალი ლიტერატურულ პროცესსაც დაამჩნია“ (ელბაქიძე 2007: 158-159). მკითხველმა „მეტი დინამიკა, მეტი ავანტიურა, მეტი რომანტიკა“ მოითხოვა და ლიტერატურაც გამოემიჯნა უტყუარობის პრინციპს: „ყოველივე ზემოთქმული მძლავრ ბიძგად იქცა მხატვრული სინამდვილის ახალი კონცეფციის ჩამოსაყალიბებლად, რომლის

უჟეტი, არამედ გასათვალისწინებელია ტექსტის სპეციფიკური იდეური დატვირთვა, თხრობისა და სტრუქტურულ-პოეტიკური ელემენტების ორგანიზების წესი, რაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს ამ ეპოქის ლიტერატურული ტექსტების მხატვრულ თავისებურებებს“ (რატიანი 2018: 72).

ძირითად პრინციპსაც ისტორიზმის უარყოფა და გამონაგონის წინა პლანზე წამოწევა წარმოადგენს“ (ელბაქიძე 2007: 159). რეალურისა და გამონაგონის დიქტომია კვლავაც თვალსაჩინო ფაქტად გადაიქცა, ხოლო რაინდული რომანის ლიტერატურული ჟანრი – კონცეპტუალურ და ესთეტიკურ ნახტომად, რომლის დამსახურებითაც ევროპულმა მწერლობამ ადრეული შუასაუკუნეების იდეოლოგიზებული მოდელიდან გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიზმისკენ გადაინაცვლა.

XII საუკუნიდან ქართული ლიტერატურა, როგორც დასავლური ქრისტიანული მწერლობის ღირებული ნაწილი, ორგანულად ერთვება ამ ესთეტიკური ინოვაციების პროცესში. მასზე ზემოქმედებას ახდენს როგორც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური რეფორმები, ისე ევროპულ ლიტერატურაში მიმდინარე სეკულარიზაციის პროცესი და ახალი ესთეტიზმი. შედეგად, იქმნება ქართული ლიტერატურის აღიარებული შედეგრი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც, ჟანრული და კონცეპტუალური თვალსაზრისით, ევროპული რაინდული რომანის ქართულ მოდელს წარმოადგენს¹.

თუმცა, მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, გვიანი შუა საუკუნეების მწერლობა, ქართულიც მათ შორის, კვლავაც შუასაუკუნეების ზოგადი ესთეტიკის ნაწილად რჩება, სადაც ყველა შესაბამისი კომპონენტი მნიშვნელოვანია. უაღრესად საინტერესო დაკვირვებებს შუასაუკუნეების, მათ შორის, გვიანი შუასაუკუნეების ესთეტიკასა და კულტურაზე გვაწვდის ა. გურევიჩი, თავის საეტაპო ნაშრომში – „შუასაუკუნეების კულტურის კატეგორიები“ (1984), საიდანაც, ჩვენი ამოცანებისათვის, განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი:

- „შუასაუკუნეების მსოფლმხედველობა გამოირჩეოდა მთლიანობით, – აქედან მომდინარეობს მისი სპეციფიკური დაუყოფლობა, ცალკეული ნაწილების დაუნაწევრებლობა. აქე-

¹ თუმცა, ისიც ცხადია, რომ ტექსტი აშკარა კეთილგანწყობას იჩენს აღმოსავლური პოეტური მოტივებისადმი, რომლებიც, გარკვეული ისტორიული გარეგანობებისადა გამო, აქტიურად იჭრება იმ პერიოდის ქართულ კულტურულ სივრცეში, რაც ქმნის დასავლური და აღმოსავლური კულტურების შეხვედრის პირველ პრეცედენტს ქართულ და ევროპულ ლიტერატურულ სივრცეში.

დანვე მომდინარეობს რწმენა სამყაროს მთლიანობისა... თუმცა, მთლიანობა არ გულისხმობს მის ჰარმონიულობას და არა-წინააღმდეგობრიობას. კონტრასტი, რომელიც არსებობს მარადიულსა და დროებითს, წმინდასა და ცოდვილს, სულსა და სხეულს, ზეციურს და მიწიერს შორის, რაც ჩადებული იყო ამ მსოფლმხედველობის სამირკველში, საფუძველს პოულობდა ეპოქის სოციალურ ცხოვრებაში – შეურიგებელ წინააღმდეგობაში, რომელიც არსებობდა სიმდიდრესა და სიდარბეს, ბატონობასა და ყმობას, თავისუფლებასა და მონობას, დაწინაურებასა და დაქვემდებარებას შორის. შუასაუკუნეების ქრისტიანული მსოფლმხედველობა „ხსნიდა“ რეალურ წინააღმდეგობებს, გადაჰყავდა რა ისინი ყოვლისმომცველ ზემიწიერ კატეგორიებში, და, ამ თვალსაზრისით, წინააღმდეგობათა გადაჭრა შესაძლებელი იყო მხოლოდ მიწიერი ისტორიის დასრულების შემდეგ ცოდვათა გამოსყიდვის გზით, და დროში განფენილი მარადიული სამყაროს დაბრუნების გზით“ (გურევიჩი 1984: 26-27).

• „ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან შუა საუკუნეებში – ესაა სუბიექტის დამოკიდებულება ობიექტთან, უფრო სწორად, საკუთარი თავის აღმოჩენა გარესამყაროში, კოსმოსის როგორც სუბიექტის აღქმა. ადამიანი იმავე თვისებებს ჰქვრეტს სამყაროში, რაც თავად ახასიათებს. არ არსებობს მკვეთრი საზღვრები, რომლებიც გამიჯნავდა ინდივიდსა და სამყაროს; ხედავს რა სამყაროში თავისი თავის გაგრძელებას, ის, ამასთან ერთად, თავის თავში აღმოაჩენს სამყაროს. ისინი თითქოს ერთმანეთს უცქერენ“ (გვ. 69). აქედან მომდინარეობს მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის გაგება. „მიკროკოსმოსი – მთელის მხოლოდ პატარა ნაწილი კი არ არის, სამყაროს ერთ-ერთი ელემენტი, არამედ მისი ერთგვარად შემცირებული და განმასახიერებელი რეპლიკა... მიკროკოსმოსი ისეთივე მთლიანი და სრულყოფილია თავის თავში, როგორც დიდი სამყარო. მიკროკოსმოსი გაიაზრება ადამიანის სახით, რომლის გაგებაც შესაძლებელია მხოლოდ „პატარა“ და „დიდი“ სამყაროს პარალელიზმის ფარგლებში“ (გურევიჩი 1984: 70). ბუნების, როგორც სამყაროს ნაწილის გააქტიურება მე-12 საუკუნიდან შეინიშნება; მანამდე – სამყაროს შემეცნების ერთადერთი მოდელი ღმერთია. მე-12 საუკუნიდან

ბუნება აქტიურდება როგორც ღმერთის მიერ შექმნილი, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, შეიმეცნოს მასში საკუთარი თავი და მიუახლოვდეს ღმერთს: ადამიანი – ხატი ღვთისა.

• ადრეული შუასუკუნეების ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი განკუთვნილია ღმერთისთვის. სამყაროს თეოცენტრისტული მოდელია სახეზე. „მაგრამ ღმერთი არა მარტო სამყაროს ცენტრია, რომელიც მისითაა განსაზღვრული და მის გარშემოა, არამედ, ის არსებობს ყველგან, ყველა თავის ქმნილებაში“ (გურევიჩი 1984: 97-98). გრძობადი და ფიზიკური სამყარო იკვეთება ზეგრძობად სამყაროსთან. ეს გარდაუვალია, ეს სიმბოლიკით დატვირთული სამყაროა. გვიანი შუასუკუნეების ხელოვნებაში ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცა, შეკრული სისტემა, სადაც ცენტრში განთავსებულია წმინდა ადგილები, ხოლო დანარჩენი სამყარო პერიფერიას წარმოადგენს, იხსნება. იცვლება ადამიანის ცხოვრების წესი და სივრცის სტრუქტურაც უფრო შრეობრივი ხდება. ჩნდება ქალაქის მოდელი, ინერგება მეწარმეობა, ვაჭრობა. გარესამყარო მიმზიდველი და საინტერესო ხდება ადამიანისთვის. ქალაქური ცხოვრების ზრდასთან ერთად, ადამიანი გამოაცალკეებს თავის თავს ბუნებისაგან და ის უკვე მისი დაკვირების ობიექტი ხდება. ფეოდალური სახელმწიფო მეტი სიცხადით იკვეთება, როგორც რელობის მხატვრული იმპლიკაცია.

ამრიგად, გვიანი შუასუკუნეების ესთეტიკაში შენარჩუნებულია ის რამდენიმე ძირეული პრინციპი, რაც განსაზღვრავს შუასუკუნეების კონცეპტუალურ არსს: სახეზეა სამყაროს მთლიანობის რწმენა, აგრეთვე რწმენა მიწიერი ისტორიის დასრულებისა და დროში განფენილ მარადიულ სამყაროში გადასვლისა; სახეზეა ბუნების როგორც სამყაროს ნაწილის აღქმა და ხორციელდება მისი როგორც ღმერთის შექმნილი მოდელის გააქტიურება; დაბოლოს, ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცაღა, ეს განცდა ემორჩილება გარდაუვალ სოციალურ მოდიფიცირებას.

მიგვაჩნია, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ზედმიწევნით კარგად იცავს გვიანი შუასუკუნეებისათვის ნიშანდობლივ ზემოთ ჩამოთვლილ მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ პრინციპებს.

პირველ ყოვლისა, რუსთაველის ტექსტში ღმერთი გააზრებულია როგორც სამყაროს ცენტრი. ნოდარ ნათაძის მართებულ დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“:

- ღმერთი წარმოადგენილია, როგორც სამყაროს და არსთა შემოქმედი.

- ქვეყნის შექმნა და მართვა-განგება ღვთის ნების აქტია და არა უნებო აუცილებლობისა, როგორც ამას ნეოპლატონიზმი ქადაგებს (ნათაძე 1974: 108)

- ღმერთია შემქმნელი სიკეთისა და არდამბადი ბოროტისა (ნათაძე 1974: 109)

გარდა ამისა, რუსთაველი მკვეთრად იცავს სამყაროს ორკომპონენტთან სტრუქტურას. კვლავ ნოდარ ნათაძეს დავესეხებით: „ღვთისა და სოფლის დუალიზმი – ქრისტიანობის ამ ერთი უძირითადესი დაპირისპირების არსებობა „ვეფხისტყაოსანში“ ფაქტია“ (ნათაძე 1974: 122), „რუსთაველთან „საწუთრო“ უპირისპირდება „უჟამოს“, „სოფელი“ – „ღმერთს“ (ნათაძე 1974: 123). მაშასადამე, მიწიერი ისტორიის დასრულება და დროში განფენილ მარადიულ სამყაროში გადასვლა რუსთაველისთვის ძალზედ ორგანულ განცდად მოსჩანს, თუნდაც იმ ფონზე, რომ პოეტი არ ერიდება თავისი თანამედროვე ისტორიული და სოციალური სურათის იმპლიკაციას ტექსტში, რითაც ავლენს, ერთის მხრივ, ტექსტის თანაზიარობას სეკულარული ლიტერატურის პრინციპებთან, ხოლო მეორეს მხრივ – კეთილგანწყობას ჯერ არდამდგარ რენესანსულ რეალიზმთან.

ყოველივე ზემოთქმული მეთოდოლოგიურად აწესრიგებს ქართული რაინდული რომანის ჩვენთვის საინტერესო ქრონოტოპულ ჩარჩოს და იძლევა ახალი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

2. თამაში სივრცული პერსპექტივებით

მიხაილ ბახტინის აზრით: „ერთი ნაწარმოების და ერთი ავტორის შემოქმედების ფარგლებში აღინიშნება ქრონოტოპების მრავალი სახეობა და მათი რთული, მოცემული ნაწარმოებების

ან ავტორის შემოქმედებითი სტილისათვის ნიშანდობლივი ურთიერთმიმართებები. მათგან ერთ-ერთი ქრონოტოპული მოდელი ყოველთვის გვევლინება დომინანტურად, ანუ – ყოვლისმომცველად“ (ბახტინი 1986: 284). მაგრამ, რა ხდება მაშინ, როდესაც ავტორი გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის მოღვაწეა? მით უფრო – რაინდული რომანის ავტორი? როგორია, ამ შემთხვევაში, ქრონოტოპული მოდელების ბალანსი? მისი რომელი კომპონენტი მიიჩნევა განმსაზღვრელად? თავად ბახტინი წერს: „ადრეული სალექსო ფორმით დაწერილი რაინდული რომანი, არსობრივად, განთავსებულია ეპოსსა და რომანს შორის. ამით განისაზღვრება მისი განსაკუთრებული პოზიცია რომანის ისტორიაში. აღნიშნული თვისებურებებით განისაზღვრება ასევე მისი თავისებური ქრონოტოპი – ზღაპრული (საოცარი – ი.რ.) სამყარო და ავანტიურული დრო“ (ბახტინი 1986: 190). გურევიჩის დაკვირვებით კი: „განიცდის რა მოვლენებით „აღსასვე“ დროს, შუასაუკუნეების ადამიანი ნაკლებად უფიქრდება მის „გარეგნულ“, რაოდენობრივ მხარეს, და ამ თვალსაზრისით, სამყაროს გააზრება მოკლებულია დროით განსაზღვრულობას. დროითი ურთიერთობები მხოლოდ XIII საუკუნიდან იწყებს დომინირებას მის ცნობიერებაში“ (გურევიჩი 1984: 151). შესაბამისად, თავს უფლებას ვაძლევთ ვივარაუდოთ, რომ რაინდული რომანის დრო, არსობრივად ავანტიურული, თავგადასავლებითა და მოვლენებით დატვირთული, რომელიც, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, დროის ყოფით მოდელსაც კი უახლოვდებოდეს, მაინც დროის აბსტრაქტულ-პირობით მოდელად რჩება. ამას ადასტურებს დროის ორპლანიანობაც, რაც ადრეული შუა საუკუნეებიდან იღებს სათავეს და შენარჩუნებულია გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაშიც – გმირი შეიმეცნებს საკუთარი არსებობის ორპლანიანობას, რაც მიწიერი ცხოვრების ემპირიული მოვლენების გვერდით აუცილებლად გულისხმობს ცხოვრების გაშლას საღმრთო დანიშნულების განხორციელების ჭრილში, ნებისმიერი ცვლილება და მოვლენათა დინამიზმი კი წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ყოფითიდან მარადისობისაკენ! აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს დროის სპეციალიზაცია: „თუკი შუასაუკუნეების ავტორის წინაშე დგებოდა ამოცანა, აესახა ადამიანის შინაგან სამყაროში მიმდინარე ცვლილებები, ის გაიაზრებოდა არა

როგორც თავისთავადი მოცემულობა, არამედ როგორც გზა, რომელიც გმირს გარკვეული სივრცის დაძლევაში ეხმარებოდა“ (გურევიჩი 1984: 152). სწორედ ეს აძლევს საფუძველს ე. კობელს, ა. გურევიჩს და შუასუკუნეების მწერლობის სხვა მკვლევრებს, გამოთქვან მოსაზრება, რომ XIII საუკუნემდე, ანუ – ვიდრე რენესანსამდე, დრო მაინც სივრცის მეშვეობით შეიცნობა, და სწორედ სივრცე წარმოადგენს მხატვრული ტექსტის მაორგანიზებელ ძალას (გურევიჩი 1984: 151).

როგორია რაინდული რომანის სივრცე? არის თუ არა ის ტიპოლოგიურად მრავალფეროვანი? როგორც ზემოთ დავინახეთ, რაინდული რომანის სივრცეს ბახტინი უწოდებს ზღაპრულს, ხოლო როგორც მოდელს, განიხილავს მას მხოლოდ გმირთან მთლიანობაში: „საბოლოოდ, გმირი და ის ზღაპრული სამყარო ერთი ქსოვილისგანაა ნაკერი, მათ შორის არ არსებობს შეუსაბამობანი (განსხვავებები – ი.რ.)“. გმირი, როგორ სუბიექტი, გარე-სამყაროს ორგანული ნაწილია და ისინი ერთად ქმნიან ურღვევ მთლიანობას; გმირი მიკროკოსმოსის მოდელია, რომელიც თავს მხოლოდ ღმერთის მიერ მართული მაკროკოსმოსის ფარგლებში შეიმეცნებს. შესაბამისად, რაინდული რომანის სივრცე ვერტიკალზე განფენილი თეოცენტრისტული სივრცეა, რომლის ცენტრსაც ღმერთი წარმოადგენს.

სივრცის მითოლოგიზება/გაზღაპრულება, ცხადია, ანიჭებს მას ტოპოგრაფიულ განუსაზღვრელობას. თუმცა, გვიანი შუასაუკუნეების რაინდულ რომანებში ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა არცთუ იშვიათად განზავებულია ტოპოგრაფიულად განსაზღვრულ მოდელებთან, რაც, სავარაუდოდ, უკვე პრერენესანსული განწყობილებებითაა განპირობებული. ამ თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი სანიმუშოა: „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-სივრცული ქარგა აღარ ემყარება ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობის სრული დომინირების კანონს. ამგვარი განუსაზღვრელობა, ცხადია, ფიქსირდება და – არაერთგზის (მულღზანზარი, ხატაეთი, გულანშარო, ქაჯეთის ციხე და ა.შ.), მაგრამ სახეზეა ტოპოგრაფიული განსაზღვრელობის მყარი სისტემებიც (შვიდი სამეფო, ზღვა და ა.შ.). გარდა ამისა, სივრცის ტოპოგრაფიული განუსაზღვრელობა „ვეფხისტყაოსანში“ არ

გულისხმობს გმირის მოძრაობას ზეცასა და მიწისქვეშეთს, ან – ზღვის ფსკერსა და ცის კიდეს, ან ადამიანებსა და ღმერთებს შორის, როგორც ეს ხდება იმავე პერიოდის სკანდინავიურ საგებსა და თქმულებებში, არამედ – გაედინება გეოგრაფიულად დამაკერებელ სიბრტყეზე.

ჟანრის კანონის თანახმად, შუა საუკუნეების რომანში სივრცე დაიძლევა გმირის მიერ და ის ზუსტად იმდენადაა მისაწვდომი მკითხველისათვის, რამდენადაც დაიძლევა გმირის მიერ. მაგრამ, სივრცე არა მარტო დაიძლევა, არამედ – განიცდება კიდეცა გმირის მიერ. „სივრცე არა მხოლოდ გარს ერტყმის გმირს, არამედ – განიცდება მისგან... სივრცული გარემო და მასში არსებული გმირი გამსჭვალავენ და ავსებენ ერთმანეთს“ (გურევიჩი 1984: 79). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გმირი და სივრცე ერთ მთლიანობას წარმოადგენს; გმირი სპეციფიკურ, ინდივიდუალურ დამოკიდებულებაში იმყოფება გარემოსთან, ბუნებასთან და ე.ი. სამყაროს იმ ნაწილთან, რაც გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანული კონცეპტის თანახმად, ღმერთთან მიახლოების გზაა: გმირი შეიმეცნებს საკუთარ თავს „ღმერთის მიერ შექმნილ“ სამყაროში/ბუნებაში და მით უახლოვდება ღმერთს. ამგვარი მიზანდასახულობა, ვფიქრობთ, სივრცული პლანის გამრავალფეროვნების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს უნდა წარმოადგენდეს რაინდულ რომანებში: ავტორები ცდილობენ გაამრავალფეროვნონ სივრცის გეოგრაფია, რათა გეოგრაფიული დისტანციების გადალახვის პროცესში, არა მარტო მეტი სიცხადით გამოკვეთონ გმირის სიუჟეტური მიზნები და გაზარდონ მკითხველის ჩართულობა მოთხრობილ ამბავში, არამედ – დაასაბუთონ გმირის შინაგანი ტრანსფორმაციის ლოგიკა, რაც არსებით მნიშვნელობას იძენს გვიანი შუასაუკუნეების ქრისტიანულ მწერლობაში. სწორედ შინაგანმა ტრანსფორმაციამ უნდა წარმოაჩინოს სამყაროს, როგორც ორკომპონენტიანი სტრუქტურის აღქმა მწერლისა და გმირის მიერ. გმირის შინაგან ტრანსფორმაციას მით უფრო დასაბუთებულად წარმოაჩენს ავტორი, რაც უფრო მრავალფეროვანია ტექსტის სივრცული ქარგა. რუსთაველი ამ თვალსაზრისითაც ძლიერ დაწინაურებული ავტორია. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მკითხველი აკვირდება სივრცული

პერსპექტივების ოსტატურ მონაცვლეობას: მხატვრულ-გეოგრაფიულ განსაზღვრულობას მითოლოგიზებული სივრცე და ზღაპრულ-ფანტასტიკური განუსაზღვრელობა ენაცვლება, და – პირიქით. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გეოგრაფიული და ისტორიული განსაზღვრულობა რუსთაველის ტექსტის ერთ-ერთი პრერენესანსული მახასიათებელია. რუსთველოლოგების მართებული შენიშვნით, რუსთაველის ტექსტი გაჯერებულია ისეთი ისტორიული ხასიათის ფაქტებით, როგორცაა: აბსოლუტური მონარქიის იდეის გატარება, ქართველი გვირგვინოსნის (თამარის – ი.რ.), პირდაპირ დასახელება და ქება, ტექსტში აღწერილი ფეოდალური მონარქიების მსგავსება საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ სურათთან და სხვ. სივრცული პერსპექტივების მონაცვლეობის გზით, რუსთაველი ქმნის იმგვარ ხანგრძლივობას, რაც არ არღვევს გვიანი შუასუკუნეების ესთეტიკურ კანონს, მაგრამ ესაზღვრება ქრონოტოპის რენესანსულ გაგებასაც. შესაბამისია დროის ორგანიზებაც: ადამიანი ხომ „არ იზადება „დროის განცდით“, მისი დროითი და სივრცული გაგება ყოველთვის განსაზღვრულია იმ კულტურით, რომელსაც ის ეკუთვნის“ (გურევიჩი 1984: 44). ვერ გავქცევით იმ ფაქტს, რომ რაინდული რომანების გმირები, უმეტესწილად, ასაკს მიღმა არსებობენ: ისინი მუდამ ახალგაზრდები და მამაცები რჩებიან, და მზად არიან გმირობისათვის. რაინდული რომანის დრო არ ამოკლებს მათი ცხოვრების დროს. შესაბამისად, რეალური, ე.წ. ემპირიული დრო მოკლებულია დინამიკას, ის დატვირთულია ხდომილებებით, მაგრამ სტატიკურია ცვალებადობის თვალსაზრისით. ცვალებადობა ნიშნავს სტატიკურობის თვისებრივ გარდასვლას დინამიზმში, ხოლო, დროის დინამიზმი, როგორც ზემოთ ითქვა, მოასწავებს ფუნდამენტურ ცვლილებებს და წარმოადგენს „სხვა რეალობისკენ“, მარადისობისაკენ მიმართულ გარდამავალ საფეხურს. არის თუ არა ეს ანტიისტორიზმი? გურევიჩის უაღრესად საინტერესო დაკვირვებით, ის, რაც, ერთ შეხედვით, ანტიისტორიზმად შეიძლება მოგვეჩვენოს, სინამდვილეში პრინციპული ისტორიზმის ნიშანია: რაინდული რომანის გმირი ორ განზომილებაში ცხოვრობს – მიწიერსა და საკაცობრიოში: „დანამდვილებით,

ადამიანი შეიგრძნობს, შეიმეცნებს თავის თავს ერთდროულად ორ დროით პლანში: ლოკალურად გამდინარე ცხოვრების პლანში და ზოგად-ისტორიულ პლანში, სადაც წყდება სამყაროს ბედი – სამყაროს შექმნა, ქრისტე შობა და ვნებანი. ყოველი ადამიანის სწრაფმავალი და უსახური ცხოვრება ზოგად-ისტორიული დრამის ფონზე მიმდინარეობს, ერწყმის მას, იძენს მისგან ახალ, უმაღლეს და მარადიულ აზრს“ (გურევიჩი 1984: 153-154). ანტიისტორიზმისა და ისტორიზმის ამ ფილოსოფიური შეჯვარების თანახმად, ღმერთი რჩება სამყაროს ცენტრად, თუმცადა, ფეოდალური საზოგადოება, როგორც ისტორიული რელობა ანუ ლოკალური მოდელი, სადაც გაედინება გმირის მიწიერი ცხოვრება, მით უფრო მეტ სოციალურ სიმკვეთრეს იძენს, რაც უფრო მეტად უახლოვდება რაინდული რომანის ავტორი რენესანსის ზღვარს: ტექსტი ჭრელდება სოციალურად და, შესაბამისად, მეტად დეტერმინირებული ხდება სტრუქტურულად. გამომდინარე აქედან, რთულდება გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ავტორის მხატვრული ამოცანაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ აჩვენოს გმირის შინაგანი ტრანსფორმაციის პარადიგმა, დროისა და სივრცის ერთი მოდელიდან მეორეში გმირის გადანაცვლების/გარდასვლის პროექცია, ანუ – გმირის გასვლა მხატვრულ-გეოგრაფიული განსაზღვრულობიდან მითოლოგიზებულ განუსაზღვრელობაში. სად გადის ზღვარი? სად იწყება ტრანსფორმაცია, რა სახისაა იგი და საით მიემართება? რა მხატვრულ მოდელებს უნდა მიმართოს ავტორმა?

მიგვაჩნია, რომ შოთა რუსთაველი, როგორც პრერენესანსული მოაზროვნე, სწორედ ამგვარი მხატვრულ-ესთეტიკური დილემის წინაშე მდგომი ავტორია.

3. ტრანსფორმაციის პარადიგმისთვის

ტრანსფორმაცია, შინაგანი ცვლილება სწორედ ის პროცესია, საითკენაც მიემართება რუსთაველის ტექსტი.

გვიანი შუასაუკუნეებისა და პრერენესანსის ეპოქაში (მოგვიანებით – რენესანსის ეპოქაშიც) ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კლასიკურ ტექსტად ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ მიიჩნეოდა,

რაც ზედმიწევნით კარგად ერგებოდა დროის სულისკვეთებას – ადამიანის შინაგანი გარდაქმნის აუცილებლობას. შესაძლოა, ოვიდიუსის პოემა მოულოდნელი გზაც კი იყო ქრისტიანული იდეალების ხაზგასასმელად, მაგრამ მკითხველი აშკარად აკვირდებოდა მითის ზნეობივ მოდელში ტრანსფორმირების პროცესს. ეს ხაზი შენარჩუნებულია გენიალური იტალიელის, დანტე ალიგიერის „ღვთებრივ კომედიაში“¹: ადამიანი ან ცოდვით დამახინჯებული წარმოდგება, ანაც – გარდაიქმნება ქრისტიანული ღმერთის სიყვარულით. შესაბამისად, ტრანსფორმაციის/გარდადასახვის იდეა „ღვთაებრივ კომედიაში“ ქრისტიანული გზავნილის მატარებელია. იგივე იდეა, მართალია, სრულიად სხვა კუთხით, მაგრამ თავის აქტუალობას რენესანსის ეპოქაშიც შეინარჩუნებს, როდესაც დღის წესრიგში დადგება „სხეულისა და სულის ფორმის შეცვლის“ საკითხი¹. შესაბამისად, რუსთაველს ზედმიწევნით კარგად ესმის ტრანსფორმაციის მნიშვნელობაცა და აუცილებლობაც. ქართული რაინდული რომანის მკითხველს უნდა ეხილა გმირების გარდასახვა, მაგრამ – როგორ?

აქ, პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ, თუ როგორ მთავრდება „ვეფხისტყაოსანი“:

„ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595).

ქართულმა პოეტურმა გენიამ ერთ ფრაზაში გამოკვეთა იდეალურ-უტოპიური სტრუქტურა და ორაზროვნად მიაკუთვნა იგი რეალურ, მაგრამ, ამავდროს, იდუმალეობითა და მისტიციზმით მოცულ სივრცეს. „ვეფხისტყაოსნის“ დასკვნით სტროფებში გმირების საბრძანისები იდილიურ განფენილობას წარმოადგენს, სადაც რთულია განვჭვრიტოთ „კეისრის სამყაროსთვის“ ნიშან-

1 რომ აღარაფერი ვთქვთ კულტურული პარადიგმის ცვლილებაზე: რენესანსის ეპოქის მწერლები და მხატვრები მისწრაფოდნენ უდიდესი ცვლილებებისკენ, მათ შორის, იმისკენ, რომ ახალი სული შთაებრათ ბერძნული და რომაული კულტურებისთვის.

დობლივი მანკიერებანი; იქმნება ალუზია, ერთის მხრივ, ანტიკურ „ოქროს ხანასა“ და „არკადიაზე“, ხოლო მეორეს მხრივ, დროისმიღმიერ ბიბლიურ სამოთხეზე, რომლის მხატვრული პერსპექტივაც უახლოვდება რაინდული რომანებისათვის ნიშანდობლივ ზღაპრულ-ფანტასტიკურ იდილიას. ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სწორედ ამ მეორე მოდელს თანაუგრძნობს – „ჯადოსნური ზღაპრის დარად, რომელიც უეჭველად ბოროტების დათრგუნვით უნდა დასრულდეს, რაინდული რომანების ფინალიც ბოროტზე კეთილის გამარჯვების მაუწყებელ საზეიმო აკორდად აჟღერდება“ (ელბაქიძე 2007: 51), – რაც, არსობრივად, არ ეწინააღმდეგება ბოროტის ძლევის ქრისტიანულ კონცეფციას. თუმცადა, არის ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც არჩევანის გაკეთებას გვაიძულებს: ზღაპრის გმირი, თავგადასავლებისა და პერიპეტეიების პროცესში არ განიცდის ძირეულ ტრანსფორმაციას, არამედ მხოლოდ გამოცდილებას იძენს; „ვეფხისტყაოსნის“ გმირები კი შინაგან ცვლილებასა და გარდასახვაზე ორიენტირებული პერსონაჟები არიან, რომლებმაც, მათ თავს დატეხილი განსაცდელის შედეგად, უნდა გადასინჯონ მთავარი ღირებულებები. შესაბამისად, თავს უფლებას ვაძლევთ დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი წარმოადგენს მინიშნებას ქრისტიანული სამოთხეზე.

ქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის იმთავითვე მიუღებელი იყო „უტოპიური ოცნების“ განხორციელების ანტიკური მეთოდი, ანუ „კარგი ადგილის“ ძიება/ფორმირება რეალურ დრო-სივრცულ გარემოში¹. არსებით პრობლემას ჯერ სენეკას და, შემდგომ, ზოგადად ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში, „უტოპიური ოცნების“ განხორციელების მეთოდი წარმოადგენდა². ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა რ. ს. ელიოტის შენიშვნა, რომლის თანახმადაც, უტოპია წარმოადგენს ადამიანის არსისა და ნების ერთგვარ რეალიზებას მითის წინაშე. ეს არის ადამიანის ძალისხმევა წარმოსახვის ფოლიანტებში, ანუ ადამიანის

1 об. Платон. Государство. В книге: Платон, Сочинения в 3т., т.3. М.: Мысль, 1971.

2 об. Сенека. О блаженной жизни. // Антология мировой философии в 4т., т.1. М.: Мысль, 1969.

მცდელობა გაერკვეს, თუ რა მოხდება მაშინ, როდესაც მითი რეალობის საზღვრებს დაარღვევს? „ამ შემთხვევაში ადამიანი აღარ ოცნებობს იდეალური წესრიგის შექმნაზე მიღმიერ, არარსებულ დროში, – წერს ელიოტი, – იგი თავად კისრულობს შემოქმედის ფუნქციას“ (ელიოტი 1970: 8-9). მაგრამ რა მოსდევს შედეგად ამგვარ ექსპერიმენტს? დესტრუქცია, – აცხადებს ქრისტიანული მსოფლმხედველობა, უტოპიის კლასიკური ინტერპრეტატორებისაგან განსხვავებით და საუკეთესო არგუმენტად პირველცოდვის ბიბლიურ ტექსტს ასახელებს. პირველცოდვის ბიბლიური ტექსტის თანახმად, ადამიანებმა ვერ გაამართლეს უფლის ნდობა. დაუკითხავად იგემეს რა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის აკრძალული ნაყოფი, მათ ერთგვარად იკისრეს დემიურგის როლი, შეიჭრნენ შემოქმედის ფუნქციებში და, სანაცვლოდ ამისა, ღვთის რისხვა დაიმსახურეს: შეაჩვენა ღმერთმა ადამი და ევა, წაართვა მათ მარადიული სიცოცხლის ბედნიერება, აქცია ისინი მოკვდავებად, მოუვლინა მრავალი სატანჯველი და გამოდევნა სამოთხის ბაღიდან. „სამოთხის ბაღი“ კი თავისუფლად შეიძლება ასიმილირდეს „ოქროს ხანასთან“. შესაბამისად, იკვეთება დასკვნა: შეუძლებელია „იდილიური ბედნიერების“ მოპოვება ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ღვთის საუფლოს პრეროგატივაა.

ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ კიდევ უფრო გააღრმავა და გააშინაარსა თავისი პოზიცია, როდესაც კეისრის საუფლოს ცოდვიან და გარყვნილ მოდელს აქტიურად დაუპირისპირა ზეციური სამოთხის მოდელი. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს იოანე მოციქულის „გამოცხადების“ ტექსტი, სადაც ამქვეყნიური, მიწიერი ქალაქის – ბაბილონის, როგორც ცოდვილთა, მრუშთა, „მეძავთა და დედამიწის სიბილწეთა დედის“ დამხობის მოტივს უპირისპირდება იმქვეყნიური, ღვთიური ქალაქის, ახალი იერუსალიმის აღმოცენების მოტივი: განსხვავებით ბაბილონისაგან, ახალი იერუსალიმი ღვთის ქალაქია, დაბრუნებული სამოთხე, სადაც აღზვევებულ ადამიანებთან მუდამ იქნება ღმერთი, „მოსწმენდს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი, გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, ვინაიდან პირველებმა გადაიარეს“ (გამოცხ. 21:4).

„გამოცხადების“ ამ კონცეფციის ერთგვარ გაგრძელებად გვევლინება ნეტარი ავგუსტინეს „ღვთის ქალაქი“, სადაც ფილოსოფოსი მკვეთრად მიჯნავს რელიგიურ მიზნებს საერო, საქვეყნო მიზნებისა და ამოცანებისაგან. „ღვთის ქალაქში“ ის ცხადად გამოხატავს გულისტკივილს ადამიანთა მუდმივი ზრუნვისა და ფიქრის გამო „ამქვეყნიური ქალაქის“ პრობლემებზე, რაც, ჰიპონელი ეპისკოპოსის აზრით, „ღმერთის ქალაქისაგან“ ადამიანთა დამორების უეჭველ წინაპირობას წარმოადგენს. ნეტარი ავგუსტინე თვლის, რომ ადამიანების ერთადერთი მისია მიწაზე არის განწმენდა ამქვეყნიური ცოდვებისაგან, ვინაიდან მათი „ნამდვილი ცხოვრება“ ზეცაშია. მიწიერი პილიგრიმოზის დასასრულს განკითხვის დღე მოასწავებს, დღე, რომელიც გაათავისუფლებს ღირსეულებს „ამქვეყნიური ქალაქის“ ბორკილებისგან და „ღვთის ქალაქში“ გადაანაცვლებს: „ამ დღის შემდეგ, – წერს ნეტარი ავგუსტინე, – ძველი ადამიანის განადგურებით, მოხდება გარდასახვა, რომელიც ანგელოზებზე სიცოცხლეს უქადის ადამიანებს“ (ავგუსტინე 1969: 605).

ამავე საკითხის ღრმად თეოლოგიურ მოდიფიკაციას ვხვდებით „სიბრძნე ბალავარისა“-ს ტექსტში: „და ვითარცა ესმა კაცსა მას ღმრთისა, აღიმრა გონება მისი და ცრემლითა. და ჰრქუა: „ცხოვნდე, მეფეო, უკუნისამდე, რამეთუ წარმავალსა წილ აღგირჩევიეს წარუვალი და უმჯობესი, რამეთუ არარაი არს სოფლისა ამის დიდებაი, რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს და ვითარცა კუამლი განიკარგების. აწ წარმართე გულის სიტყუაი შენი, რამეთუ კეთილ არს, რაითა წარმავალსა ამისა დატევებითა წარუვალი იგი სოფელი მოიყიდო“ (სიბრძნე ბალავარისი 1960: 233).

ასეთია ძირითადი კონტექსტი, რომელიც წინ უსწრებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, თუმცა, არის კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელსაც გვერდს ვერც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი აუვლიდა და ვერც ჩვენ ავუვლით: დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. სწორედ ამ ტექსტს იხსენიებს, და სრულიად მართებულად, ნოდარ ნათაძე, თუმცა, რამდენადმე განსხვავებული აქცენტით: „სპეციალურ ლიტერატურაში, – აღნიშნავს მკვლევარი, – ვეფხისტყაოსანს ხში-

რად აღიარებენ რენესანსულ ნაწარმოებად იმ საბუთით, რომ რუსთაველმა ხორციელ ქვეყანას თავისთავადი მნიშვნელობა მიანიჭა და ადამიანის, ქვეყნიურ გრძნობებს უმღერა. ამგვარი მიდგომა, ცხადია, მცდარია. მხოლოდ ეს რომ კმაროდეს ნაწარმოების „რენესანსულობის“ მტკიცებისთვის, მაშინ ამ სახელით უნდა მოგვეხსენებინა ყველა ლიტერატურული თუ ხელოვნების ქმნილება, რომელშიაც კი რეალური ადამიანისადმი ინტერესია გამოთქმული... რენესანსის არსი და, მით უმეტეს, მისი ღირებულება იმაში კი არ არის, რომ მან ხორციელი ადამიანი თავისი ინტერესების ცენტრში დააყენა, არამედ ის, რომ მან ამას მაღალგანვითარებული ასპექტიზმისა და სპირიტუალიზმის, ყველაზე რთული და ღრმა მსოფლმხედველობის – ქრისტიანობის დაძლევის შედეგად მიაღწია... რუსთაველის პოემაც, მაშასადამე, იმიტომ კი არ არის რენესანსული, რომ იგი ხორციელ ვნებებს უმღერის, არამედ იმიტომ, რომ იგი ამოზრდილია მაღალ ქრისტიანულ კულტურაზე და ამ უკანასკნელის არა ლიტონ უარყოფას, არამედ, გარკვეული აზრით, ძლევას და მასზე შორს წასვლას წარმოადგენს. ჩვენ რომ არ შემოგვნახოდა დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, მდიდარი ქართული სასულიერო ლიტერატურა და საისტორიო მწერლობა, რომლებიც ქართველებში ცოდვის განწმენდით დამძიმებული ქრისტიანული მსოფლშეგრძნების გაბატონებას მოწმობენ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, მაშინ შეგვეძლებოდა გვეთქვა, რომ რუსთაველის პოემის ამქვეყნიურობა გაუცნობიერებელი, ასე ვთქვათ, პირველადი ამქვეყნიურობაა და ამ მხრივ ჰომეროსის ეპოსისგან, „ვისრამიანისგან“ და ძველი არაბული პოეზიისგან არ განსხვავდება, მაგრამ რაკი ეს ყოველივე შემოგვენახა, ამის თქმის უფლება აღარ გვაქვს“ (ნათაძე 1974: 177-178).

მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის ესთეტიკას ჩვენ პრერენესანსულ მოვლენად მივიჩნევთ და არა რენესანსულად, როგორც ამას ნ. ნათაძე ბრძანებს, ვთანხმდებით მეცნიერთან იმ აზრზე, რომ რუსთაველის ესთეტიკა რენესანსის ეპოქის ესთეტიკის გარკვეული მახასიათებლების უკვე მატარებელი ტექსტია. თუმცადა, იქ სადაც ნ. ნათაძე ქრისტიანული კულტურის ძლევასა და „მასზე შორს წასვლას“ ჭკრეტს, ჩვენ გვიანი შუა

საუკუნეების ქართული ქრისტიანული აზრის დამაგვირგვინებელ აკორდს უფრო ვისმენტ, რომელშიც თავმოყრილია როგორც ადრეული შუასაუკუნეების ქრისტიანული ცნობიერება, ისე – „გალობანი სინანულისანი“-ს შემაფასებელი ფილოსოფია. შესაბამისად, „ხორციელი ვნებები“ და სხვა ყოფითი სიუჟეტური ხაზები მხოლოდ აპლიკაციებია იმ საყოველთაო, უმადლესი, უნივერსალური სიყვარულის, სიკეთისა და ჰარმონიის აღმოჩენის გზაზე, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაადგენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები, და, უპირველეს ყოვლისა, ტარიელი, რომელმაც გარდაუვალი ტრანსფორმაცია უნდა განიცადოს.

სად გადის ტექსტში გმირთა ტრანსფორმაციის ძირითადი სადემარკაციო ხაზები?

დაბეჯითებით მიგვაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების მხატვრული ტრანსფორმაციის გზა ლიმინალურ მოდელზე გადის. დავიმოწმებთ ჩვენსავე ნაშრომს – „ტექსტი და ქრონოტოპი“ (2010):

„ტერმინისა და ცნების – „ლიმინალობა“ – ავტორია ფრანგული პოზიტიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი არნოლდ ვან გენეპი. ნაშრომში „Rites de passage“ (1908) გენეპმა არა მხოლოდ თეორიულად განმარტა ლიმინალობის მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკულად წარმოაჩინა მისი მაკორდინებელი როლი, ერთი მხრივ, სეზონური ცვალებადობების, მეორე მხრივ კი – ინდივიდუალური ცხოვრების სტილის შეცვლის პროცესში. „Rites de passage“ – გადანაცვლების რიტუალი, გენეპის აზრით, ნებისმიერი ტიპის ცვალებადობის (ადგილის, ქვეყნის ან სოციალური სტატუსის შეცვლის, ასაკობრივი ცვალებადობის და სხვა) აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს და გამოკვეთს იმ დიქოტომიას, რომელიც არსებობს „გამყარებულ“ და „გადანაცვლებად“ სტრუქტურებს შორის. გენეპი მიიჩნევს, რომ გადაადგილების, ანუ ტრანზიტულობის ყოველი პროცესი სამი ფაზით ხასიათდება: 1. გამოცალკევება, გამოყოფა, ანუ სეპარაცია; 2. მარგინალობა, ანუ ლიმინალობა; 3. გაერთიანება, ანუ ინკორპორაცია. პირველი ფაზა, სეპარაცია, გულისხმობს კონკრეტული ინდივიდუალური ფორმის ან რჩეული ინდივიდის, ე.წ. „ინიციანტის“ იზოლირებას ფიქსირებული სოციალური ან კულტურული სტრუქტურისაგან. იგი აღ-

ნიშნავს ინიციანტის მოწყვეტას რეალური დრო-სივრცული გარემოსაგან; მეორე ფაზა, ლიმინალობა, გამოხატავს ინიციანტის, იგივე „ტრანზიტული მგზავრის“ ამბივალენტურ მდგომარეობას, მის გადანაცვლებას შუალედურ, ამბივალენტურ სოციალურ ზონაში, ე.წ. „ლიმბოში“; მესამე, ინკორპორაციის ფინალური ფაზა, შეესატყვისება ინიციანტის დაბრუნებას საზოგადოებაში, მხოლოდ განახლებული სოციალური სტატუსით, ე.ი. ინდივიდის „რეაგრეგაციას“.

განსაკუთრებულ ინტერესს, სამი აღნიშნული ფაზიდან, იმსახურებს მეორე, ანუ ლიმინალური ფაზა, რომლის წიაღშიც ინდივიდი იძენს სოციალური გარემოს სრული გაბუნდოვანების გამოცდილებას და ემიჯნება რეალობას. ტერმინი „ლიმინალური“ ლათინურიდან მომდინარეობს (limen, liminis) და ნიშნავს ზღურბლს, მიჯნას, ორ განსხვავებულ ადგილს შორის მოთავსებულ გასასვლელ დერეფანს. ანალოგიური მიზნით ინერგება იგი გენეპის თეორიაშიც: ლიმინალური ფაზა თავისი არსითა და ფუნქციით ტრანზიტული, დინამიკური შუალედური კონდიციაა, მოთავსებული გამყარებულ და ტრანსფორმირებულ სტრუქტურებს შორის. შესაბამისად, გენეპი მიიჩნევს, რომ გადანაცვლების რიტუალი „Rites de passage“ შეიძლება განისაზღვროს როგორც სამი კონდიციის მთლიანობა: „პრელიმინალურის“, რაც გულისხმობს გამოყოფას წინარე სამყაროსაგან; „ლიმინალურის“, რაც აღნიშნავს ტრანზიტულობის პერიოდს; „პოსტლიმინალურის“, რაც უკავშირდება ახალ სამყაროსთან ინკორპორაციის ცერემონიალს... თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, გენეპის თეორიას სტრუქტურალისტური ანთროპოლოგიის სიბრტყეზე გადაიტანს ვიქტორ თერნერი და ლიმინალურ ფაზას განსაზღვრავს, როგორც „ინტერსტრუქტურალურ სიტუაციას“, აღმოცენებულს „სხვადასხვა პოზიციურ სტრუქტურებს შორის“.

თერნერის განსაკუთრებულ ყურადღებას გენეპის თეორიაში იმსახურებს ლიმინალური ფაზა, რომელიც ასრულებს ზღურბლის ფუნქციას და ერთმანეთისაგან მიჯნავს ცხოვრების განსხვავებულ ეტაპებს. თერნერის აზრით, ინდივიდის დროებითი გამოყოფა გამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან ანიჭებს ინდივიდს არა მხოლოდ ამბივალენტურ სოციალურ

სტატუსს, არამედ ათავისუფლებს მას ნებისმიერი კანონების, ქვევის ნორმებისა და წესებისაგან, მისი სტატუსი არსობრივად ამბივალენტური და ბუნდოვანია. „ლიმინალური ფაზის პირობებში, – წერს თერნერი, – ინდივიდი არც „აქეთ“ არის და აღარც „იქით“. ის იმყოფება იურიდიულად, ტრადიციულად, კონვენციურად და ცერემონიულად დადგენილ პოზიციებს „შორის“ („betwixt and between“ – ი. რ.)“ (თერნერი 1995: 126). შესაბამისად, შეჩერებულია ინდივიდის როგორც „წინარე“, ისე „მომდევნო“ სტატუსის მოქმედება, ინდივიდი გარიყულის, განუსაზღვრელის პოზიციაშია, რეკონსტრუირებული და განახლებული კულტურული მოდელებისა და პარადიგმების განხორციელების მოლოდინის კონდიციაში.¹ მ. ი. სპარიოსუს მართებული შენიშვნით, „ლიმინალობა თერნერისათვის წარმოადგენს არა მხოლოდ ტრანზიტულობის, არამედ პოტენციალურობის ფორმას“ (სპარიოსუ 1997: 133), რადგან ლიმინალობა ამჟღავნებს არა მხოლოდ გამყარებული სტრუქტურებისაგან იზოლირების, არამედ ალტერნატიული სტრუქტურების ფორმირების პოტენციურ შესაძლებლობებს“ (რატინი 2010: 109-111)².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირთა ტრანსფორმაცია სტრუქტურულად უკავშირდება ლიმინალურ მოდელებს, რაც გმირის განახლებისა და გარდასახვის კონცეპტუალური წინაპირობაა. კერძოდ, „რაინდულ რომანებში, Rites de passage-ს ორი განსხვავებული სქემაა დანერგილი: ის ებმის ან – ა) ძიების მოტივს, ანაც – ბ) ხეტიალის მოტივს. ეს ორი მოტივი, რომლებიც ოპოზიციური დრო-სივრცული მოდელებიდან მომდინარეობს, ორ განსხვავებულ ხასიათს უკავშირდება: მოძრავსა და სტატიკურს. „ვეფხისტყაოსანში“ ორივე ხასიათია წარმოდგენილი. პირველს განასახიერებს ავთანდილი, ხოლო მეორეს – ტარიელი“ (ელბაქიძე,

1 რ. პალმერი აღნიშნავს: „ინდივიდს, რომელიც გადაინაცვლებს ლიმინალურ ფაზაში, გააჩნია ინდივიდის პოტენციალი, მაგრამ მოქცეულია სამყაროებს შორის არსებულ ნაპრალში, ანუ წარმოადგენს ერთგვარ კონცეპტუალურ მედიუმს, „აქ“ და „იქ“ არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს შორის“ (პალმერი 1980: 8).

2 უფრო დეტალურად იხ. ი. რატინი, *ტექსტი და ქრონოტოპი*. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2010.

რატინი 2014: 30). დავამატებთ, რომ ამ მახასიათებლებით სხვა მთავარი გმირების განსაზღვრაც შეიძლება: ნესტან-დარეჯანის, თინათინისა და ფრიდონის, თუმცა ტრანსფორმაციული კოდი ტექსტში მხოლოდ ტარიელის, ავთანდილისა და ნესტან-დარეჯანის გმირებთან მიმართებით ინერგება¹. საუბრობს რა ტექსტის მთავარ 'ოთხეულზე', მ. ლაღანიძე სრულიად სამართლიანად მიუთითებს: „პოემის ახალგაზრდა გმირთაგან ერთადერთია თინათინი, რომელიც არ ტოვებს თავის სამკვიდროს და, ვითარცა სიბრძნის ხორცშესხმა, საკუთარ სახლში ბატონობს და განაგებს. ასევე ერთადერთია თინათინი, რომლის სტატუსის შეცვლასაც პოემის დასაწყისიდანვე ვჭკრეტთ, – პოემა მისი აღსაყდრებით იწყება, – დანარჩენი გმირები კი – ავთანდილიც, ტარიელიც, ნესტანიც, – სტატუსის შეცვლას მხოლოდ მარტოობის, ტანჯვის, სახლ-კარის მიტოვებისა და ხელახლა მოპოვების შემდეგ აღწევენ. ყოველი მათგანი გამოდის თავისი მყარი და მდგრადი მდგომარეობიდან. ჩვეული და მშობლიური გარემოდან და სამყაროსა და საკუთარი თავის პირისპირ რჩება, მარტოობაში აღმოჩნდება“ (ლაღანიძე 2009: 82).

ტრანსფორმაციული ლიმინალური მოდელების თვალსაზრისით, „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენის აზრით, სამი მხატვრული სივრცული მოდელი მნიშვნელობს (განსაზღვრული შესაბამისი დროითი კოორდინატებით): ტარიელის გამოქვაბული („ქვაბი“), ავთანდილის გზა და ნესტან-დარეჯანის ციხე. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ გამოქვაბულის მოდელს, რომლის მეშვეობითაც შევეცდებით წარმოვაჩინოთ ტარიელის შინაგანი ტრანსფორმაციის პარადიგმა².

გამოქვაბულში მყოფი ტარიელი უკვე „გადაადგილებული“ პერსონაჟია, რომელიც განიცდის სოციალური გარემოს სრულ გაბუნდოვანებას. ერთი მხრივ, პერსონაჟი ემიჯნება რეალობას, ის გარიყულია და, შესაბამისად, გაუცხოებული საზოგადოებრივ

1 შესაძლოა იმ მიზეზით, რომ თინათინი და ფრიდონი იმთავითვე „მეფის“ სტატუსში არიან წარმოდგენილნი და რუსთაველი, როგორც შუა საუკუნეების ავტორი, „მეფეებს“ შეგნებულად არ გაატარებს ტრანსფორმაციის ფაზებს.

2 ვვარაუდობთ, რომ მსჯელობა გაგრძელდება მომდევნო სამეცნიერო პუბლიკაციაშიც.

სტრუქტურებთან, რაც ანიჭებს მას ამბივალენტურ სოციალურ სტატუსს და აყენებს იდენტობის დაკარგვის ზღვართანაც კი, ხოლო, მეორეს მხრივ, გმირი იმყოფება განუსაზღვრელის პოზიციაში, რეკონსტრუირებული და ტრანსფორმირებული პარადიგმების განხორციელების მოლოდინში. საიდან სად მიემართება ტარიელი?

ტარიელი, ისევე როგორც მისი მმადნაფიცი ავთანდილი, გვიანი შუასაუკუნეების ეპოქის ქრისტიანული რაინდული სულისკვეთების მატარებელი გმირია. თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში – „ბურჟუა. ისტორიასა და ლიტერატურას შორის“, უპირისპირებს რა ბურჟუას სახეს მხატვრულ ლიტერატურაში შუასაუკუნეების რაინდისას, ფრანკო მორეტი აღნიშნავს: „კარგი თვისებებიც“ კი „არასაკმარისად კარგი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბურჟუასაგან შექმნილიყო თხრობითი ჟანრის გმირი, ისეთი, როგორც იყო მეომარი, რაინდი, დამპყრობელი ან ავანტიურისტი – გმირები, რომელთაც ასობით წლების მანძილზე ეყრდნობოდა დასავლური ლიტერატურის სიუჟეტები... თუკი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინდების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურჟუაზიამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის დიადი მექანიზმი თანდათან დაიშალა ახალი ბურჟუაზიული ცივილიზაციით, თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედრის ხიბლით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურჟუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოსჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურჟუების მსგავსი“ (მორეტი 2013: 8, 16). სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაინდი, ბურჟუასაგან განსხვავებით, შუასაუკუნეების არისტოკრატის ინტერესების გამოხატველი გმირია, შემკული მისი საუკეთესო თვისებებით, რის წყალობითაც ავტორები ადვილად ახდენენ გმირების იდეალიზაციას. რაინდი ცხოვრობს რაინდთა კოდექსის თანახმად და თავაზიანი, კეთილშობილი, ერთგული მამაკაცის განსახიერებაა, რომელსაც კურტუაზიულმა ლიტერატურამ მეტი ემოციურობა და ვნებიანობა შესძინა. თუმცა, რაინდები გვიანი შუაუკუნეების ეპოქის მსოფლმხედველობრივი ინტერესების გამოხატველნიც არიან. მათ ხშირად იხსენიებენ როგორც

„ქრისტეს სახელით რაინდებს“: დასავლურ კულტურაში რაინდად კურთხევის ერთ-ერთ პირობას ხომ რელიგიური აღთქმის დადება წარმოადგენს?¹ ამრიგად, სიყვარული, ერთგულება, მამაცობა, თავდადება, კეთილშობილება, სულგრძელობა, თავგადასავლების ძიება – ტარიელისა და ავთანდილის რაინდული ბუნების მარკერებია, ემოციურობა, ვნებიანობა, პრაგმატულობა – ადამიანური/მამაკაცური ბუნებისა, ხოლო სინანული, თვითგვემა, სულზე ფიქრი – ქრისტიანული მისიისა. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ამოცანის სირთულეს შეადგენს ტექსტის პირობით ისტორიულ-ყოფით რეალობაში არსებული დიქოტომიების დადარება მარადიულ დიქოტომიებთან, რომლებიც განფენილია ტრანსცენდენტულ სამყაროში და საითკენაც, ურთულესი შინაგანი ტრანსფორმაციების დაძლევის გზით, უნდა გადაადგილდნენ იგივე გმირები.

გავიხსენოთ პირველი გამოჩენა ტარიელისა: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“ (85). აბჯარასხმული, ვეფხისტყავით შემოსილი დევგმირი ზის წყლის პირას და ტირის. მოგვიანებით, როდესაც „ქვაბშიგან“ ვნახავთ ტარიელს, ის კვლავ ტირის: „მერმე სულთქვნა, დაიზახნა, ცრემლი ცხელნი გადმოყარა...“ (310), რაც შემდეგ, არაერთგზის მეორდება ტექსტში. ცრემლი ამ პერსონაჟის უმთავრესი ატრიბუტია, არანაკლებ მნიშვნელოვანი მის ცხენსა თუ ხმალზე. შესაძლებელია, რომ ტარიელის ცრემლები მივიჩნიოთ სინანულის გამოხატულებად? თუ ეს მხოლოდ განშორებისგან გამოწვეული მწუხარების ცრემლია (განშორება საყვარელთან, სამშობლოსთან და სხვ.)? ვფიქრობთ, რომ ამგვარი შეკითხვის დასმის შესაძლებლობას იძლევა როგორც ტექსტის სიუჟეტი, ისე – მისი შექმნის კულტურული კონტექსტი: ერთის მხრივ, ტარიელის ზურგსუკან განფენილია მთელი რიგი მოვლენებისა, რომლებიც აძლევს მას საფუძველს ჩავარდეს მწუხარებასა და სინანულში: ნესტანის დაკარგვა, სამშობლოსგან მოცილება, საკუთარი აღმზრდელის – ფარსადანის მომდურება... მეორეს მხრივ, ტარიელი გვიანი შუასუკუნეების

1 ob. *Knighthoods of Christ: Essays on the History of the Crusades and the Knights Templar*, Presented to Malcolm Barber. Ed. by Norman Housley. Routledge, 2007.

ეპოქის რაინდია და, შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ სინანული მისი მსოფლმხედველობის ორგანულ ნაწილადაც განვიხილოთ, მით უფრო, რომ ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებობს დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ როგორც ქრისტიანული სინანულის მხატვრული დეკლარაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტარიელის რაინდობა წინააღმდეგობაში არ მოდის სინანულის განცდასთან, პირიქით, სწორედ ამ კომბინაციის მეშვეობით აღწევს რუსთაველი თავისი გმირის ტრანსფორმაციის იმ სიმაღლეს, რომლისკენაც მიიღტვის. ტარიელი სწორედაც რომ რაინდია, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდება თავისი ხელმწიფის ქალიშვილი, თუმცა, ორმხრივი სიყვარულის მიუხედავად, სიუჟეტური პერიპეტეების გამო, ისინი კარგავენ ერთმანეთს. ტარიელი უშედეგოდ დაეძვება სატრფოს და, უკიდურესი ემოციური ტრანსის მდგომარეობაში, რასაც, რუსთაველოლოგები ადარებენ „სიმმაგეს“, ტოვებს სამშობლოს, ადამიანთა საზოგადოებას. ის განმარტოვდება ტყეში, უკაცრიელ გამოქვაბულში, სადაც ეძლევა მწუხარებასა და ვაებას...

სიმმაგე, გახელება, შეშლილობა უკვე თავისთავად წარმოადგენს განაპირებულ, არც აქეთა/არც იქითა მდგომარეობას, როცა გმირი განსხვავდება სხვა, ნორმალური ადამიანებისგან; იგი არსობრივად აღარ ეკუთვნის მათ რიცხვს, თუმცა, როგორც ადამიანი, ბოლომდე ვერ არის მოკვეთილი საზოგადოებიდან. მიშელ ფუკო აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობაში შეშლილი თავად ავლებს ერთგვარ გამყოფ ხაზს და მისი თავგადასავალი „მკაცრად გამოყოფილი (გამოცალკავებული – ი.რ.) და, ამავდროს, აბსოლუტური (სრულყოფილი – ი.რ.) გადაადგილებაა ერთი მდგომარეობიდან მეორეში“ (ფუკო 1967: 11). მაგრამ, როგორი შეიძლება იყოს გადაადგილების, ანუ ტრანზიტის პარადიგმა? იუღია კრისტევას აზრით, შეშლილობა არსობრივად დესტრუქციულია და მიისწრაფის იდენტობის კრიზისისადმი, რაც მიღებული ტრავმის, ტკივილის, უბედურებისა და ა.შ. შედეგია (კრისტევა 1982: 4)¹. აგნეს კანიჟაის მართებული შენიშვნით კი, აქ საინტერესო ისაა თუ „როგორ აღწევს შეშლილობა

1 მიშელ ფუკოს ეკუთვნის ფრაზა, რომელიც მიემართება დონ კიხოტის პერსონაჟს: „შეშლილობა სიკვდილის გაუხრჩველი სიცოცხლეა“.

გმირის ამაღლებულ რაინდულ სხეულში და როგორ გამსჭვალავს მას უღრმესი ემოციებით, რაც იწვევს კიდევაც იდენტობის კრიზისს“ (კანიჟაი 2020: 124). სწორედ ამგვარ ზღვართან მდგომი პერსონაჟია ტარიელი. მისი მეზრძოლი და შეუპოვარი რაინდული სულისკვეთება გადაჩრდილულია სიყვარულის გამო მოგვრილი ტრავმით, სამშობლოს დატოვების გამო მოგვრილი მწუხარებით, მამობილის/აღმზრდელის მომდურების გამო მოგვრილი უხერხულობით... გონებადაბნეილი ეუბნება ის ავთანდილს: „აღარა ვიცი, დამვიწყდეს, თუც არ დიადი წელია“ (342). მართალია, ყველაფრის დავიწყება ანუ ამნეზია ჯერ არ არის რეალობა, მაგრამ – არც შორეული პერსპექტივაა.

რთულია ვამტკიცოთ, რომ ხელმწიფე მამის მიერ ნესტანისათვის შერჩეული საქმროს – ხვარაზმშას შვილის მოკვლა რაიმე სინანულს იწვევს ტარიელში, ვინაიდან, ერთის მხრივ, ის რაინდია, რომელსაც ჟანრის კანონი ავალდებულებს წარბეუხრელად მოიშოროს მეტოქე, იზრძოლოს ძალაუფლებისთვის, საყვარელი ქალისთვის და ა.შ., მეორეს მხრივ კი, არც ტექსტი გვაწვდის რაიმე ინფორმაციას ტარიელის სინანულის შესახებ; მაგრამ, ყველაფერი, რაც ამ მკვლელობის გამო ხდება – მამობილის/აღმზრდელის ფარსადანის განრისხება, ნესტან-დარეჯანის დაკარგვა, სამშობლოდან დევნილობა – არის ტარიელის გახელების, განადგურებისა და დესტრუქციის მიზეზი. შესაძლოა, მას არ აწუხებდეს სინანული უშუალოდ ხვარაზმშას შვილის მოკვლის გამო, მაგრამ აუცილებლად აქვს ზემოთ ჩამოთვლილი სხვა დანაკარგებით, როგორც ჩადენილი მკვლელობის უშუალო შედეგით, ტექსტის მომდევნო პასაჟებში გამოწვეული სინანულის განცდა. ის ნებაყოფლობით განრიდებული/გადაადგილებული პერსონაჟია, რომელიც კაემანსა და თვითგვემას არის მიცემული და დაეძებს სიკვდილს, ვითარცა ერთადერთ გამოსავალს შექმნილი ვითარებიდან¹. ტარიელი თავისი რაინდული იდენტობის დაკარგვის წინაშე დგას: მისი, როგორც რაინდის პოზიცია შერყეულია და გაუგებარიც კი. ჩვენი აზრით, ეს სულაც არ არის „უმოქმედო კაემანის“ მდგომარეობა, როგორც

1 რასაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის არაერთი სიუჟეტური ადგილი და ფრაზა ცხადჰყოფს.

ამას რუსთველოლოგების ერთი ნაწილი ბრძანებს (დიდი პატივისცემით მათდამი – ი.რ.), არამედ – ტექსტში განვითარებული მოვლენების ლოგიკური მხატვრული შედეგი, რაც გმირის ან საბოლოო დაღუპვის, ანაც – განახლებისა და ტრანსფორმაციის დასაწყისად უნდა იქცეს. რუსთაველი მეორე გზას ირჩევს და, როგორც შეჭვერის გვიანი შუა საუკუნეების ავტორს, თანაც – ქართველს, პიროვნებისა და რაინდის ტრანსფორმაციის პარადიგმას გარდაუვალად აკაშირებს ქრისტიანული სამოთხის იდეასთან.

ამ მიზნის მისაღწევად, პირველ ყოვლისა, საჭიროა, რომ ტარიელი გამოემიჯნოს პირობით ყოფით-ისტორიულ რეალობას და გადაადგილდეს ლიმინალურ სივრცეში. სწორედ ასეთად გვევლინება გამოქვაბული, რომელიც ცივილიზაციისგან შორს, ტყეში მდებარეობს, და რომელიც იდეალური ადგილია გმირის ტრანსფორმაციის დასაწყებად. შუასაუკუნეების ესთეტიკის ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპის თანახმად, ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ბუნება/ლანდშაფტი, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი მოდელი, ცივილიზაციისა და ადამიანებისაგან ხელუხლებელი, აქტიურდება და საშუალებას აძლევს პერსონაჟს, შეიმეცნოს მასში საკუთარი თავი, დაიწყოს განახლება, რამაც საბოლოოდ უნდა გამოკვეთოს მისი სულიერი ზრდის პარადიგმა.

მეორეს მხრივ, თუკი გავხსენებთ შუა საუკუნეების რაინდული რომანების სიუჟეტისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ხერხს, რომლის თანახმადაც, ტარიელის ხელახალი დაბადების პროცესის კატალიზატორად მისი მეგობარი და მძაღლი უნდა მოგვევლინოს¹. გამოქვაბულში ავთანდილმა უნდა შეაღწიოს, გმირმა, რომელიც რუსთაველის ამ უნიკალურ ტექსტში ძლიერი პიროვნებისა და შეყვარებული რაინდის ტიპის მთლიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს². ტარიელს დახმარება სჭირდება, მოყვასის თანადგომა, გნებათ, ქრისტი-

1 იხ. აგნეს კანიჯაი, *The Representation of Madness in a Medieval English Romance*. http://publicatio.bibl.u-szeged.hu/5232/1/09.C381gnes_Kanizsai_2009_13_u.pdf

2 დეტალურად ამის შესახებ იხ. მაკა ელბაქიძე, *ვეფხისტაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში*. თბილისი, 2007. გვ. 52-66.

ანული თანაგრძნობა: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად“... (708). და ასეთ „მოყვარედ“ ავთანდილი იქცევა. სწორედ ის დაეხმარება მმადნაფიცს, დაძლიოს სირთულეები და ირწმუნოს განახლება.

ტარიელის მიერ ავთანდილისთვის თავისი ამბის მოთხრობის პროცესში შესანიშნავად წარმოჩნდება კონტრასტი ნახევრადბნელ გამოქვაბულს, როგორც ლიმინალურ სივრცესა, და იმ პირობით ყოფით-ისტორიულ სივრცულ მოდელს შორის, რომელშიც მანამდე გაედინებოდა ტარიელის ცხოვრება: შვიდი სამეფო, სამეფო კარი, ხელმწიფის ერთადერთი ასული და ზევრის სხვა რამ, რაც ქმნის ალუზიას იმ ეპოქის ქართულ ისტორიულ რელობაზე¹. მე-12 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და სოციალური რეალობა, ავტორის მხატვრული წარმოსახვისა და შემოქმედებითი ნიჭის მეშვეობით, მხატვრულ ტრანსფორმაციას განიცდის და კონკრეტული ლიტერატურული ჟანრისათვის დასაშვები დოზით ვლინდება ტექსტში. სახეზეა ფეოდალური სახელმწიფოს, როგორც რეალობის, მხატვრული იმპლიკაცია, მხატვრული დრო-სივრცისა და ისტორიული დრო-სივრცის სწორი ბალანსი, რაც უზრუნველყოფს მკითხველის რწმენას სიუჟეტში გადმოცემული ამბისადმი. ასეთია ქრონოტოპის დიაქრონული ფუნქცია, რაც განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს გვიანი შუა საუკუნეების სეკულარულ ტექსტებში, კერძოდ კი – რაინდულ რომანში. მიხაილ ბახტინი ამის თაობაზე წერდა: „რა დანიშნულება აქვთ ჩვენს მიერ განხილულ ქრონოტოპებს?... ჩვენს მიერ განხილული ქრონოტოპები გამოირჩევიან ჟანრულ-ტიპური ხასიათით, ისინი საფუძვლად უდევს რომანის ჟანრის სხვადასხვა სახეობას, რომლებიც იქმნებოდა და ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე“ (ბახტინი 1986: 284-285). ისტორიული ქრონოტოპის ნაკადს, რომელიც მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური თუ სოციალური ნიუანსებით შემოდის „ვეფხის-

1 რომ აღარაფერი ვთქვათ თინათინის გამეფების ეპიზოდზე, რის თობაზეც კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე წერენ: „უეჭველზე უეჭველია, რომ ამ ეპიზოდებში თვისებურად აირეკლა მე-12 საუკუნის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის რეალური ვითარებანი“ (კეკელიძე, ბარამიძე 1969: 257).

ტყაოსნის“ ტექსტში (სახელმწიფოები, ქალაქები, ჯარი, ვასალები და ყმები და ა.შ.), რუსთაველი ამხატვრულებს და, ამ გზით, ქმნის მხატვრული რეალობის პირობით მოდელს. სწორედ ამგვარი პირობითი მხატვრული რეალობის წიაღში გაედინებოდა ტარიელის ცხოვრება (და გაედინება სხვა გმირების ცხოვრებაც) ვიდრე ის მეტოქეს მოკლავდა და გამოქვაბულს მიაშურებდა: დაბადება, აღზრდა, დავაჟკაცება, შეყვარება, გარდახდილი ბრძოლები და ომები და ა.შ. გამოქვაბულის ლიმინალური სივრცე კი კონტრასტულ წინააღმდეგობაშია სივრცის ამ წინარე მოდელთან, ტარიელის მიერ თავისი თავგადასავლის თხრობის პროცესში ავტორი გვიჩვენებს პრინციპულ განსხვავებას, რომელიც არსებობს ტექსტში მხატვრული ქრონოტოპის ყოფით-ისტორიულ და ლიმინალურ მოდელებს შორის, პოლიტიკურად და სოციალურად აქტიურ ცხოვრებასა და ნებაყოფლობით განმარტობას შორის. გამოქვაბულის დანიშნულება არის გმირის თვითგამორკვევისაკენ გადაადგილების ინიცირება. ტარიელმა ხელახლა უნდა შეიცნოს საკუთარი თავი და ირწმუნოს საკუთარი ძალა, ანუ – ხელახლა დაიბადოს.

რაინდული რომანის ჟანრის კანონის თანახმად, განახლებული, ტრანსფორმირებული, გონსმოსული რაინდი „სარგებლობს ახლადმოპოვებული თავისუფლებით და მისი ქმედებები კიდევ უფრო დიადი ხდება“ (კანიჟაი 2020: 136), ქრისტიანული მწერლობის კანონის თანახმად კი, გმირის განახლება გვიანი შუა საუკუნეების ესთეტიკურ კონცეპტთან თანხმობაში უნდა განხორციელდეს – ადამიანის ქცევა „ხატად ღვთისა“. ასეც მოხდება. ტარიელი არა მარტო გამოვა გამოქვაბულიდან, არა მარტო დაიბრუნებს საყვარელ ქალს, სამშობლოს და მათთან ერთად – თავის რაინდულ იდენტობას, არამედ – მოგვევლინება ზღაპრულ-ფანტასტიკური იდილიის მმართველად, რაც მიგვანიშნებს ტრანსცენდენტური მოდელის ჩართვაზე /გააქტიურებაზე მხატვრულ ქრონოტოპში, კერძოდ, ბიბლიურ სამოთხესა და „ღმერთის ქლაქზე“: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595). ამ სამოთხეში კი ვერავინ შევა ამქვეყნიური სინანულის განცდის გარეშე. გამოქვაბული სწორედ ის

სატრანზიტო ზონაა, ლიმინალური, გარდამავალი, არც აქეთ-
არც იქითა მოდელი, რომელშიც ტარიელი სულიერად უნდა
გამლიერდეს, განიცადოს შინაგანი ტრანსფორმაცია და შეძლოს
ნესტან-დარეჯანის გამოხსნა. ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შე-
დეგები კი რუსთაველის ტექსტში ცალსახად მიემართება იდი-
ლიური ფორმულისაკენ: „თხა და მგელი ერთად მოვდეს...“ რა
არის ეს თუ არა – ბიბლიური სამოთხის ლიტერატურული იმ-
პლიკაცია და მხატვრული ალუზია შუასუკუნეების ესთეტიკის
კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპზე: ადამიანის ქცევაზე
ღვთის ხატად მიწიერი ისტორიის დასრულების შემდეგ, ცოდ-
ვათა გამოსყიდვისა და დროში განფენილი მარადიული სამყა-
როს დაბრუნების გზით.

ამრიგად, რუსთაველის ტექსტი, თუმც უკვე აღსავსე პრე-
რენესანსული მგრძნობელობით, უპირატესად გვიანი შუა სა-
უკუნეების მსოფლმხედველობრივ-კონცეპტუალური პრინციპე-
ბითაა განპირობებული და ორიენტირებულია ღმერთსა და
ქრისტიანული ჰარმონიის იდეაზე. სწორედ ამისკენაა მიმარ-
თული ნებისმიერი ტიპის რეალობა – იქნება ეს წმინდად მხატ-
ვრული, მხატვრულ-ისტორიული თუ მხატვრულ-ტრანსცენ-
დენტური, რაც გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველი იმავე
როლს ასრულებს ქართულ ქრისტიანულ მწერლობაში, რასაც
დანტე შეასრულებს იტალიურსა და ევროპულში, ხოლო ორივე
ერთად – მსოფლიო მწერლობაში: ისინი, მართალია, სხვადა-
სხვა ჟანრსა და სტილში, მაგრამ თანაბარი ძლევამოსილებით
წარმოაჩენენ ქრისტიანული მწერლობის სიმაღლეს, კონცეპტუ-
ალურად სრულყოფენ და დააგვირგვინებენ ქრისტიანულ ნა-
რატივს, თუმცა, თავიანთი ტრანსფორმაციული სულისკვეთე-
ბით, იწინასწარმეტყველებენ რენესანსს, გლობალური ძვრებისა
და გარდაქმნების იდეით შთაგონებულ ეპოქას, რომლის წარ-
მოადგენაც კი შეუძლებელია გვიანი შუასუკუნეების ამ გენიალუ-
რი ავტორების გარეშე.

დამოწმებანი:

ავგუსტინე 1969: Августин. „О граде Божием“. В книге: *Антология мировой философии* в 4т., т.1. Москва: «Мысль», 1969.

არისტოტელე 1957: Аристотель. *Поэтика*. Москва: 1957.

ახალი აღთქმა 1990: ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ფსალმუნი. 1990.

ბახტინი 1986ა: Бахтин, М. „Проблема содержания, материала и формы в словесном художественном творчестве“. В книге: Бахтин М. М. *Литературно-критические статьи*. Москва. 1986.

ბახტინი 1986ბ: Бахтин, М. „Формы времени и хронотопа в романе“. В книге: Бахтин М. *Литературно-критические статьи*. Москва, 1986.

გენეპი 1960: Genep, A V. *The Rites of Passage*. London, 1960.

გურევიჩი 1984: Гуревич, А. *Категории средневековой культуры*. 2-е изд., испр. и доп. Москва: «Искусство», 1984.

ელბაკიძე 2007: ელბაკიძე, მ. ვეფხისტაოსნის პოეტიკის ზოგიერთი საკითხი შუასუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“, 2007.

ელბაკიძე, რატიანი 2014: Elbakidze, M. Raiani, I. *Shota Rustaveli's Romance The Knight in the Panther's Skin in the Context of European Chivalric Romance: An Anthropological Approach*. In: *Georgian Christian Thought and its Cultural Contest. Memorial Volume for the 125th Anniversary of Shalva Nutsubidze (1888-1969)*. Vol. 2. Brill. Leiden-Boston, 2014.

ელიოტი 1970: Elliot, R. C. *The Shape of Utopia. Studies in a Literary Genre*. The University of Chicago Press, 1970.

თერნერი 1995: Turner, V. *The Ritual Process. Structure and Anti-Structure*. New York, 1995.

კანიზაი 2020: Kanizsai, A. *The Representation of Madness in a Medieval English Romance*. http://publicatio.bibl.u-szeged.hu/5232/1/09.C381gnes_Kanizsai_2009_13_u.pdf

კეკელიძე... 1969: კეკელიძე, კ. ზარამიძე, ალ. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.

კრისტევა 1982: Kristeva, J. *Powers of Horror: An Essay on Abjection*. Transl. by Leon S. Roudiez. Columbia University Press, 1982.

მორეტი 2000: Moretti, F. *The Slaughterhouse of Literature*. *Modern Language Quarterly*, March, Vol. 61, Issue 1. pp. 207-227.

ნათაძე 1974: ნათაძე, ნ. *დროთა მიჯნაზე*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

პალმერი 1980: Palmer, R. E. *The Liminality of Hermes and the Meaning of Hermeneutics*. In: Proceedings of the Heraclitean Society. A Quarterly Report on Philosophy and Criticism of the Arts and Sciences. vol.5. Michigan, 1980.

პლატონი 1971: Платон. „Государство“. В книге: Платон, *Сочинения в 3тт.*, т.3. Москва: «Мысль», 1971.

ჟენეტი 1988: Genette, G. *Narrative Discourse Revisited*. Translated by Jane E. Lewin. Ithaca, New York: Cornell University Press, 1988.

რატაიანი 2018: რატაიანი, ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

რატაიანი 2010: რატაიანი, ი. *ტექსტი და ქრონოტოპი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.

სენეკა 1969: Сенека. „О блаженной жизни“. В книге: *Антология мировой философии в 4тт.*, т.1. Москва: “Мысль”, 1969.

სიბრძნე ბალაჰვარისი 1960: „სიბრძნე ბალაჰვარისი“. *ჩვენი საუნჯე*. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1960.

სპარიოსუ 1997: Spariosu, M. I. *The Wreath of Wild Olive*. New York Press, 1997.

ფუკო 1967: Foucault, M. *Madness and Civilization*. London: Tavistock Publications, 1967.

ღალანძე 2009: ღალანძე, მ. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები შინ და გარეთ“. წიგნში: *მოგითხრობთ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ*. თბილისი: გამომცემლობა „სეზანი“, 2009.

შოთა რუსთაველი 1966: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. აკადემიური გამოცემა. რედ. ალ. ბარამიძე, აკ. შანიძე. თბილისი, 1966. ხელმისწვდომია ელექტრონულ გვერდზე: <http://literaturatmcodneoba.tsu.ge/vepxistyaosani.pdf>

რუსთაველისა და ნიზამის კოსმოლოგიური შეხედულებები

კოსმოლოგია და მხატვრული შემოქმედება აზროვნების სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება, მაგრამ არის მათში შინაგანი სიახლოვე, მენტალური ნათესაობა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ფანტაზიასა და სამყაროს მასშტაბურ აღქმას გულისხმობს. ადამიანის გონებრივ-ემოციური სწრაფვა, მიუახლოვდეს სამყაროს აგებულების საიდუმლოს, უდავოდ გულისხმობს ყოფიერების მთლიანობის განცდას, მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის გაერთიანების, ერთიანობაში დანახვის სურვილს. კოსმოსის შეცნობით ადამიანი შეიმეცნებს საკუთარ თავს.

მხატვრულ შემოქმედებაში კოსმოლოგიური და კოსმოგრაფიული თემები ბუნებრივად შემოდის, რადგან ეს არის სამყაროს აღქმის, მისი გააზრების, წარმოდგენის, გამოხატვის, ასახვის ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი და ეფექტური საშუალება.

კოსმოლოგიური მეტაფორა – ეს არის ყველაზე თვალსაჩინო და გასაგები ტროპი, რომელიც იშვიათად საჭიროებს ინტერპრეტირებას.

კოსმოსი პოეტურია იმდენად, რამდენადაც პოეზიაა კოსმიური საზრისის მოვლენა. კოსმოსის ფიზიკური მოდელი ახლოს არის პოეზიის მეტაფიზიკურ სამყაროსთან.

ასტრალურ მოტივებში სამყარო წარმოდგენილია როგორც მთლიანი არსი. აქ ესთეტიკური ინტუიცია უცთომლად აგნებს მასშტაბურობას. ასტრალური სემანტიკა და პოეტური მნიშვნელობები შეიძლება განხილული იქნეს როგორც მიწიერისა და ზეციურის შეხვედრა.

მხატვრული შემოქმედება კოსმოლოგიურ წარმოდგენებში ხედავს სამყაროს მასშტაბურობას, გამაერთიანებელ ფუნქციას. კოსმოლოგია პოეზიაში – ეს არის უნივერსალური კულტურული პარადიგმა, აქსიოლოგიური ფენომენი.

შუა საუკუნეებში ლიტერატურა იმდენად ახლოა კოსმოლოგიასთან, რომ მწერალი თავს ვალდებულია თვლის შეისწავლოს სამყაროს ფიზიკური აგებულების თეორიები. ამ თეორიების ცოდნა კარგად ჩანს ნიჰამისა და რუსთაველის შემოქმედებაში.

მაგალითად, ფიზიკის დარგში მიღებული ცოდნა ნიჰამის ეხმარება ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ფიზიკურ მოვლენათა ურთიერთკავშირი, მოძრაობა და მიზეზობრიობა, გრავიტაცია და სინათლის აქტიური ბუნება, ნივთიერებათა აგებულება და ფიზიკური პროცესების ხასიათი – ყველაფერი ეს აქტიურ შემოქმედებით ფუნქციას ასრულებს ნიჰამის ნაწარმოებებში (ჰასანოვი 1989: 12).

ნიჰამის ლირიკულ ლექსში „წინასწარმეტყველის ცადამაღლების შესახებ“ (ნიჰამი 1985: 159) სამყაროს გრანდიოზული სურათია დახატული. სამყაროს ცენტრში არის მზე, რომელიც ცხრავე ცას აერთიანებს და მის ენერგიას ავრცელებენ ვარსკვლავები, ვენერა და მთვარე. ცის სიღრმეებისკენ სვლაში წინასწარმეტყველს თანავარსკვლავედები ეხმარებიან და ასე აღწევს ის მეცხრე ცამდე, სრულყოფილებამდე, უფალი ღმერთის სამყოფელამდე და შემდგომ უკან ბრუნდება. აქ ჩანს, რომ პოეტი კარგად არის განსწავლული ასტროლოგიაში, მაგრამ ლექსში მთავარი აქცენტი პოეტურ შინაარსზეა გადატანილი. ასტროლოგიური ფორმა ემსახურება პოეტური იდეის გადმოცემას.

პოეტური ფუნქცია აკისრია ისეთ მისტიკურ-რელიგიურ რეალიებსაც, როგორც გვხვდება ლირიკულ ტექსტში „მეორე ლოცვა. ქება პირველი“: წინასწარმეტყველმა, რომლის თმებით შეიქმნა მზის სხივები, მორთო და გააღამაზა ცხრა ცა და პლანეტების შვიდეული. ნიჰამი აქაც, უპირველეს ყოვლისა, პოეტია, წარმოსახვის უმაღლესი უნარის მქონე შემოქმედი (ნიჰამი 1985: 162).

როგორც ირკვევა, ნიჰამი განჯელი იცნობდა დედამიწის სფერულობის იდეას. იზიარებდა მას, როგორც ჭეშმარიტებას და სამყაროს აგებულებაზე მსჯელობის დროს არაერთხელ ეხება ამ თემას.

ჯამალ მუსტაფაევის აზრით, დედამიწის სფერულობის იდეას ნიზამი უკავშირებს სამყაროს გეოცენტრულობის თეორიას. ის, როგორც შუა საუკუნეების მოაზროვნე, იზიარებს არისტოტელეს და პტოლემოსის ვარაუდს იმის შესახებ, რომ სფერული ფორმის დედამიწა სამყაროს უძრავი ცენტრია, რომლის გარშემო მოძრაობენ ციური სფეროები. ამავე დროს, ნიზამის, არისტოტელეს მსგავსად, მიაჩნია, რომ ციური სფეროები შედგება უბრალო არსისგან ანუ ეთერისგან, მაშინ, როდესაც „მთვარისქვეშეთი“, მიწიერი სამყარო, რთული არსია და შედგება ოთხი ელემენტისგან (მუსტაფაევი 1962: 45).

„ისკანდერნამეს“ პირველ თავში („ბრძოლა მოსულთან“) მოცემულია ზოლიაქოს ნიშნებისა (თანავარსკვლავედების) და პლანეტების განლაგება იმ მომენტისათვის, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი დაიბადა: მრავალვარსკვლავა ვერძი, რომელიც მუდამ სწავლისკენ მიისწრაფვის, ცოდნიდან საქმეზე გადადის; ტყუპები და მერკური ერთმანეთს ხვდებიან; კუროსა და ვენერას სიახლოვეს გაივლის მთვარე; იუპიტერი მშვილდოსნისკენ მიდის, სასწორს არყევს სატურნის მიახლოება; მეომარი მარსი სულ უფრო და უფრო მალა ადის და შედის თავის მეექვსე, დიდებით აღსავსე სახლში.

სამყარო ერთი მთლიანი ორგანიზმია და ადამიანი ჩართულია მაკროსამყაროს მოძრაობაში. მის ბედს კოსმოსი განაპირობებს. თუ ვარსკვლავთა განლაგება ბედნიერია, მაშინ ნიზამის გმირებიც წარმატებულნი და ძლევამოსილნი არიან. ხოსროვი აკვირდება ვარსკვლავთა წყობას, სწავლობს მათს კანონზომიერებას და ამის მიხედვით გეგმავს გამარჯვებასა და ტახტის დაბრუნებას:

*„როდესაც მთვარე შემობრძანდა თევზის ბურჯიდან,
ფარვიზის მთვარე თვით შაჰობის ბურჯზე ავიდა.
კურომ, ვენერამ, კიბორჩხალმა იმას ამჟამად
ბედნიერება მიანიჭეს დღეს ერთი სამად.
ვერძის სფეროზე დაეკიდა მზე ვითა მძივი,
აჰა, ზუალმაც საქანელას ესროლა სხივი.*

და ოტარიდმა რომ დაიწყო სვლა ტყუპის ხაზით,
მარიხის მიმართ გაემართა იგი თამაშით.
მარიხს გაუვსო კუდიანმა ღვინის ფიალა,
ზუალმაც თვალი ფიალისკენ შეატრიალა“.
(ნიზამი 1964 : 176-177)

ამავე პოემაში („ხოსროვი და შირინი“) ნიზამი წერს, რომ მზე ბრუნავს დედამიწის გარშემო და ყოველი ვარსკვლავი დამოუკიდებელი სამყაროა (ნიზამი 1964 : 7).

პოემაში „ლეილი და მაჯნუნი“ არის თავი „ლოცვა მაჯნუნისა“, რომელშიც მთავარი გმირი, უფალთან ერთად, ვედრებით მიმართავს ცისკრის ვარსკვლავსა და მუშთარს, როგორც ბედის წარმმართველ ციურ სხეულებს:

„მაჯნუნმა ცაზე პირველად
ცისკრის ვარსკვლავი მონახა.
„ჰე, ვისაც ძალგიძს, ბედს უთხრა:
ბედო, შენ ჩემი მონა ხარ!
ეჰა, შენ ცისკრის ვარსკვლავო,
იმედო მოიმედისა,
შენა ხარ ბედის მწერელი
გარდამწყვეტელი ბედისა;
.....
როდესაც ციდან მოწამე
მუშთარმა გადმოიხედა,
ახლა ამ მუშთარს ევედრა,
ხელთ ვედრების დროს იხელთა.
შესთხოვა: „შენ ხარ ვარსკვლავი
ბედნიერების მომგვრელი“...
(ნიზამი 1974 : 282-283)

მსგავსი სქემა აქვს გამოყენებული რუსთაველს „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ თავში – „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“. ავთანდილი მიმართავს შვიდ მნათობს: მზეს, ზუალს (სატურნს), მუშთარს (იუპიტერს), მარიხს (მარსს), ასპიროზს (ვენერას), ოტარიდსა (მერკურს) და მთვარეს. თითოეულს, მაჯნუნის მსგავსად, შემწეობასა და თანაზიარობას ევედრება:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“ (966);
 „მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“ (967);
 „ჰე, მუშთარო, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა ღმრთულსა“ (968);
 „მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“ (969);
 „მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა“ (970);
 „ოტარიდო, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა“ (971);
 „მო, მთვარეო, შემობრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები“ (972);

უდავოა, რომ რუსთაველი პტოლემეოსის კოსმოგრაფიას მიჰყვება. ზურაბ ავალიშვილი ყურადღებას მიაქცევდა იმასაც, რომ რუსთაველი მნათობებისადმი ავთანდილის მიმართვაში პირველ ადგილზე მზეს აყენებს: „ამ სქემაში ერთადერთი ცვლილება რუსთაველმა იმით შეიტანა, რომ პირველად მზე ახსენა. ნამდვილად კი ამ რიგში (მანძილთა მიხედვით) მზეს მეოთხე ადგილი უნდა დაეჭირა, ვინაიდან ზუალ, მუშთარ და მარიხ ჩვენგან მზეზედ უფრო დაშორებულნი არიან“ (ავალიშვილი 1931: 5).

„ვეფხისტყაოსნის“ კოსმოლოგიის განხილვისას ზურაბ ავალიშვილი ახსენებს ნიზამი განჯელის „შვიდ მზეთუნახავს“ და წერს, რომ ნიზამის ამ პოემაში მკაცრად არის დაცული ზემოთ აღნიშნული ასტროლოგიური სქემა, რომელიც პოეტის მრწამსსაც გამოხატავს, მაგრამ მთავარი ისაა, აღნიშნავს მეცნიერი, რომ მნათობთა სიმბოლიკას დაფარული, საიდუმლო მნიშვნელობაც ჰქონდა (ავალიშვილი 1931: 25).

ასტროლოგიური მოძღვრება პოეზიაში ძირითადად მისტიკური თვალსაზრისით არის გაგებული და ამაში გასაკვირი არაფერია. ეს არის ტრადიცია, რომელსაც განაპირობებს როგორც კოსმოსის ფიზიკური შინაარსი, ისე მისი ადამიანური აღქმის წესი. პლოტინე წერს: „პლანეტები და ვარსკვლავები სხვა არაფერია, თუ არა ნიშნები ანუ ასოები, რომლებიც წერია ცაზე, რათა წავიკითხოთ, რა ხდება ან რა უნდა მოხდეს“ (ლოსევი 1980: 663).

ავთანდილიც იმიტომ მიმართავს მნათობებს, რომ კითხულობს მათ ნიშნებს და, ამავე დროს, შედის იმ ჰარმონიაში, რომელსაც მნათობები ქმნიან, კოსმოსურ ჰარმონიაში შესვლით ავთანდილი აღადგენს კავშირს თავის სიყვარულთან – თინათინთან (ნოზაძე 2005: 189).

კიდევ უფრო მისტიკურ გააზრებას გვთავაზობდა ზვიად გამსახურდია, რომლის აზრით, პოემის მთავარი გმირები – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი – ერთმანეთს ასტროლოგიური ასპექტით უკავშირდებიან. უფრო ზუსტად, ეს სამი სახე პლანეტარულად უკავშირდება მზეს – იუპიტერის ასპექტში (ტარიელი), მზეს – მერკურის ასპექტში (ავთანდილი) და მთვარეს (ფრიდონი) (გამსახურდია 1991: 188).

„ვეფხისტყაოსნის“ ასტროლოგიური ანალიზისას აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი მნათობთა რიგის შესახებ. ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება პრობლემას – რუსთაველის კოსმოსი გეოცენტრისტულია თუ ჰელიოცენტრისტული, ანუ პტოლემეოსის სისტემას მისდევს თუ თავისებურ, ახალ სისტემას ქმნის?

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსთაველი ჰელიოცენტრისტია და მოჰყავთ ისეთი მაგალითები პოემიდან, სადაც მზეს უპირატესი ადგილი აქვს მიჩნეული მნათობთა შორის. ყველაზე ხშირად არგუმენტად ასახელებენ ზემოთ მოყვანილ სტროფებს (966-972), აქ ავთანდილი მნათობთადმი მიმართვას იწყებს მზით და შემდეგ მას მოაყოლებს სატურნს, იუპიტერს, მარსს, ვენერას, მერკურსა და მთვარეს.

თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ იქვე, 973-ე სტროფში, რუსთაველი კიდევ ერთხელ ჩამოთვლის მნათობებს, ოღონდ უკვე სხვა თანმიმდევრობით:

*აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.*

რუსთაველის რიგი განსხვავდება პტოლემეოსის რიგისგან. რუსთაველის მიერ მოცემული პლანეტების თანმიმდევრობა სწორია იმ მხრივ, რომ მნათობები დალაგებულია დედამიწის მიმართ მანძილის ზრდის მიხედვით.

ასტროფიზიკოსი გიორგი თევზაძე ამტკიცებდა, რომ რუსთაველი გეოცენტრისტია. მისი გამოკვლევების მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ მზე დედამიწის გარშემო ბრუნავს, ხოლო

მერკური და ვენერა – მზის ირგვლივ. აქედან გამომდინარე, ეს ორი პლანეტა მზესთან ერთად ასრულებს დედამიწის ირგვლივ შემოვლით მოძრაობას (თევზაძე 1979: 104-105).

გიორგი თევზაძის დასკვნით, რუსთაველის შეხედულება სამყაროს აგებულებაზე ასე წარმოგვიდგება:

1. ვარსკვლავიერი ცის სფეროს ცენტრში უძრავად მდებარეობს დედამიწა;
2. მნათობები წრეწირზე მოძრაობენ;
3. ყველა ციური სხეული მოძრაობს თანაბრად;
4. პლანეტები მოძრაობენ მზის ძალის ზემოქმედებით;
5. მნათობთა შორის უპირატესობა ეძლევა მზეს. მისი ძალა, სხვა ციურ სხეულებთან შედარებით, გაცილებით დიდია და ავლენს შემდეგ თვისებებს: აბრუნებს პლანეტებს; მისი გავლენა ამ პლანეტებზე მუდამ ქმედითია; გავლენის სიმძლავრე დამოკიდებულია მზესა და პლანეტებს შორის არსებულ მანძილზე; მზეს აქვს უნარი უსასრულოდ შორს გაავრცელოს მიზიდულობის ძალა.

მოცემულ დებულებათა საფუძველზე ასტროფიზიკოსი გიორგი თევზაძე რუსთაველის პლანეტათა სისტემას ასე წარმოსახავს: სისტემა შემოფარგლულია ვარსკვლავიერი ცის სფეროთი. მის ცენტრში უძრავად მდებარეობს დედამიწა, რომლის ირგვლივ საკუთარ ორბიტალურ მოძრაობას, მთვარის შემდეგ, მზე ასრულებს, ხოლო თვით მზის გარშემო ხუთი პლანეტა მოძრაობს.

მნათობები, დედამიწიდან მათი მაქსიმალური დაცილებისას, მანძილთა ზრდის მიხედვით არიან განლაგებული.

ასე რომ, ამ სისტემას ორი ცენტრი აქვს. პირველი – დედამიწა, ვარსკვლავიერი ცის სფეროს ცენტრი; მეორე – მზე, რომელსაც წრიული ორბიტებით გარს უვლიან პლანეტები (თევზაძე 1979: 109-110).

ამ მოდელს ფიზიკოსები გეო-ჰელიოცენტრულს უწოდებენ, თუმცა ეს ხელს არ გვიშლის, დავასკვნათ, რომ რუსთაველი, ისევე, როგორც ნიჰამი, გეოცენტრისტია.

ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მზესა და მის მხატვრულ ფუნქციას, უნდა აიხსნას რუსთაველის პოეტური აზროვნების თავისებურებით.

ამ კონტექსტს უაღრესად ზუსტი განმარტება მოუძებნა ჩილელმა მწერალმა გუსტავო დე ლა ბოტარომ: „რუსთაველი ამტკიცებს, რომ *sol est mens temperario mundi* – „მზე გონება და ზომიერებაა სამყაროსი“ (ბოტარო 2018: 20).

პოეტი, ასტრონომიის ცოდნის რაოდენ ღრმა შრეებშიც უნდა შეიჭრას, საბოლოოდ მაინც შემოქმედებითი მიზნებისთვის იყენებს ვარსკვლავთა რეალურ ბუნებას.

როგორც პლატონი წერს, ადამიანი ცის თალის „მომხიბლავ სამკაულებს“ უნდა აღიქვამდეს ყველაზე ნატიფ და თვალწარმტაც სამშვენისებად და, ამავე დროს, ცის უხილავ აზრს გონებით უნდა სწვდებოდეს (პლატონი 2017: 56).

ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედებაში კოსმოლოგიურ წარმოდგენებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია. გარკვეულ შემთხვევებში აქ შეიძლება შემეცნებით მნიშვნელობაზეც ვისაუბროთ, მაგრამ მთავარი და გადამწყვეტი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ ასტროლოგიურ მოტივებს ორივე პოეტი ესთეტიკურ ფუნქციას აკისრებს და იყენებს მათ მხატვრული მოდელირების საშუალებად.

დამოწმებანი:

ავალიშვილი 1931: ავალიშვილი, ზ. *ვეფხისტყაოსანის საკითხები*. პარიზი, 1931.

ბოტარო 2018: ბოტარო, გ. „ვეფხისტყაოსანი და მისი მკვლევარი“. ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №44. 30 ნოემბერი, 2018.

თევზაძე 1979: თევზაძე, გ. *რუსთაველის კოსმოლოგია*. თბილისი, 1979.

ლოსევი 1980: Лосев, А. *История античной эстетики*. т.6. Москва: „Искусство“, 1980.

მუსტაფაევი 1962: Мустафаев, Дж. *Философские и этические воззрения Низами*. Баку, 1962.

ნიზამი 1964: ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: „ლიტერატურა დახელოვნება“, 1964.

ნიზამი 1974: ნიზამი განჯელი. *ლირიკა. ლეილი და მაჯუნუნი*. სპარსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო მაგალი თოდუამ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი 1985: Низами Гянджеви. *Лирика. Сокровищница тайн*. перевод с фарси. Собрание сочинений в пяти томах. том первый. Москва: „Художественная литература“, 1985.

ნიზამი განჯელი: Низами Гянджеви. *Искандернаме*. <https://www.rulit.me>.

ნოზაძე 2005: ნოზაძე, ვ. „ვეფხისტყაოსანის ვარსკვლავთმეტყველება“. *თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად გურამ შარაძის საერთო რედაქციით*. ტომი II. თბილისი, 2005.

პლატონი 2017: პლატონი. *სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში*. წიგნი 1. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017.

რუსთაველი 2011: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტის კომენტარების და ანალიტიკური გზამკვლევის ავტორი თამაზ ვასაძე. თბილისი: „დიოგენე“, 2011.

ჰასანოვი 1989: Гасанов, С. *Философская сущность естественно научных возрений Низами Гянджеви*. Автореферат диссертации. Баку, 1989.



**„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული
ხელნაწერი. XVIII ს. S 5006-018v
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)**



**„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული
ხელნაწერი. XVIII ს. S 5006-009v
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)**

ვეფხისტყაოსნის ასტრალური სიმბოლიკის გააზრებისთვის

„ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა, სააზროვნო სისტემებისა და მსოფლმხედველობათა გზაჯვარდინია, შესაბამისად, მასში აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციის ნაკადი ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის და პოეტის შემოქმედებით ხედვაში გარდასახული ორიგინალურ, თვითმყოფად სახეს იძენს, იქმნება მრავალგვარ სფეროთა მომცველი რუსთველური აზროვნების ერთიანი სისტემა. „ვეფხისტყაოსნის“ ასტროლოგია აღმოსავლურ ნაკადს უკავშირდება, თუმცა, რუსთაველი, ჩვეულებისამებრ, მას ახლებური თვალთახედვით აღბეჭდავს.

„ვეფხისტყაოსანში“ ასტრალურ სამყაროს არაერთგვაროვანი დატვირთვა აქვს. მნათობები, მათი შეხვედრა-განშორება, ვარსკვლავნი, ეტლნი და „მიწყვი მზრუნავი ცა“, ესა თუ ის მოვლენა, ასტროლოგიურ შეხედულებებთან ერთად, ესთეტიკური დატვირთვითაც წარმოჩინდება, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული (ვ. ნოზაძე, ზ. ავალიშვილი, გ. იმედაშვილი, ე. ხინთიბიძე, მ. მამაცაშვილი და ა.შ.). აღნიშნულია, რომ რუსთაველი ასტროლოგიური სამყაროს ზედმიწევნით ცოდნას ამჟღავნებს და ამ სფეროსთან დაკავშირებული ყოველი ნიუანსი თუ შტრიხი პოემაში მიზანმიმართულადაა მოხმობილი.

პოემაში მნათობთა შორის უპირატესად მზე და მთვარე მოიხსენება როგორც ასტროლოგიური, ისე – ესთეტიკური თვალსაზრისით. რაც შეეხება დანარჩენ პლანეტებს – ზუალი და მუშთარი ოთხჯერაა მოხმობილი, ოტარიდი – ორჯერ, მარიხი და ასპიროზი – სამ-სამჯერ. პოემაში არაერთხელაა ნახსენები მნათობთა შეყრა-მოშორების მოვლენა, რომელიც ასტროლოგიურ შეხედულებას ემყარება, პოემის მთავარ გმირებს მიემართება და სიმბოლური დატვირთვა აქვს. რუსთაველი მნიშვნელოვანი

მოვლენის დასასურათებლად, მზისა და მთვარის შემდეგ, პლანეტათაგან მუშთარ-ზუალს გამოარჩევს და მათ ტარიელ-ნესტანის სახეებთან დაკავშირებით მოიხსენებს. პოემის მიხედვით, ქაჯეთის ციხის აღებისას ერთად შეყრილმა ავთანდილ-ფრიდონმა ტარიელი მოიკითხეს, გვირაბში გასვლის შემდეგ კი გმირებმა

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1414).¹

რუსთაველი მიჯნურთა შეხვედრას მითოსურ-ასტროლოგიური სურათით წარმოგვიდგენს, რომელშიც მზე-ტარიელისა და მთვარე-ნესტანის შეყრით ბოროტების უარსობას, სიმოკლეს და სიკეთე-სიყვარულის „ხან-გრძლად გაკვლადებას“ საბოლოოდ ამოწმებს. ბოროტება-გველის დამარცხებისა და მზე-მთვარის – ნესტან-ტარიელის, შეყრის მეტაფორული სურათი არაერთგზისაა ყურადღებული სამეცნიერო ლიტერატურაში. აღნიშნულია მისი მხატვრული და ასტროლოგიურ-მითოსური დატვირთვა (ვ. ნოზაძე, ა. ბარამიძე, ე. ხინთიბიძე, რ. სირაძე, მ. მაცაშვილი და სხვ.).

მ. მამაცაშვილი აღნიშნავს, რომ ეს მხატვრული სურათი მთლიანად ასტრალური მითოლოგიითაა გაჟღერებული, „ბრძოლა გველთან უნდა გავიგოთ, როგორც მზის (ლოგოსის) მიერ გველის (ქაოსის) დაძლევა.... მთვარე უძველესი დროიდან არის სულის სიმბოლო, მითოლოგიურად კი მზის სასძლო. მთვარე ანტიეთეზაა მზისა. მზე არის სიცოცხლის წარმმართველი ძალა მამრში და სიყვარულისა მდედრში, მთვარე კი სიცოცხლის წარმმართველია მდედრში და სიყვარულისა – მამრში. ეს ორი მნათობი ავსებს ერთმანეთს...“ (მამაცაშვილი 1972: 81).

რუსთაველის მიერ ტაეპის – „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ – მოხმობა დამაგვირგინებელი აკორდია და, იმავდროულად, გაცხადებაა წინარე ეპიზოდებში ფიქსირებული მხატვრული სახე-მეტაფორებისა, კერძოდ, პოეტი ნესტანის ბედსა თუ უბედობას „გავსებული მთვარის“ გველისაგან ჩანთქმა-ჩაუნთქმელობით წარმოაჩენს –

1 ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ: შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. აღ. ბარამიძის, გ. წერეთლისა, ს. ცაიშვილის რედაქციით. თბილისი, 1988.

„დარჩა მთვარე გველისაგან გავსებული, ჩაუნთქმელი“ (1194);
„რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქმული გველისა!“ (1226).

ამდენად, სრულიად ბუნებრივად აღიქმება რუსთაველის მიერ ქაჯეთის დამხოზის შემდეგ მზე-ტარიელთან გველისაგან გამოშვებული მთვარე-ნესტანის შეხვედრის ამგვარი დასურათება. რუსთაველი აღნიშნულით არ ამოწურავს გმირთა სანუკვარი და საოცნებო მიზნის ასრულებას. პოეტისათვის მზისა და მთვარის სიმბოლიკა, თითქოს, არაა საკმარისი ამ უდიდესი მოვლენის გადმოსაცემად, რაღაც არაჩვეულებრივი, განსაკუთრებულია საჭირო. და მართლაც, რუსთაველი, ჩვეული ოსტატობით, ფაქიზად არჩევს შესატყვის სახე-იდებს; მან ამ შემთხვევისთვის საოცარი და უჩვეული შედარება მოიშველია: ნესტან-ტარიელის შეყრა მუშთარ-ზუალის შეხვედრას მიამსგავსა –

„ეხვეოდნეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლი ღვარნეს;
ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“ (1415).

თუ ქაჯეთის დამარცხებისა და გმირთა შეყრის მხატვრულ სურათში – „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ – მეტაფორათა შინაარსი გახსნილია და პერსონაჟთა სახე-ხატებიც გაცხადებული, ამ თვალსაზრისით, თითქოს ბუნდოვანია ამავე ეპიზოდთან დაკავშირებით რუსთაველისაგან გმირთა შეხვედრის მუშთარ-ზუალის შეყრასთან შედარება („ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“) და ერთობ ჭირს ტარიელ-ნესტანის სახეთა მნათობებთან მიმართების ამოცნობა. ინტერესმოკლებული არ არის გარკვევა იმისა, თუ რომელ მათგანს უკავშირდება მიჯნურთა სახეები, მით უფრო, რომ რუსთაველი პოემაში ყოველ ნიუანსსა და დეტალს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს და მიზანმიმართულად მოიხმობს.

მუშთარი იუპიტერის არაბული სახელია და „დიდი ბედის ვარსკვლავად“ მიიჩნევა (თავის მხრივ, იუპიტერი ზევსის შესატყვისი რომაული ღვთაებაა და ქარის, წვიმისა და ელვის მეხთამტეხელი ღმერთია). „თეოლოგიის ღმერთი“ მუშთარი მნათობთა რიგში მეექვსე ადგილზეა და მეექვსე ცა უჭირავს.

იგი ქვეყნის შემოქმედ და მკვდრეთით აღმადგენელ ღმერთად ითვლებოდა. ასტროლოგიურად, მუშთარი სამართლიანი, ყოვლისმცოდნე, მიუდგომელი, უმწიკვლო მსაჯულია; იგი კარგი ბედის მწყალობელი, სიცოცხლეზე სასიკეთო გავლენის მქონე მეფური ვარსკვლავია.

„ვეფხისტყაოსანში“, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ავთანდილის მნათობთადმი ვედრება ასტროლოგიურ შეხედულებას მიჰყვება.

არაბთა სპასპეტი მუშთარს სამართლიან მოსამართლეს – „მართალსა ბრჭესა ღმრთულსა“ – უწოდებს და სწორედ ამ ნიშნით ითხოვს მისგან „მართალ სამართალ“ მისი და თინათინის გულთა „გაბრჭობისას“; ევედრება მნათობს, რომ მისი სიწრფელე, ერთგულება, სიყვარული არ გაამრუდოს, რადგან „მართალია“. ამიტომაც, ავთანდილი სამართლიანი მუშთარისაგან განკითხვას და წყლულთა შემსუბუქებას ელის:

„ჰე მუშთარო, გაეჯები შენ, მართალსა, ბრჭესა ღმრთულსა,
მო და უყავ სამართალი, გაებრჭობის გული გულსა;
ნუ ამრუდებ უმართლესა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!
მართალი ვარ, გამიკითხე! რად მაწყლულებ მისთვის
წყლულსა?“ (956)

„ამგვარად, მუშთარის მნიშვნელობა ასტროლოგიურია და მისი თვისებანი ერთი ხაზის მოსმით გამოხატული და ძლიერი ხელოვნებით შესრულებული“, – ასკვნის ვ. ნოზაძე ამ ეპიზოდის განხილვისას (ნოზაძე 1957: 86).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსთაველი „კლასიკური პერიოდის სახელოვან ირანელ პოეტთა შორის პოეტური აზროვნების, მხატვრული სახეების, შედარება-მეტაფორების გამოყენების თვალსაზრისით რუსთაველს უფრო მისი უფროსი თანამედროვე ნიზამი უდგება, ნიზამი, რომელმაც საქართველოს მეზობელ შირვანში ბრწყინვალე პოემები შექმნა“ (თოდუა 1969: 95); გამორჩეული, ორიგინალური ხედვა, მხატვრული სამყაროს თავისთავადობა და მრავალმხრივობა, ახლებური აზროვნების წესი აახლოვებს ამ ორ დიდ შემოქმედს.

აღნიშნული, გარკვეულწილად, ასტროლოგიურ ნაკადსაც მიემართება.

ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯუნის“ მთელი ერთი თავი ვარსკვლავიანი ღამის აღწერას ეძღვნება. აქ მუშთარ-იუპიტერი „ბორჯის“ სახელწოდებითაა მოხმობილი, შაჰის სიყვარულითაა დამოწმებული და ბედნიერების გამგეა:

„ბორჯის შაჰის სიყვარულითაა ბეჭედდასმული,
რომელსაც ქვეყნის ბედნიერება უპყრია ხელთ“.

(ნიზამი 1974: 67-68)

მაჯუნნი, ავთანდილისაგან განსხვავებით, შვიდ მნათობ-თაგან მხოლოდ ზუჰრასა (ცისკრის ვარსკვლავს) და მუშთარს ევედრება, სიყვარულში შემწეობას სთხოვს. მაჯუნისათვის „დიდი ბედის ვარსკვლავი“ – მუშთარი – ბედნიერების, სამართლიანობის, ომისა და გამარჯვების გამგეა; მასთან შეხვედრისას მალდდება მისი სული. ამიტომაც მუშთარს, როგორც „ქვეყნის სამართლიანი საქმეებისადმი ერთგულს“, „წყალობის წერილთა მწერალს“ და მთელი სამყაროს დამტევნელს („შენ სახემია გაშლილი მთელი სამყარო“ – ნიზამი 1974: 73) მიჯნური ვედრებით მიმართავს:

„ჩემი ბედი შენგანაა ამაღლებული,
გული ჩემი შენგანაა ძალმოსილი.
შემომხედე წყალობის თვალით,
თუ იცი წამალი, მარგე რა.
განმარიდე უბედურება,
გაკეთე ის, როგორც შეშვენის გმირს.
მიჯნურისაგან რამე ნიშანი მომიტანე,
მიპოვე ვარდნარიდან გადაკარგული ვარდი“.

(ნიზამი 1974: 73)

მაჯუნის ვედრებაში „პირმტკიცე“ მუშთარი ადამიანთა შეწევნის „წიგნის მწერალი“ ვარსკვლავია, ამიტომაც „გვიანი სტუმარი“ – მაჯუნნი – მას ჭირთა და ვნებათაგან დახსნას სთხოვს, რადგან სვე-ბედისა და ძალის მიმნიჭებლად მიიჩნევა:

„ეჰა, მუშთარო, შენ გესავ
შენი სტუმარი გვიანი,
ძალსა და ძლევას შენ მაძლევ,
შენით ვარ თუ ვარ სვიანი“.
(ნიზამი 1974 283)

იმავდროულად, მაჯუნის მნათობისადმი ვედრებაში მუშ-
თარი წარმოჩენილია, ვითარცა „ბედნიერების წყარო“, სამარ-
თლიანობისა და სათნოების ვარკვლავი:

„ვინც მორჭმულობის წყარო ხარ
და ძლევის ნიშნად იქები
ცხრა მთის იქითაც გააძვრეს
მტერს შენი სიქით სიქები“.
(ნიზამი 1974: 284)

როგორც ვხედავთ, მნათობებისადმი ვედრებაში ნიზამი
განჯელისა და რუსთაველის გმირები სიყვარულში შემწეობას,
მიჯნურებთან მოციქულობას ითხოვენ, მათი ბუნების შესატყ-
ვის ქმედებას ელიან და, ამ შემთხვევაში, მუშთარ-ბორჯის (ას-
ტროლოგიური შეხედულების კვალობაზე) მსგავსი სახასიათო
შტრიხებით იხსენებენ (სამართლიანი, ბრჭყე, მიუდგომელი,
მართლად გამკითხავი), თუმცა, მაჯუნის ვედრებაში ბორჯის
გავლენის სფერო უფრო მასშტაბურია; შესატყვისად, მისდამი
თხოვნაც – მრავალმხრივი, ვიდრე – ავთანდილის ლოცვაში.

„ვეფხისტყაოსანში“ მუშთარი ოთხჯერაა ნახსენები, ორ-
ჯერ ავთანდილის მნათობთადმი ვედრებაში, ნესტან-ტარიელის
შეყრისას და, ბოლოს, „მტერთაგან შევიწროებულ“ ინდოეთში
დაბრუნებული ტარიელისა და მოღალატე რამაზ მეფის შეხ-
ვედრისას. ამ უკანასკნელზე შევაჩერებთ ყურადღებას.

„მებრძოლთა მემაჯან“ ტარიელის, არაბთა მეფისა და „მზე
მოყმე“ ფრიდონის წინაშე მუხლმოყრილი, „შმაგთაგანცა უფრო
შმაგი“ რამაზ მეფე მათგან სიკვდილს და ლაშქარის შეწყალებას
ითხოვს, ტირს „ამად, გულ-მდუღარია“. რუსთაველი დასძენს,
რომ „კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მას თანაც არსა...“
(1612) და ტარიელმაც „მრუდი“ საქმე გამართა („ნაქმარი მრუდი

ყველა აწ ჩემგან გამართულია“ _ 1614) და შეიწყალა შეცოდებუ-
ლი. სწორედ ამ ეპიზოდში უკანასკნელად გამოჩნდება მუშთარი:

„ტარიას ჭვრეტად მოსრული მუშთარი ახლოს მჭვრეტია.
რისხვისა ცეცხლი ტარიელს სიტკბოთი დაუშრეტია;
მოვიდეს, ნახეს: რამაზის ლაშქარი ძლივდა ეტია,
ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სვეტია“ (1616).

„ღმერთისვე მსგავსად წადმართული“ ტარიელი „მოტკბა“, „რისხვის ცეცხლი“ ღვთის ნებითა და „დიდი ბედის ვარსკვლავის“, მუშთარის, თანადგომით სიტკბოთი დაშრიტა, რაც რუსთაველის მიერ ბიბლიურ სახისმეტყველებაში დამკვიდრებული ნათლის სვეტის სახე-ხატად აღიქმება. მრისხანება, ქრისტიანული მოძღვრებით, მომაკვდინებელი ცოდვაა. იგი სიკეთე-სიტკბოებით უნდა შეიცვალოს და რუსთაველმა ღვთის ნების აღსრულება სამართლიან, მოწყალე მუშთარს მიანდო და მისი ასტროლოგიური ბუნება მოიშველია. მისი „ახლო მჭვრეტელობა“ ახლომყოფობის მაჩვენებელია და (თავისი ასტროლოგიური ბუნებით) ტარიელს მიემართება. ჭემმარიტი მიჯნურის ზნეობის ყველა ნიშან-თვისებით შემკული ტარიელი, სამყაროდან მოწყვეტისა და ადამიანურ სიამეთა დათმობის ფასად, მიწყვი ეძებს დაკარგულ სატრფოს. ღვთით დაწესებული სიყვარულის მოპოვებისათვის თავს წირავს და იმედგადაწურული სიკვდილს მიეახლება („ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა...“ _ 865; „...სოფლით გაღმა გაებიჯა“ – 865). ტარიელის ამგვარ მიჯნურობას რუსთაველის პროლოგისეული ტაეპი მიემართება – „კარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმობასა“ (26). სწორედ ამიტომია იგი „მართალი“ და ღვთაებრივი მოსამართლის, მუშთარის, თანადგომა-მფარველობის ღირსი. მიჯნურობისთვის „მარტვილობა“ და სიკვდილისათვის მუდმივი მზაობა, გამორჩეული მხედრული შემართება, ტარიელს მართალი ადამიანის ნიშნით აღბეჭდავს. ვვიქრობთ, სწორედ აქედან იღებს სათავეს რუსთაველის ჩანაფიქრი – ტარიელის სახის შედარებისა მუშთართან, მართლისა – მართალთან.

მუშთარი, ვითარცა „ბედნიერების წყარო“, სამართლიანობისა და სათნოების ვარკვლავი, წარმოჩენილია მაჯნუნის მნათობისადმი ვედრებაში:

ვინც მორჭმულობის წყარო ხარ
და ძლევის ნიშნად იქები
ცხრა მთის იქითაც გააძვრეს
მტერს შენი სიქით სიქები“.
(ნიზამი 1974: 284)

მუშთარი, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ლეილისა და მაჯნუნის“ ზემოაღნიშნული სტროფებიდან როგორც ირკვევა, გმირთა ბედის მოსარჩლე, მათი თანამდგომი და კეთლისმყოფელი პლანეტაა. ამ შემთხვევაში მას, როგორც „მართალსა ბრჭესა ღმრთულსა“, ღვთაებრივი სამართლის, „უმართლესის“ განკითხვისა და განმკითხველის ფუნქცია აკისრია. პოემებში მუშთარი მართალი ადამიანების ქომაგია როგორც ჭეშმარიტი სიყვარულისა და მშვიდობის, ისე ომიანობის დროს.

მუშთარისა და ტარიელის სახეთა ურთიერთმიმართების არსებობას საფუძველს უმყარებს ზ. გამსახურდიას თვალსაზრისი: „ფუძე თარ პალეომედიტერანული, პალეო-კავკასიური და მცირეაზიული ენობრივი სამყაროდან მოდის და წარმოადგენს მისტერიათა საკრალურ სიტყვას, ღვთაების სახელს, კერძოდ, მცირეაზიული ტარჰუს, ჭეჟა-ქუხილის და ამინდის ღვთაების სახელწოდებას, რომელსაც ვეფხისტყაოსნად გამოსახავდნენ უძველეს მცირეაზიურ ანუ პროტოქართულ მისტერიებში და საკულტო მღვიმეებში“ (გამსახურდია 1991: 245). აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ტარიელს სახელდებაში ტარ-ფუძის არსებობა და მისი ვეფხისტყაოსნობა კიდევ ერთი ასპექტია მუშთართან მსგავსებისა.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ ნიზამი თავის პერსონაჟს ლეილს მუშთარს ადარებს (რაც იშვიათად გვხვდება ამ პერიოდის ტექსტებში). ლეილი, რომელიც არ იმჩნევს მაჯნუნის ტროფობას, პოეტის თქმით, მუშთარს ემსგავსება, ალბათ, როგორც ბედნიერების მომტანს:

„მაგრამ იმ მთვარის გარშემო
მისი ტრფიალით უშტარი
ვითა მუშთარო, მოჯარდა
ასი სასიძო – მუშტარი“.
(ნიზამი 1986: 237)

ნიზამი განჯელი მუშთარს კიდევ ერთხელ წარმოგვიდგენს „შვიდ მზეთუნახავში“ წითელი სასახლის ამბის გადმოცემისას, რუსთა მეფის უმშვენიერესი ასულს ყველა სხვა სიკეთესთან ერთად – „...მუშთარისაგან შეეძინა გულოვანება“ (ნიზამი 1986: 106).

„ვეფხისტყაოსნის“ მუშთარ-ზუალის შეყრის მეტაფორულ სურათში ტარიელის სახის მუშთართან მიმართებას თუ დავუშვებთ, მაშინ ნესტანის სახე-ხატად ზუალი უნდა მივიჩნიოთ.

მუშთარის ზემოთ, მეშვიდე ცაზე, რიგით მეშვიდე მნათობი ზუალია, იგივე სატურნ-კრონოსი. იგი უშორეულესი და უმაღლესი შავი მნათობია, ასტროლოგიურად, ძალმომრეობის და დაცემის უფალია, ჭირ-ვარამის, მწუხარების მიმნიჭებელი. განადგურება, დამხობა, აღმოფხვრა მას მიეწერება. არაბული ასტროლოგია სატურნსა და მარსს ერთად „უბედურების შავ ვარსკვლავს“ უწოდებს და მათ უპირისპირებს ორ ბედნიერ ვარსკვლავს – ვენერასა და იუპიტერს.

ზუალ-სატურნის სინათლე ბუნდოვანია, მისი მოძრაობა ყველა პლანეტაზე მეტად, შენელებული, რაც, ძველთა წარმოდგენით, მის სიმძიმესა და სიტლანქეზე მიანიშნებდა; იმავდროულად სიმსუბუქესა და სათნოებასაც მიაწერდნენ, რადგან სამყაროს უმაღლეს სფეროში იყო მოთავსებული. „...სატურნს სახავდნენ გონიერ, ფრთხილ, უხეშ და მოწყენილ მოხუცად, რომელშიაც ინტელექტუალური მონაცემები ბატონობდა ფიზიკურ შესაძლებლობაზე და მას პლანეტარული სამყაროს ტვინად თვლიდნენ...“ (ხინთიბიძე 1975: 81-82).

მზის შემდეგ ავთანდილი ზუალს მიმართავს. გმირის თხოვნა ამ მნათობის ასტროლოგიური ბუნების ცოდნას ემყარება. იგი „ხშირი სიბნელით“, მწუხარება-კაემნით დამტვირთველი, დამამძიმებელია; თავად შავი ვარსკვლავი, ადამიანის „გულის შავად შემღებავი“ და სიბნელე-წყვედიადის მომგვრელია. ამგვარი კონტექსტით ხშიანდება ავთანდილის ლოცვა ზუალისადმი. სპასპეტი ცრემლის, ჭირის მომატებას, ტვითმძიმე „კაემნის შეყრა“ ევედრება და, როგორც ყველა მნათობს, ზუალსაც სიყვარულში მოციქულობას სთხოვს:

„მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,
გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც ხშირსა,
შემომყარე კაეშნისა, ტვირთი მძიმე, ვითა-ვირსა,
მას უთხარ, თუ: “ნუ გასწირავ, შენია და შენთვის ტირსა“ (955).

ქარანელთა სწავლის მიხედვით (ნოზამე 1957), სატურნი ბოროტი, მატყურა და მეტად საშიშია. იგი მიაწინებს ყველაფერზე, რაც ბოროტებასთანაა დაკავშირებული. მძიმე განცდა, მრისხანება, უსიამოვნება, სიცრუე, ეჭვი – მისი თვისებებია. ქარანელთა სწავლება ზუალისადმი შესასრულებელი ვედრების წესსაც ითვალისწინებს – „შეასრულე ეს ვედრება, როდესაც ხარ შენ მოწყენილი, ან როდესაც გტკივა შენ შავი ნაღველი. მოთხოვე მას სატურნუსს ყველაფერი ის, რაც მის ბუნებას შეეფერება, და მოიწვიე მერმე ამავე დროს იუპიტერი, რომელიც იმას, რასაც სატურნუსს აფუჭებს, მას გამოასწორებს, ხოლმე“ (იქვე: 96). ზუალის ასტროლოგიური მნიშვნელობა და ნიშან-თვისებანი რუსთაველს, მხატვრული განსახოვნების კვალობაზე, თითქმის უცვლელად გადმოაქვს. „ვეფხისტყაოსანშიც“ ავთანდილის ზუალისადმი ვედრება ეხმიანება ქარანელთა სწავლებას – ავთანდილი, უდიდესი სულიერი ტკივილის ჟამს, ზუალს მისი ბუნების შესატყვისი თხოვნით მიმართავს და შემდეგ კი მუშთარს, „დიდი ბედის ვარსკვლავს“, მოიხმობს და შველას მისგან ელის, მით უფრო, რომ იგი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს „უბედურების შავ ვარსკვლავზე“.

ნიზამი განჯელის „ლეილსა და მაჯუნში“ ქეივანი-ზუალი შაჰის ერთგულ და სიყვარულით გამსჭვალულ პლანეტადაა წარმოდგენილი, რომელიც მუდმივ საომარ მზადყოფნაშია:

„ქეივანი შაჰისადმი დიდი სიყვარულით
განმსჭვალული მახვილს ლესავს“.

(ნიზამი 1972: 68)

„ვეფხისტყაოსნის“ ზუალ-კრონოსიც ხომ ომის, დამანგრეველი ძალის მპყრობელი, ხმალშემართული მეომარია.

სპარსულ-ტაჯიკური პოეზიის პირველი დიდი პოეტი რუდაქი თავის „სიბერის ელეგიაში“ მოიხსენებს „უბედურების შავ

ვარსკვლავს“ – ქეივან-ზუალს და თავდაპირველად მას მიაწერს სიყმაწვილის, ახალგაზრდული იერის, დაკარგული ბედნიერების დაკარგვას, შემდგომ კი – უფლის განგებას:

„როგორ დამნავსა ზუალმა,
როგორ ავიკელ ამ ცითა!
არც ზუალს ვერჩი არაფერს,
არც ჟამთა მახის დაგებას,
ეს ვისგან მოხდა მე გეტყვი,
ეს იყო უფლის განგება“.
(რუდაქი 1977: 129)

ზუალი ავთანდილში შიშსა და ძრწოლას არ აღძრავს, პირიქით, თავად „სევდისა მუფარახი“, „ცნობიერთა დასტაქარი“, „ბუნება-ზეარი“ სპასპეტი გულუშიშრად ითხოვს ჭირთა გამრავლებას, კაეშნით დამძიმებას და დათმენის რწმენით აღვსილი, განსაცდელს სიყვარულით სავსე გულით, სულიერი მზაობით დაუხვდება. ავთანდილი ვედრების დასრულების შემდეგ მნათობთა კეთილისმყოფელ გავლენასა და თანადგომას იმოწმებს:

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან:
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან“... (961).

პლანეტათა წესსა და რიგს, მათს ზემოქმედების ძალასა და მოქმედებას „ვეფხის ტყაოსანში“ ღმერთი განაგებს. მიჯნური ავთანდილის განცდათა მნათობთაგან „დამოწმებისა“ და მათი „დაბნედის“ მიღმა უზენაესის ნება ვლინდება ისე, ვით მაჯნუნის ვედრებაში.

„რუსთაველი ნიზამის მსგავსად ვარსკვლავური ცის აღწერისას ფართოდ და ლაღად იყენებს ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ცოდნას. მისი საშუალებით ქმნის იგი რთულ პოეტურ მეტაფორებს, რომელთა სრული გახსნისათვის სამი პლანია გასათვალისწინებელი: პოეტური, ასტრონომიული და ასტროლოგიური“ (იმედაშვილი 1968: 77).

მართალია, გამიერებს შვიდივე მნათობი მფარველობს, მაგრამ, ასტროლოგიური შეხედულებით, გამორიცხულია ზუ-

ალის სიკეთისმფენელი და დამანგრეველი ბუნების ერთდროულად გამოვლენა. საფიქრებელია, რომ რუსთაველი ასტროლოგიურ მონაცემებს მხატვრული შინაარსით ტვირთავს და მიზანმიმართულად მოიხმობს კრონოსის ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებს. რუსთაველის კოსმოლოგიური თვალსაზრისით, ღმერთია მნათობთა მამომრავებელი და ამქვეყნიური სინამდვილისკენ წარმმართველი. ამდენად, ამ შემთხვევაშიც, ღმერთის ნებაა ზუალის ორმაგი ბუნების გამჟღავნება, რადგან უნდა აღსრულდეს დებულება: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, რაც ნესტანის გათავისუფლებას, გველშაპისაგან დახსნასა და დარღვეული ჰარმონიის აღდგენას, გაყრილი სიყვარულის საბოლოოდ შეყრას, გულისხმობს. ქაჯეთის განადგურების, დამხობის პირველმიზეზი ნესტანია და, ვფიქრობთ, რომ მეფე-ქალის ზუალთან მიმართების ამოსავალიც აქ უნდა მოინახოს. პოემაში ამ ურთიერთკავშირს გარკვეული წანამძღვრები ეძებნება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზუალი შავი ვარსკვლავია (მისი ფერია შავი) და ძველთა წარმოდგენით, „უბედურების დიდი ვარსკვლავია“; ყველა დიდი უბედურება: ცრემლი, ჭირი, საპყრობილე, კრონოსისაგან მომდინარედი ითვლებოდა. „სატურნი ყველა სხვა ნიშნით დამხობილ ღმერთს მიაგავდა, რომელიც თითქოსდა ტყვეობაში იმყოფებოდა. ეს შთაბეჭდილება იმდენად სარწმუნო იყო, რომ ასტრონომიის სისტემატური კურსის ერთ-ერთ ფუძემდებლის კ. ფლამარიონის ცნობით, ვიქტორ ჰიუგოს 1879 წელს მასთან პირად საუბარში დაწმუნებით უთქვამს, რომ სატურნი სხვა არაფერი შეიძლება იყოს თუ არა საპრობილე, ან ქვესკნელიო“ (ხინთიბიძე 1975: 81-82).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ზუალ-კრონოსის ბუნებას (მხსნელსა და დამამხობელს), სიმბოლურად, ნესტანის სახე ესადაგება და მსგავსებაც თვალნათელია. მისი სიყვარული ამამალლებელი და, იმავდროულად, ყოვლისდამამხობელი, „სიკვდილს მიმაახლებელი“ გრძნობა აღმოჩნდა (ზუალი-მხსნელი და დამამხობელი). მეზრდოლი ბუნების, ვეფხვისდარი ნესტანი თავისი ქმედებით გარესამყაროს დაუპირისპირდა; წინ აღუდგა ფარსადანის გადაწყვეტილებას, ხვარაზმშას ქმრობას და დავარის თვითმკვლელობის უნებლიე მიზეზიც გახდა. ნესტანი

ქაჯეთის ტყვეა, ტყვეობა ხომ ზუალს მიეწერება და მეფე-ქალიც ტრაგიკული სიყვარულის ტყვეა, მუდმივი ჭირისა და ცრემლის თანაზიარი, გველშაპის მიერ ჩანთქმული და სიბნელეში მყოფი. მისთვის სიკვდილი ღებნაა და იმედი „მუნ შეყრისა“. ამდენად, ნესტანი ზუალის ასტროლოგიური ბუნების თანაზიარია. „გულის შავად შემღებავი“ ზუალის შავი ფერი ნესტანის ბედის მსგავსი შავი რიდის სიმბოლიკაშიც იხილვება („თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია“, 1286). ამასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ზ. ავალიშვილი, როდესაც ნიზამი განჯელის „შვიდი სურათის“ („ბარამგურაინის“) შესახებ მსჯელობს: „შვიდ დღეთა რიგი, თავიანთი პლანეტით, ისახება როგორც რიგი სულის ნაბიჯთა ღვთის მისაღწევად. პირველი დღე ეკუთვნის ზუალს (შაბათი); მისი ფერი შავია – შავი რიდე ჰვარავს ღვთაებას კაცის სულისაგან, როცა მას ჯერ წვრთნა აკლია...“ (ავალიშვილი 1931: 25-26). შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ნესტანი სიყვარულის ძალით აღვსილი, „ღვთისაგან სასწაულად“ ხმოზილი შავი რიდის მეშვეობით შემოზღუდულია გარემომცველი სინამდვილის უკეთურებისაგან და იმ ადამიანთაგან, რომელნიც სულის სიმაღლით თვალს ვერ უსწორებენ, ვერ ცნობენ და მხოლოდ ვარაუდით ხსნიან მის შინაგან სამყაროს:

„ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების,...
ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ღებნი ღებნად უჩანს, არცა ჭირი ზედა-ზედი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი“ (1193).

ზუალ-კრონოსთან ნესტანის სახის მიმართების საფუძველს იძლევა პოემის კიდევ ერთი პასაჟი, კერძოდ, ფრიდონისაგან ტარიელისთვის ნაამზობი „ერთი რამე საკვირველის“ ნახვის შესახებ, რომელიც ქაჯთაგან დატყვევებული ნესტანის ხილვის ამბავს უკავშირდება. ნესტანის თვალშეუდგამი სილამაზით აღფრთოვანებული ფრიდონი ამბობს:

„მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა ვეცი“ (623).

ამ ტაეპთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხადასხვაგვარი მოსაზრებაა გამოთქმული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატურნი, რომელიც სამყაროს უმაღლეს ნაწილში იყო მოთავსებული, ნელა მოძრაობდა. ამასთანავე მასში სიმსუბუქეს, სათნობასა და ცეცხლის ბუნებასაც ხედავდნენ. „ამიტომაც ძველი ადამიანები სატურნს დაბერებულ, გაცივებულ, და შენელებულ მზედ მიიჩნევდნენ და ხილული სამყაროს ამ საკვირველებას, ზოგჯერ ღამის მზეს უწოდებდნენ“ (ხინთიბიძე 1975: 81-82). ცნობილია, რომ სატურნს სხვა ვარსკვლავთაგან განსხვავებით, სფეროს ირგვლივ ორი ვებერთელა მოკაშკაშე ბრტყელი რგოლი აქვს შემოკრული.

ვ. ნოზაძის განმარტებით, ფრიდონმა იხილა იგი მთვარე-ნესტანი; და ამ მთვარეს მეშვიდე ცას მივცემდიო. მთვარეს ეკუთვნის პირველი ცა; მეშვიდე ცა ეკუთვნის კრონოსს (სატურნუს, ზუალი). შვიდი ცის მოძღვრებით, მეშვიდე ცა არის უმაღლესი ცა-კრონოსისა, რომელიც ასტროლოგიაში ღამის მზედ ითვლება. ამგვარად ფრიდონი ამბობს – კიდობანში მჯდომი ქალი-მთვარე თავისი სილაამაზით მეშვიდე ცის მნათობი სატურნუსი (კრონოსი, ზუალი) იყო. მაშასადამე ნესტანი იყო ღამის მზე-სატურნუსი“ (ნოზაძე 1957: 48).

ს. ცაიშვილის (ცაიშვილი 1974) ვარაუდით ამ ტაეპში, ფრიდონი ნესტანისათვის მეშვიდე ცის ჩუქებაზე, არდაშურებაზე საუბრობს. ე. ხინთიბიძე (ხინთიბიძე 1975), კონტექსტის მიხედვით, მეშვიდე ცასთან მსგავსებას თვლის მიზანშეწონილად და არა – მეშვიდე ცის ჩუქებას. მას ძალზე უცნაურად მიაჩნია ნავში ჩასვენებული მთვარე ნესტანის სატურნთან მიმსგავსება. ე. ხინთიბიძისვე განმარტებით (ხინთიბიძე 1975), როცა სატურნის ორი მანათობელი რგოლი მთელი სიბრტყით ჩანს, ეს მნათობი სასწაულებრივად ჰგავს ნავში ჩაშვებულ სავსე მთვარეს. ამასთანავე, როგორც ე. ხინთიბიძე შენიშნავს, სატურნი იდუმალი მნათობია, ფრიდონიც გაკვირვებული იყო სანახაობით და უშორეს პლანეტად აღიქვა შორს, უსაზღვრო ზღვაში მანათობელი ნესტანი.

ასტროლოგიურად, მუშთარ-ზუალის ერთად დგომა იშვი-
ათი მოვლენაა და დიდი ბედნიერების მომასწავლებელია. აღ-
ბათ, სწორედ ეს შინაარსი (ბედნიერების აღსანიშნი მოვლენა)
დაედო საფუძვლად თეიმურაზ I-ის მიერ ნათარგმნი პოემის
– „ლეილ-მაჯუნისანის“ – ერთ სტროფს; კერძოდ, ლეილისა და
მაჯუნის შობასთან დაკავშირებით აქ ნათქვამია:

„პირ-მეტყველთა მარგალიტთა მათ სადაფი აღმოშობდეს,
კრონოს, ზევსი, ოტარიდი სინათლეთა მათ უძღნობდეს,
მუნა მყოფნი პირ-მთვარენი იმღერდეს და თამაშობდეს,
და – „მზე და მთვარე დაჯუფთილან, მათგან არსო“ –

ამას ხმობდეს“.

(თეიმურაზ I 1933: 24)

ამ ერთი სტროფის თარგმანი გმირებს „პირ-მეტყველთა
მარგალიტთა“ ამსგავსებს, სადაფის წიაღთაგან (მშობელთაგან)
შობილებს. მარგალიტთან „პირ-მეტყველის“ ეპითეტის ხმარება
ჩვენს ხელთ არსებულ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია. შე-
საძლოა, ამ მეტაფორულ სურათში იგი აზრის სიცხადისათვისაა
მოხმობილი, მარგალიტის მიღმა დაკონკრეტებულია ლეილისა
და მაჯუნის წყვილთა არსებობა, მკითხველისათვის გაცხადე-
ბულია მისი შინაარსი; გმირთა შესამკობად სტროფის ბოლო სამ
ტაეპში კი ასტროლოგიურ სამყაროა წარმოდგენილი, რათა მას-
შტაბურობით, ზეციური სამყაროს ყოვლისმომცველობით გან-
გვაცდევინოს გმირთა დაბადების მოვლენა, შეგვავრძნობინოს
მათი გამორჩეულობა და შეუდარებლობა, მათი სწორფერობა
კი მზისა და მთვარის „დაჯუფთებიტა“ აღნიშნული. მუშთარ-
ზუალთან მიმართებით საინტერესოა სტროფის მეორე ტაეპი,
რომელშიც მნათობთაგან ლეილისა და მაჯუნის შობის და-
სასურათ-ხატებლად მოხმობილია კრონოსი, ზევსი და ოტარიდი,
ვითარცა გმირებისათვის სინათლის მფენნი. კრონოსი, როგორც
უკვე აღვნიშნეთ, იგივე ზუალია (სატურნია), ხოლო ზევსი –
მუშთარი (იუპიტერი). ამ შემთხვევაში მუშთარისაგან, ვითარცა
„დიდი ბედის ვარსკვლავისაგან“, ბედნიერებისა და ნათლის
„ძღვნობა“ (რაც ასტროლოგიაში ამ პლანეტისათვის ერთ-ერთი

მთავარი მახასიათებელია) არაა გასაკვირი, მაგრამ კრონოს-ზუალის – „უბედურების შავი ვარსკვლავის“ – მოხმობა, ასტროლოგიური თვალსაზრისით – შეუსაბამო. მათი ერთად მოხმობა, შესაძლოა, მუშთარ-ზუალის ერთად შეყრის, როგორც უჩვეულო, არაჩვეულებრივი მოვლენის წარმოჩენის გააზრებით აიხსნას, ამასთანავე – რუსთაველის გავლენითაც. თუ გავითვალისწინებთ ლეილისა და მაჯუნუნის „უბედო ბედს“, მაშინ ზუალისა და მუშთარის ერთად ხსენება, სიმბოლური აზრით, გამართლებული ჩანს.

მუშთარისა და ზუალის პლანეტები ერთად იხილვება თეიმურაზის ნათარგმნ პოემაში „იოსებზილიხანისანი“; კერძოდ, ერთ თავში – „იოსების და ზილიხანის ერთგან შეყრა და მეფისაგან შეტყობა“ – როდესაც დალატით განრისხებული მეფე ზილიხას „დაალურჯებს“ (ეს ეპიზოდი დავარისაგან ნესტანის „დაალება, დალურჯების“ სცენას ჩამოჰგავს), კვლავაც ციურ ვარსკვლავთა წყება იხილვება:

228. „მზემან ნახა ეგრე მყოფი, მისთვის გული დაეწო-და
მთვარემ იცა პირსა ზედა, მუნით ლები დაეტყო-და,
ეთერი და მუშთარ-ზუალ ცრემლთა ღვარსა დაელტო-და,
და მისთა წყლულთა საკურნებლად ასპიროზცა მისკენ რბოდა“.
(თეიმურაზ I 1933: 88)

მნათობთა წუხილი, შემფოთება აქ გმირისთვის თანალმობის, თანაგანცდის წარმოსაჩენად იხატება; ადამიანის გრძნობა-განცდათა თანამონაწილედ აღიქმება, თითქოს ზეციური მიწიერს სწვდება და ითავსებს. ამგვარი განსახოვნება იმავდროულად მოვლენას მასშტაბურობას სძენს, თითქოს არაა საკმარისი ამქვეყნიური ქმედებითა და სიტყვით მისი წარმოჩენა (რაც წინ უძღვის ზემოაღნიშნულ სტროფს), რომ მთელი ზეციური სამყაროა გმირთა ბედის გამზიარებელი.

დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნი“ მუშთარ-ზუალის შეხვედრის სურათს. „ვეფხისტყაოსნის“ ზემოაღნიშნული ეპიზოდებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის მიერ ტარიელ-ნესტანის

სახეთა მუშთარ-ზუალთან თანაზიარობის „შეფარვით“ წარმოჩენა შემთხვევითობას არ წარმოადგენს. ეს პლანეტები, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ასტრალური სამყაროს სხვა მნათობები, გმირთა ოდენ ბრწყინვალეების, მშვენიერებისა და მეფური სიდიადის ჩვენებას როდი ემსახურება, მათი შინაგანი ემოციის, განცდის, რთული ფსიქოლოგიური სამყაროს გამომხატავი მოდუსებია. რუსთაველი მიწიერს ზეციურობით ტვირთავს და ზეციურობას მიწიერებაში განასახოვნებს.

გმირთა შეხვედრის მუშთარ-ზუალის შეყრასთან შედარება მხოლოდ ტარიელ-ნესტანის შინაგანი სამყაროს ამ პლანეტებთან მსგავსებით არ აიხსნება. მისი სახისმეტყველებითი შინაარსის და რუსთაველის „ხელოვანების“ ამოცნობა ამ მნათობთა ასტროლოგიური ურთიერთმიმართებით, მათი ბუნების ნიშნების სიმბოლური დატვირთვის ჩვენებითაა შესაძლებელი. ასტროლოგიური სწავლებიდან ცნობილია, რომ ამა თუ იმ მნათობის ზემოქმედების უნარი ცაზე სხვა პლანეტის შეხედვის კუთხით, ძალის სიჭარბითა და გავლენის უპირატესობით განისაზღვრება. ამიტომ შესაძლებელია ამა თუ იმ მნათობის ძალის შესუსტებაცა და უარყოფითი მუხტის გაბათილება. აქედან გამომდინარე, ზუალის უარყოფითი ენერგია, უბედურებისა და ყოველგვარი ჭირის მომავლინებლის ქმედება დაითრგუნება დიდი ბედის ვარსკვლავის, მუშთარის, ძლიერი პოზიციით, რაც სიკეთის მაუწყებელია; ქარანელთა სწავლებაც (ნოზაძე 1957) ხომ ამას მოწმობს – ზუალისადმი ვედრების შემდეგ ადამიანმა მუშთარს უნდა მოუხმოს, რათა ამ უკანასკნელმა კეთილი გავლენა მოახდინოს „უბედურების შავ ვარსკვლავზე“ და მთხოვნელს სურვილი აუსრულოს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დღიური ვარსკვლავები – მზე, მუშთარი და ზუალი, თავის საუკეთესო გავლენას დღისით ახდენენ, რაც ქაჯთა სამეფოზე გამარჯვების სურათში აისახა. ავთანდილის მნათობთადმი ვედრებაშიც ასევეა წარმოდგენილი დღიურ ვარსკვლავთა ეს რიგი, ვითარცა სიკეთისა და ბედნიერების საწინდარი. შვიდივე პლანეტა ემოწმება ავთანდილს სიყვარულში და შვიდივე მნათობი „ნათლის სვეტით ფარავს“ სამ გმირს ბოროტებასთან ბრძოლაში და ამ შვიდი მნათობიდან რუსთაველმა მუშთარ-ზუალი აირჩია ტარიელ-

ნესტანის შეხვედრის დასასურათხატებლად. ასტროლოგიურად, მუშთარ-ზუალის ერთად დგომა იშვიათი მოვლენაა და დიდი ბედნიერების მომასწავლებელია.

მეცნიერ-მკვლევართა უმრავლესობა მუშთარ-ზუალის შეყრის ეპიზოდს ყოველგვარი შესწორების გარეშე განიხილავს და სწორედ პლანეტათა ამ მიმართებას რუსთაველის მხატვრულ ჩანაფიქრად მიიჩნევს. აღნიშნულს, ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, დავძენთ, რომ ნესტან-ტარიელის შინაგანი სამყაროს ერთგვარი კავშირი და მსგავსება მუშთარ-ზუალის ასტროლოგიურ ბუნებასთან სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ ტრადიციულ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს. ყოველივე ზემოაღნიშნული მუშთარ-ზუალის ასტრალური სამყაროდან გამორჩევის საფუძველი და ღვთაებრიობისკენ მიმსწრაფი სიყვარულის დამოწმების სიმბოლო შეიძლება გამხდარიყო.

მუშთარ-ზუალის შეყრა პოემაში სიმბოლოა არა მარტო მათი ბუნების თანაზიარ მიჯნურთა სანუკვარი შეხვედრისა, არამედ ნესტან-ტარიელის „უბედო ბედისა“ და ღვთივმიმადლებული ბედნიერების დამტყვენელი მხატვრული სახეა. ამასვე წარმოაჩენს „ვეფხისტყაოსნის“ ფერთა სიმბოლიკაზე თვალის გადევნებაც. ზუალი ერთადერთი პლანეტაა, რომელიც სფეროსებურ გარსს არ წარმოადგენს. მას, „შავ ვარსკვლავს“, ირგვლივ ორი მოკაშკაშე რგოლი აქვს შემოვლებული. ელვის მპყრობელი, უდიდესი ნათლის მფენელი, „ბედნიერების ვარსკვლავი“ – მუშთარი კი ოქროსფრად ბრწყინავს. ამდენად, მუშთარ-ზუალის ფერებიც შავ-ყვითელი ვეფხვის ტყავისა და ნესტანის „პირ-ოქრო“ შავი რიდის სიმბოლიკას მიემართება, რაც ამ პლანეტათა შესატყვისად, ბედნიერება-უბედურების გამაერთიანებელი სახე-იდეაა. ასტროლოგიაში ზუალს სითხეებიდან ნაღველი ეკუთვნის, მუშთარს – სისხლი, რასაც ნესტან-ტარიელის გულის სისხლთა და „სისხლის ცრემლთა“, ნაღველისა და „სიკვდიმდე გასატანი“, სისხლსავსე მიჯნურობის არსი მიემართება. მუშთარ-ზუალის შეყრის მხატვრულ სურათში, მათი ასტროლოგიური ბუნების შესატყვისად, იკვეთება პრინციპი: ბედნიერება ტანჯვის გზით, რაც „ვეფხისტყაოსანში“ არაერთხელაა დამოწმებული: „...ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!“ (886), „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (167) და ა. შ.

რუსთაველი, როგორც ვხედავთ, ანტინომიის პრინციპს იყენებს: ნათელი-ბნელი, სიხარული-მწუხარება, სისხლი-ნაღველი, სიცოცხლე-სიკვდილი. ამას ასტროლოგიურად მუშთარის პასიური და ზუალის აქტიური ბუნება და კონტრასტული თვისებებიც ემატება: ზუალის სიცივე და გვალვა, მუშთარის – სიხე და ზომიერი ნოტიოობა; თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მუშთარი ცეცხლისა და წყლის სტიქიის პლანეტაა, ზუალი – მიწისა და ჰაერის, მათი შეერთებით სამყაროს შემადგენელი ოთხივე ელემენტის კავშირი ხორციელდება, ე. ი. მყარდება ჰარმონია, ხდება დარღვეული კავშირისა და მთლიანობის აღდგენა, იმ დარღვეული კავშირისა, რომელსაც თავად ტარიელი აღიარებს ავთანდილის წინაშე: „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთივარ სულთა სირასა“(881); ნესტანი კი ქაჯეთის ციხიდან მიჯნურთან გაგზავნილ უსტარში ტარიელს სთხოვს:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“... (1299).

ამდენად, მუშთარ-ზუალის შეყრით და სამყაროს შემადგენელი ოთხი ელემენტის შეერთებით, სიმბოლურად, ნესტან-ტარიელის სულით ხორცამდე აღდგენა და გამთლიანება ხორციელდება. ამ მნათობთა შეხვედრით, თითქოს დამთავრდა ტარიელსა და ნესტანზე მათი დამოუკიდებელი ქმედების ხანა და ასპარეზი. მუშთარ-ზუალის შეყრა წარსულისა და აწმყოს დრო-სივრცული გადაკვეთის წერტილია, გმირთა ბედის წაღმა ტრიალის, გამარჯვებული სიყვარულის, ჰარმონიის წინასწარ-მეტყველური ნიშანია, რომელშიც „მომავლის ხატი“ იხილვება. პოემის დასასრულს ეს ჰარმონია მთავარ გმირთა „საბრძანისში“, სახელმწიფოთა ცხოვრების სურათში იხილვება:

„შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“.
(1661)

მუშთარ-ზუალის შეყრით წარმოდგენილ გმირთა შეხვედრის მხატვრულ სურათში, შესაძლოა, რუსთაველის კიდევ ერთი „შეფარვით“ ნათქვამი ამოვიცნოთ. ასტროლოგიურად, ამ

მნათობთა შეხვედრა იშვიათი მოვლენაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოც წელიწადში ერთხელ ხდება და უმშვენიერეს სანახაობას წარმოადგენს. პოემაში ნესტან-ტარიელის ცხოვრება: შეხვედრა, შემდეგ დაშორება, რაც კვლავ მიზრუნების მომასწავებელია, ცაზე მუშთარ-ზუალის დაუსრულებელი შეყრა-განშორების სურათს იმეორებს; გამარჯვებულ მიჯნურთ მხოლოდ სიკვდილი გაყრით და კვლავ „მუნამცა შეიყრებიან“. მნათობთა და გმირთა ამ საერთო დრო-სივრცულ ხაზს ვ. ნოზაძის შეხედულებაც ესადაგება: „...მნათობნი აქ არიან მსოფლიო მეფენი ან მეფის წულნი და არც ერთი სხვა ვინმე... მნათობნი არისტოკრატიულ წრეს ეკუთვნიან, ვით მეფენი“ (ნოზაძე 1957: 58).

„ვეფხისტყაოსანში“ ასევე ყურადღებას იქცევს მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის „თანაშესწორება“, მათი შეხვედრა-განშორების ერთი ეპიზოდი, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა აქვს.

პოემის დასასრულს ნესტანისა და თინათინის განშორება უმტკივნეულეს, ტრაგიკულობამდე მიწევნულ განცდადაა ქცეული. ქალთა საუბრიდან ირკვევა, რომ სიშორის დათმენა მათი შინაგანი წვისა და დნობის გამომწვევ მიზეზად იქცევა; ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი ცრემლნარევი მწუხარებითაა გაჯერებული – და ვითა მე შენთვის დამწვარ ვარ, აგრევე შენ ჩემთვის სდნებოდი“ (1570).

რუსთაველისთვის თითქოს არ არის საკმარისი ნესტან-თინათინის განშორების სიმბოლოს მიწიერი განსახოვნებით წარმოჩენა. ამ „მშვენიერ სულთა კავშირის“ მასშტაბურობის საჩვენებლად იგი კოსმიურ სივრცეს მიმართავს და ასტროლოგიური კანონზომიერებით ცდილობს მის ახსნას:

„მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა, რა თანა-შესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოჰშორდეს, მოეშოროსა,
არა თუ იგი მოჰშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა“ (1568).

აქ მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის „თანაშესწორება“-განშორება სიმბოლურად ნესტან-თინათინის შეხვედრა-განშორებას გულისხმობს. გმირთა შეყრა-განშორება, წესისამებრ, არა საკუთარი ნება-სურვილით, არამედ ცის მეშვეობით ხდება.

ვ. ნოზაძის აზრით (ნოზაძე 1957), აქ ასტრონომიულ მოვლენაზე, უცვლელი ცის ტრიალზე საუბარი, რომელიც ვარსკვლავთა – ნესტანისა და თინათინის – დაშორების მიზეზია. ღვთისაგან შექმნილ მნათობთა მსგავსად, „მათთავე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან“ (1569), გამორთა ბედს ღვთიური განგება განსაზღვრავს და არა პიროვნული ნება: „იგივე გაჰყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან“ (1569). აქაც, ისე ვით „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ეპიზოდებში, ღმერთის განმგებლობაშია ყველაფერი, როგორც მნათობნი, ასევე ადამიანთა ცხოვრება.

რუსთაველის მიერ ფსიქოლოგიურად დატვირთული ზემოაღნიშნული პასაჟი საოცარი უშუალობითა და სინატიფითაა გადმოცემული. პოეტი გამორთა უკიდევანო მწუხარების თანამონაწილე და თანაგანმცდელია. მისი სიტყვა ვერ იტევს განშორების ტრაგიზმს, უძლურია მოყვასის სიყვარულის ტკივილის გადმოსაცემად. იგი მხოლოდ სულიერებითაა შესაგრძნობი და გასათავისებელი. ამიტომაც რუსთაველი აგიოგრაფთა თეორიული პრინციპის კვალობაზე, დასძენს, რომ თქმული მხოლოდ მეათედია, „ნათალია“, რომ ნესტან-თინათინის განშორების აღწერა და გადმოცემა მისი დიდი სურვილიც რომ იყოს, შეუძლებელია:

„რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყვანი ნათალინი“ (1572),

– ამბობს პოეტი და ენითუთქმელ გრძნობათა წვდომას მკითხველის სულიერებას მიანდობს.

ნესტან-თინათინის სახეთა სიმბოლური მიმართება მთვარესა და ცისკრის ვარსკვლავთან გარკვეულ ასტროლოგიურ შეხედულებებს ემყარება. მთვარე დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი მნათობია და პირველ ცას ეკუთვნის. იგი ასტროლოგიურად სიყვარულში შემწე, მიჯნურთა მფარველი, მოწყალე მნათობია; მთვარე, „დედამიწაზე სიცოცხლის მიმცემი და გამამლიერებელი – თავისი ვსების დროს ცოცხალ არსებათა ყველა ცხოველმყოფელი ძალების აღმავლობასაც იწვევს, მათ შორის სიყვარულის ძალისასაც. აქედან წარმოდგება მთვარის აღნიშვნა, როგორც სიყვარულის „სენის“ გამომწვევისა“ (ნოზაძე 1957: 532).

ასპიროზი, იგივე ვენუსი (ვენერა), რიგით მესამე მნათობია და მესამე ცას ეკუთვნის. იგი, ისე ვით მთვარე, სილამაზისა და სიყვარულის პლანეტადაა მიჩნეული ასტროლოგიაში. „...ასპიროზი, რომელი სახელიც ბერძნულია წარმოშობით, იგივე „ვარსკვლავი“ (მთიები, ასპიროზ, აფროდიტე) ყველაზე ბრწყინვალე მნათობია ცდომილებს შორის. იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ეს ცდომილი ორბიტაზე დედამიწისა და მზის მიმართ, იგი ან დასავლეთით კაშკაშებს საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ან აღმოსვლეთით გათენების წინ, მზის ამოსვლემდე. ამიტომ სახელიც ორი ჰქონდა, რომელთაგან ერთი ბერძნულია („ასპიროზ“), მეორე ქართული („მთიები“)“ („ეტლთა და...“ 1975: 8-9).

ასპიროზი სიყვარულის დედოფლად, მშვენიერების სახედ, მიჯნურად, მკურნალად და ასტროლოგიური თეოლოგიის ღმერთადაც მოიაზრება. ვ. ნოზაძე აღნიშნავს, რომ „ამ დილის ვარსკვლავს, ვენუსს, ასპიროზს ქართულად ცისკრის ვარსკვლავი, ანუ ცისკარი ეწოდება. „ცისკარი“, „ცისკრის ვარსკვლავი“, „კარისა ვარსკვლავი“ მას იმიტომ უწოდეს, რომ დილით იგი მზეზე ადრე ამოდის და ამგვარად, ცის კარს აღებს მზის აღმოსავლისათვის. აი, სწორედ ამ სახელითაც ვხვდებით ვენუსს (ვენერა) ვეფხისტყაოსანში“ (ნოზაძე 1957: 81). დილის ვენუსი ძველ საბერძნეთში ომის დიაც ღმერთად მიაჩნდათ, საღამოსი კი – სიყვარულისა.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ავთანდილის მნათობთაღმი ვედრებაში ასპიროზი ასტროლოგიური შეხედულების კვალობაზეა წარმოჩენილი – სიყვარულის დამმოწმებელი, გახელებისა და „ცეცხლთა შრეტის“, სილამაზის, მშვენიერების მიმნიჭებელი:

„მოდი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა,
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოწისა ბაგითა;
შენ დააშვენებ კეკლუცთა დაშვენებითა მაგითა,
და ვისმე ჩემბრსა დააგდებ, გაჰხდი ცნობითა შმაგითა“ (962).

ნიჰამი განჯელის „ლეილი და მაჯუნში“ მაჯუნში, ავთანდილის დარად, მნათობებს ევედრება, მათ შორის – ზუხრა-

ასპიროზს, რომელიც მეფეთათვის გამარჯვების მიმნიჭებელი, ბედნიერების მპყრობელი, „სიხარულის მძებნელი ლამპარი“, „კეთილი და ნათელი“, ბედ-იღბლის კლიტეთა მპყრობელია:

„ჰე, გვირგვინოსანთა ბეჭედის ბეჭედო,
ქალბატონო, უფალო დიდების სასახლისა,
ჰე, საამო სულო, სუნთქვავ ღვთიური აზრისა,
შენი საქციელი ამბრისაებრი იმ ხალხისას ჰგავს,
სუნუნელს რომ ამზადებს“ (ნიზამი 1972: 73).

მაჯნუნი მას იმედის კარის გაღებას, წყალობის მინიჭებას, მიჯნურისაგან ცნობის მიტანას ემუდარება. „ვეფხისტყაოსნის“ ასპიროზიც ხომ სიყვარულის, ტრაგიკულობამდე მიწვენილი გრძნობის, „სიკვდილს გაღმა გაბიჯების“ და უსაზღვრო იმედის დამმოწმებელია, ვედრების შემასმენელია, მიჯნურთა სახე-ხატია.

„ვეფხისტყაოსნში“ მთვარისა და ასპიროზის ასტროლოგიური და ესთეტიკური დატვირთვის წარმოჩენა მათი შეყვანგანშორების სიმბოლიკის გააზრების საფუძველია. მთვარე და ცისკრის ვარსკვლავი თანასწორი სიძლიერით ნათობენ, როცა ცის თაღზე ერთმანეთს გაუსწორდებიან, ერთ ხაზზე დადგებიან. ამდენად, რუსთაველი ნესტან-თინათინის სწორფერობას ასტროლოგიური მოვლენის, მთვარე-ასპიროზის „სწორად ნათების“, კვალობაზე გვიმჟღავნებს:

„ორივე სწორად ნათობენ, მოჰშორდეს, მოეშოროსა“ (1568).

მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის „თანაშესწორება“-განშორების სიმბოლიურ ეპიზოდში (რუსთაველის ნათქვამიდან გამომდინარე – „მათადვე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან“, 1569), შესაძლოა, მთვარედ ნესტანი, ხოლო ცისკრის ვარსკვლავად თინათინი ვიგულისხმოთ. მთვარის სახედ ნესტანის მოაზრების საფუძველს მომდევნო სტროფი იძლევა: „მზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დავზნდებოდი“ (1570). საფიქრებელია, რომ ნესტანი თავის თავს მზისაგან გაყრილ, „დამჭნარ“ პლანეტას ადარებდეს, რომელშიც, პოემის მიხედვით, თითქმის ყოველთვის მცხრალი, დალეული მთვარეა ნაგულისხმევი. ტაეპში ყურად-

ღებას იპყრობს ერთი გარემოება: თუ მთვარე-ნესტანი მოშორდება მზე-ტარიელს, ასტროლოგიის კვალობაზე, უნდა გაივსოს, თუ ახლოს მივა, დაილევა და „დაჭნება“:

„მთვარე მზესა მოემორვოს, მოშორვება გაანათლებს,
რა ეახლოს, შუქი დასწავს, გაეყრების, ვერ იახლებს (832);
მზესა მთვარე შეეყაროს, დაილევს, და-ცა-ჭნების“ (127).

ამდენად, რუსთაველი ამ სტროფში ასტროლოგიურ შეხედულებას არ მიჰყვება. ნესტანის სიტყვებში ტარიელ-მზესთან და დობილ-თინათინთან გაყრა მხოლოდ ადამიანური განცდის, შეჭირვების კონტექსტით შეიძლება აიხსნას, რაც პოემაში არაერთგზის „შუქ-ნამკრთალი“ მთვარის სიმბოლოთია გადმოცემული: „გვითხარ, რა არის წამალი მთვარისა შუქ-ნამკრთალისა?“ (1157), „მუნამდის მთვარე შუქ-კრთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული“ (1185) და „ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-ნაკრთომისა“ (1346). თუ წინამდებარე სტროფს მოვიხმობთ და თინათინს ცისკრის ვარსკვლავად მოვიაზრებთ, რომელიც მთვარის თანასწორი ნათებით ბრწყინავს და მისი განუყრელი მხლებელია, ამ შემთხვევაშიც მნათობის ასტროლოგიური „გაყრა“ და „დაჭნობა“ ნესტანის შინაგანი სამყაროს, მისი სულიერი მდგომარეობის, ტკივილისა და მწუხარების გამომხატველი იქნება. მნათობთა შეყრა-განშორების ეპიზოდში მთვარე-ნესტანს შეყრილი თინათინი კი ასპიროზობს. თუ „ლეილი და მაჯუნუნის“ მნათობთა ასტროლოგიურ ბუნებას დავესესხებით, ასპიროზი გამარჯვებული მეფე თინათინის გვირგვინია, ბედნიერების მიმნიჭებელი და მოწმე, მისი „კეთილი და ნათელი“ ბედის გაცისკროვნებული ვარსკვლავი; გვირგვინოსანი თინათინი ცისკრის ვარსკვლავის „საამო სულის“ სწორფერია, „ღვთიური აზრის სუნთქვის“ განსხეულებაა, მთიები კი ღვთისგან ბოძებული უძვირფასესი ბეჭედია მისი აღმატებულების ბეჭედთა შორის.

„ვეფხისტყაოსანში“ ცისკრის ვარსკვლავი, ასპიროზი, კიდევ ერთხელ გამობრწყინდება და ამ შემთხვევაში – ნესტანთან მიმართებით. ქაჯეთის ლაშქარი როცა მელქ-სურხავს გამოქ-

ცეულ ნესტანს შეეფეთა, მისმა განსაცვიფრებელმა მშვენიერებამ არაერთგვაროვანი აღქმა გამოიწვია მნახველებში: „ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა ვთქვით: არის მთვარეო...“ (1226). ამ ტაეპის მიხედვით, რუსთაველი ნესტანის მშვენიერების, ნათელმოსილი დიდებულების საჩვენებლად მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის ბრწყინვალეობას იშველიებს, რომელნიც შეყრისას „სწორად ნათობენ“ და, ამდენად, ქაჯთა რაზმსაც უჭირს მათი მკვეთრად გარჩევა. ეს ასტროლოგიური სიმბოლო კვლავც გასაჭირში ჩავარდნილი სიყვარულის – ნესტანის – ხორციელი და სულიერი ბუნების საჩვენებლადაა მოხმობილი და მეფე-ქალთა სწორფერობის, სახეთა მსგავსების კიდევ ერთი დამამოწმებელია. მთვარისა და ასპიროზის ასტროლოგიური ბუნება ნესტანისა და თინათინის, ვითარცა სიყვარულის, მშვენიერების, მიჯნურობის გამომწვევი სენის და იმავდროულად „მოთმინებისა თმენის“ მფლობელთა, სახეებში აირეკლება.

ნიზამი განჯელი „შვიდ მზეთუნახავში“ ყვითელი სასახლის ამბის თხრობისას ქალის მშვენიერებას ცისკრის ვარსკვლავს ადარებს – „ცისკრის ვარსკვლავი გეგონება, ისე კიაფობს“ (ნიზამი 1986: 60), ხოლო სანდალოზისფერი სასახლის ამბავში პოეტმა ქალისა და მამაკაცის დაქორწინება ასპიროზისა და ოტარიდის შეწყვილებად წარმოსახა. დიდგვაროვანმა ქურთმა ასული მიათხოვა ხერს:

„გვირგვინი უსკვნა იმავ დღეს
მის ქალს ხერთან
და ჩააბარა ასპიროზი
ერმს ბედნიერმა“ (იქვე: 200).

წითელი სასახლის ამბავში რუსთა მეფის ასულის ზეადმატებული სილამაზისა და მშვენიერების გადმოსაცემად ნიზამი ზეციურ ვარსკვლავთ წყებას მოიხმობს:

„მზისა და მთვარის ნაშიერს ჰგავს შესახედავად,
გამოზრდილი ჰყავს ოტარიდის
რძით ასპიროზსო – ამბობდნენ“ (იქვე: 108).

ნიჰამი განჯელი ადამიანის მიწიერ სილამაზეს ზეციური ბრწყინვალეობით ავსებს და ერთ მთლიანობად წარმოსახავს. რუსთაველი ასტრალური სამყაროდან მზეს, მთვარეს, ასპიროზსა და ზუალს ნესტან-თინათინის სახეებთან მსგავსებით წარმოაჩენს და არა ოდენ ფიზიკური, არამედ – მათი შინაგანი სამყაროს, ხასიათის თავისებურებათა გამოხატვის შესატყვისად.

ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსანში“ ვენუს-ასპიროზ-ცისკრის გამოყენებას დროის აღმნიშვნელად, სიყვარულისა და სილამაზის სიმბოლოდ მიიჩნევს. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ რუსთაველის მიერ ასპიროზ-ცისკრის ვარსკვლავის მოხმობა ნესტან-თინათინის სწორფერობის ჩვენებას ემსახურება, რასაც მეფე-ქალთა არა მარტო ხორციელი ბუნება, სულიერი თანაზიარობა ქმნის და შინაგანი სამყაროს სისავსეობის მიმანიშნებელია.

ს. ცაიშვილის აზრით, „ასტრალურ წარმოდგენებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსთაველის პოეტურ ენაში. „ვეფხისტყაოსნის ფერწერა იმაში, რაც გმირთა განცდის ცვალებადობას შეეხება, ხშირად დამყარებულია ასტრალურ წარმოდგენათა ვარიეტაზე. ასტრალური სახე დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პოემაში, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა მხატვრულ ამოცანას ისახავს მიზნად“ (ცაიშვილი 1985: 338).

მნათობთა ასტროლოგიურ-სიმბოლური დატვირთვის შესწავლისას ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ – „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთაგან ყველაზე ხშირად ნესტანია მთვარედ ხმობილი, მნათობის ასტროლოგიური თუ ესთეტიკური ფუნქციური დატვირთვისდა მიუხედავად. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მთვარეს, ვითარცა ნესტანის სახე-ხატს, უმეტესწილად ესთეტიკური დატვირთვა აქვს და გმირის მშვენიერების, ბრწყინვალეობის, სისავსეობისა და „შუქერთომის“ წარმოჩენას ემსახურება. პოემაში ნესტანის მთვარის სახეებად მომეტებულ აღქმას, ალბათ, ამ პლანეტის ასტროლოგიური მნიშვნელობაც განაპირობებს. მთვარის არა მარტო ესთეტიკური განცდა (ღამის თვალი, ლამაზი, მომხიბვლელი, მშვენიერების მიმნიჭებელი), არამედ მისი ასტროლოგიური ბუნების ნიშნები (ქვეყნის სიცოცხლის გამრიგე,

სიყვარულის მიმნიჭებელი, სიყვარულში შემწე, მკურნალი) ნესტანის სახეში ვლინდება. თავად ნესტანია სიყვარული, ტარიელის სიცოცხლის მიმცემი, მკურნალი („შევე, ვნახე იგი მთვარე; ჭირმან ყოვლმან უკუმრიდნა“, 518), „მოთმინების თმენის“ მეუფე, „შუქ-მონავანი“, „შუქ-კრთომილი“ და „გავსილი“. თუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს თვალს გავადევნებთ, შევნიშნავთ, რომ განსაცდელში ჩავარდნილი თუ მწუხარებით შემოსილი ნესტანის პიროვნების საჩვენებლად ციურ მნათობთაგან, უმეტესწილად, მთვარის სახე-სიმბოლოა გამოყენებული, კერძოდ, ნესტანის ბედი თუ უბედობაი „გავსებული მთვარის“ გველისაგან ჩანთქმა-ჩაუნთქმელობითაა წარმოჩენილი.

მსგავსი მითოლოგიური სურათია შექმნილი ნიზამი განჯელის პოემაში „ლეილი და მაჯნუნი“. ლეილს ეჭვით შეპყრობილი ქმარი დარაჯობს, მაჯნუნთან შეყრის სურვილმა რომ არ სძლიოს ერთგულ მეუღლეს. სწორედ აქ ჩნდება მთვარისა და გველეშაპის სიმბოლო-წყვილი:

„ეს მთვარე შუქისმთოველი
მიტომ შთაენთქა გველეშაპს“.
(ნიზამი 1974: 290)

– დასძენს ავტორი და ჭეშმარიტი სიყვარულის თვალსაწიერიდან მზირალი (მაჯნუნთან მიმართებით), ლეილის მეუღლეს გველეშაპად, ბნელ ძალად წარმოსახავს. ამისდა შესატყვისად, თავის მხრივ, მაჯნუნი მოთქვამს და გოდებს, როდის იხილავს თავის მიჯნურს:

„როდის ვიხარებ, მითხარი,
ამ სანახავის ნახვითა:
მთვარე ვეშაპის ჩანთქმული
ვეშაპს დაუსხლტეს ხახიდან“ (იქვე: 303).

ნიზამი განჯელისთვის ლეილი, ჭეშმარიტ სიყვარულს მოწყვეტილი, ტყვედ აღიქმება, ბოროტების წიაღში დანთქმულ, შუქმიხდილ მთვარედ. როგორც ჩანს, ნიზამისა და რუსთაველის

მიერ მთვარის (და არა – მზის) მეტაფორის მოხმობა გმირი ქალის ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფობის, გაუსაძლისი მწუხარების გამოხატველია.

თეიმურაზ I მზე-მთვარის ვეშაპისაგან შთანთქმის მოვლენას არ ტოვებს უყურადღებოდ და მას სპარსულიდან ნათარგმნ პოემებში მოიხმობს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი ზემოაღნიშნულ თარგმანთა შესატყვის ეპიზოდებს არ თანხვედბა.

„ლეილმაჯუნნიანის“ თეიმურაზისეულ თარგმანში გადმოცემულია ის შემთხვევა, როდესაც დედამ ლეილი გადაკარგვის მიზნით შორს გაისტუმრა, გზაში აქლემთა ქარავანს შემთხვევით ჩამოშორდა და უცაბედად „ცნობა შმაგ“ მაჯუნთან აღმოჩნდა. სწორედ ამ ეპიზოდში თეიმურაზი ურთავს ზემოაღნიშნულ მეტაფორულ სურათს მცირედი განსხვავებით:

„ცნობად მოვიდა მაჯუნნი, სხივნი უშლინ მზერასა,
ვეშაპისაგან ტყვე-ქმნილი გამოუშვია მზე რასა?“

(თეიმურაზ I 1933: 35)

თეიმურაზ I „ვეშაპისგან მზის შთანთქმის“ მოვლენას, ჩვენი აზრით, შეგნებულად ცვლის ლეილის „ტყვე-ქმნილობის“ აღნიშვნით; უპირველეს ყოვლისა, ამ ეპიზოდში ლეილი გათხოვილი არაა და ამდენად – „შთანთქმელი“, თანაც მშობელთაგან ქალიშვილის „დატყვევების“ აღნიშვნა უფრო მიზანშეწონილი ჩანს, ვიდრე – „შთანთქმა“. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ სიტყვებს – „ტყვეობასა“ და „ტყვე-ქმნას“ – მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებს და მთავარ გმირებთან მიმართებით არაერთხელ მოიხმობს. შესაძლოა, რუსთაველის ერთგვარი გავლენაც იკითხებოდეს თეიმურაზის ამ ნათქვამში. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეტაფორული სურათი სხვა თარგმანის მიხედვით, განსხვავებულ ეპიზოდშია მოხმობილი, თეიმურაზი „ვეშაპისაგან მზის დატყვევებას“ შესატყვისი დატვირთვით იყენებს და პოემის ჩვეულ სიმბოლიკას უყურადღებოდ არ ტოვებს.

მთვარის გველუშაპისგან ჩანთქმის მეტაფორული სურათი იხილვება „ვისრამიანში“, მხოლოდ აქ მთვარეს მზე ენაცვლება, გველს – ვეშაპი, არსი კი უცვლელია. მოაზადისაგან გაშვებული

ვისი ეუბნება ძიძას, რომ შაჰროს გადასცეს: „ვეშაპისაგან მზე დაეხსნა, ზედსა სვიანსა მისსა გაელვიდა და მომართა თავისა გვარსა პატიოსანმან თვალმან, რათგან ღმერთმა მოაბადისაგან გვიხსნა, ვითამცა ყოველთა ჭირთაგან ხსნილ ვარ-თქო“ („ვისრამიანი“ 1982: 331); როდესაც ვისიმ და ძიძამ, კოშკში გამოკვეტილებმა, ლაშქრობიდან მობრუნებული შაჰის შიშით რამინი გააპარეს, ვისიზე ნათქვამია: „ვითარცა ვეშაპისა პირსა დარჩომილიყო...“ (იქვე: 386).

ვეშაპისაგან ჩანთქმულად მოიაზრებს თავს რამინი და ვისის თავის განცდებსა და მდგომარეობას აღუწერს: „ოდითგან შენგან მოშორებულ ვარ, შენმან მზემან, ვითარცა ვეშაპისა პირსა შიგან ყოფილ ვარ პატიმრად და გული უშენობისა ჭირითა ამივისა“ (იქვე: 249); რამინი სთხოვს ძიძას ვისისთან შუამავლობას: „შმაგი მე ვარ და ყოვლითა საქმითა საბრალო, ამით რომელ წითლისა გველ-ვეშაპისა, კაცისა სისხლისა მსმელისათვის, დაპყრობილ ვარ...“ (იქვე: 292). ვფიქრობთ, რომ ამ ორ ეპიზოდში გველვეშაპისაგან მზის ჩანთქმა უნდა იგულისხმებოდეს. ამდენად, „ვისრამიანის“ მიხედვით, ვეშაპისაგან ჩანთქმული მზე, ზოგადად, შეჭირვებული მიჯნურის სახეა. თხზულებაში მზის ვეშაპისაგან ჩანთქმა სიკვდილსაც აღნიშნავს. რამინის ძმის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „მზე ვეშაპმან უგრძნეულოდ ჩანთქა“ (იქვე: 314). „ვეფხისტყაოსანში“ მთვარის გველისაგან ჩანთქმა, „ვისრამიანის“ ამ პასაჟისგან განსხვავებით, სიკვდილს არ გულისხმობს, ამასთანავე აღსანიშნია ისიც, რომ პოემაში მხოლოდ ქალის, ნესტანის, მდგომარეობის საჩვენებლად და მოხმობილი აღნიშნული მეტაფორული სურათი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსთაველი მხოლოდ ერთხელ იყენებს მზის ვეშაპისაგან „დაბნელებას“: ფატმანი და უსენი ცდილობენ, გაარკვიონ ნესტანის ვინაობა, მისი გასაჭირი, ამაოდ.

„და მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედა რათმცა გაგვითენდა!“ (1154).

– ამბობს ფატმანი.

ამ ტაეპის სრულიად სხვაგვარ განმარტებას გვთავაზობს თეიმურაზ ბაგრატიონი: ნესტან-დარეჯანს „...კავნი და ზილფნი,

რომ მოშლით ჰქონდა და პირის სახეს უფარვიდა, რადგან ზილფებს გველად დასახავენ და ესეც მელექსეთ შორის არის ნათქვამი, მზე რომ დაბნელდება და ელვარება მისი და ბრწყინვალეობა მისი რაოდენსამე ჟამამდე, ვეღარ ანათებს ქვეყანასა, იმის ვეშაპისაგან მზის დაბნელებას, ანუ შთანთქმას უწოდებენ“ (ბაგრატიონი 1960: 223). ამდენად, თეიმურაზ ბაგრატიონის აზრით, ეს მეტაფორული სურათი გულისხმობს, რომ ფატმანსა და უსენს ნესტანმა არ შეატყობინა თავისი ამბავი და პირზე („მზე“ – სახე) „ზილფები“ („გველი“, „ვეშაპი“ – თმა) დაიფარა.

რუსთაველი, ჩვენი აზრით, ნესტანის მდგომარეობის საჩვენებლად აქაც საგულდაგულოდ არჩევს მზისა თუ მთვარის სახებას. ფატმან-უსენთან ნესტანი ჯერ კიდევ საფრთხეში არაა ჩავარდნილი და მხნეობას ინარჩუნებს, მაგრამ მისი ტრაგიკული სიყვარული ვეშაპისაგან მზის დაბნელებად აღიქმება. ამდენად, ამ ეპიზოდთანაც ჩანს, რომ რუსთაველი მზისა და მთვარის სახე-ხატთაგან უპირატესად ამ უკანასკნელს იყენებს შავი რიდიტა და მწუხარებით შემოსილი ნესტანის სულიერი ტკივილის საჩვენებლად. რუსთაველის მიერ გავსებული მთვარის გველშეშაპისაგან ჩანთქმა-ჩაუნთქმელობის ხაზგასმა და განმეორება არაა შემთხვევითი. იგი ერთგვარად გვაშაადებს ამ მხატვრული სურათის ახალი შინაარსობრივი დატვირთვის წარმოსაჩენად, სადაც უდიდესი მწუხარება-ტრაგიზმი შეუდარებელ სიხარულად იქცევა, რაც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების მაუწყებელია:

„ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (1419).

ამ მხატვრულ სურათთან დაკავშირებით რ. სირამე წერს: „მზისა და მთვარის შეყრა ფრიად მაღალმხატვრული სახეა. მთელი ეს მეტაფორული სურათი რუსთაველს ქართული მითოსიდან აქვს აღებული. ხალხური რწმენით, როცა მთვარე მცხრალია, როცა მას ნათელი აკლდება, გველშეშაპსა ჰყავს შეპყრობილი. წმინდა გიორგი მიდის, გველშეშაპს ამარცხებს და მთვარეს ათავისუფლებს... ეს ამბები რუსთაველის მეტაფორულ სტრიქონებში პირდაპირ არაა თქმული, მაგრამ იგულისხმება“ (სირამე 1982: 49). მაგრამ, თუ წინარე მეტაფორულ სურათებს გავიხსენებთ, გველისაგან

ჩანთქმული ნესტანის მეტაფორა „სავსე მთვარეა“. როგორც ირკვევა, რუსთაველი მითოლოგიურ წარმოდგენას ასტრალურ შეხედულებას უთავსებს. ცნობილია, რომ ასტროლოგიურად მთვარე მუდმივად მზის ტყვეობაშია, მზეზეა დამოკიდებული მისი ნათება; ახლოსა თუ შორს მყოფობით, მასთან მიმართებაში მჟღავნდება მთვარის ბუნება – მცხრალობა თუ სავსეობა. ასტროლოგიური შინაარსითა და სიმბოლურად მზე-ტარიელს მოშორებული მთვარე-ნესტანი გავსებულია. „გავსილი მთვარე“ კი საბრალოა იმდენად, რამდენადაც – ტყვეობაში ჩავარდნილი ნესტანი. იგი ინდოეთიდან გადაკარგვის შემდეგ სულიერად უკვე „ტყვედქმნილია“, განურჩევლად იმისა, ჩანთქმულია თუ ჩაუნთქმელი გველისაგან. ამასთანავე, შინაგანი ფსიქოლოგიური განწყობით, ნესტანი მზეს მოშორებული მიჯნური-მთვარეა, მწუხარება-სევდის მეტყველი, ღამე-წყვდიადის ნათლის მფენელი. ამდენად, ვერ დავეთანხმებით ზ. ავალიშვილის მოსაზრებას ნესტანის მდგომარეობასთან დაკავშირებული მეტაფორული სურათის, მზისა და მთვარის გველისა თუ ვეშაპისაგან ჩანთქმა-ჩაუნთქმელობის, შესახებ: „ამ სახეობათა მხატვრული დანიშნულება ისაა, რომ ტარიელის სატრფოს, ამ „მზის“ და „მთვარის“ ტყვეობა და მისი სახის გამომეტყველებაც დაგვისურათონ“ (ავალიშვილი 1931: 80).

ნესტანის მთვარის სახეობად გააზრება რემინისცირდება ნიზამი განჯელის „შვიდ მზეთუნახავში“ მოთხრობილ შავი სასახლის ამბავთან. შავად მოსილი ქალაქის შესახებ ერთი მგზავრი აუწყებს ხელმწიფეს:

„ქალაქის მკვიდრნი ყველა მთვარეს
ჩამოჰგავს სახით
და მთვარესავით თალხებშია
გამოხვეული“ (ნიზამი 1986: 8).

ამ საიდუმლოს გასაგებად შავ ქალაქში მისული მეფე, ისე ვით ყველა მკვიდრი, თავდაპირველად ეზიარა წალკოტის მშვენიერებას და მზეთუნახავის გვერდით ყოფნის ღირსიც გახდა, თუმცა, ვნებისა და სულწასულობის გამო დაკარგა ყველაფე-

რი. ამის შემდეგ ადამიანმა, რომელმაც გაუმხილა შავი ქალაქის ეს საიდუმლოება მეფეს, შავი რიდე მიართვა:

„კუნაპეტივით აბრეშუმის
მომართვა რიდე.
თავზე მოვიგდე მაშინათვე
ის შავი რიდე...
მე შაოსანთა მიწოდებენ
მას შემდეგ მეფეს...
განა არა მაქვს სატირალი:
როგორ გავუშვი ასე ხელად
ხელიდან შევბა!“ (იქვე: 57)

– ამბობს ხელმწიფე.

შავი რიდით მოსილი ნესტანი, შავი ქალაქის მკვიდრთა მსგავსად, „მთვარესავით თალხებშია გახვეული“, რაც მწუხარების, გლოვის ნიშანია და ამ ტკივილში მთვარის სახებასთან სწორფერობს. შავი ქალაქის ხელმწიფესავით, შავი რიდით მობურული ინდოთ მეფის ასული კარგავს მიჯნურს და სასურველ „წალკოტს“, რომლის მოპოვება ტკივილის, შეჭირვების გზის გავლითაა შესაძლებელი. მხატვრული თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „შვიდი მზეთუნახავის“ სხვა ეპიზოდიც – წითელი სასახლის ამბავი გვამცნობს, რომ რუსთა მეფის მზეთუნახავმა მამას მთაზე ციხე-კოშკი ააგებინა და იქ დასახლდა:

„თავად ხომ ციხე-კოშკის გახდა
მფლობელი, კოშკიც
არ დარჩენილა წაგებული, –
ხელთ მთვარე იგდო!“ (იქვე: 112).

ამ მიმართებით, ფარსადანმაც „...სახლი ააგო, შიგან საყოფი ქალისა“ (331), სადაც „მთვარისა მსგავსი, შვენებით მზისაგან არ-შეფრობილი“ (329) ნესტანი უმფოთველად იზრდებოდა და თავისი „მთვარის მსგავსი“ მშვენიერებით იქაურობას შუქს ფენდა, თავის მხრივ, კოშკმაც „ხელთ მთვარე იგდო“.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე დაკვირვება წარმოაჩენს, რომ ქაჯეთიდან დახსნილი ნესტანი მზეებრ ბრწყინდება და

მწუხარების, განსაცდელის, შეჭირვების სიმბოლო-მთვარე უკან იხევს და ბოროტების დამარცხებისა და სიკეთის გამომწვევებისას მას მზის სახე-ხატი ენაცვლება. ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ფრიდონმა და ავთანდილმა „და მას მზესა მისცეს სალამი...“ (1421); მათ ნესტანი – „მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინართა“ (1422). შემდგომში კი „იგი მზე უჯდა კუბოსა და ეგრე არონინებდეს“ (1493), – ნათქვამია ნესტანზე, როდესაც ქაჯეთიდან დახსნილი მოჰყავთ გმირებს. რუსთაველი დასძენს: „მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა“ (1494); ფატმანს – „და უხარის ნახვა ლომისა და მზისა, ხმელთა მნათისა“ (1432) და ა.შ.

პოემის მიხედვით, ნესტანი ფიზიკური სილამაზით მზეცაა, მთვარეც და ყველა მნათობი ერთად („მთვარისა მსგავსი, მზისაგან შვენებით არ-შეფრობილი“ – 329; „და მნათობთა შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად“ – 1085; „ჰქონდეს შვიდნივე მნათობნი მის მზისა დასადარებლად“ – 1538 და ა. შ.).

ტექსტზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ რუსთაველის მიერ შემთხვევითობას არ წარმოადგენს ამა თუ იმ მნათობის მოხმობა გმირის მხატვრული სახის შესაქმნელად. მზისა და მთვარის სიმბოლო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერსონაჟთა არა მარტო ფიზიკურ სილამაზეს, ბრწყინვალეობასა და აღმატებულებას გამოხატავს, არამედ მათი შინაგანი სამყაროს, ემოციური ბუნების ჩვენებას ემსახურება.

დამოწმებანი:

ავალიშვილი 1931: ავალიშვილი ზ. *ვეფხისტყაოსნის საკითხები*. პარიზი: 1931.

ბერიძე 1961: ბერიძე ვ. *რუსთაველოლოგიური ეტიუდები*. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1961.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. *„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

ეტლთა და... 1975: „*ეტლთა და შვდთა მნათობთათჳს*“ (ასტროლოგიური თხზულება XIII საუკუნისა). გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა

დაურთო აკ. შანიძემ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.

ვისრამიანი 1988: „ვისრამიანი“. ქართული მწერლობა. III. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1988.

თეიმურაზ I 1933: თეიმურაზ I. *თხზულებათა სრული კრებული*. ტექსტი, გამოკვლევა და ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1933.

თეიმურაზ ბაგრატიონი: ბაგრატიონი თ. *განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა*. გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით. თბილისი: საქ.სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1960.

თოდუა 1969: თოდუა მ. *ქართულ სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი*. II. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1969.

იმედაშვილი 1968: იმედაშვილი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

ინგოროყვა 1963: ინგოროყვა პ. *თხზულებათა კრებული*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.

კიკნაძე 1969: კიკნაძე ზ. *დიონისესა და კრონოსის გამო „ვეფხისტყაოსანში“*. ჟურ. ცისკარი, 1969, №11.

მამაცაშვილი 1972: მამაცაშვილი მ. *გალობა შვიდთა მნათობთათვის ნიზამის „ლეილი და მაჯუნს“ და „ვეფხისტყაოსანში“*. მაცნე (ელს), 1972, №3.

ნიზამი 1972: ნიზამი განჯელი. „ლეილი და მაჯუნსი“. მ. მამაცაშვილის თარგმანი. წერილში: „გალობა შვიდთა მნათობთათვის ნიზამის „ლეილი და მაჯუნსს“ და „ვეფხისტყაოსანში““. მაცნე (ელს), 1972, №3.

ნიზამი 1974: ნიზამი განჯელი. ლირიკა. *ლეილი და მაჯუნსი*. სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი 1986: ნიზამი განჯელი. *შვიდი მზეთუნახავი*. სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ნოზაძე 1957: ნოზაძე ვ. *ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება*. სანტიაგო დე ჩილე, 1957.

რუდაქი 1977: „რუდაქი“. წიგნში: *ირანული პოეზია*. შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ვ. კოტეტიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

სირაძე 1982: სირაძე რ. *სახსმეტყველება*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1982.

ფანცხავა 1941: ფანცხავა ი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საკითხის შესახებ. საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XI, 1941.

ქუმსიშვილი 1970: ქუმსიშვილი დ. *შენიშვნები ზ. კიკნაძის წერილის გამო.* ჟურნ. ცისკარი, 1970, №2.

შოთა რუსთაველი 1966: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი.* ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რეაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

შოთა რუსთაველი 1976: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1976.

ჩახრუხაძე 1957: ჩახრუხაძე. „ქება მეფისა თამარისი“. *ძველი ქართველი მეხოტბენი.* I. ივ. ლოლაშვილის რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1957.

ცაიშვილი 1974: ცაიშვილი ს. *შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974.

ცაიშვილი 1985: ცაიშვილი ს. *ძველი ქართული მწერლობა. წერილები და გამოკვლევები.* II. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985.

ხინთიბიძე 1975: ხინთიბიძე ე. *მსოფმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1975.

ჰანაგიდი 1994: ჰანაგიდი შ. *„შროშანი ღელეთა“.* შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები. ებრაულიდან თარგმნა ჯ. აჯიაშვილმა. თბილისი: საქ. მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, 1994.

ნანა გონჯილაშვილი

(საქართველო)

ვეფხისტყაოსნის ერთი სახე-სიმბოლოს გააზრებისათვის (მარგალიტი)

„ვეფხისტყაოსანი“ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა, სააზროვნო სისტემებისა და მსოფლმხედველობათა გზაჯვარდინია. მასში თანაარსებობს (ზოგჯერ, ერთმანეთისთვის წინააღმდეგობრივი) მითოსური, რელიგიური, ფილოსოფიური, ლიტერატურული ნააზრევი, ტრადიციები, საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება. რუსთაველთან იმდენად შერწყმული და შეზავებულია ყოველივე, რომ პოემის კვლევისას ძნელდება რომელიმე დომინანტური ნაკადის გამოყოფა. ამდენად, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია ერთიანი მხატვრული სააზროვნო სისტემა. აქ არაა კონკრეტული დამოწმებანი (რამდენიმე შემთხვევის გარდა), არც პირდაპირი ციტირებები, პოემაში ყველაფერი მხატვრული სამყაროს შექმნას ემსახურება და რუსთაველი საკუთარი კონცეფციისათვის იშველიებს როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის კულტურათა საუნჯეებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ კულტურათა სფეროების ეს ჰარმონიული სინთეზი რუსთაველურია, პოეტის შემოქმედებით პრიზმაში დანახული და გარდატეხილი, საკუთარ იდეებსა და შეხედულებებს დაქვემდებარებული. სწორედ ამიტომაც რუსთაველი გამორჩეული და უდიდესი შემოქმედი ნებისმიერი დროისა და ნებისმიერი კულტურული სივრცისა.

აღნიშნულ მიმართებათა წარმოჩენის მიზნით, ჩვენ ნაშრომში გამოვყავით მარგალიტის სახე-სიმბოლოსთან დაკავშირებული ერთი ეპიზოდი, რომელიც თავისი შინაარსით ერთობ მნიშვნელოვან და საყურადღებო ასპექტებს მოიცავს. სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევეცდებით, გამოვკვეთოთ მისი წანამძღვრები და ტიპოლოგიური მიმართებანი, დავძებნოთ მსგავსება-განსხვავებანი.

„ვეფხისტყაოსნის“ ძვირფას თვალთა წარმომავლობის და სიმბოლური დატვირთვის შესახებ რუსთველოლოგიაში არაერთი ნაშრომი მოიპოვება (ვ. ნოზაძე, ზ. ავალიშვილი, ა. ბარამიძე, ნ. ქოიავა, ქ. სიხარულიძე, ბ. დარჩია და სხვ.). თვალ-მარგალიტის საკითხის დაწვრილებითი განხილვის საფუძველზე ვ. ნოზაძე დასძენს: „არ ვიცნობ არც აღმოსავლეთის, არც დასავლეთის შუა საუკუნეთა მწერლობაში არც ერთ ისეთ თხზულებას, რომელშიც ფერთა სიმბოლიზმი ასე მდიდრულად, უხვად და სათანადოდ მთლიანი კალმით იყოს დაწერილი. ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი მსოფლიო შუა საუკუნეთა მწერლობით გზაზე მარტოდ მოდის, უტოლო და მიუწევნელი“ (ნოზაძე 2001: 356).

„ვეფხისტყაოსნის“ თვალ-პატიოსანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მარგალიტს. რუსთველოლოგიაში გამოკვეთილია მარგალიტის სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა – სამკაული, ძღვენი, სიტყვა, პოეტური თქმა, ცრემლი, კბილი, ფერი; ზოგადად, სილამაზის, ქალწულობის და შეუღლების სიმბოლო.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულ ენაში თვალთა სახელწოდებანი უმეტესწილად სპარსულ-არაბული წარმომავლობისაა. სიტყვა „მარგალიტი“ ბერძნულია, სპარსულად იგი ამგვარად იწოდება – „ვაპარ“, „გოვაპარ“, „გუპარ“, „გუარ“, რაც ძველ ქართულშია დაფიქსირებული. ვ. ნოზაძის აზრით, მარგალიტის ეს სახელი ქართულში გვარის, ჩამომავლობის და სოციალური საფეხურის (გვარიანი და უგვარო, გვარიანი – რადგან მარგალიტი უძვირფასეს ნივთად ითვლებოდა) აღსანიშნად დამკვიდრდა. ვ. ნოზაძე განიხილავს პოეტური შედარებისათვის მარგალიტის გამოყენების ნიმუშებს აღმოსავლურ მწერლობაში, კერძოდ, სპარსულ ლიტერატურაში (ფირდოუსის, მუიზის, მაჯუდ დინ ჰამგარის, ნიზამის, საადის პოეზიაში), რადგან აღმოსავლეთის პოეზიაში ფართოდაა გავრცელებული მარგალიტის გამოყენება, „მარგალიტის სამშობლო აღმოსავლეთია და პოეზია მისი აკვანი“ (ნოზაძე 2001: 336).

ქ. სიხარულიძის შეხედულებით, ჩვენი ეროვნული საუნჯე მარგალიტის, ვითარცა სილამაზის სიმბოლოს გამოყენებაში ენათესავება აღმოსავლური მწერლობას, თუმცა იმასაც აღნიშნავს,

რომ „რუსთაველი მარგალიტის პოეტური სახის გამოყენებით ძირითადად ეროვნულ ტრადიციას ემყარება. დიდ პოეტს მარგალიტისა და სხვა ძვირფასი ქვების სიმბოლიკის გამოყენებისათვის მშობლიურ ზეპირსიტყვიერებაში ნაყოფიერი და მკვიდრი ნიადაგი ჰქონდა“ (სიხარულიძე 1976: 25).

ქ. სიხარულიძე (სიხარულიძე 1976) განიხილავს რა სვანურ ფერხისას „ბეთქილი“. აქ ქალღმერთ დალის აქვს ქალ-ვაჟთა ურთიერთობის მარეგულირებელი გრძნეული მძივი, რომლის აღსანიშნად თქმულებაში ბერძნული სიტყვა „მარგალიტი“ არაა გამოყენებული, რაც მისი არქულობის მაჩვენებელია. მეცნიერი დასძენს: „სვანური ფერხისა „ბეთქილი“ გვაფიქრებინებს: მძივი, მისი აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინის „მარგალიტის“ ქართულ ენაში დამკვიდრებამდე ჩვენს ეროვნულ ხალხურ პოეზიაში გამოყენებული იყო, როგორც სიმბოლო სიყვარულისა – ქალ-ვაჟთა შეერთებისა. ლიტერატურაში მძივის – მარგალიტის პოეტური სახე ხალხური რწმენიდან და პოეტური ფოლკლორიდან არის შესული“ (სიხარულიძე 1976: 30). აღნიშნული აზრის ნათელსაყოფად ქ. სიხარულიძე „ვეფხისტყაოსნიდან“ მოიხმობს თინათინისაგან ავთანდილისათვის მარგალიტის სამკლავის ძღვნობის ამსახველ ეპიზოდს, რომელშიც მარგალიტი ქორწინების სიმბოლოა. მარგალიტის სიმბოლოს ამგვარი შინაარსი, მეცნიერის აზრით, შემდგომი საფეხურია პოეტური ევოლუციის თვალსაზრისით (ქ. სიხარულიძის შეხედულებით, „ყველაზე არქაული მარგალიტის სიმბოლიკაში მისი ეროტიკული მნიშვნელობა“ – სიხარულიძე 1976: 31).

ნაშრომში განვიხილავთ მარგალიტთან დაკავშირებულ ერთ ეპიზოდს, წარმოვაჩინოთ მის სიმბოლურ დატვირთვას და ტიპოლოგიურ მიმართებებს, შესაბამისად, გამოვკვეთთ რუსთაველის თვალთახედვას.

ტარიელთან მეორედ შესახვედრად მიმავალ ავთანდილს თინათინი თავის სიყვარულს ფიცით განუმტკიცებს, თუმცა, სპასპეტისათვის გრძნობის სიტყვიერი გაცხადება არაა საკმარისი.

„მაგრა, მზეო, თავი მზეესა ჩემთვის სრულად დააგვანე!
და სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე!“ (700)¹,

– ეუბნება იგი თინათინს.

ავთანდილს, როგორც ჩანს, ხელშესახები, თინათინის სიყვარულითა და სითბოთი დამუხტული ნიშანი სურს, „სიცოცხლის საიმედო ნიშანი“. და მართლაც

„ქალმან მისცნა მარგალიტი, სრულ-ქმნა მისი საწადელი“ (701).

მარგალიტის ჩუქების ეპიზოდს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი სიმბოლური ახსნა აქვს; ძირითადად, იკვეთება ოთხი განსხვავებული თვალსაზრისი, რომელთა მიხედვითაც მარგალიტის ბოძება აღიქმება, როგორც – 1. ნიშნობის, დაქორწინების სიმბოლო (ვახტანგ VI, ვ. ნოზაძე, გ. იმედაშვილი); 2. ჭეშმარიტი, წმინდა სიყვარულის სიმბოლო (თ. ბატონიშვილი, ნ. ნათაძე, დ. ქუმსიშვილი); 3. სქესობრივი ურთიერთობის სიმბოლო (ზ. ავალიშვილი) და 4. საღვთო აზროვნების სიმბოლო (ზ. გამსახურდია).

ვახტანგ VI ამ ეპიზოდთან დაკავშირებით აღნიშნავს: „მარგალიტის მიცემა ცოლ-ქმრობის დაჯერების ნიშნობისათვის მისცა“ (ვახტანგ VI 1975: ტლდ).

თ. ბატონიშვილის აზრით, „საყვარელი ოდეს განსპეტაკებულს და ყოვლითურთ უბრყვილოსა და შეუძღვრეველს სიყვარულით აღვსილსა და წმინდის სვინდისით განწმენდილს, გულს მისცემს საყვარელსა, მარგალიტის მიცემა ამას ნიშნავს. თინათინმა ოდეს გული ავთანდილისა დააჯერა თავისის სიყვარულით, მაშინ ავთანდილის საწადელი სრულ ქმნა, რადგან მარგალიტი ძვირფასი არის და სპეტაკი თეთრი, ჭეშმარიტი სიყვარული ამისათვის მას ემსგავსება“ (თეიმურაზ ბაგრატიონი 1960: 88). თ. ბატონიშვილი ამასთანავე აღნიშნავს, რომ „პიტიკოსნი“ მარგალიტს, მშვენიერსა და იშვიათს, მიჯნურთა ერთგულების სიმბოლოდ მიიჩნევენ, მიჯნურნი კი მას „შეერთებისა“ და „პატიოსანი სიყვარულის“ ნიშნად უძღვნიან ერთმანეთს.

¹ ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წ. საიუბილეო გამოცემიდან (რედ. ი. აბაშიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

ზ. გამსახურდია საგანგებოდ განიხილავს მარგალიტის სიმბოლურ მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ იგი საღვთო სიყვარულის, განწმენდილი აზროვნების, მისი სიმყარისა და მუდმივობის სიმბოლოა. მკვლევარი მოიხმობს ანტონ პირველის „ღვთისმეტყველებას“, ომარ ხაიამისა და ნიჰამი განჯელის პოეზიაში მარგალიტის სიმბოლურ დატვირთვას და გამოაქვს დასკვნა: „ამრიგად, მარგალიტით დასაჩუქრება ავთანდილისა თინათინის მიერ, ნიშნავს მისთვის წმინდა აზროვნების უნარის მიმადლებას, აქ სხვა რამ ვულგარული მნიშვნელობის ძიება უსაფუძვლოა“ (გამსახურდია 1991: 262).

თინათინის სამახსოვრო საჩუქართან დაკავშირებით აღსანიშნავია ის, რომ რუსთაველი აქცენტს აკეთებს მარგალიტზე, რომელიც შემდგომში სამკლავის დამამშვენებელი თვალი აღმოჩნდება. მკითხველი ამ სამახსოვროს თხრობის ბოლომდე მარგალიტად აღიქვამს და არა – სამკლავედ. უნდა ითქვას, რომ არა მხოლოდ მკითხველი, არამედ მკვლევარნიც კი მარგალიტის თვალის მნიშვნელობაზე მსჯელობენ და არა სამკლავეზე. პოემის მიხედვით კი თინათინისაგან სახლში დაბრუნებულმა, საწოლზე მჯდარმა, მტირალმა ავთანდილმა, როცა „მოიხვნა“ მარგალიტი და აკოცა მას, გაიჟღერა ფრაზამ – „მის მზისა მკლავსა ნაბამნი“; აქ კი რუსთაველი სწორედ სამკლავეს გულისხმობს. ამ მხატვრულ ფენომენში ორი სახე-სიმბოლოა გაერთიანებული: მარგალიტი და სამკლავე. თითოეულ მათგანს თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, ერთიანად კი მას რუსთაველისეული სიღრმე და ესთეტიკური გამომსახველობა ანიჭებს საზრისს.

მარგალიტის სამკლავის, როგორც სახე-სიმბოლოს, გასააზრებლად საყურადღებოა თვით სამკლავის განმარტება და მასზე არსებული მასალების გაცნობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში (ი. ჯავახიშვილი, ნ. ჩოფიკაშვილი) აღნიშნულია, რომ ძველთაგანვე (VI- VII სს.) საერო პირთა ტანსაცმლის ატრიბუტიკაში, იდაყვს ზემოთ შეიმჩნევა სახვევი. წერილობითი წყაროების მიხედვით (მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილი, ბაგრატ კურაპალატის სიგელი, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ.), მას ეწოდება „სამხრე“, „სამკლავე“, „საბამი მკლავისა“.

სულხან-საბა ორბელიანი სამკლავეთა დიფერენციაციას ახდენს. მისი განმარტებით (ორბელიანი 1966: 438), არსებობს მღვდლის სამკლავე ანუ სამხრე და საომარი სამკლავე – ხელნავი.

ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე 1973: 336) სამხარი, სამხრე განმარტებულია როგორც „საბეჭური“, „ლევიტონი“.

ნ. კონდაკოვი (კონდაკოვი 1909) აღნიშნავს, რომ სამკლავეები სპარსეთში წარმოიშვა შუა საუკუნეების დასაწყისში, როგორც ნაწილი სამხედრო სამოსლისა. IV ს.-ში დაიწყეს სამკლავეების კიდეების შემკობა მარგალიტებით, შუა არეზე კი – ძვირფასი ქვებით. თანდათანობით სამკლავე ბიზანტიის იმპერატორთა, დედოფალთა, დიდებულთა და უმაღლესი სამღვდელოების ტანსაცმლის აუცილებელ ნაწილად იქცა. ბიზანტიაში სამკლავეს ატარებენ ჯერ მხოლოდ მარჯვენა მკლავზე, შემდეგ კი – ორივეზე, ზოგჯერ კი საერთოდ არაა წარმოდგენილი. იქ სამკლავე მხოლოდ შემკულობის ნაწილი იყო და არა ინსიგნია.

ქართული ფრესკების მიხედვით (ჩოფიკაშვილი 1964), სამხრესა და სამკლავეს შორის სხვაობაა. სამხრე მხოლოდ მეფეთა სამოსზეა (გიორგი III-ის კაბაზე – 1174 წ.-ის მონეტა, მის ბისონზე – ბეთანიის ფრესკა, თამარ მეფის სამოსზე – ბეთანიისა და ყინცვისის ფრესკა, დიოკლეტის სამოსზე, ფარის ამხედრებული წმ. გიორგის ხატზე, ზოგჯერ აქვთ მთავარანგელოზებს).

ი. ჯავახიშვილის აზრით, სამხრენი „ტანსაცმლის იმ სამკაულადი ნაწილის აღმნიშვნელი იყო, რომელიც აქეთ-იქით მხრებზე ეფინებოდა და დაწინაურების საპატიო ნიშნად ეძლეოდათ ხოლმე“ (ჯავახიშვილი 1962: 35). მეცნიერის სხვა გამოკვლევის მიხედვით (ჯავახიშვილი 1984), სამკლავე, საბამი მკლავისა სამკაულად და თანამდებობის ნიშნად იხმარებოდა როგორც ერთ მკლავზე, ასევე – ორთავეზე. სამკლავე არ იყო სახელოებზე დაკერებული, არამედ გარეშემოსაბმელი, რაც „ვეფხისტყაოსნით“ დასტურდება. სამკლავე ქალსაც ჰქონდა და მამაკაცსაც. მეფური სამკლავე სხვათაგან განირჩეოდა ძვირფასი შემკულობით. ფრესკებზე აღბეჭდილია მარგალიტებით შემკული სამკლავეები. XI-XIV სს.-ის საქართველოში გავრცელებული იყო ექვსი სახის სამკლავე. გვიანდელ ფრესკებზე მეფე-დიდებულთა სამოსზე სამკლავე თანდათან ქრება.

სამხრე და სალტე ხელისა ნახსენებია ძველი აღთქმის წიგნებში (სამხრე – გამ. 25,7; ფსალმ. 132,2; ლევიტ. 8,7; ეზეკ. 40,48; სალტე ხელისა – ეზეკ. 16, 4, 11; ესაია 3, 20-21; შეს. 24, 22; II მეფ. 1, 10).

ძველ ქართულ წერილობით წყაროებში, კერძოდ „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში არმაზის ფიზიკური გამოსახულების აღწერილობაში, სხვა ატრიბუტებთან ერთად, დასახელებულია სამხრეები. „წმ. ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ რედაქციაში ისინი ფრცხილით და ბივრიტით არის შემკული: „და აჰა დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ ... და სამჯარნი ესხნეს ფრცხილ და ბივრიტი („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1963: 119); ჭელიშურ რედაქციაში კი არმაზს ოქროს სამხრეები ამშვენებს („...სამჯარნი ოქროსანივე“ – იქვე); ლეონტი მროველის თხზულებაში არაფერია ნათქვამი არმაზის სამხრეების შესახებ; არსენ ბერისეულ და უცნობი ავტორის „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციებში კი მეორდება ჭელიშური რედაქციის ვარიანტი. საფიქრებელია, რომ კერპ-ღვთაება არმაზის აღწერილობაში ძვირფასი სამხრეების არსებობა უპირატესად პატივისა და დიდების, ძლევამოსილების აღმნიშვნელი იყოს, ვიდრე – მოკაზმულობის.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, სამკლავე და სამხრე არ განირჩევა ერთმანეთისაგან. იგი სამკაულადაც და თანამდებობის ნიშნადაც იხმარებოდა. სამხრე-სამკლავე გარეშემოსაბმელი იყო („ესე სამკლავე შეიბი“, „მკლავსა შევიბი მაშინვე“, „სამხრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე“ და სხვ.). ქართულ სინამდვილეში არსებობდა ისეთი „საბამი მკლავისა“, რომლის ხმარება ქალსაც და მამაკაცსაც შეეძლო. პოემაში ნესტან-თინათინი და ტარიელ-ავთანდილი სწორედ ასეთ სამხრე-სამკლავეებს ატარებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ზემოაღნიშნული ეპიზოდის მიხედვით, მარგალიტის სამკლავე თინათინის ავთანდილისადმი გამჟღავნებული სიყვარულის დასტურია, საფიცარი ხატია, რაც ცხადად ჩანს მის სიტყვებში:

„ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყედ სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი,
და შენი მკვლიდეს სიყვარული, გულსა დანა ასაქმარი“ (132).

ცნობილია, რომ მარგალიტი არ არის უსულო ქვა. დანარჩენი ძვირფასი ქვებისაგან განსხვავებით, იგი ცოცხალ ორგანიზმში იზადება და აგრძელებს სიცოცხლეს, რათა შემდეგ თავადაც მოკვდეს, როგორც ყველა ცოცხალი არსება. მარგალიტის სიცოცხლის მასაზრდოებელი ადამიანის შინაგანი ენერჯიაა, რომლის გარეშეც იგი კვდება. ამ მიმართებით, თინათინის „მკლავსა ნაბამნი“ მარგალიტი მისი სულიერების ნაწილია, მისი სიყვარულის, სიბოოს, სახიერების შემნახველი ქვაა. თინათინისაგან მარგალიტის ბოძება, ძვირფასი ქვის სიცოცხლის გაგრძელებას გულისხმობს ავთანდილში. სპასპეტიც ხომ „სიცოცხლის საიმედო ნიშანს“ სთხოვს თინათინს.

„რა გულსა უთხრა გულისა, სიტყვანი საგულისონი,
მან მარგალიტნი მოიხვნა მის მზისა შესატყვისონი,
და პირსა დასდვა და აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი“ (710)

– ასე აღწერს რუსთაველი შინ დაბრუნებული ავთანდილის სულიერ მდგომარეობას. ავთანდილის ცრემლი ემოციური საწყისის, სულიერი სიფაქიზის გამომხატველია, რომელიც რუსთაველმა ედემიდან გამოსულ, სამოთხის მომრწყველ მდინარე ბისონს შეადარა. თინათინის სიყვარულის საპასუხოდ ნათქვამ ავთანდილის სიტყვებში – „ვარდსა ქაცვი მოაპოვნებს, ეკალმთაცა რად ვეფხანე!“ (700) – ქრისტიანული მოტივი ვლინდება. მან იცის, რომ როგორც ვარდს მოაპოვებინებს ეკალი, ასევე ბედნიერებაც ტანჯვის გზით მიიღწევა; რომ ტარიელის დასახმარებლად მისი გამგზავრება, სულიერი ტკივილით სავსე გზაზე სვლა, ბედნიერებას მოუტანს. ამდენად, ავთანდილის პიროვნებაში მიმდინარე სულიერი ძვრები პოეტმა ბიბლიურ სამყაროს დაუკავშირა.

რუსთაველის მიერ სამკლავის სწორედ მარგალიტით შემკობა არაა შემთხვევითი ფაქტი. მას გარკვეული წანამძღვრები ეძებნება, რომელთა განხილვა შუქს მოჰყვანს და ახლებური კუთხით წარმოაჩენს მის პარადიგმულ ხასიათს.

პოემის მიხედვით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თინათინი „კეთილთა მარგალიტთა“ აძლევს სპასპეტს, ყველაზე ძვირფასს, რისთვისაც ყველაფერი დაითმობა ამქვეყნად. თინათინი მოყმეს,

თითქოს, ქრისტეს სუფევას, ხორცშესხმულ სიტყვას ატანს, სიყვარულის, სიკეთისა და სიბრძნის სიმბოლოს, რათა მისი მფლობელი გულუშიშრად ვიდოდეს. მარგალიტი ხომ ღვთაებრივი გამობრწყინებაა – „მარგალიტ ეწოდა, რამეთუ იგი, ვითარცა მარგალიტი, შორის ორთა მათ ფიცართა, სულისა და ხორცათჳსა, ღმრთეებით გამობრწყინდების“ (იოვანე საბანისძე 1982: 123). შესაბამისად, მარგალიტი თინათინის სულისა და ხორცის ერთიანობის მიმანიშნებელია; მისი ავთანდილისათვის მიძღვნა კი ასეთივე ჰარმონიულობის დამკვიდრების ერთგვარი საწინდარი უნდა გახდეს. მარგალიტი სიმბოლურად ჭეშმარიტი რწმენის მარცვალია.

აღნიშნულ ვარაუდს საფუძველს უმაგრებს „იოანე მახარებლის გამოცხადება“, რომლის მიხედვით, ზეციურ სასუფეველში „ათორმეტნი იგი ბჭენი იყვნეს ათორმეტნი მარგალიტნი, თითოეული ბჭე იყო ერთისა და ერთისა მარგალიტისა“ (გამ. 21, 21). სასუფეველის თორმეტი ბჭე ქრისტეს თორმეტ მოციქულს გულისხმობს და მათი რწმენის სიციხოვანსა და სიბრძნეს ემყარება.

ანდრია კესარია-კაბადუკიელი „იოვანეს გამოცხადების“ თარგმანებაში აღნიშნავს: „ეგრეთვე ქრისტეს მოციქულნი მარგალიტნი არიან ერთისა მის მარგალიტისა ქრისტესგან განშუენებული“ (ანდრია კესარია-კაბადუკიელი 1990: 21, 21).

სიმბოლურად, ამ მარგალიტით ნაგებ სვეტს ემყარება მზეთინათინის პიროვნება. მარგალიტი მისი სიბრძნის, სიკეთის სიყვარულის, მშვენიერების, რწმენის შესატყვისია.

საყურადღებოა ერთი გარემოება, რომ ახალი აღთქმისაგან განსხვავებით, ძველ აღთქმაში პატიოსანი თვლებიდან მხოლოდ მარგალიტი შეიძლება მიეახლოს სიბრძნესა და ცოდნას (იოზ. 27-28, 18; იგავნი, 20, 15). მარგალიტი ის საუნჯეა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ძველსა და ახალს, თავისი არსით და სიმბოლურად მუდმივად ცოცხლობს დრო-სივრცულ განზომილებაში.

მარგალიტის სამკლავის სიმბოლურ მნიშვნელობათა წარმოსაჩენად, გარკვეულწილად, გვეხმარება ტიპოლოგიური კვლევა-ძიება. ამ თვალსაზრისით, ძალზე საყურადღებოა აღმოსავ-

ლური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც ერთგვარი საუნჯეა მარგალიტის მაძიებელთათვის.

მარგალიტის სამკლავის სიმბოლიკას ეხმიანება რუსთაველის თანამედროვე ებრაელი პოეტის – მოშე იბნ ეზრას (XI-XII სს.) ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ერთგვარი ვედრებაა უფლისადმი:

„კვლავ აღიმერიან ჩემი ფესვები
რომ გარდასულთან ხიდი განიდოს
სიბრძნის ზღვას ვნახავ, გადავეშვები
ჩქერს შევუყვები სამარგალიტოს“.
(მოშე იბნ ეზრა 1994: 113)

აქ მარგალიტი გააზრებულია, როგორც დიდი სიწმინდე და სიბრძნე. ლექსში „სიბრძნის ზღვა“ და „სამარგალიტო ჩქერი“ ღვთის სასუფეველის აღმნიშვნელია, რომელთანაც შეერთება წარსულსა და აწმყოს შორის გადებული ხიდიტაა შესაძლებელი.

ნიზამი განჯელის ერთ ლექსში – „მიწის გამოსათხოვრად თქმული“ – მარგალიტი სულის სიმბოლოა –

„...უცნაური გზები გელის.
რწმენის საგზლით ივსე უბე,
ხვატიანი გზებით ივლი,
თან წაიღე ცრემლის გუბე.
მარგალიტი თავის სადაფს
დაუბრუნე ისევ უკან“.
(ნიზამი 1974: 87)

ნიზამისათვის სიკვდილის გზა უცნაურია, ძნელი გზაა და ამიტომაც რწმენითა და სინანულით, „ცრემლთა გუბით“ აღვსილი უნდა დაადგეს ადამიანი ამ გზას, რათა მთავარი მიზანი აღასრულოს: მარგალიტი – სულის სიმბოლო – დაუბრუნოს თავის წიაღს – სადაფს, უფლის სავანეს, პირველსამყოფელს. ამ მიმართებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თინათინისა და ავთანდილის შეწყვეტილებულმა სულებმა – „მარგალიტებმა“ – საბოლოოდ დიდი და ტკივილიანი გზის გავლით, რწმენითა და

სინანულით უნდა მოიპოვონ საოცნებო, მათი წილი სამკვიდრო – უფლის წიაღში განსასვენებელი. შესაძლოა, სხვაგვარი დატვირთვაც მიეცეს ნიჰამისეული მარგალიტის სიმბოლოს, უფრო მიწიერი: თინათინი თავის სულს – მარგალიტს – აბარებს ავთანდილს, ვითარცა სადაფს. მარგალიტის წიაღში დაბრუნება მიჯნურთა სულისა და ხორცის ერთიანობის სიმბოლოდ აღიქმება.

აზერბაიჯანელი პოეტი იზ ედ-დინ ჰასანოღლი (XIII ს.) საკუთარ თავს მარგალიტად წარმოსახავს, რომელიც ვერ თავსდება ორ სკნელს – მიწიერებასა და ზეციურობას – შორის და სულიერებით უსაზღვროა, ზღვაში დაუტყვენელი, განფენილია სივრცესა და დროში:

„ჩემში სუფევს ორი სკნელი, თუმც ამ სკნელში ვერ ვთავსდები,
უსივრცო ვარ მარგალიტი, სზღვარ-ველში ვერ ვთავსდები.

.....
ფარულ განმის კვალიც მე ვარ, მზირალისა თვალიც მე ვარ,
მარგალიტის ალიც მე ვარ, ზღვაოდენში ვერ ვთავსდები“.

(ჰასანოღლი 2006: 29)

ლალი და მარგალიტი სახარების საუნჯედ, ბოროტებისა და უკეთურებისგან დამცავ რწმენის ფარად და კედლადაა აღქმული საიათნოვას ლექსში „მოდი იტვირთე!“:

„ლალ-მარგალიტი სახარებისა
ფარად იფარე, კედლად იკედლე,
ნუცა დაუფენ ლალს და მარგალიტს
წინაშე ღორთა, საიათნოვა!“

(საიათნოვა 1986: 34)

საიათნოვა პოეტური სიტყვაში გაცხადებულ, რწმენით ნასაზრდოებ სიწმინდეთ სახარებისეული ფრაზით ამოწმებს და საკუთარ თავს მოუწოდებს, დაიცვას ეს წმინდა მარგალიტი. პოეტისათვის შემოქმედება ბრძოლას ემსგავსება, სიტყვის ხმლად მოქნევას კი, რომელიც ჭეშმარიტებითაა გაჯერებული და „მარგალიტის სვინაქსრად“, წმინდა სიტყვად გაიზრება, დამარცხება არ უწერია. ამ მიმართებით, თინათინის ნაჩუქარი მარგალიტი ავთანდილისთვის რწმენის სიმტკიცე და ზღუდეა,

დამცავი და დამფარავი „მტერთა ძლევის, ზღვათა ღელვის“ და „ღამით მავნე“ სულელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით, შესაძლოა ითქვას, რომ თინათინისა და ავთანდილის განუწყვეტელი კავშირი დრო-სივრცულ განზომილებაში, განმტკიცებულია მარგალიტით – ზეციურობით და მარადისობასთან ზიარებას გულისხმობს („სიყვარული აგვამაღლებს...“).

ამასთანავე, მარგალიტის ბოძებით თინათინი აფუძნებს თავის სახებას ავთანდილის ცნობიერებაში; ჟამთააღმწერლის კვალობაზე თუ ვიტყვით – „...ვითარცა მარგალიტისათვის თქმულ არს მარტოება“ (ჟამთააღმწერელი 1989: 893), თინათინი ობოლ მარგალიტს, სიმბოლურად, დაობლებულ სულს ატანს ავთანდილს.

ქალის სიმბოლოდ „ობოლი მარგალიტის“ მხატვრული სახე გამოყენებული აქვს ნიზამი განჯელს პოემაში – „ლეილი და მაჯუნნი“:

„ის მარგალიტი ობოლი (ლეილი – ნ.გ.)

ამ სოფლის ჯავარს (მაჯუნუნს – ნ.გ.) შევრთოთო!“

(ნიზამი 1986: 93)

ლეილი „ობოლ მარგალიტად“ განიცდება მხოლოდ და მხოლოდ მიჯნურთან და მიჯნურობასთან მიმართებით. იგი სხვადასხვა გარემოების გამო მარტოა თავის გრძნობასთან; თინათინის მსგავსად, მოშორებულია თავის ტყუპ მარგალიტს და ამდენადაა ობოლი. პოემის მიხედვით, „ობოლი მარგალიტი“ შეიძლება აღნიშნავდეს არა მარტო მიჯნურ ქალს, არამედ მიჯნურ მამაკაცსაც:

„მაჯუნნი ნეჯდის გორაკზე იჯდა დაღლილი ქვითინით,

გვირგვინის თავში ჩასმული, ობოლი მარგალიტით“.

(ნიზამი 1986: 275)

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით კი მარგალიტი ორივე გმირის მარტოსულობის გამაერთიანებელი სახეა.

ირანელი პოეტი აბუ საიდი (XI ს.) ერთ რობაიაში ჩივის თავის მარტოსულობას, ცხოვრების გზაზე მოყვასის გარეშე ყოფ-

ნას, რომლისთვისაც გულის სიღრმეში დატევილი მარგალიტებს არ დაიშურებდა:

„ცეცხლში ვიწვი და მეგობარი არ გამაჩნია,
შორეულ გზაზე თანამგზავრი არ გამაჩნია,
მაქვს გულის ფსკერზე უამრავი მარგალიტები,
მაგრამ ვის ვანდო, მეგობარი არ გამაჩნია“.

(საიდი 1977: 286)

ამ მიმართებით, თინათინისა და ავთანდილის სულიერი თანაზიარობა, სიყვარულის ფიციტ დამოწმებული სულის საუნჯე-მარგალიტთა შეწყვილება ფიზიკურადაც გაცხადდა – სიმბოლურად, თინათინი შორ გზაზე მიმავალ სპასპეტს თავის გულის ნაწილს, მარგალიტის სამკლავედ ასხმულს, თანამგზავრად აახლებს მიჯნურს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მარგალიტის და „ობოლი მარგალიტის“ სახე-სიმბოლო, ძირითადად, მძაფრი სიყვარულის თანმხლები და ზოგადადამიანურ სულიერ სამყაროს უკავშირდება.

თინათინის „ობოლმა მარგალიტმა“ ავთანდილს, როგორც ქრისტიან მხედარს, სულიერი მღვიძარება უნდა დაუშკვიდროს, ნების სიმტკიცე გაუძლიეროს, თინათინის სიყვარული, მშვენიერება, სიბრძნე „სიკვდიმდე გასატანი“ გახადოს, რასაც ის ითხოვს კიდევ თავის ლოცვაში ღვთის მიმართ – „ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესას!“ (802); „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის – თქმათაო!“ (800). თინათინისეულმა მარგალიტით შემკულმა სამკლავემ უნდა გაამშვენიეროს ავთანდილის „სულის უდაბნო“. სულით ობლობის თავშესაფარია მარგალიტი, იმავდროულად – სულიერი ქორწინების ცხადყოფა. მარგალიტი სიმბოლურად ხომ ქრისტიანული სიწმინდეა – „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მთ. 7, 6).

ამასთანავე, მოვალეობასაც ახსენებს სპასპეტს თინათინის საჩუქარი – „პირველ ყმა ხარ“,... „მერმე, ჩემი მიჯნური ხარ“ (129).

თინათინი თითქოს აფრთხილებს ავთანდილს დიდ ხიფათთან დაკავშირებულ გზაზე. შესაძლოა თქმა იმისაც, რომ მარგალიტის სამკლავის ბოძებით იგი მიჯნურს სულიერი სიწმინდის შენარჩუნებასა და წრფელი სიყვარულის დაცვისაკენ მოუწოდებს.

ავთანდილის გზა უცნობ სამყაროში, მისი „მეუღაბნოეობა“ თინათინისაგან მიძღვნილმა მარგალიტმა, სიმბოლურად რწმენის მარცვალმა, უნდა წარმართოს. ეს გზა კი ტკივილის გზაა – „გზა ეწოდა, რამეთუ თქვა: „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებად და ცხორებად“ (იოვანე საბანისძე 1982: 123). მარგალიტი სიმბოლოა, იმედია კვლავ მიბრუნებისა – „მერმე მოდი, ლომო, მზეესა, შეგეყრები, შემეყარე“ (130), – ამბობს თინათინი. სანუკვარი მიზნის მისაღწევად დიდი მოთმინება, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება მართებს ავთანდილს. ნიზამი განჯელის თქმით კი – „ვინც ითმენს, მარგალიტები ზღვიდან იმ მყვინთავს ამოაქვს“ (ნიზამი განჯელი 1974: 37).

ავთანდილი „ყოვლისა საფასისა წარგებითა და სისხლითა თვისთაცა დათხევითა“ (იოვანე საბანისძე 1982: 123), სარწმუნოებით ეძიებს და მოიპოვებს მას ერთს.

ომარ ხაიამი სწორედ ამ მიმართებით ამბობს:

„ჭირში გამოვლილ მაშვრალს შვებას არგუნებს ბედი,
იმარგალიტებს ნიჟარაში ტყვედქმნილი წვეთი“.

(ხაიამი 1977: 320)

ავთანდილი თავისი რაინდული სიტყვითა და საქმით ხდება მარგალიტის ღირსეული მფლობელი. სპასპეტი, ვაჭარი კაცის მსგავსად (იგი ვაჭრულად მოსილი შედის გულანშაროში), „კეთილ მარგალიტს“ ეძებს და მოიპოვებს კიდეც; სახარებისეული სიტყვები რომ მოვიხმოთ – „წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაცა ედვა, გამოიყიდა იგი“ (მათ. 13, 46), რადგან კარგად იცის ავთანდილმა, რომ „მარგალიტი არვის მიჰხვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“ (160).

ყოველივე ზემოაღნიშნულთან კავშირში საგულისხმოა ერთი გარემოება – რუსთაველი მარგალიტის სახე-სიმბოლოსთან მიმართებით მოიხმობს ქრისტიანულ მოტივებსა და სიმბოლიკას: „ვარდსა ქაცვი მოაპოვნებს“, „სრულად მოვსწყდე სა-

მოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი“, „ცრემლი სდის ვითა ბისონი“, „მაგრა მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დაავკანე“. პოეტის მიერ მარგალიტის სახე-სიმბოლოს ამგვარ არეალში მოქცევა მისი ქრისტიანული შინაარსით დატვირთვის შესაძლო ვარაუდის საფუძველს ქმნის.

როგორც უკვე ითქვა, რუსთაველის სააზროვნო სისტემაში თანაარსებობს აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ნაკადი. მარგალიტის სიმბოლიკაც აღნიშნულის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია.

მარგალიტის ქალის ხატებად აღქმა გვხვდება „ვისრამიანში“. რამინი გულში – სადაფში – ჩასმულ მარგალიტად სახავს ვისის და ღმერთს შესთხოვს მისგან განუშორებლობას: „გული ჩემი სადაფი არის და შიგან – მარგალიტი. ჩემი მკერდი ცა არის და შენ მას ზედა – მასკვლავი. ღმერთმან ესე სადაფი უმარგალიტოდ ნუ გახადოს და ესე ცა – უმასკვლავოდ“ (ვისრამიანი 1988: 347).

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მარგალიტის და „ობოლი მარგალიტის“ სახე-სიმბოლო, ძირითადად, მძაფრი სიყვარულის თანმხლები და ზოგადადამიანურ სულიერ სამყაროს უკავშირდება.

თინათინისგან ავთანდილისთვის ნაჩუქარ სამკლავესთან რემინისცირდება „ვისრამიანის“ ერთი ეპიზოდი – ვისიმ და რამინმა ერთმანეთს სამარადისო სიყვარული შეჰფიცეს, „და ერთი იისა კონა მისცა ხელთა (ვისიმ – ნ.გ.) რამინს და ეგრე უთხრა: – ჩემგან ნიშნად ესე დაისწავლე: სადაცა ახალსა იასა ნახევდე, ამა დღესა და ფიცსა მოიგონებდი! ასრემცა ლურჯი და თავჩამოგდებული ხარ, თუ ჩემი ფიცი გასტეხო. მეცა ვარდსა ნიშნად დავისწავლი: სადაცა წალკოტსა შიგან ვარდსა ვჰნახავ, ამა დღესა და ფიცსა მოვიგონებ. ვარდისაებრმცა დღემოკლე ვარ, ოდესცა ესე ფიცი გავტეხო, ღმერთი უარ ვქმნაო“ (ვისრამიანი 1988: 321). მართლაც, გულიზე დაქორწინებულმა რამინმა იის კონა როცა დაინახა, გაახსენდა ვისი და მისი ფიცი. ეს გახდა ერთგვარი ბიძგი რამინისათვის ვისისთან დასაბრუნებლად. თინათინ-ავთანდილის მარგალიტი, განსხვავებით ვისისა და რამინის ია-ვარდისაგან, თავისი „სულითა და ხორცით“ უჭკნობი და

დღეგრძელია, უძვირფასესი და სხვაგვარ სიმაღლეებს მიწევნული. „ვისრამიანის“ ეს ეპიზოდი ავთანდილ-ტარიელის ვარდობისთვის ფიცსაც გაგვახსენებს.

ამასთანავე, რამინისათვის მარგალიტი – ვისი სიცოცხლის იმედია, როგორც ავთანდილისათვის მარგალიტი – „სიცოცხლის საიმედი ნიშანი“: „წავალ, მარგალიტთა თავისა სადაფისაგან გამოვემეგ, წავალ ჩემისა სიცოცხლისა იმედსა ჩემთა სულთაგან ვეძებ“, – ამბობს რამინი (ვისრამიანი 1988: 476).

ფირდოუსის პოემაშიც – „მანუჩარი“, მარგალიტი ერთგან ქალის აღმნიშვნელი მეტაფორაა: „მარგალიტს ჰგავდა შემოსილი მარგალიტებით“ (ფირდოუსი 1976: 38), – ნათქვამია რუდაბეზე. აქვე, მარგალიტს სხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს:

„მთელ ღონეს ვიხმარ,
თვალ-მარგალიტის ხედ აღმოვხვდე იმ ადგილს ზედა,
თვალი დავუტკბო გზად მიმავალს, ვამყოფო მხნედა“ (იქვე, 44),

– ამბობს გამიჯნურებული რუდაბე. გმირისათვის „თვალმარგალიტის ხედ“ გარდაქმნა ადამიანური შესაძლებლობის უდიდესი ძალისხმევის ფასად მიიღწევა; ბუნებაში არარსებულის განხორციელება მხოლოდ სიყვარულითაა შესაძლებელი. აქაც სიყვარულია ის ყოვლისშემძლე ძალა, რომელიც მარგალიტის მხატვრულ სახეს უკავშირდება. ამ მიმართებით, თინათინის მარგალიტიც გზად მიმავალ ავთანდილს თვალს უტკბობს და სულის მხნეობას ჰმატებს.

ნიზამი განჯელისათვის მარგალიტი აგრეთვე ქალწულებრივი სიწმინდის, უბიწოების სიმბოლოდ აღიქმება:

„ლექსებსაც თხზავდა ლეილი, სიბრძნე ლექსისა იცოდა,
მას გაუხვრეტელ მარგალიტს, ძალედვა, – არ მწადს ქენება,
ლექსების მარგალიტები ეხვრიტა როგორც ენება.
თავად უბიწო ქალწული, – უნდა მერწმუნოთ უფიცოდ –
ლექსებს წერდა და რა ლექსებს! – სულ ქალწულებით უბიწოს.“
(ნიზამი 1986: 50)

პოემიდან როგორც ჩანს, ლეილი თვით „მარგალიტების საბადო“ (იქვე, 45), სიბრძნის, ლექსთა ქალწულებრივი უმანკოების – მარგალიტების – მცოდნე და ხელოვანი გამომთქმელია.

ლეილის მსგავსად, უბიწო ქალწული თინათინი, სიმბოლურად უბიწო სიტყვას – „მარგალიტს“ – ფლობს და მისი „სიბრძნის“ მცოდნეა. იგი ქალწულებრივი უმანკოებით დებს სიყვარულის ფიცს ავთანდილთან და მარგალიტით ამოწმებს მას.

ნიზამი განჯელის ლირიკაში „მარგალიტს“ ვითარცა მშვენიერებისა და სილამაზის გამომხატველ პატიოსან თვალს და ვითარცა სიმბოლოს, ხშირად ვხვდებით. ლექსში „სიტყვის მწონავი მოვიდა“ მარგალიტი პოეტური სიტყვის სიმბოლოა:

„სიტყვის მწონავი მოვიდა,
საქმე არ გახლავთ ადვილი.
ჩვენს მარგალიტებს გასინჯავს, _
ყალბი არის თუ ნამდვილი“.

(ნიზამი 1974: 40)

„პატიოსანი თვლების გამყიდველი“ ნიზამი ყალბ მარგალიტს (ყალბ ლექსს) ალიზს ადარებს („მარგალიტი გაქვს, გგონია, თურმე გქონია ალიზი“ – იქვე, 62) და ცოტასა და კარგის – „ვით მარგალიტი ჭიოტას“ (იქვე, 62) – თქმას ამჯობინებს. იგი მიმართავს პოეტებს, გაფრთხილდნენ, რადგან სიტყვის ოსტატი, შემოქმედი, „მარგალიტს უნდა ხვრეტდეს“ და „ნაჯახს არ უნდა იშველიებდეს“. ნიზამისათვის, რომელიც „აურაცხელი განძის“ მფლობელად მიიჩნევს თავს, „პირთამდე სავსე გონებით“, მარგალიტი პოეზიაში გაცხადებული სიბრძნის სიმბოლოა.

„განძის მთა მიდგას, გამიდის
თვალ-მარგალიტის რუები“,

(ნიზამი 1974: 58)

– ამბობს პოეტი და უშურველად გასცემს საუნჯეს, მყიდველებსა თუ მპარავთ დაუფარავად სთავაზობს, „უმასპინძლებს“ სტუმრებს ამგვარი ქონებით (აქ გვაგონდება იოვანე საბანისძის მიმართვა მკითხველისადმი: „...მასპინძელ ექმნენით სიტყვათა

ამათ ჩემთა...“ – 6, 119) და ერთგან ჩივის კიდევ, რომ პოეტურ სიტყვას, „ჭიოტა მარგალიტს“, არ ჰყავს „მუშტარი“, მსინჯავი –

„მუშტრებს დაევსოთ თვალები,
ქესატობაა ძალიან.
არვინ მისაღებს მარგალიტს,
მისთვის არავის სცალია“ (იქვე, 48).

ამ მიმართებით, „წყნარი და ცნობილი“ თინათინის „ჭიოტა მარგალიტი“, შესაძლოა, სიბრძნის საუნჯის სიმბოლოდ მივიჩნიოთ, ჭემმარტი სიტყვის სიმბოლოდ, რომელსაც უშურველად და სიყვარულით გაცემს, გაიღებს, ვითარცა გულუხვი მასპინძელი „სიტყვის მწონავი“, მარგალიტის დამფასებელი ძვირფასი სტუმრისათვის – ავთანდილისათვის; რომელიც, თავის მხრივ, ტკბილი სიტყვითა და „მღერით“ მთელ სამყაროს მოჰყვენს თავისი სულის წუხილს – „ლექსთა საბრალოთა“, თინათინის სიყვარულის საგალობელს „მარგალიტებად დახვრეტს“ და სულიერთა და უსულოთ განაცდევინებს ჭემმარტი გრძნობის, მიჯნურობის ჰანგთა ჰარმონიას.

თინათინისგან მარგალიტის სამკლავის ავთანდილისათვის ჩუქების ეპიზოდთან, გარკვეულწილად, რემინისცირდება ნიზამი განჯელის ლექსი – „გუშინ გამოჩნდა მუშკის ფარდიდან“, სადაც სატრფო განშო რების ჟამს ეკითხება პოეტს:

„... მითხარ, ნიშანი რა დაგიტოვო,
ამ ბედნიერი დღის სახსოვარი?“...
მე მხოლოდ კოცნა ვთხოვე ვედრებით
და შემდეგ ენა ვედარ დავძარი.
პასუხად ერთი ცრემლი დამეცა,
მან გამიჩინა გულში ხანძარი“ (იქვე, 52).

და როგორც ავთანდილი მარგალიტის სამკლავის მიღების შემდეგ ნატრობს თინათინის სიზმრად ნახვას, ნიზამიც სატრფოსაგან მარგალიტის ცრემლის ჩუქების შემდეგ განაცხადებს:

„შირვან-შაჰის მზეს ფიცავს ნიზამი,
სიმართლე შაჰს არ დაემალება,

სატრფოსთან ცხადად არა ვყოფილვარ,
თურმე მარტოდენ ვნახე ზმანება“(იქვე, 52).

მარგალიტი საუკეთესო, „მვირფასი“ ლექსის აღმნიშვნე-
ლია ჰაფეზის პოეზიაშიც:

„ჰაფეზ შენდა სადიდებლად ზეადმოვლენ ვარსკვლავები
მვირფას ლექსთა მარგალიტი აჰკინძე და ალაღანდი“.
(ჰაფეზი 1970: 33)

ამგვარ მარგალიტთა ასხმა და „აღაღანება“ ვარსკვლავებს
ამოაბრწყინებს პოეტის სადიდებლად. ჰაფეზისათვის საიდუმლო
სიტყვაც შესაძლოა, იქცეს მარგალიტად. ლექსის მარგალიტს
შეუძლია უთქმელი სიტყვის გამოთქმა:

„საიდუმლოთა მარგალიტს დავხვრეტ და ავაცემციმებ,
გულიდან ჩამოვიშორებ უთქმელი სიტყვის სიმძიმეს“(იქვე, 88),

– ამბობს პოეტი.

თინათინისა და ავთანდილის სიყვარულიც პოეზიაა. მათს
მარგალიტში, სიმბოლურად, საიდუმლო მიჯნურობის სიტყვაა
ჩადებული.

აღმოსავლური პოეზიისაგან განსხვავებით, „ვეფხისტყა-
ოსანში“ მარგალიტს, მსგავს მნიშვნელობებთან ერთად, როგორც
ირკვევა, სხვაგვარი სიმბოლური დატვირთვაც აქვს, რაც ლიტე-
რატურული წყაროების განხილვითაც დასტურდება.

თინათინის – „მის მზისა მკლავსა ნაბამი“ – მარგალიტი
იმ დიდი სიბრძნის, სიყვარულისა და სიკეთის ერთ-ერთ
გამოვლინებად აღიქმება, რომელსაც „ხელიხელ საგომანებელი
მარგალიტი“ და „აქმადე ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობი-
ლი“ – „ვეფხისტყაოსანი“ – წარმოადგენს.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების სამხრე-სამკლავეთა პარადიგ-
მულობის დადგენაში გვეხმარება ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთი
შესატყვისი ეპიზოდი. „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნულ სახე-სიმ-
ბოლოებთან ამ მიმართების შესწავლა, საიტერესო კუთხით წარ-
მოაჩენს მათს დატვირთვას.

მძივის ძვირფასი სამკლავე ამშვენებს „როსტომიანის“ გმირს – ზურაბს. თავდაპირველად, იგი როსტომ ფალავნის სამკლავე იყო –

„პილოტანსა მძივი ება ძვირფასისა, არ დასაგდო,
შეიხსნა და ქალსა მისცა, მისეულად მან დააგდო“.
(როსტომ-ზურაბიანი 1949: 23)

იგი როსტომმა ფეხმძიმე თუმანს მისცა იმ პირობით, რომ გაჟის დაბადების შემთხვევაში, მკლავზე შეაბამდა მას –

„ფალავანს მკლავსა შეაბი, დრუბელთა სულთა აფრქვევდეს“.
(როსტომ-ზურაბიანი 1949: 213)

თუმანმა ზურაბს ბრძოლაში წასვლის წინ სამკლავე დანა-ბარემისამებრ უბოძა. ამ საჩუქარში დედის იმედი იყო ჩაქსოვილი – როსტომის მძივი ოდესმე მაინც დახმარებას გაუწევდა შვილს –

„მუნ დედაჩემი მოვიდა, ტირს მკვდარსა დაედარების,
მან ესე მძივი მიბოძა, რომელი მკლავსა არ ების,
და დამვედრა, მამისეულმა, ნახე, სად მოგეხმარების?!“ (იქვე, 236),

– უამბობს მამას მასთან ორთაბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილი ზურაბი. მძივის სამკლავემ ვერ დაიცვა ფალავანი, ავმა ბედმა უხმარ ნივთად აქცია იგი –

„მძივი თქვენგან ნაბოძები არად ჩემთვის უხმარია,
ბედი ავი გამიმლაშდა, შავი ეტლი გამერია
და მამის ხელით დალაზრული უპატიოდ მკვდარი ვძია“ (იქვე, 236),

– ამბობს ზურაბი. როსტომმა სწორედ ამ მზის შესადარი სამკლავით იცნო თავისი ძე:

„მერმე გაუხსნა ხაფთანი, ელვა გამპჰკრთა, მზე ვითა,
მძივი იცნა და ატირდა როსტომ, ყვიროდა, მთა ვითა“ (იქვე, 236).

შვილის სიკვდილით შეძრული თუმანი მოთქვამს. მის გლოვაში კვლავ მძივის სამკლავე ჩნდება. დედას სჯეროდა,

რომ როსტომისათვის სამკლავის ჩვენებით ზურაბი სიკვდილს გადაურჩებოდა:

„რად არ უჩვენე მანამდის ეგ მძივი იმათული?“ (იქვე, 243),

– ტიროდა თუმანი.

„როსტომიანის“ მიხედვით, მძივის ძვირფასი სამკლავე როსტომის ვაჟკაცობის, ფალავნობის სიმბოლოა. მან საკუთარი ღირსების რეგალია გადაულოცა მომავალ ძეს იმ იმედით, რომ ზურაბი სახელოვანი გმირი დადგებოდა. ამასთანავე, თინათინის მარგალიტის სამკლავის – „სიცოცხლის საიმედო ნიშნის“ მსგავსად, ზურაბის სამკლავეში ჩაქსოვილია დედის იმედი, რომელიც ერთგვარი წინაპირობაა შვილის ხსნისა და გადარჩენისა. ისიც მამისეული სითბოს, სიყვარულის, სიკეთის შემნახავი მძივია და ზურაბს განუშორებლად ახლავს თან. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სამხრე-სამკლავეთაგან განსხვავებით, მისი მფლობელი ბედისწერის მსხვერპლი ხდება და მარცხდება. სამკლავემ ვერ იხსნა გმირი, რადგან მისი ბრწყინვალეობა „ხვაფთანის“ ქვეშ იყო დამალული, მისი მზე დაბნელებული იყო.

ამის საპირისპიროდ, რუსთაველის პოემის გმირები გაცხადებულად ატარებენ მას. მათი სულიერი ენერგია და მხნეობა მიჯნურთაგან ნაბომები ამ ერთადერთი ნიშნით მყარდება და ცოცხლობს.

ნიზამი განჯელის „შვიდი მზეთუნახავი“ მძივის სამკლავე დაქორწინების და დიდი სიყვარულის ნიშან-სიმბოლოდ აღიქმება. წითელი სასახლის ამბავში რუსთა მეფის მზეთუნახავმა საქმროებს დაბრკოლებათა გადალახვა დაუდო პირობად. ვერვინ შესძლო მოთხოვნების შესრულება. ბოლოს ერთმა რაინდმა მიაღწია მიზანს, მზეთუნახავის გამოცანებიც ახსნა. ერთ-ერთი პასუხის დროს რაინდმა მას ცისფერი მძივი გაუგავნა. მზეთუნახავმა მამას აუხსნა ამ ქმედების აზრი და თავისი პასუხიც:

„მე რომ ის მძივი მაშინათვე
მკლავზე შევიბი,
ამით ვუთხარი: თანახმა ვარ,
გამოგყვე-მეთქი!“ (ნიზამი 1986: 135);

„როცა დაქორწინდნენ, ყრმამ –
მკლავზე უნახა მისი მძივი
ხელმწიფის ასულს,
ხოლო თვალეზში მისი ტრფობა
ამოიკითხა“ (იქვე, 137).

მიჯნურთა მიერ ძვირფასი მძივის სამხრე-სამკლავეთა ძღვნობა, როგორც ჩანს, ყველგან სიყვარულის დამამოწმებელი, ერთგულების, მეუღლეობრივი ფიცის ან მომავალი ქორწინების ნიშან-სიმბოლოა.

ამდენად, რუსთაველი კარგად იცნობს აღმოსავლურ მწერლობაში გავრცელებულ და საკმაოდ დამუშავებულ მხატვრულ სააზროვნო სისტემას, მას საკუთარი მხატვრული მიზნებისათვის მოიხმობს და ახალი თვალთახედვით, ახლებური შინაარსით ტვირთავს აღმოსავლეთის კულტურული სამყაროსათვის ტრადიციულ მხატვრულ სახეებს, სიმბოლოებს, მეტაფორებსა და ალუზიებს.

ნაშრომში განხილულ განსახოვნებათა რუსთველური მოდეელი აერთიანებს აღმოსავლური ლიტერატურის და აგრეთვე ძველი და ახალი აღთქმის სახე-სიმბოლოებს. ამგვარი ერთიანობა მათი ზოგადსიმბოლური მნიშვნელობის მაჩვენებელია. ამასთან დაკავირებით გ. ასათიანი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის მხატვრულ სისტემაში გენიალური უბრალოებით არის გადაჯვარედინებული პოლუსური უკიდურესობები – წარმართული და ქრისტიანული, აღმოსავლური და დასავლური, ანტიკური და შუასაუკუნეობრივი, კლასიკური და რომანტიკული ფორმები. ეს უჩვეულო ჰარმონია გამოხატავს ქართული შემოქმედი გენის თავისებურებას, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ამ უნივერსალური სახით გამოავლინა საკუთარი თვითმყოფობა“ (ასათიანი 2002: 116).

შოთა რუსთაველის მხატვრულ-ესთეტიკურ ნააზრევში მოხმობილი სიმბოლოების არქექტიპული ძირებისა და ტიპოლოგიური მიმართებების შესწავლა ყოველი ეპოქის მკითხველისათვის ახლებური კუთხით წარმოაჩენს მათს სახისმეტყველებას. ამგვარი კვლევა, როგორც ჩანს, მეტად გამოკვეთს და

წარმოაჩენს რუსთველურ სახექმნადობათა ორიგინალურობასა და განუმეორებელობას, რომელიც მკითხველზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს, როგორც „სიბრძნის დარგი“ და როგორც „საამო“ მოსასმენი, ესთეტიკური ფენომენი, რის შესახებაც თავად რუსთაველი პოემის პროლოგში მსჯელობს – „შაირობა პიველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი...“ და „კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“.

დამოწმებანი:

ანდრია კესარია-ვაზაძეკიელი 1990: ანდრია კესარია-ვაზაძეკიელი. „თარგმანებად იოვანეს გამოცხადებისაჲ“. თბილისი: 1990.

ასათიანი 2002: ასათიანი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კლასიკური პოეტიკა“. თბზულებანი. II. თბილისი: გამომცემლობა „ნეოსტუდია“, 2002.

გამსახურდია 1991: გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1991.

ვახტანგ VI 1712: ვახტანგ VI. „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“. წიგნში: *შოთა რუსთაველი. პირველი ბეჭდური (ვახტანგისეული) გამოცემა*. 1712. აღდგენილი ა.შანიძის. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1975.

ვისრამიანი 1988: „ვისრამიანი“. *ქართული მწერლობა*. III. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1988.

თეიმურაზ ბაგრატიონი 1960: თეიმურაზ ბაგრატიონი. *განმარტება ვეფხისტყაოსნისა*. გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით. თბილისი: 1960.

იოვანე საბანისძე 1982: იოვანე საბანისძე. „ჰაბოს წამება“. *ქართული პროზა*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

კონდაკოვი 1909: Кондаков, Н. *Изображения русской княжеской семьи в миниатюрах XI века*. Санкт Петербург: 1909.

მოშე იბნ ეზრა 1994: მოშე იბნ ეზრა. *პოეზია*. „შრომანი ღელეთა“ (*შუა საუკუნეების ებრაელი პოეტები*). ჯ. აჯიაშვილის თარგმანი. თბილისი: საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა, 1994.

ნიზამი განჯელი 1986: ნიზამი განჯელი. *ლეილი და მაჯნუნი*. მ. თოდუას თარგმანი. თბილისი: 1986.

ნიზამი განჯელი 1974: ნიზამი განჯელი. *ლირიკა, ლეილი და მაჯნუნი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი განჯელი 1986: ნიზამი განჯელი. *შვიდი მზეთუნახავი*. სპარსულიდან თარგმნა მ. თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ნოზაძე 2001: ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსნის“ განვითხვანი. ფერთამეტყველება“. წიგნში: *დაბრუნება*. ტ. 4. გ. შარაძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „სადარა“, 2001.

ჟამთააღმწერელი 1989: ჟამთააღმწერელი. „მონღოლთადროინდელი მატიანე“. *ქართული პროზა*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989.

როსტომ-ზურაბიანი 1949: „როსტომ-ზურაბიანი“. *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია*. ტ. II. ს. ყუბანიეშვილის რედაქციით. თბილისი: 1949.

საადი 1977: „სადი“. წიგნში: *ირანული პოეზია*. შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ვ. კოტეტიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

საიათნოვა 1986: საიათნოვა. *ლექსები*. სომხურიდან თარგმნა გ. შაჰნაზარმა. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1986.

სიხარულიძე 1976: სიხარულიძე ქ. *ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.

ფირდოუსი 1976: ფირდოუსი. *მანუჩარი*. ბ. შავლაშვილის თარგმანი. თბილისი: 1976.

ჩოფიკაშვილი 1964: ჩოფიკაშვილი ნ. *ქართული კოსტიუმი (VI-XIVსს)*. თბილისი: საქ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1964.

ძველი ქართული ენის ლექსიკონი 1973: *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

წმიდა ნინოს ცხოვრება 1963: „წმიდა ნინოს ცხოვრება“. *ძეგლები*. ტ. I. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა, 1963.

ხაიამი 1977: ხაიამი ო. *ირანული პოეზია*. შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ვ. კოტეტიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

ჯავახიშვილი 1962: ჯავახიშვილი ივ. *მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან*. ნაკვ. III-IV. თბილისი: 1962.

ჯავახიშვილი 1984: ჯავახიშვილი ივ. „ქართული სამართლის ისტორია“. წიგნი II. ნაკვ. მეორე. *თხზულებანი*. ტ. VII. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1984.

ჰასანოღლი 2007: ჰასანოღლი იზ ედ-დინ. *თარგმანები*. *აზერბაიჯანული პოეზია ქართულად; ქართული პოეზია აზერბაიჯანულად*. თარგმნა ოქტაი ქაზუმოვმა. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2007.

ჰაფეზი 1970: ჰაფეზი. *ყაზალები*. ვ. კოტეტიშვილის თარგმანი. თბილისი: 1970.

რუსთაველისა და ნიჟამის
ფილოსოფიური შეხედულებანი



**„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-248
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)**



„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-013
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)

„ვეფხისტყაოსნის“ მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ მუსლიმურ სამყაროსთან მიმართების საკითხი ყოველთვის აქტუალური იყო და იქნება იმდენად, რამდენადაც რუსთაველის მსოფლმხედველობისა და აღმსარებლობის თეორიათა მრავალრიცხოვნობაში (ქრისტიანობა, მაჰმადიანობა, მანიქეიზმი, სეფასიანობა, სოლარიზმი და ა.შ.) ქრისტიანობის მერე სწორედ მუსლიმურ სამყაროსთან იგივეობის საკითხი იკავებს მნიშვნელოვან ადგილს, უფრო ზუსტად, რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანობის შემდგომ დიდი წილი გამოკვლევებისა მას ეთმობა. დღემდე „ვეფხისტყაოსნის“ აღმოსავლურ მუსლიმურ სამყაროსთან მიმართების კვლევა ძირითადად ორი ასპექტით ხორციელდება:

1. „ვეფხისტყაოსანი“ და მუსლიმურ სამყაროში შექმნილი მხატვრული ლიტერატურა (მაგალითად, პარალელები ნიზამთან, ფირდოუსთან, ფახრ ედ-დინ გურგანისთან და ა.შ. აგრეთვე, მინიშნებები სუფიზმზე);

2. „ვეფხისტყაოსანი“ და ისლამური აღმსარებლობა. აქ ერთიანდება ისეთი შრომები, რომლებშიც უმეტესწილად უარყოფილია ღმერთის, სამყაროს, მიჯნურთა, ასევე, ქალთა და მამაკაცთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მუსლიმური გააზრებების არსებობა „ვეფხისტყაოსანში“.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის შემსწავლელ მეცნიერთა მიერ კვლევის მიმართულება სწორად იყო შერჩეული, მეთოდები და მიდგომა საკითხისადმი მაინც ზეერლედ რჩებოდა; რუსთველოლოგიურ ნაშრომთა უმეტესობის გაცნობის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არც ერთი საკითხი მუსლიმურ აღმსარებლობასთან დაკავშირებით არ არის საფუძვლიანად შესწავლილი არც ისლამურ ღვთისმეტყველებაში, არც ფილოსოფიაში და არც მხატვრულ ლიტერატურაში. ასე

რომ, სამომავლოდ რუსთაველის, როგორც შემოქმედის, დამოკიდებულება მუსლიმურ სამყაროსთან და აღმსარებლობასთან შემდეგი სამი მიმართულებით არის შესასწავლი:

1. რუსთაველი და მუსლიმური თეოლოგია/კოსმოგონია;
2. რუსთაველი და მუსლიმი ფილოსოფოსები (იბნ სინა, ალ დაზალი, იბნ არაბი და ა.შ.);
3. რუსთაველი და სუფიზმი/მუსლიმურ აღმოსავლეთში შექმნილი მხატვრული ლიტერატურა.

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები, რა თქმა უნდა, მრავალწლიან მუშაობას გულისხმობს და ითვალისწინებს, რადგან თითოეული მათგანი, თავის მხრივ, მრავალ სხვა ასპექტს მოიცავს და, შესაბამისად, იგი ერთი ადამიანის ძალისხმევას აღემატება. ამიტომ ჩვენი ნაშრომის მიზანია, ამ კუთხით შევისწავლოთ დღემდე გამოთქმული მოსაზრებები და კრიტიკულად მივუდგეთ მხოლოდ იმ პრობლემატიკას, რომელიც ახლაც გამოიყენება „ვეფხისტყაოსნის“ მუსლიმური ნაკადის კრიტიკის დროს; თუმცა, ჩვენი აზრით, დღეისთვის **ამ მოსაზრებებს** მეტად სუსტი მტკიცებულებითი ძალა აქვს. ეს ოდნავადაც არ აკნინებს იმ მეცნიერთა დამსახურებას, რომლებიც ღირსეულად ემსახურებოდნენ და დღესაც ემსახურებიან რუსთაველოლოგიის განვითარებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ისლამთან მიმართებით კვლევას ქართველი მეცნიერები მისი ავტორის აღმსარებლობასთან მიკვყავდა. მართალია, აქაც ძალზე საინტერესო არგუმენტები და კონტარგუმენტებია წარმოდგენილი, მაგრამ ამჯერად ჩვენს მიზანს, როგორც აღინიშნა, უშუალოდ ნაწარმოებში მუსლიმური კვალის ძირეულად ან მხოლოდ გარეგნულად არსებობის მტკიცებულებათა გადასინჯვა წარმოადგენს და არა ავტორის პირადი აღმსარებლობის კვლევა.

ქართველი მეცნიერების (ნ. მარის, პ. იოსელიანის, პ.ინგოროყვას, ი. აბულაძის, ალ. მანველაშვილის, ნ. ჟორდანია, ზ. ავალიშვილის, მ. გოგიბერიძის, კ. ჭიჭინაძის, კ. კეკელიძის, ალ. ბარამიძის, ე. ხინთიბიძის) ნაშრომების გაცნობის შემდეგ მრავალი საკვანძო დებულება გამოიკვეთა. ამიტომაც მიზანშე-

წონილად მივიჩნიეთ მათი საფუძვლიანი შესწავლა-ანალიზი, რათა ნათლად წარმოჩნდეს არგუმენტთა და კონტრარგუმენტთა ჭეშმარიტება თუ მცდარობა. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა შემდეგი რიგის საკითხები: 1) ღმერთის გააზრება „ვეფხისტყაოსანში“ და მისი გამოიჯვნა ისლამისაგან; 2) რუსთაველის დამოკიდებულება ისლამისადმი, ე.წ. „სარკაზმი“; 3) ავთანდილის ლოცვა; 4) მუსლიმისთვის სავალდებულო რელიგიური წესები: ყოველდღიური ლოცვები, მარხვა, პილიგრიმოზა და ა.შ. 5) ღვინო როგორც ვეფხისტყაოსნის გმირების არამუსლიმობის დამამტკიცებელი ფაქტორი. ვფიქრობთ, ჩამოთვლილი საკითხების გადასინჯვას თავისთავად მოითხოვს რუსთაველოლოგიის თანამედროვე დონე, რისთვისაც ჩვენს შრომაში ინტერტექსტუალურ კვლევას ვიყენებთ.

ღმერთის გააზრება „ვეფხისტყაოსანში“ და მისი გამოიჯვნა ისლამისაგან

ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობების მეცნიერულ შესწავლას, როგორც ცნობილია, ნ. მარმა და მისმა მოწაფეებმა ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაუყარეს საფუძველი, სისტემური ხასიათი კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ მიეცა. რა თქმა უნდა, უმთავრეს საკვლევადიებო საკითხს „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა და, შესაბამისად, კვლევაც ავტორის მსოფლმხედველობის შესწავლით დაიწყო. რუსთაველის პოემაში მუსლიმური მსოფლმხედველობის არსებობის თემას წინა პლანზე აყენებს და იცავს აკად. ნ. მარი წერილში „შოთა რუსთაველის ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“, რომელშიც აღნიშნავს: „პოეტი არც ერთ ადგილას არ ღალატობს თავის წარმოდგენას მაჰმადიანურ ერთღმერთობაზე, ანუ ღმერთი ერთია და არ არის არავინ, მის გარდა, იქაც კი, სადაც გამოდის თვითონ: მთელი პოემის მანძილზე არც ერთი ხსენება, არც ერთი მინიშნება არაა სამებაზე, არც ერთხელ არაა ნახსენები არც ერთი ქრისტიანი წმინდანი, ღვთისმშობელიც კი. შოთა, საფიქრებე-

ლია, ნაკითხი იყო ქრისტიანულ ლიტერატურაში და მას არაერთხელ შეეძლო ეს გამოემჟღავნებინა“ (მარი 1917: 497).

კ. კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომში, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მსოფლმხედველობაზეა საუბარი, აკად. ნ. მარის მოსაზრების საპირისპიროდ, შემდეგ არგუმენტებს იშველიებს: „ავტორი ჩვენი პოემისა არ შეიძლება მაჰმადიანი იყოს, ვინაიდან: 1) ვეფხისტყაოსნის ღმერთი, როგორც დავინახეთ, არის უხვი, სახიერი, მოწყალე, ტკბილად მწყალობელი და ტკბილად მხედი, ჭირთა მომლხენელი; ასეთი ატრიბუტები ღვთაებისა მაჰმადიანობამ არ იცის, მისი ღმერთი არის საშინელი, მრისხანე ტირანი, ამავე დროს გულქვა არსება, რომელიც ყოველთვის და ყველაფერში ხელმძღვანელობს არა სიყვარულითა და სამართლიანობის პრინციპით, არამედ თვითნებობით. ამიტომ მაჰმადიანს არ შეუძლია უყვარდეს ღმერთი, მისდამი დამოკიდებულებაში ის მხოლოდდამხოლოდ შიშით ხელმძღვანელობს“ (კეკელიძე 1981: 187).

მ. გოგიბერიძე – წერილში „უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“ – ისლამში მოაზრებულ ღმერთს ამგვარად განიხილავს: „მაჰმადიანობას ქრისტიანობიდან მთლიანად დამოუკიდებელი ცნება ღმერთისა არ გააჩნია, მაჰმადიანური თვალსაზრისი ამ სფეროში ქრისტიანულ სექტანტურს უფრო ჰგავს, ვიდრე ორიგინალურს; მაგალითად, მაჰმადის ცნება ღვთაებისა არიანული ღვთაებისგან თითქმის არ განსხვავდება. ამას ისიც ემატება, რომ ოფიციალურ-მუსულმანურ რელიგიას რუსთაველი ისე აღმაცერად უყურებს, როგორც ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ს (ხაზგასმა ჩვენია – ო.ქ.) (გოგიბერიძე 1941: 97-121).

კ. კეკელიძისა და მ. გოგიბერიძის აზრს ეყრდნობა მკვლევარი ე. ხინთიბიძეც მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო“ (2009), როდესაც „ვეფხისტყაოსნის“ საღვთო სახელებზე მსჯელობისას სქოლიოში განმარტავს – „უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ პოემისეული ღვთაების სახელებისა და ატრიბუტების ერთი ნაწილი ემსგავსება მაჰმადიანური ღმერთის ეპითეტებსაც: პირველი და უკანასკნელი, ხილული და ფარული, თვითეკმარი, ყოვლისშემძლე,

ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემცველი, საუკუნო, ერთარსება და სხვა უამრავი. მაგრამ მაჰმადიანური ღვთაება თავისი ეჭვიანი და შურისმაძიებელი (ხაზგასმა ჩვენია – ო.ქ.) ხასიათით განსხვავდება ვეფხისტყაოსნის უზენაესი არსებისაგან“ (ხინთიბიძე 2009: 229).

ე. ხინთიბიძე ასევე წერს: „მართალია, გარეგნულად პოემის გმირები მაჰმადიანები არიან, მაგრამ მათი რელიგიური რწმენა არ თავსდება ამ აღმსარებლობის ფარგლებში და არც მათი ღმერთია მაჰმადიანური ღვთაება“ (ხინთიბიძე 2009: 231). მეცნიერს ამის დასტურად ისლამისადმი და მისი მსახურებისადმი თავად გმირების „ირონიული დამოკიდებულება“ მიაჩნია. იგი აგრეთვე იმოწმებს ნ. მარის გამოთქმულ აზრს, რომ ასეთი ლოცვისათვის ავთანდილს „მიზგითიდან“ გამოაგდებდნენ.

ე. ხინთიბიძე სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ „ასევე არ ჰგავს ვეფხისტყაოსნის ღმერთი ორთოდოქსული ქრისტიანული რელიგიის ღმერთს. ქრისტიანული ღმერთი, განსხვავებით სხვა მონოთეისტური რელიგიის ღმერთისგან, არის სამება, სამპიროვანი...“; ამის შემდგომ მეცნიერი დასკვნის სახით ასეთ ფორმულირებას გვთავაზობს: „ამგვარად, ვეფხისტყაოსნის უზენაესი არსება აშკარად არ არის ქრისტიანული დოგმატიკის სამპიროვანი ღმერთი. მხოლოდ ეს გარემოება სწორად უნდა იქნეს შეფასებული. აქედან არ შეიძლება იმის დასკვნა, რომ პოემის ღმერთი ან მაჰმადიანური რელიგიის, ან სხვა რომელიმე მონოთეისტური რელიგიის ღმერთია. პოემა გვერდს უვლის ქრისტიანული რელიგიის ღმერთს, მაგრამ უგულვებელი ყოფს (ხაზგასმა ჩვენია – ო.ქ.) მაჰმადიანური რელიგიის ღმერთსაც... რუსთველის უზენაეს არსებას ახასიათებს თავისთავადობა“ (ხინთიბიძე 2009: 235).

საკითხის განხილვა, უპირველეს ყოვლისა, კ. კეკელიძის არგუმენტაციით უნდა დავიწყოთ. ზოგადად აღსანიშნავია, რომ ისლამსა და ყურანზე ქართველი მეცნიერების წარმოდგენა, უპირატესად, ეყრდნობა არა უმუალოდ ამ სამყაროს მიერ შექმნილ მეცნიერულ-ფილოსოფიურ-თეოლოგიურ თხზულებებს, არამედ – უცხოელ მეცნიერ-სწავლულთა მხრიდან უმეტესწილად ისლამის ტენდენციურად ინტერპრეტირებულ ნაშრომებს, რომლებ-

შიც პოლემიკური განწყობა უფრო ჭარბობს, ვიდრე ობიექტური ანალიტიკური მსჯელობა.

ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ კ. კეკელიძის ზემოაღნიშნულ მტკიცებულებებს არ ეთანხმება არც ყურანი და არც წინასწარმეტყველ მუჰამადის მიერ ღმერთზე თქმული სიტყვები.

ყურანში წინასწარმეტყველი მუჰამადი მოხსენიებულია როგორც „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ (ხათიმ ალ ანზია), რაც მის მიერ ბიბლიურ წინასწარმეტყველთა საქმის გაგრძელებასა და დასრულებას გულისხმობს. ეს კი, თავის მხრივ, ყოველი წინასწარმეტყველის ერთი წყაროდან წარმომავლობაზე, ერთი ღმერთისგან ნასაზრდოობაზე მიანიშნებს. მაგრამ ვინაიდან ღმერთი მუჰამადის შემდეგ წინასწარმეტყველს არ მოავლენს, ამიტომ იგი (უფალი) საბოლოოდ აფრთხილებს ადამიანებს, რათა ირწმუნონ მისი, ხოლო „ღვთის რწმენა თავისთავად განაპირობებს მიღმური, იდუმალი, დაფარული (ალ-ლაიბ) სამყაროს რწმენასაც, რომლის ორი ასპექტი – სამოთხე და ჯოჯოხეთი, პრაქტიკულად, ადამიანური ქცევის საპირწონედ წარმოისახება“ (ყურანი 2006: 60) ეს კი თავისთავად ღვთის მიერ ადამიანური ნების თავისუფლების ცნობის ხაზგასმას.

„ყურანი“ 114 სურასგან, ანუ თავისგან შედგება. აქედან 113 იწყება ფორმულით – „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“ (ბისმილლაკ არ-რაჰმან არ-რაჰიმ), გარდა ერთისა – მეცხრე სურისა „მონანიება“.

თუმცა, ოცდამეშვიდე სურაში „ჭიანჭველანი“ ფორმულა „სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“ – ორჯერაა მოცემული: ერთხელ, სურის დასაბელებსა და აიების რაოდენობის მითითების შემდგომ, მეორეჯერ – უშუალოდ ტექსტში, კერძოდ, 30-ე აიაში, რომელშიც მოთხრობილია დედოფალი ბულკაისის მიერ სულაიმანისაგან (სოლომონისაგან) წერილის მიღების ამბავი. მოგვყავს 29-ე და 30-ე აიები: „თქვა დედოფალმა: ო, დიდებულნო, ჩამომეწოდა მე წიგნი კურთხეული; იგი სულაიმანისაა და არის იგი სახელითა ალაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა“ (ყურანი 2006: 261). შესაბამისად, ყურანში ღმერთის მოწყალება და მწყალობლობა 113-ჯერ დასტურდება მხოლოდ სერების

დასაწყისში; რაც შეეხება უშუალოდ ტექსტს და უფრო სიღრმისეულ პლასტებს, ღმერთი ყურანში თვალთმაქცების, წარმართებისა და ღმერთისთვის საზიაროს ჩამნაცვლებლებისთვის მკაცრი სასჯელის აღთქმის შემდეგ ყოველთვის დასძენს, რომ მომნანიებლებისთვის „ჭეშმარიტად, ალაჰი მიმტევებელია, მოწყალე...“.

აღნიშნულის გარდა, თავად მუჰამადი ცდილობდა „ალაჰი“ „არ-რაჰმანი“ ანუ „მოწყალით“ შენაცვლებულიყო – „წარმართობასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტის მიზნით, ერთხანს სურდა, სახელი ალ-ლაჰი, რომელსაც შესაძლოა, მორწმუნეთათვის წარმართულ კერპებთან დაკავშირებული მოგონებანი აემალა, ამ ეპითეტით (იგულისხმება „არ-რაჰმანი“ – ო.ქ.) ჩაენაცვლებინა“ (ლობჯანიძე 2008: 240).

კ. კეკელიძის არგუმენტი, რომ ისლამში მოაზრებული ღმერთი შურისმაძიებელია, საფუძველსმოკლებულია, ვინაიდან მისი ნათქვამიდან გამომდინარეობს აზრი, თითქოს შურისგება ღმერთის თვითმიზანს წარმოადგენდეს. არადა ყურანში ღმერთი სასჯელით ემუქრება მხოლოდ მათ, ვინც უკეთურებას ამრავლებს ქვეყანაზე, ხოლო ვინც მოინანიებს – მისთვის ღმობიერი და გულმოწყალეა. აღსანიშნავია, რომ ღმერთის ასეთი გააზრება სულაც არ არის უცხო არც იუდაიზმისთვის და არც ქრისტიანობისთვის, რადგან აქაც ღმერთი ამბობს – „მე მივაგო სასჯელი თქვენსა წილ.“

ამდენად, საქმე გვაქვს არა შურისმაძიებელ, არამედ ამა თუ იმ პიროვნებისა თუ ხალხის უკეთურებისთვის დამსჯელ უზენაეს არსებასთან და ამაში არაფერია გასაკვირი. ასე რომ, უშუალოდ ყურანში და მის ეგზეგეტიკაში ღმერთის „შურის მაძიებლობაზე და მით უმეტეს მის „ექვიან ბუნებაზე“ არავითარი მინიშნება არ არსებობს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამის საფუძველზე „ვეფხისტყაოსანში“ „მოაზრებული“ ღმერთისა და ისლამის მიერ ნაქადაგებ ღმერთს შორის რაიმე სხვაობაზე მითითება ყოველგვარ აზრსმოკლებულია. რაც შეეხება ე. ხინთიბიძის დასკვნას, რომ „პოემა გვერდს უვლის ქრისტიანული დოგმატიკის ღმერთს, მაგრამ უგულვებელყოფს

მაჰმადიანური რელიგიის ღმერთსაც“ – ისლამთან მიმართების ნაწილში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვერ მტკიცდება. გარდა ამისა, გაუგებარი რჩება, თუ რატომ მაინცდამაინც „უგულებელყოფს“, ეგებ მასაც ასევე უვლის გვერდს? „ვეფხისტყაოსანი“ ხომ პოლემიკური ხასიათის ნაწარმოები არ არის?

რუსთაველის დამოკიდებულება ისლამისადმი – ე.წ. „სარკაზმი“

მეორე საკითხი, რომელიც რუსთაველის ანტიმუსლიმურ განწყობად მიიჩნევა, ე.წ. „სარკაზმი“, „ირონია“, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ „მაჰმადიანური რელიგიის ღმერთის“ უარყოფისას ასევე ერთ-ერთ არგუმენტად სახელდება. კ. კეკელიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ჩვენი პოეტი დაუფარავი სარკაზმითა და ირონიით იხსენიებს მაჰმადიანობას, მის წესებს ის პირზე ღიმილით აღნიშნავს ხოლმე. ასეთი ტონი გვესმის ავთანდილის მიერ გადარჩენილი ვაჭრების სიტყვებში:

„გარდახდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართ მოზალდადელნი ვაჭარნი,
მაჰმადის რჯულის მჭირავნი აროდეს გვისმან მაჭარნი“. (1031)

გვესმის ის ტარიელის სიტყვებშიც:

„სრულნი მუყრნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან“. (354)

ასეთივე რამ გვესმის მოთხრობაში უსენის შესახებ – აგრძელებს მეცნიერი – რომელსაც „დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფი, რა მაქანი?“ (1166). ცხადია, მართლმორწმუნე მაჰმადიანისაგან ასეთი რამე მოსალოდნელი არაა! არ არის მოსალოდნელი მისგან გულგრილობა ისლამის მორალური კოდექსის მოთხოვნილებათადმი (მარხვა, ლოცვა, პილიგრიმოზა, სიმართლე), რომელიც თავს იჩენს პოემაში“ (კეკელიძე 1981: 186-187).

კ. კეკელიძის ამ აზრს იმეორებს ე. ხინთიბიძეც – „მართალია, გარეგნულად პოემის გმირები მაჰმადიანები არიან მაგრამ

მათი რელიგიური რწმენა არ თავსდება ამ აღმსარებლობის ფარგლებში და არც მათი ღმერთია მაჰმადიანური ღვთაება“ (ხინთიბიძე 2009: 231) – დასძენს და პირველ არგუმენტად შემდეგი მოაქვს: „...პოემის გმირები ირონიულად და გულგრილად უცქერიან როგორც მაჰმადიანური რელიგიის წესებს, ასევე მის მსახურთ“ (ხინთიბიძე 2009: 231).

პირველი ეპიზოდი, რომელიც მეცნიერებს რუსთაველის მხრიდან მაჰმადიანობის მიმართ გამოთქმულ ირონიულ დამოკიდებულებად მიაჩნიათ, ტარიელისგან ნესტანის პირველად ნახვით გამოწვეულ „დაბნედას“ უკავშირდება. ტარიელი ავთანდილს თავისი იმჟამინდელი მდგომარეობის ამბავს უყვება. აღნიშნული საკითხის გააზრების მართებულობის შესასწავლად, უპირველეს ყოვლისა, ტექსტის შესაბამისი ეპიზოდების დაწვრილებითი ანალიზია საჭირო:

„სრულნი მყურნი და მულიმნი მე გარე შემომცვიდიან,
მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვიდიან;
მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახვიდიან,
სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან“. (354)

მოულოდნელი სიყვარულის უდიდესი ზემოქმედებისაგან გონის დაკარგვა რუსთაველამდეც ცნობილი იყო ლიტერატურაში, რაც ამ გრძნობის, როგორც ასეთის, ჭეშმარიტების, მარადიულობის მიმანიშნებელია; მაგალითად, „ვისრამიანში“ რამინის მიერ ვისის ნახვა და გამიჯნურება ამგვარადაა გადმოცემული: „რა რამინ ვისის პირი ნახა, ვითამცა გულსა უტევანი ისარი სცემოდა, ცხენისგან ფურცელის ოდნად სუბუჟად ჩამოიჭრა, დაბნდა და დიდხან უჭკუოდ იდვა. პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექვა და ბაგე, წითლისა იაგუნდისა მსგავსი, ცისფერად შეექმნა: სიცოცხლისგან უიმედო იქმნა. ვინც დიდებულნი და მოყმენი იახლნეს, ქვეითნი და ცხენოსანნი, მოეხვივნეს რამინს, ზედა უჭვრეტდეს და ვერავინ შეატყვა, თუ ესრე უგრძნეულოდ რა წაეკიდაო. მისისა ასრე გასვლისათვის ყოველი კაცი ტიროდა და მისისა ჭირისათვის ყველა მისგან უძნელე იყო...“

მოახლე-მნახავსა ყველასა ასრე ეგონა, უღონოდ მტერიანი იყო რამინ და აწ მტერმან დასცაო“ (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – ო.ქ.) (ვისრამიანი 1964: 44-45).

„ლეილსა და მაჯუნში“ ამ კუთხით მსგავსი სურათი იხილვება. ლეილის სიყვარულით გახელებულ ყაისსაც „მაჯუნუნს“ ეძახიან. „მაჯუნნი“ წარმოებულია „ჯინ“ ფუძისაგან, რაც ავსულს ნიშნავს. როგორც „ვისრამიანში“, ასევე „ლეილსა და მაჯუნშიც“¹ გარშემომყოფი საზოგადოება ვერ ხვდება ამ გმირთა ბნედისა და გახელების საბაბს. შესაბამისად, მათი ყოველი მცდელობა, უწამლონ მათ, ცუდი მაშვრალობაა. ასევეა ტარიელის შემთხვევაშიც. ამირბარმა ნესტან-დარეჯანს თვალი მოჰკრა თუ არა, მოულოდნელად დაიბნინდა და სამი დღის განმავლობაში, დროდადრო მოსულიერებას თუ არ ჩავთვლით, გონწასული იწვა. მასაც, როგორც რამინს, ხალხი ახვევია: „გარე მომრტყმოდა ჯალაბი, ვითა ჩამსხდომი ნავისა“ (352). ასევე ექცევიან მაჯუნუნსაც, როცა სურთ ჩააგონონ, რომ ლეილისადმი ტრფობას თავი დაანებოს და ამ მიზნით მექაში ქაბას მოსალოცად მიჰყავთ. ქაბასთან მისულმა მაჯუნუნმა სიტყვა „სიყვარული“ რომ გაიგონა, ხელი ქაბას მოსასხამის კალთას ჩასჭიდა და ღმერთს ასე ეაჯა. მოგვყავს ხსენებული მონაკვეთის პწკარედული თარგმანი:

„ღმერთო, ნუ მაშორებ ტრფობის მზეს,
არ ამომაცილო თვალთაგან მისი სურმა.
თუ გული ამ ტრფობით დაიბანგება,
დაე, ამ ქვეყნად ვიყო ამაზე უარესადაც.

.....
ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი ლეილი,
ყოველ წუთს მომიმატე მისდამი ლტოლვა!
ღმერთო, შენ შემიმოკლე სიცოცხლის დღენი,
და შენივე ხელით ლეილის სიცოცხლეს მიუმატე“ და ა.შ.

(ნიზამი 2004: 84)

1 ფახრ ედ-დინ გორგანის „ვისრამიანს“, ნიზამი განჯელის „ლეილი და მაჯუნუნს“ და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ შორის პარალელებს ავლებს და მსგავსებებზე ვრცელი მსჯელობა იხ. კ. კეკელიძის „მველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომი“ გვ. 127-136.

როგორც ვხედავთ, ავსულისაგან ადამიანის გასათავისუფლებლად წმინდა ალაგთა მოლოცვა თუ მისთვის წმინდა ტექსტების წაკითხვა ტრადიციული მეთოდებია. სამეფო კარში ტარიელიც „მტერ-დაცემული“ ჰგონიათ, ამიტომ: „მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზებელითა“ (352), ხოლო ეს „მუყრნი და მულიმნი“ „მტერს“, ანუ ავსულსა და ეშმაკს, ბუნებრივია, ებრძვიან წმინდა წიგნით, „მუსაფით“, რაც ყურანის ერთ-ერთი ზედწოდებაცაა. მაგრამ ვინაიდან მაჯუნის შემთხვევაშიც და ტარიელთანაც საქმე გვაქვს არა ავსულ-ეშმაკთან, არამედ ღვთაებრივ სიყვარულთან. ყურანით თუ ქაბას მოლოცვით მისი გამოდევნა ამაო საქმიანობაა. შესაბამისად, სიტყვა „ჩმახვა“ არ გულისხმობს უშუალოდ ისლამისა და ყურანის დაცინვას, იგი უფრო ამ საქმით დაკავებულ „მუყრნსა და მულიმნს“ მიემართება, ოღონდ ისიც ნაწილობრივ, რადგან: 1) ხსენებული პირები ტარიელის გამოსალოცად მოიყვანეს მათ, ვისაც, პირველ რიგში, იგი „მტერ-დაცემული“ ეგონა; 2) თავად ტარიელი ამბობს – „მტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი რას ჩმახვიდიან“. ე.ი. „ჩმახვენ“ ისინი, ვინც ასეთად მიმიჩნევენ, რადგან ვერ ჩახვედრილან ამ მოვლენის არსში და ღვთიურს ღვთიურითვე ებრძვიანო; 3) „ჩმახვა“ ნათქვამია არა „მუსაფის“ სტრიქონში („მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი...“), არამედ – „მტერდაცემულობასთან“ („მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი რას ჩმახვიდიან“). „ჩმახვა“ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონში“ ამგვარადაა განმარტებული: ცუდის სიტყვის მითქმამოთქმა, ხოლო „ჩმახული“ – „მითქმა-მოთქმული“ (გვ. 321) და ვინაიდან ყურანის კითხვა დიალოგურად ანუ „მითქმა-მოთქმულად“ ვერ წარიმართებოდა, მაშასადამე, ხსენებული სიტყვა მუსლიმთა წმინდა წიგნს არ გულისხმობს. ასე რომ, აღნიშნული პასაჟი მიემართება არა მხოლოდ სასულიერო პირებს, არამედ ყველას, ვინც ამგვარად ფიქრობს. გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს პოემის სხვა ეპიზოდი, რომელშიც ყურანი გამირთათვის წმინდა წიგნსა და მთავარ საფიცარს წარმოადგენს. გავიხსენოთ ნესტანის გათხოვების თათბირის შემდგომ ვეფხვივით პირგამეხებული მეფის ასულის ტარიელთან შეხვედრა, როდესაც მის პირგამეხებას ტარიელი ყურანზე დაფიცებით მოამშვიდებს და რითაც საკუთარ უდანაშაულობას დაამოწმებს:

„შევკვხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,
ავიღე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე მათი მქებარე“ (533).

როგორც ამ ეპიზოდიდან ჩანს, ნესტან-დარეჯანი ყურანს კითხულობს („შევკვხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე“, 533) და ტარიელიც პატივისცემითა და მოწიწებით იღებს მას, შემდეგ დგება ფეხზე და ღვთის ქება-დიდებას მუსაფით ხელში იწყებს. მის ქმედებებსა და სიტყვებში, შესაბამისად – რუსთაველის ნააზრევში, „ირონიისა და სარკაზმის“ ნატამალიც კი არ ჩანს.

„სარკაზმისა“ და „ირონიის“ მეორე არგუმენტად ბაღდადეგლი ვაჭრების ეპიზოდი სახელდება. მივმართოთ ტექსტს:

„გარდახდა, ჰკადრეს: „ჩვენ ვართო მობაღდადენი ვაჭარნი,
მაჰმადის რჯულის მჭირავნი აროდეს გვისმან მაჭარნი.“ (1031)

კ. კეკელიძის მიხედვით, ისლამის მიმართ აქაც ირონიული დამოკიდებულება იჩენს თავს. მეცნიერს, შესაძლებელია, ამის თქმის საბაბს ორი გარემოება აძლევდა: 1) რატომ აკონკრეტებს რუსთაველი ვაჭრების პირად აღმსარებლობას ასე უშუალოდ? 2) მაშინ, როცა სამეფო კარზე ყველა სვამს, „ვეფხისტყაოსანში“ ღვინის უსმელობა („აროდეს გვისმან მაჭარნი“) უცნაურად, სასაცილოდ მოჩანს, ე. ი. ირონიას და თანაც მხოლოდ ვაჭრების კი არა, ისლამის მიმართაც, რადგან ეს უკანასკნელნი სწორედ მუსლიმები არიან.

ვფიქრობთ, აღნიშნულს ისლამში ვაჭრობისადმი, როგორც ხელობისადმი, დამოკიდებულება მოჰყვანს ნათელს. საქმე ისაა, რომ თავად მოციქულ მუჰამადის საქმიანობა, როცა მას აქლემების მწყემსობის შემდგომ ქარავანი ჩააბარეს, სწორედ ვაჭრობა იყო. არაბებს ქარავნები ისლამის გავრცელებამდეც საკმაოდ შორს მიუდიოდათ, მაგრამ მუჰამადმა ამ საქმეს კიდევ უფრო დიდი პატივი შესძინა, როცა სინდისიერებაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ვაჭრობა ღვთისმოსაობად დასახა, ე.ი. ეთიკა დააწესა. გარდა ამისა, ვაჭრებს არა მხოლოდ აღებ-მიცემობა, არამედ მაშინდელი დროისთვის მეტად მნიშვნელოვანი მისიებიც ეკის-

რათ. მაგალითად, ისინი იყვნენ მოგზაურები, დიპლომატიური მისიით აღჭურვილებიც და არც თუ იშვიათად – რომელიმე ქვეყნის მსტოვარნიც. აგრეთვე, გამომდინარე თავიანთი საკომერციო საქმიანობიდან, მათ ხშირად ისლამის სხვადასხვა წმინდა ქალაქშიც უწევდათ სავაჭროდ ჩასვლა და წმინდა ადგილების მომლოცველებიც იყვნენ. სწორედ აქედან დაიბადა ცნობილი გამოთქმა: „თან ვაჭრობა და თან მომლოცველობაო“, რაც ორმაგი სარგებლის – ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის ერთდროულად შეძენაზე მიანიშნებს. გამომდინარე თავიანთი პილიგრიმოზიდან და ამ საქმეში მათ მისაბამ ნიმუშად მოციქულ მუჰამადის დასახვიდან, ვაჭრები რელიგიური წესების დაცვისადმი უფრო მეტ ერთგულებას იჩენდნენ, უფრო სწორად, ვაჭრისათვის მორწმუნე კაცისა და ღვთისმოსავის სახელი აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ეს მათდამი ნდობის ფაქტორს კიდევ უფრო ამაღლებდა. იმისდა მიხედვით, რომ ვაჭრები თავად მეომრები არ იყვნენ, ქარავნების დასაცავ რაზმებს ყოველთვის ქირაობდნენ. ასე რომ, პოემის აღნიშნულ ეპიზოდში: 1) თავად ვაჭრები ახასიათებენ თავიანთ თავს „მაჰმადის რჯულის მჭირავნ“-ად და თავად აღნიშნავენ, რომ „აროდეს გვისმან მაჭარნიო“, ე.ი. საკუთარი თავისადმი ირონია აქ გამორიცხულია 2) ასეთი ხაზგასმა ერთგვარი სიამაყეცაა, რითაც ავთანდილის წინაშე თავს იწონებენ. ვაჭრებისადმი ირონია, უფრო სწორად არისტოკრატის მათდამი დამოკიდებულება გამოსჭვივის ავთანდილის შემდეგ სიტყვებში:

„თქვენ, ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,
შორს ისრითა არ დაგხოცნენ, ჩაიხშენით თანა კარნი.“ (1031)

„ვეფხისტყაოსანის საპატრონყმო საზოგადოებაში ვაჭართა წრეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს; ეს ვაჭართა წრე საზოგადოებრივი წყობის ქვემო საფეხურზეა და ფეოდალური წრე მას ზემოდან დაჰყურებს... ვაჭარი მეომარი და მეზრძოლი არაა, და ეს უკვე საკმარისია ფეოდალურ საზოგადოებაში მას რომ ამპარტავნულად ზემოდან უყურებდნენ“ (ნოზაძე 1958: 85-86).

ასე რომ, ავთანდილისა და ვაჭრების ეპიზოდშიც ისლამისა და მისი მოციქულისადმი არავითარი ირონია არაა.

ამ საკითხის გაგრძელებაა უსენის შემთხვევაც („დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი?“). აქაც ძალზე მოკლედ რომ ვთქვათ, ღვინით შემთვრალმა უსენმა ცოლისათვის მიცემული ფიცი გატეხა და მეფეს ნესტან-დარეჯანის შესახებ მოუყვა. უსენის მიერ ფიცის დარღვევას/გატეხვას გულისტკივილით იხსენებს ფატმანი:

„რა მეფემან უსენს წინა სვა მრავალი დოსტაქანი,
კვლა შესვეს და კვლა აუვსნეს სხვა ფარჩნი და სხვა ჭიქანი.
დაავიწყდა იგი ფიცი; რა მუსაფი, რა მაქანი!
მართლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“.
(1166)

აქედან ცხადი ხდება, რომ უსენი უპრინციპო ადამიანია. ხოლო მის მიერ ფიცის გატეხვის მიზეზი სიმთვრალეა, რომელიც ავიწყებს მიცემული სიტყვის ფასს და იმ წიგნისა და ადგილის სიწმინდეს, რაზეც შეჰფიცა. როგორც ვხედავთ, მეცნიერის მითითება, რომ „ცხადია, მართლმორწმუნე მაჰმადიანისაგან ასეთი რამე მოსალოდნელი არაა! არ არის მოსალოდნელი მისგან გულგრილობა ისლამის მორალური კოდექსის მოთხოვნილებათადმი (მარხვა, ლოცვა, პილიგრიმოზა, სიმართლე), რომელიც თავს იჩენს პოემაში“ მხოლოდ ზოგად პრინციპად შეიძლება შეფასდეს და უსენის ასეთი მოქცევა, არც მის მიერ და არც რუსთაველის მიერ ისლამისადმი ირონიულ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ე. წ. „სარკაზმის“ საკითხი ჩვენთვის საინტერესო ღვინის თემასაც მოიცავს, მის განხილვას აქვე შევუდგებით. მთელი პოემის მანძილზე ალბათ ერთადერთი შემთხვევა, რა დროსაც ერთმანეთს „მსმელნი“ და „არამსმელნი“ ემიჯნებიან, ავთანდილის ბაღდადეღ ვაჭრებთან შეყრის ეპიზოდია. მაგრამ სანამ იმაზე ვიმსჯელებდეთ, თუ „ვეფხისტყაოსანში“ ღვინის სმა რამდენად გამორიცხავს მისი გმირების მუსლიმობას, დავძენთ, რომ ავთანდილთან მოლაპარაკე ბაღდადეღი ვაჭრებიც მუსლიმები არიან (რომლებიც არ სვამენ) და გულანშაროს ვაჭართუხუცესი უსენიც მუსლიმია (რომელიც სვამს). ე. ი. გამოდის, რომ რელიგიური ღვთისმოსაობა, რო-

გორც ყველგან, ასევე ვაჭრებშიც პიროვნული არჩევანი ყოფილა, ანდა სამეფო კარის მოხელე და დიდგვაროვნებთან ახლო ურთიერთობის მქონე და, ამდენად, მათი გავლენის ქვეშ მყოფი უსენი სვამს მხოლოდ.

„ვეფხისტყაოსანში“ ღვინის ფენომენი განხილული აქვს ვიკტორ ნოზაძეს წიგნში „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებათმეტყველება“, რომელშიც ავტორი ძალზე მოკლედ განიხილავს ღვინის საკითხს ისლამში, მუსლიმურ ქვეყნებსა და „ვეფხისტყაოსანში“. მისი თქმით, ძველ ქართულ მწერლობაში ღვინის სადიდებლად შექმნილი პოეტური ნიმუშები ძალზე მწირია, „მაშინ, როცა სპარსულ-არაბულ პოეზიაში... ღვინოს დიდი ადგილი მიეკუთვნება არა მარტო სალხინო პოეზიაში, არამედ მისტიურ მიღწევათა ცდაშიც“ (ნოზაძე 1958: 284). ვ. ნოზაძე აგრეთვე აღნიშნავს, რომ, მართალია, ისლამი კრძალავს ღვინის სმას, „...მაგრამ არისტოკრატია, მაღალი წრე იშვიათად თუ მისდევდა ამ კანონს ღვინის აკრძალვის შესახებ“ (იქვე). თუმცა, აქ იმის ნაცვლად, რომ მეცნიერს „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებითაც მსგავსი ლოგიკური დასკვნა გამოეტანა (ანუ მიეთითებინა, რომ პოემაშიც მსგავსი ვითარებაა – ო. ქ.), საკითხს ისევ ღიად ტოვებს, როცა წერს, რომ: „ვეფხისტყაოსანში ჩვენ ვიმყოფებით ისლამურ ქვეყნებში და ვეფხისტყაოსანის გმირები, რომლებიც თითქო მაჰმადიანები არიან, ისლამის წესების აღსრულებასა და დაცვას უნდა მისდევდნენ თუ ისინი სათნო და მართლმორწმუნენი მართლა არიან. ისლამის თანახმად ღვინის სმა აკრძალულია, მაგრამ ვეფხისტყაოსანში აურწყავი და განუზომელი ღვინო იღვრება“ (ნოზაძე 1958: 284). ზემოთმოხმობილ ამონარიდებში აშკარად ჩანს წინააღმდეგობრიობა, რომელიც შეგვიძლია ასე გადმოვცეთ: თუკი მუსლიმი არისტოკრატია, ყველაფრის მიუხედავად, მაინც სვამს (და უმრავლეს შემთხვევებში ასეც იყო – ო. ქ.), მაშინ რატომ მიგვაჩნია „ვეფხისტყაოსნის“ არისტოკრატია სმის გამო არამუსლიმად?

გარდა ამისა, ღვინოს სვამენ მუსლიმურ აღმოსავლეთში შექმნილი საგმირო თუ სამიჯნურო ეპოსთა გმირებიც, იქნებიან ესენი ფირდოუსის „შაჰნამეს“, ნიზამისა თუ ფიზულის პერსონაჟები. მაგალითად, ნიზამისთანაც და ფიზულისთანაც მაჯნუ-

ნი, რომელსაც ნავფალი ლეილისთან შეყრას ჰპირდება, ოღონდ კი მასთან იამხანაგოს, ღვინოს სვამს და ღვინო აქ სულაც არ არის საშუალება თეოზისის განსახორციელებლად, ლხინის ჩვეულებრივი ატრიბუტია.

ამისი მსგავსი სხვა უამრავი მაგალითის მოყვანა-დასახელება შეიძლება აღმოსავლურ მუსლიმური ლიტერატურიდან, რომლებშიც ღვინოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამდენად, ცხადად ჩანს, რომ მხოლოდ სმითა თუ უსმელობით გმირთა აღმსარებლობის დაზუსტება მეცნიერულად მყარი ვერ იქნება.

ავთანდილის ლოცვა

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ნ. მარი გამორჩევით ეხება, არის „ავთანდილის ლოცვა მიზგითში“. იგი ავთანდილის ლოცვას განიხილავს როგორც მუსლიმობის წარმომადგენელ ეპიზოდს პოემაში, მაგრამ ასევე შენიშნავს, რომ: „ასეთი ლოცვისათვის მუსლიმანი, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, უნდა წარმოადგას, როგორც ისლამისაგან განდგომილი, რწმენაზე ხელაღებული, რომელიც დასცინის (ხაზგასმა ჩვენია – ო. ქ.) წინასწარმეტყველი მუჰამადის რელიგიას და მის ერთგულ მიმდევრებს.“ ნ. მარის ამ აზრს ეყრდნობა ე. ხინთიბიძე, რომელიც წერს: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პოემის გმირთა ლოცვები არც ერთხელ არ ემსგავსება მკაცრად ორგანიზებულ დღე-ღამის ხუთეჭაპოვან ლოცვას; ავთანდილის წლიურ მოგზაურობებში არც ერთხელ არ გამახვილებულა ყურადღება მკაცრი (ხაზგასმა ორივეგან ჩვენია) მარხვის თვეზე – რამადჰანზე“ (ხინთიბიძე 2009: 231). მეცნიერთა ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – ავთანდილი არა თუ მაჰმადიანი არ არის, არამედ მიზანმიმართულად აკნინებს და შეურაცხყოფს ისლამს მთელი თავისი მქადაგებელ-მიმდევრებიანად. ვფიქრობთ, გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა არსებითად ეწინააღმდეგება თავად რუსთაველის სულისკვეთებას, საქმე გვაქვს ცნება „ლოცვის“ მხოლოდ ერთპლანიან გა-

გებასთან და გაუგებრობასაც სწორედ ეს ქმნის. არადა „ლოცვა“ აქვს ფართო და ვიწრო შინაარსი – ფართო გაგებით, იგი ღვთისმსახურებაა, რომელსაც ადამიანი გარკვეული, დადგენილი წესების მიხედვით აღასრულებს, ხოლო ვიწრო მნიშვნელობით იგი ვედრებაა, აჯაა, ღვთისგან ამქვეყნიურ საქმეთათვის შეწევნის თხოვნაა (ს. ს. ორბელიანი „ლექსიკონში“ ასე განმარტავს: „ლოცვა არს გონებით ღმრთისა მიმართ აღსვლა ანუ თხოვა ჯეროვანი ღმრთისაგან; ლოცვა არს ვედრება...“ (ორბელიანი 1991: 423). შესაბამისად, ისლამში „დუა“ (არაბ. ვედრება) და „სალათ“ (არაბ. სარიტუალო ლოცვა) ერთმანეთისაგან განსხვავდება. სათქმელია, რომ ყველა რელიგიას და მათ შორის ისლამსაც აქვს დღისა და ღამის გარკვეული მონაკვეთისათვის განკუთვნილი სარიტუალო ლოცვა, სადღესასწაულო თუ უბრალოდ მადლის მომნიჭებელი, ასევე რაიმე დიდი კატასტროფის შესაჩერებლად აღსასრულებელი. ისლამში არსებობს ექვსი სავალდებულო სარიტუალო ლოცვა:

1. ყოველდღიური ლოცვები;
2. მიცვალებულისათვის აღსასრულებელი ლოცვა;
3. ბუნებრივი მოვლენების (ქარიშხლის, წყალდიდობის, მიწისძვრისა და ა.შ.) დროს აღსასრულებელი ლოცვა;
4. ქაბას მომლოცველობისას აღსასრულებელი ლოცვა;
5. მამის დანატოვარი (გარდაცვალების გამო) ყოველდღიური ლოცვები, რომელთა გასტუმრებაც მის მაგიერ უფროსი ვაჟისთვისაა სავალდებულო;
6. დაპირებისას, დაფიცებისას, აღთქმისას აღსასრულებელი და საპარასკეო ლოცვა.

ზემოჩამოთვლილთაგან ყოველდღიურად სავალდებულო მხოლოდ პირველი – დღე-ღამეში ხუთჯერ აღსასრულებელი სარიტუალო ლოცვებია. ისინი ერთიმეორის მიყოლებით კონკრეტული დროის მონაკვეთში, განთიადიდან შუაღამემდე, არიან განაწილებული და თითოეულს თავისი დროის შესაფერის სახელი აქვს:

1. განთიადის ლოცვა;
2. შუადღის ლოცვა;
3. დასაღის ლოცვა;

4. საღამოს ლოცვა;

5. ღამის ლოცვა.

ხოლო რაც შეეხება არასარიტუალო ლოცვას-ვედრებას, იგი ამ ლოცვამდეცაა შესაძლებელი, ამავე ლოცვაშიც და სარიტუალო ლოცვის მერეც. ავთანდილის ლოცვაც, როგორც ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, არ არის არც მუსლიმური სარიტუალო ლოცვის წესებით წარმართული და არც ქრისტიანული. სამაგიეროდ, ცნება „ლოცვის“ ვიწრო გაგებიდან გამომდინარე, ანუ როცა იგი (ლოცვა) იგივედება წმინდა ადამიანური გასაჭირიდან გამოხატულ ვედრებასთან, ყველაფერი თავის ადგილზე დგება. მით უმეტეს, რომ მძიმე განსაცდელის ჟამს გმირებისაგან ლოცვის აღვლენა, გარდა იმისა, რომ თავისთავად ის ძალზე ბუნებრივი და ადამიანურია, მხატვრულ ლიტერატურაში მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ დრამასაც ასახავს: 1. თვით უძლეველი გმირიც კი უმწეოქმნილა და ღმერთს შესთხოვს გამარჯვებას; 2. შეისმენს ღმერთი მის ვედრებას? 3. თუ შეისმენს, ე. ი. გმირი მართალ საქმეს ემსახურება და ა.შ. ავთანდილის ლოცვაც, ცალკე აღებული, უფრო ვედრებაა თავისი ფორმითაც და შინაარსითაც, ვიდრე სარიტუალო ლოცვა, სხვა დანარჩენზე პოეტი დუმს, რადგან, როგორც ე. ხინთიბიძე მართებულად დაასკვნის, ასეთია „არადოგმატური რელიგიური ტენდენცია პოეტისა“. მართალია, რუსთაველმა მიზგითში კი შეიყვანა ავთანდილი, მაგრამ ჩვენთვის საცნაური გახადა მისი ვედრება-ღაღადისი („ღმერთო, ღმერთო გაეჯები...“), რომელიც აღთქმით სრულდება: „თულა დავრჩე გამსახურებდე, შენდა მსხვერპლსა შევსწირვიდე (813) და არა სავალდებულო სარიტუალო ლოცვა. ავთანდილიც ასე ავედრებს თავის სიყვარულს ღმერთს: „ნუ ამოჰფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესა“ (812).

ყოველივე აქედან გამომდინარე, კითხვა – თუ კონკრეტულად რაში ვლინდება ავთანდილის მიერ მუსლიმური რელიგიისა და მისი საღვთისმსახურო წესების აბუჩად აგდება და, შესაბამისად, რატომ უნდა „წარმოდგეს“ იგი რწმენისგან განდგომილად – ვერ პოულობს თავის სათანადო ახსნას.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ რუსთაველის მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს ისლამის უარყოფა ან თუნ-

დაც მისი მიზანმიმართული ქადაგება-პროპაგანდა და, ამდენად, ქართველ მეცნიერთა ზემოთ მოყვანილი არგუმენტები მოსაძიებელი და შესანაცვლებელია სხვა უფრო მყარი მტკიცებულებებით, რომლებიც ვითარებას უფრო ობიექტურად წარმოაჩენენ, რადგან:

1) როგორც გამოირკვა, ქართველი მეცნიერები ჯეროვნად არ იცნობენ მუსლიმურ რელიგიას, თეოლოგიასა და ფილოსოფიას; ამდენად მათ არგუმენტებს, მოყვანილს ისლამისგან მოაზრებული ღმერთის თვისებებსა და ბუნებასთან დაკავშირებით, რუსთველოლოგია აღმოსავლური სამყაროს მიმართულებით კვლევის ასპექტში არასწორი მიმართულებით მიჰყავს.

2) ქართველი მეცნიერების მიერ პოემიდან მოყვანილ არცერთ მაგალითსა და არგუმენტში არ ჩანს ისლამის არც უგულვებელყოფა და, მით უმეტეს, არც „სარკაზმი და „ირონია“ მის მიმართ.

3) ჩანს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გმირების არამუსლიმობის დამტკიცება მხოლოდ ღვინის სმის გამო მყარი მეცნიერული არგუმენტი არ არის, რადგან აღმოსავლურ საგმირო თუ სამიჯნურო ეპოსებში უხვადაა საამისო მაგალითები.

4) „ავთანდილის ლოცვა“ არაფრით არ ეწინააღმდეგება ისლამს და იმის მომიზეზებით, რომ იგი არ ჰგავს მუსლიმურ სარიტუალო ლოცვას, ვერ დავამტკიცებთ ავთანდილის რწმენისგან (ისლამისგან) განდგომილობას და მის ქრისტიანობას მხოლოდ ამაზე ვერ ავაგებთ.

„ბედითი ბნედა“

სიყვარულის ძალისაგან „დაბნედის“ მოტივს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრფიალო თუ საგმირო ეპოსებში. იგი მამაკაც პერსონაჟებში ამ გრძნობის ერთგვარი ინდიკატორიცაა. სწორედ მისი მეშვეობით ამოიცნობს მკითხველი გმირების გრძნობების ჭეშმარიტებასა და ნამდვილობას. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, არც „ვეფხისტყაოსანია“ გამონაკლისი. სიყვარული-საგან დაბნედა ტარიელს რამინთან და მაჯუნთან ანათესავებს.

კ. კეკელიძე რამინის მხატვრულ სახეზე მსჯელობისას წერს: „როდესაც რამინი მიჰყვებოდა მოტაცებული ვისის კუბოს, „ანაზდად ღმრთისა განგებისგან ადგა დიდი ქარი და მოჰგლიჯა კუბოსა სახურავი ფარდაგი. თუ სთქუა, ღრუბლისაგან ელვა გამოჩნდა, ანუ ანაზდად მზე ამოვიდა: გამოჩნდა ვისის პირი; და მისის გამოჩენისაგან დატყუევდა რამინის გული. თუ სთქუა გრძნეულმან მოწამლა რამინი, რომელ ერთითა ნახვითა სული წაუღო“. ის მაშინვე ცხენიდან ჩამოვარდა და მიწაზე იდგა დიდხანს პირი გაუყვითლდა“ (კეკელიძე 1981: 135). მეცნიერი იქვე პარალელს ავლებს მაჯუნთან და შენიშნავს: „სულიერი ტანჯვა ყაისისა და ტარიელისა ერთნაირია; ისინი მივიდნენ გონების დაკარგვამდე, ასე რომ „მაჯუნნი-მიჯნური“ (სიყვარულით გახელებული) მათი საერთო სახელია“ (კეკელიძე 1981:135).

ჩვენი აზრით, ტარიელის „დაბნედა“ მხოლოდ პირველ შემთხვევაშია იდენტური რამინ-ყაისის დაბნელებთან და სხვა დანარჩენ მომენტში გამოწვეულია უფრო სხვა მიზეზებით და, რაც მთავარია, ეს მორიგი „დაბნედანი“ ისეთი ხანგრძლივობისა არ არის, როგორც პირველ შემთხვევაში იყო. ვგულისხმობთ სამი დღის მანძილზე უგონოდ ყოფნას („სამ დღემდის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწვიდიან“).

ტარიელის „დაბნედა“ სამგვარია: 1) ნესტანის პირველი ნახვით აღძრული; 2) საკუთარი უბედურების გააზრებისგან, სასოწარკვეთილებისაგან წარმოშობილი; 3) მოულოდნელი დიდი სიხარულით გამოწვეული.

მივყვით პოემის შესაბამის ეპიზოდებს. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, არის ნესტან-დარეჯანის უეცარი ხილვით გამოწვეული დაბნედილობა, სიყვარულის სახმილის წაკიდება, რამაც „მტერდაცემულად“ აგულვებინა მისი თავი გარშემომყოფებს:

„ასმათ ფარდაგა აზიდნა, გარე ვდევ მოფარდაგულსა,
ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“. (296)

ამის შემდგომად:

„დურაჯნი მივსცენ, გავილე სხვა ვერა გზალა თავისა,
დავეცი, დავზნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა“. (299)

ტარიელის რამდენჯერმე დაბნედვის მოწმენი ვხედებით მის მიერ საკუთარი თავგადასავლის თხრობის დროს:

„ყმა დაბნდა, რა სახელისა ხსენებასა მიეწურა;
ავთანდილსცა აეტირა, მისმან ცეცხლმან გულსა მურა;
ქალმან სრულად მოაქცია, მკერდსა წყალი მოაბკურა
თქვა: „ისმენდი, მაგრამ ჩემი სიკვდილისა დღე დასტურა-ა“. (279)

ასევე:

„აწ წარხდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნარენი!
მისი ვერ გასძლო ხსენება, დაბნდა და სულთქვნა მწარენი!“ (297)

აშკარაა, რომ ტარიელი უფრო თავისი უბედურების გააზრების გამო იბნიდება და არა მხოლოდ ნესტანის ხელახალი გახსენებით აალებული სიყვარულისგან. ამავე რიგის, მაგრამ ოდნავ განსხვავებული ხასიათისაა გულის წასვლა ლომ-ვეფხვის დახოცვის შემდეგ:

„მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“. (806)

ვეფხვმა სატრფო გაახსენა, მისმა მოკვლამ კი სატრფოსთან „პირველწაკიდება“. აქ წინა პლანზე უფრო ნესტანისადმი მისი მონატრება გამოდის და ის წარმართავს შემდგომ გულის წასვლასაც.

ხოლო მესამე ხასიათის „დაბნედა“ უეცარი სიხარულისაგანაა მოგვრილი. ნესტანის კვალის ქაჯეთის ციხეში მიმკვლევმა და უზომოდ გახარებულმა ავთანდილმა დაივიწყა თავისი ჩვეული სიფრთხილე და ტარიელს სატრფოს წერილი და რიდე შეუმზადებლად გამოუჩინა. ტარიელმა გამოართვა და:

„წიგნი და კიდე რიდისა იცნა და გა-ცა-შალა მან,
პირსა დაიდვა, დაცაზნდა, ვარდმან ფერთა მკრთალამან,

სულნი გაეცნეს, მოდრიკა თავი გიშრისა ტალამან,
მისნი ვერ გამღეს პატიჟნი ვერ კაენ, ვერცა სალამან“. (1261)

მაგრამ როგორი დამოკიდებულება აქვს ნესტანს ტარიელის პირველდაბნედის მიმართ? –მკვეთრად ნეგატიური. თავში „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველ“ მის ასეთ დამოკიდებულებას ორჯერ ვხვდებით:

1) „მე შენი ვარ, ნუ მოჰკვდები, მაგრამ ბნედა ცუდი მძულსა“... (325)

ამის თქმის შემდეგ კიდევ ერთხელ შეახსენებს:

2) „ბედითი ბნედა სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!“ (326)

ნესტანისგან ეს „საყვედური“ მიემართება მხოლოდ, უშუალოდ საყვარელისაგან მოგვრილ დაბნედას, ვითარცა არაფრის-მომცემ რამ მაშვრალობას, პასიურობას. ამ სიტყვებით ნესტანი რამდენადმე „მიჯნურობის“ ახალ „სტანდარტს“ აწესებს და რუსთაველს თავისი თანამედროვე პოეტებისაგან ეს თავისებურებაც განასხვავებს.

რამაზ ხალვაში განიხილავს რუსთაველის თან „შთაგონებულობას“, თან პაექრობას „ვისრამიანთან“, „ლეილმაჯუნუნიანთან“, მუსლიმური აღმოსავლეთის სხვა ცნობილ პოეტებთან თუ ანონიმი ავტორის ნაწარმოებთან (ხალვაში 2016: 216). ვფიქრობთ, „მიჯნურობის“ მანამდელი გამოხატვის ნესტანისეული „რევიზია“ სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი, კერძოდ რუსთაველი კი ხატავს „მიჯნურობის“ იმ დროისათვის არსებულ იდეალს, მაგრამ, ამავდროულად, თავისი პერსონაჟის პირით საეგებიოდ ხდის მისი გამოვლენის მთავარ ნიშანს – ბნედას. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, ტარიელის დაბნედა არ არის ერთგვაროვანი.

რაციის კონცეფცია

ე. ხინთიბიძე ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განვითარებაში ძირითადი მომენტია ხვარაზმ-შაჰის ძის „მიპარვით მოკვლის“ ეპიზოდი (ხინთიბიძე 2009: 262). ეს მოსაზრება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერებსა და მკვლევრებს შორის. კერძოდ, დაისმის კითხვები: არის თუ არა დამნაშავე სასიძო? რა არის „მართალი სამართალი? რამდენად ეთიკურია ადამიანის ამგვარი მოკვდინება? თავად ე. ხინთიბიძე მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ ამ საკითხს რამდენჯერმე ეხება და განიხილავს კ. ცინცადის, ნ. მარის, პ. ბერკოვის, ა. ბარამიძის, ვ. აბაშაძისა და სხვათა მოსაზრებებს. იგი საკითხს წარმოაჩენს სამი კუთხიდან – 1) „საუკეთესო საშუალო“ და ორი „ბოროტებიდან“ უფრო ნაკლებზე ორიენტირება; 2) „მართალი სამართალი“, რომელიც, მისი მიდგომით, მიემართება არა სასიძოს მოკვდინებას, არამედ ბევრი სისხლისღვრისგან თავის არიდებას; 3) „მიზანი და საშუალება“. აქ იგულისხმება, რომ მთავარი მიზანი ნესტანისა და ტარიელის ერთად ყოფნაა, ხოლო საშუალება – ხვარაზმძას ძის მოცილება.

ზემოთ ხსენებულ საკითხებს ჩვენ ცალ-ცალკე არ განვიხილავთ, რადგან მიზანი მხოლოდ ერთი გვაქვს – ხვარაზმძას ძისადმი გმირთა დამოკიდებულების განმარტება აღმოსავლურ მუსლიმურ მხატვრულ ლიტერატურაში გავრცელებული რაციის სახე-ხატის გათვალისწინებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს საკითხის დასმას უფრო ემსახურება, ვიდრე მისი გადაჭრის მცდელობას.

„რაცივი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს: 1) მომლოდინეს, მცველს; 2) კონკურენტს; 3) მტერს.

„რაცივის“ ვითარცა სიყვარულში მოცილეს სახე-ხატი, რა თქმა უნდა, აღებულია მონოთეისტური რელიგიების წმინდა წიგნებიდან, სადაც ეშმაკი-სატანა, დემიურგი ღვთისა და ადამიანის მტერი, მათ შორის არსებული ჰარმონიის დამრღვევია. სუფიურ ლიტერატურაში, რომელიც როგორც აზერბაიჯანელი მეცნიერი რაჰიმ ალიევი მიუთითებს: „...მუსლიმური (მხატვრული – ო. ქ.) ლიტერატურის სულ ცოტა 90 პროცენტს შეადგენს“

(ალიევი 2012: 38), რაყიფის სახე-ხატი აქტიურად გამოიყენება. სუფიურ პოეზიაში „ღმერთი არის მშვენიერი „სატრფო“, ხოლო ადამიანი – მისგან „განშორებული“, ტანჯული „მეტრფე“. რაყიფი სატანაა, რომელიც „სატრფოსა და მეტრფის“ ერთობლივი მოქმედებით უნდა დაიძლიოს. შეიძლება ითქვას, რომ ჯერ ეშმაკს მიენიჭა ანთროპომორფული სახე და მან ორ ურთიერთმოყვარულს (ღმერთსა და ადამიანს) შორის ჩამოაგდო შუღლი, ხოლო შემდეგ ქალ-ვაჟის სიყვარულში დაბრკოლებად ქცეულ „რაყიფს“ მიეკუთვნა სატანის, ეშმაკის, მარიდის, მტრის, რიგ შემთხვევებში, ძაღლის, დევის და სხვა დამაკნინებელი სახელები.

საერთოდ, რაყიფი რაც უნდა მიმზიდველი იყოს პიროვნულად, მაინც, როგორც ზედმეტი, უნდა ჩამოშორდეს. ნიზამის „ლეილი და მაჯნუნში“ იბნ სალამზე ლეილის დანიშვნას ავტორი ასე ეხმიანება: „მთვარე გველემას ჩაუგდეს პირში“ (ნიზამი 2004: 138) და ეს მაშინ, როცა ნიზამი იბნ სალამის ქველობაზე, სიმდიდრეზე ძალიან ბევრს გვაუწყებს. იბნ სალამის სიკვდილის შემტყობ მაჯნუნს კი თავიდან სულაც უხარია ეს ამბავი და ამას გამოხატავს კიდევ. აგრეთვე, „ხოსროვსა და შირინში“, მიუხედავად ფარჰადის პიროვნების უზომო სიმპათიურობისა, იგი მაინც რაყიფია ხოსროვისა და შირინისათვის. ამიტომ უნდა ჩამოსცილდეს.

ახლა გადავიდეთ, უშუალოდ „ვეფხისტყაოსანზე“. ჩვენი აზრით, ხვარაზმშას ძე „უდანაშაულო დამნაშავეა“ – უდანაშაულო და უბრალოა იმის გამო, რომ ინდოეთში ჩამოსვლის ინიციატორი არც თავადაა და არც მისი სახელმწიფო, პირიქით, მან აქეთ მიიღო შემოთავაზება ინდოეთისგან:

„შესთვალეს: გახდა უმკვიდროდ სამეფო ჩვენი ყოელი;
არს ერთი ქალი სამეო, არ კიდევ გასათხოელი,
თუ მოგვემ შვილსა სამისოდ, სხვასა ნულარას მოელი“ (517).

ე. ი. ხვარაზმშამ თავისი ძე ამ ცნობებზე დაყრდნობით გამოაგზავნა. მან მიიღო ინდოეთის სამეფო კარის შეთავაზება. მაგრამ ხვარაზმშას ძე მტკიცე და საღმრთოს მიდარებული სიყ-

ვარულისთვის, როგორც მეტოქე და მაშორებელი ანუ რაყიფი, თუნდაც უნებურად და გაუცნობიერებლად მაინც „დამნაშავეა“. ხოლო რაყიფი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, რაც უნდა გვესიმკპათიურებოდეს და სანაწური იყოს მისი სიკვდილი, უნდა ჩამოშორდეს.

აქედან გამომდინარე, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი მხოლოდ „მართალი სიმართლით“ კი არ მოქმედებენ, რაც, როგორც ე. ხინთიბიძე განმარტავს: „მათ ადამიანობაში, ადამიანური გრძნობების, ადამიანური მისწრაფებების პატივისცემაში მდგომარეობს“ (ხინთიბიძე 2009:465), არამედ რაყიფის წინააღმდეგ სიყვარულის სახელითა და რაყიფისადმი დამოკიდებულების მიღებული ასპექტებიდან გამომდინარე. რაყიფმა ჭეშმარიტ სიყვარულზე ვერ უნდა გაიმარჯვოს. შესაბამისად, ხვარაზმმას ძე რაყიფი, ე. ი. იმთავითვე ნეგატიური ფიგურაა და მის წინააღმდეგ მოქმედების მორალურ უპირატესობას ნესტანსა და ტარიელს სწორედ სიყვარულის „წეს-კანონი“ ანიჭებს.

ავთანდილისა და ფატმანის სასიყვარულო ეპიზოდი და დროებითი ქორწინების საკითხი ისლამში

ასევე ბევრი „მითქმა-მოთქმისა“ და ინტერპრეტაციის საგანია ავთანდილის კავშირი ფატმანთან. ავთანდილის ეს ქმედება ეწინააღმდეგება მიჯნურობის იდეალებს, რელიგიურ დოქტრინებს მრუმობის აკრძალვის შესახებ და რაინდობის კოდექსს. ამ ეპიზოდის საინტერესო ინტერპრეტაცია აქვს ნ. ი. გულაკს თავის წიგნში „რუსთაველის შესახებ“, რომელიც თბილისში 1884 წელს რუსულ ენაზე აქვს დაწერილი.

იგი შენიშნავს, რომ ავთანდილის საქციელი „მაჰმადიანური აღმოსავლეთის ადამიანისთვისაა დამახასიათებელი“; რომ „მაჰმადიანი ვაჭრები და მოგზაურები სხვადასხვა ქალაქში ხანგრძლივად ყოფნისას ხანმოკლე ქორწინებაში შედიან (რამდენიმე თვით) და ეს მათთან უზნეობად არ მიიჩნევაო.

დროებითი ქორწინების საკითხს, ე. წ. მუთა'ს, განიხილავს ნანა გელოვანი წიგნში „ქალი ისლამში“ და ისიც აღნიშნავს, რომ არაბები ისლამამდელ ხანაში და ისლამის გავრცელების შემ-

დგომაც დროებით ქორწინებას მიმართავდნენ სავაჭრო მოგზა-
ურობების დროს.

წინაისლამურ არაბულ ტრადიციაში ქორწინების რამდენი-
მე ტიპი არსებობდა. ისლამმა ქორწინების ეს ფორმები დაიყვანა
სამამდე: 1) მუდმივი ქორწინება, რომელიც დგებოდა თანასწო-
რებს შორის, რადგან მამაკაცს ფინანსური შეძლება უნდა ჰქო-
ნოდა და საცოლევ თავისუფალი ქალი, ოჯახისაგან ზურგამაგ-
რებული უნდა ყოფილიყო; 2) დროებითი ქორწინება, რომელიც
გულისხმობს 1 საათიდან 99 წლამდე პერიოდს სურვილისამებრ;
3) ქორწინება საკუთარ მხევალზე ან ტყვედ წამოყვანილ ქალზე,
რა დროსაც არ უხდიდნენ საქორწინო საზღაურს – მაჰრს.

დროებითი ქორწინების უფლება დასტურდება ყურანის
სურა „ქალების“ 24 აიაში და ასეა ფორმულირებული:

„და გეკრძალებათ თქვენ თავშენახული ქალები, იმათ
გარდა, ვინც თქვენმა მარჯვენამ მოიპოვა, თანახმად ალაჰის წე-
რილისა, და ნებადართულია თქვენთვის ამას გარდა, რომ თვი-
თონვე მოძებნოთ და აირჩიოთ თქვენს ხარჯზე ცოლად და არა
გარყვნილებისთვის (ნებისმიერი ქალი) და იმისთვის, რასაც
მათგან ისიამოვნებთ, მიეცით მათ საზღაური (განსაზღვრული,
რელიგიურად დაკისრებული) და ცოდვად არ ჩაგეთვლებათ ის,
რაზეც ერთმანეთში შეთანხმდებით ამ დაკისრებული საზღა-
ურის შემდეგ...“ (ყურანი 2006: 137 28 (24)).

ამ აიადან გამომდინარე, შიიტებიც და სუნიტებიც დრო-
ებითი ქორწინების ყურანში დადასტურებას აღიარებენ, თუმცა
მათ შორის უთანხმოება ისაა, რომ, სუნიტების მიხედვით, ამას
მხოლოდ გარკვეულ პერიოდში ჰქონდა მოქმედება და ჯერ
ისლამის წინასწარმეტყველმა, ხოლო შემდგომ ხალიფა უმარმა
აკრძალა განმეორებით, ხოლო შიიტები არ ეთანხმებიან მათ და
დროებითი ქორწინება მათთან კვლავაც ძალაშია.

ვისთან არ შეიძლება დროებით ქორწინებაში შესვლა.
როგორც აიადან ჩანს, „თავშენახულ ქალებთან“ ანუ გათხოვილ
ქალებთან აკრძალულია როგორც მუდმივ საქორწინო ურთიერ-
ობაში შესვლა (სანამ არ გაიყრება საბოლოოდ), ასევე დროებითი
საქორწინო კავშირის დამყარება.

ვინაიდან ფატმანი გათხოვილია უსენზე, მისი კავშირი ავთანდილთან და ავთანდილის კავშირი მასთან, მუსლიმური ტრადიციით (როგორც შიიტურით, ასევე სუნიტურითაც), ვერ იქნება დროებითი ქორწინება.

შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ:

1) ნესტანი მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს „ბნედის“ როგორც „არაფრისმომცემი“ მაშვერალობის მიმართ. ხოლო ტარიელის „დაბნედილობას“ რამდენადმე განსხვავებული ელფერი დაჰკრავს და ეს რუსთაველის ორიგინალურობად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

2) ტარიელი ალბათ იმიტომ არ ნანობს ხვარაზმშას ძის სიკვდილს, რომ იგი ამოდის რაყიფის სახე-ხატის აღმოსავლური გააზრებიდან. გარდა ამისა, მეცნიერებისთვის ცნობილია, რომ ნიზამისთან იზნ სალამის სიკვდილი მაჯუნუს თავიდან ახარებს.

3) ავთანდილისა და ფატმანის სასიყვარულო ეპიზოდი „დროებითი ქორწინება“ არ არის, ვინაიდან, მუსლიმური წესი ქალბთან ასეთი კავშირის დამყარებას იმთავითვე კრძალავს და მრუმობად რაცხს.

დამოწმებანი:

ალიევი 2012: Əliyev, R. Ədəbiyyat nəzəriyyəsi. Bakı: „Qanun“, 2012-ci il.

ახალი ადთქმა 1991: ახალი ადთქმა და ფსალმუნები. სტოკჰოლმი, 1991.

გელოვანი 2005: გელოვანი, ნ. ქალი ისლამში. თბილისი: 2005.

გოგიბერიძე 1941: გოგიბერიძე, მ. უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, ჟურნ. მნათობი, №5. მაისი, 1941.

გულაკი 1884: Гулак, Н. О Барсовой коже Руставели. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. 4. Тифлис, 1884.

ვისრამიანი 1964: ვისრამიანი. აღ. გვახარასა და მ. თოდუას რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ირანული პოეზია 1977: ირანული პოეზია. შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ვ. კოტეტიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1977.

კეკელიძე 1981: კეკელიძე, ვ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. II ტომი. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1981.

- ლექსიკონი 1985:** *Ərəb-Fars sözləri lüğəti*. Bakı: “Yazıçı” nəşriyyatı, 1985-ci il.
- ლობჯანიძე 2008:** ლობჯანიძე, გ. *მუჰამადის ცხოვრება*. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2008.
- მარი 1917:** Марр, Н. *Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема*. Санкт-Петербург: ИАН, 1917.
- მაკარაძე ... 2016:** მაკარაძე, ი. მელიქიძე თ. *მთავარ პერსონაჟთა ხატვის სპეციფიკა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში*“. კავკასილოგთა მე-15 საერთა-შორისო კონფერენციის მასალები. ვარშავა: 2016.
- ნიზამი 1964:** ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. თარგმანი ამბაკო ქელიძისა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.
- ნიზამი 2004:** Nizami Gəncəvi. *Leyli və Məcnun*. Bakı: „Qanun“, 2004-ci il.
- ნიზამი 2004:** Nizami Gəncəvi. *Xosrov və Şirin*. Bakı: „Qanun“, 2004-cü il.
- ნიზამე 1958:** ნიზამე, ვ. *ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება*. სანტიაგო დე ჩილე: 1958.
- ორბელიანი 1991:** ორბელიანი, ს. ს. *ლექსიკონი ქართული*. ტ. I-II. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა სამიზელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.
- რუსთაველი 1966:** რუსთაველი, შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.
- სისტანელი:** სისტანელი აიათულაჰულ-უზმა სეიდ ალი ჰოსეინი. *შარიათის განმარტებული საკითხები*. აზერბაიჯანულად თარგმანი როვშან ისლამოვისა და სხვებისა. ქ. ყუმი, ირანის ისლამური რესპუბლიკა.
- ქაზუმოვი 2015:** ქაზუმოვი, ო. „ვეფხისტყაოსნის მუსლიმური ნაკადის კრიტიკის ზოგიერთი ასპექტისათვის“. *რუსთველოლოგია*. VII. თბილისი: 2015.
- ყურანი 2003:** *ყურანი*. არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ. თბილისი: „კავკასიური სახლი“, 2003.
- ყურანი 2006:** *ყურანი*. ქართულად თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო გ. ლობჯანიძემ. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2006.
- ხალვაში 2016:** ხალვაში, რ. „ცთომილწაკითხვის რუკა ვეფხისტყაოსნიდან დავითიანამდე“. „სიტყვა ხატადქმნილი“. *რევაზ სირაძის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*. თბილისი: გამომცემლობა „ბიბლიო“, 2016.
- ხინთიბიძე 2009:** ხინთიბიძე, ე. *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო*, თბილისი: გამომცემლობა „ქართველოლოგი“, 2009.

ივანე ამირხანაშვილი
(საქართველო)

შოთა რუსთაველისა და ნიჟამი განჯელის შემოქმედების ანტიკური წყაროები

ანტიკურობა, როგორც კულტურული ფაქტი, როგორც აზროვნების სტილი და მსოფლიო ცივილიზაციის უნივერსალური მოვლენა, ყველა ქვეყნის ლიტერატურაში პოვებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გამოძახილს და ამ მხრივ არც ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურებია გამონაკლისი.

მსოფლიო-ისტორიული ფასეულობანი ადრეული შუა საუკუნეებიდანვე პოპულარული ხდება ამიერკავკასიის რეგიონის კულტურებში.

XII-XIII საუკუნეებში ძველი ბერძნული ფილოსოფიური წყაროები უხვად ასაზრდოებს ქართულ და აზერბაიჯანულ მხატვრულ-ფილოსოფიურ აზროვნებას და ამ წყაროებს, უპირველეს ყოვლისა, ნიჟამი და რუსთაველი მიმართავენ. თუმცა აღნიშნულ მიმართებას აქვს უფრო შემოქმედებითი, ვიდრე კონცეპტუალური ხასიათი. როგორც წესი, ფილოსოფიური დეტალები წარმოადგენს ერთ-ერთ ელემენტარულ საშუალებას პოეტური სტრუქტურის ასაგებად. ამას შეიძლება ვუწოდოთ ფილოსოფიური გავლენის ესთეტიკური მხარე. ამას გარდა, არსებობს გავლენის ეთიკური და თეოლოგიური მხარეებიც. ოღონდ აქაც საუბარია შემოქმედებით ფენომენზე და არა სისტემურ კონცეფციაზე.

ანტიკური ფილოსოფია, როგორც ელინური, ისე ელინისტური პერიოდისა, რუსთაველის პოეტური აზროვნების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. რუსთაველი გვიანდელი შუა საუკუნეების პოეტია და მისი მსოფლმხედველობა შეესაბამება ეპოქის სტილს, იმ სააზროვნო სპეციფიკას, რომელიც გულისხმობს ქრისტიანულ აზროვნებაში რენესანსული იდეოლოგიის განვითარებას.

ელგუჯა ხინთიბიძის აზრით, რუსთაველის ეთიკური სისტემა ენათესავება არისტოტელეს ეთიკასა და ეთიკურ პრინ-

ციპებს. მეცნიერი არისტოტელური „საშუალის“ ცნებას აკავშირებს რუსთაველის მიჯნურობის თეორიასთან, კერძოდ, ამბობს, რომ პოემის შესავალში განხილული სიყვარულის სამი სახიდან პოეტი არჩევს „საშუალს“. ხორციელ ტრფობასა და ზეციურ სიყვარულს შორის არჩევს მესამეს – ადამიანურ სიყვარულს (ხინთიბიძე 2009: 395).

საშუალის პრინციპი ჩანს გმირთა მოქმედებასა და არჩევანშიც. მაგალითად, როდესაც ნესტან-დარეჯანი მოუწოდებს ტარიელს, ხვარაზმის უფლისწულის ჯარი არ ამოხოცოს და შედარებით უმტკივნეულოდ მოაგვაროს მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემა, ეს სწორედ „საშუალის“ არჩევანს მიანიშნებს (ხინთიბიძე 2009: 544).

პოემის მთავარი პერსონაჟებისთვის დამახასიათებელი სიუხვე ასევე „საშუალია“ სიძუნწესა და მღვანგველობას შორის (ხინთიბიძე 2009: 413).

არისტოტელეს ეთიკურ კონცეფციას თანხვდება ავთანდილის ხასიათი, რომელიც მეგობრობის ალტრუისტულ გრძნობას გამობატავს (ხინთიბიძე 2009: 418).

ნიზამი არის ფილოსოფიური განწყობის პოეტი, რომელიც მრავალგვარ სააზროვნო სისტემებსა და თეორიებს იყენებს იმისათვის, რათა შექმნას თავისი პოეტური სამყარო – ესე იგი, ფილოსოფია არა როგორც ფილოსოფია, არამედ საშუალება, მასალა ახალი სტრუქტურის ასაგებად.

პოეტის შემოქმედება მოწმობს, რომ იგი ღრმად იცნობდა ფიზიკას, საბუნებისმეტყველო მოძღვრებათა ისტორიას, ეყრდნობოდა თაღესის, ევკლიდეს, არისტოტელეს, პლატონისა და ანტიკურობის სხვა მოაზროვნეთა შრომებსა თუ გამონათქვამებს. ასევე ახლოს იცნობდა და იყენებდა აღმოსავლეთის მოაზროვნეების – ალ-კინდის, ალ-ფარაბის, იბნ-რუშდის, ომარ ხაიამის, იბნ-სინასა და სხვათა შრომებს (ჰასანოვი 1992:10).

მის ნაწარმოებებში შეინიშნება ინდური ფილოსოფიის კვალიც.

სამყაროს წარმოშობისა და შემეცნების პრობლემებს ნიზამი მეტ-ნაკლებად ყველა ნაწარმოებში ეხება, მაგრამ ფილოსო-

ფიური საკითხების პოეტურ გრადაციებს ძირითადად სამ პოემაში ვხვდებით, ესენია: „საიდუმლოებათა საუნჯე“, „ხოსროვი და შირინი“ და „ისკანდერ ნამე“.

„ისკანდერ ნამეში“ არის ერთი მოზრდილი მონაკვეთი, კერძოდ, მე-17-26-ე თავები, რომლებშიც მოცემულია ალექსანდრე მაკედონელის საუბარი შვიდ ბრძენთან. ნიზამი მოკლედ გვაცნობს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებებს და თავის მოსაზრებებსაც გამოთქვამს, რითაც წარმოდგენა გვექმნება თვით პოეტის ფილოსოფიურ კონცეფციასზე.

ალექსანდრე მაკედონელს თავის პალატში სტუმრად ჰყავს მოწვეული არისტოტელე, ვალისი (თალეს მილეტელი), სოკრატე, ბულინასი (აპოლონიოს ტიანელი), ფურფურიუსი (პორფიროს ტირელი), ჰერმისი (ჰერმეს ტრისმეგისტოსი) და პლატონი. როგორც ვხედავთ, ნიზამი არ იცავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. სხვადასხვა ეპოქის მოაზროვნეები, რომელთა შორის მაქსიმალური სხვაობა 800 წელია, პოეტური მიზნებისათვის ესაჭიროება და ამიტომ სიზუსტეს არც მათი შეხედულებების გადმოცემისას იცავს. განსჯის საგანია სამყაროს წარმოშობა. ფილოსოფოსები მოკლედ და ლაკონიურად გადმოსცემენ თავიანთ კონცეფციებს იმის შესახებ, თუ რა არის შესაქმე, როგორ შეიქმნა ყოფიერება.

არისტოტელე: პირველად იყო ბრუნვითი მოძრაობა, რომელმაც გააჩინა მეორე მოძრაობა და ამას შემდგომ მოჰყვა დანარჩენი მოძრაობები. ეს მოძრაობები იყო კონცენტრიკული და მათ ცენტრში გაჩნდა მატერია, რომელიც სქელდებოდა, ფართოვდებოდა და ძირს ჩამოდიოდა, მისი წვრილი ნაწილაკები კი მაღლა, პერიფერიაში ადიოდა.

შემდეგ ბრუნვამ გააჩინა ცეცხლი. ცეცხლისგან წარმოიშვა ჰაერი, ჰაერისგან – ტენი, ტენის ნალექისგან – მიწა. შემოქმედმა ერთმანეთს შეურწყა ოთხი სტიქია. მათი ურთიერთმიზიდულობის შედეგად ამოვიდა მცენარეები, გაჩნდნენ ცხოველები.

ვალისი (თალეს მილეტელი): სამყაროს საწყისი – ეს არის წყალი. მასში აინთო ცეცხლი. ცეცხლმა და წყალმა წარმოშვა ჰაერი. წყალს გამოეყო მიწა. „ნაქაფისგან“ წარმოიშვა ზევცა და დაიწყო ბრუნვა. აქედან გამომდინარეობს ცნობილი აზრი, რომ

შესაქმის საფუძველი არის წყალი და რომ ადამიანი წარმოიშვა ტენის წვეთიდან.

ბულინასი (აპოლონიოს ტაგანელი): ყველაფრის საწყისია მიწა. ბრუნვის დროს ის იკუმშებოდა და გამოიყოფოდა ორთქლი. ყველაზე სუფთა და ნათელმა ორთქლმა წარმოიშვა ცა. ორთქლის სხვა ნაწილმა გადაინაცვლა ცენტრისკენ და ასე გაჩნდა ცეცხლი, ქარი და წყალი.

სოკრატე: შესაქმემდე პირველი იყო უფალი ღმერთი, შემოქმედი, რომელმაც შექმნა ღრუბელი. ღრუბლიდან გაჩნდა ელვა, შემდეგ წვიმა. წვიმისგან შეიქმნა ცარგვალი, ელვა გახდა მთვარე და მზე, ორთქლი გადაიქცა მიწად.

ფურფურიუსი (პორფირიოს ტირელი): თავიდან შემოქმედმა შექმნა ერთიანი სუბსტანცია. შემოქმედის ნების წყალობით, სუბსტანციიდან გამოიყო წყალი და დაბლა დაეშვა. სუბსტანცია გაიყო ზედა და ქვედა ნაწილებად. ერთი ნაწილი გაშრა, მეორე დატენიანდა. ზედა მოძრაობდა, ქვედა უძრავი იყო. მოძრავი წყალი გახდა ცა, უძრავი კი – მიწა. ამის იქით გონება ვერ მიდის, ვერ აღწევს საიდუმლოში.

ჰერმისი (ჰერმეს ტრისმეგისტოსი): ცის თალი მთის მწვერვალებზე დაფენილი ღრუბლებია, რომლის უკან იმალება სუფთა სინათლე. ღრუბლები ანუ ორთქლი ჰგავს ფარდას, რომელსაც აქვს ჭუჭრუტანები. ჭუჭრუტანებში გადის სინათლე. პლანეტები და ვარსკვლავები სწორედ ეს სინათლეა. შემოქმედი არსებობს, ვიცი, მწამს, მაგრამ არ ვიცი, როგორ შექმნა მან ეს ყოველივე.

პლატონი: ყველაფრის საწყისი იყო „არარა“ (არაფერი). შემოქმედს საგანი საგნისგან რომ შეექმნა, მატერია უმოძრაო იქნებოდა. მან ყველა სუბსტანცია ცალ-ცალკე შექმნა, შუამავლების გარეშე. შემდეგ სუბსტანციებს შორის გაჩნდა წინააღმდეგობა და მაშინ შეიქმნა ადამიანი.

ფილოსოფოსების შემდეგ თავის აზრს გამოთქვამს ალექსანდრე მაკედონელიც, რომელიც ამბობს, რომ არ არსებობს სურათი მხატვრის გარეშე, ყველაფერს ჰყავს შემოქმედი და მისი ხელი მთელ სამყაროს ატყვია. ადამიანმა რომ იცოდეს, როგორ

ქმნიდა შემოქმედი სამყაროს, მაშინ თვითონაც შექმნიდა. ქმნილებები ვერ შეგვიცნია და შემქმნელს როგორ შევიცნობთ.

„თქვენ სამყაროს ხსნით სხვადასხვანაირად და ამიტომაც – არასწორად. ესე იგი, მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ არ არსებობს სურათ-სამყარო თვინიერ მხატვარ-შემოქმედისა“. – ეუბნება ალექსანდრე ფილოსოფოსებს.

დისკუსიას, რა თქმა უნდა, თვითონ ნიზამი აჯამებს: საჭირო არ არის, სამყაროს კარს გასაღებით შევეხოთ, შესაქმის საიდუმლო შეუცნობელია, – ამბობს ნიზამი, – თავიდან შემოქმედმა შექმნა გონება და თვალეში თავისი ნათელი ჩაუყენა. შემოქმედმა გონების ამ თვალეშით შეხედა სამყაროს და დასახა ყველაფერი, რაც შემდგომში განხორციელდებოდა, მაგრამ პირველი სურათი გონების თვალისთვის მიუწვდომელი გახადა.

გონებას შეუძლია ყველაფერს მოარგოს გასაღები, პირველი სურათის გარდა. ჰოდა, ავდგეთ და ყველაფერს გონების თვალით შევხედოთ, მაგრამ იმ შეუცნობელზე ნუ ვიფიქრებთ, პასუხს ვერ მივიღებთ, მით უმეტეს, ეს პასუხი სიტყვებით არ გამოიყვამ. – დაასკვნის პოეტი (ნიზამი 2007: 300-304).

ალექსანდრე მაკედონელისა და ფილოსოფოსების ურთიერთობა ამით არ მთავრდება. როდესაც ალექსანდრე იწყებს მსოფლიო ლაშქრობისათვის მზადებას, ის ეცნობა სამი ფილოსოფოსის – არისტოტელეს, პლატონისა და სოკრატეს მორალისტურ შეგონებებს, რომლებიც მას გზავნილების სახით მიეწოდება.

არისტოტელე თავის გრაგნილში წერს, რომ ალექსანდრემ უნდა გამოიყენოს ცოდნა და არ მოუსმინოს უვიცებს. უნდა ეშინოდეს უფლისა და ერიდოს გათვალვას. არ ეცადოს ყველას გაუსწროს, რათა არ აღძრას შური. ბოლოს არისტოტელე ასწავლის, როგორ მართოს სახელმწიფო და, საერთოდ, უხსნის, როგორი უნდა იყოს მმართველი.

პლატონი ურჩევს, არ მიეცეს ავხორცობასა და გემოთმოყვარეობას; არ იყოს სისხლისმსმელი; ახსოვდეს, რომ სიცოცხლე წარმავალია, სიკვდილი კი – გარდაუვალი; მოიცილოს ყოველდღიურობის საზრუნავი, უარი თქვას სიხარბესა და უაზრო

წვრილმანებზე; დასჯერდეს მცირეს, დაიოკოს ვნებები. გარდა ამისა, დარიგებას აძლევს საომარი სტრატეგიის თემაზე. ბოლოს კი ეუბნება, შეიძლება ჩემი რჩევები ზედმეტიც იყოს, რადგან წინ ღმერთი და შენი გონება მიგიძღვისო.

სოკრატეს გზავნილი დიდაქტიკური ხასიათისაა. „იყავი ფრთხილი, არ იყო ძუნწი, დაივიწყე გემოთმოყვარეობა, იცოდე ზომა, იქონიე იმედი მეგობრებისა, – ეუბნება იგი ალექსანდრეს და დასძენს, – გახსოვდეს, თუ იცხოვრებ არა ისე, როგორც ადამიანი, არამედ ისე, როგორც ხარი, მომავალ ცხოვრებაში ვირად აღსდგები“.

სხვათა შორის, ნიზამის მსგავსი ხერხი – ანტიკური ფილოსოფოსების შემოყვანა პერსონაჟებად – გამოყენებული აქვს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს. „ფაუსტის“ მეორე ნაწილის მეორე მოქმედებაში შემოდის თალესი, ანაქსაგორა და ბერძნული მითოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომლებიც ფილოსოფიის საკითხებზე მსჯელობენ, მათ შორის, ოთხი სტიქიის თემაზეც (გოეთე 2017: 105-192).

აქ გავლენაზე საუბარი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. თუმცა ვიცით, რომ გოეთე იცნობდა ნიზამის შემოქმედებას და სიმპათიურად იყო განწყობილი მისი პერსონაჟების მიმართ (გოეთე 1981: 31;38).

დაბოლოს, ნიზამის ანტიკური ფილოსოფიური რემინისცენციების დასკვნითი ნაწილი – ზემოთ დასახელებული შვიდი ბრძენი და მათი უკანასკნელი სიტყვები აღსასრულის წინ.

არისტოტელე სასიკვდილო სარეცელიდან ურჩევს მასთან მოსულ რამდენიმე ფილოსოფოსს, თავი დაანებონ სამყაროს შეცნობის ამაო ცდებს. არისტოტელეს ვაშლი უჭირავს. როდესაც მისი სული გაფრინდება, ვაშლი ჩამოვარდება და ფილოსოფოსების ფეხებთან გაგორდება.

ჰერმისი ზღვის ნაპირას მიდის, წარმოთქვამს რაღაც სიტყვას ყოფიერების მიმე ტვირთის შესახებ და თავის თავს ადარებს კუთხეში მიმწყვდეულ ჯიხვს, რომელიც მონადირის ისარს ელოდება, და ჰერმისი ახსენებს თავის ერთადერთ ნავსაყუდელს, ღმერთს.

პლატონი ამბობს, რომ მას მიიჩნევენ ყველაზე დიდ ფილოსოფოსად, რომელმაც სიკვდილის ფარდის მიღმა გაიხედა, მაგრამ ის მხოლოდ ბავშვია, რომელიც აკვანში იძინებს, სინამდვილეში მას არავითარი საიდუმლო არ ამოუხსნია.

ვალისი (თალესი) გარს შემოკრებულ ფილოსოფოსებს მიმართავს: „ამ სამყაროში ყველაფერი – სიკეთე და ბოროტება, ბედნიერება და უბედურება – ვარსკვლავებსა და პლანეტებზეა დამოკიდებული“.

ბუღინასი (აპოლონიოს ტიანელი) ლაპარაკობს სულთა გადასახლების შესახებ. ამბობს, ჩემი სული უკვდავია, როგორც ხიზრა და ყოფიერებაში თავისუფლად დაფრინავსო. ამის შემდეგ გულხელს დაიკრევს.

ფარფორი (ფურფურიუსი) ამტკიცებს, რომ სამყარო წარმავალია და ამქვეყნად სიკეთე ბოროტებას ვერ აწონასწორებს.

სოკრატეს შესახებ ნიზამი შენიშნავს, გაგებული მაქვს, რომ ის საიდუმლოდ მოწამლესო (რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ცნობილ ანტიკურ ცნობას). სოკრატე არ დარდობს, რომ სააქაოს ტოვებს. მას ეკითხებიან, სად დაგმარხოთო. სოკრატე უპასუხებს: „ნუ ფიქრობთ მკვდრებზე. დამმარხეთ იქ, სადაც გინდათ“.

„ფილოსოფიურ დისპუტს“ ნიზამი აჯამებს თავისი განსჯით, რომელიც გარკვეულწილად თანხვედება ალექსანდრე მაკედონელის თვალსაზრისს, რაც, კაცმა რომ თქვას, არ არის გასაკვირი, ვინაიდან ალექსანდრეს „შეჯამება“ და თავისი დასკვნაც პოეტს ესაჭიროება იმისათვის, რათა წარმოადგინოს საკუთარი პოეტურ-ფილოსოფიური სქემა: სამყარო შექმნა ღმერთმა, მაგრამ სამყაროს საიდუმლოს ვერ ამოვხსნით ისევე, როგორც ვერ შევიმეცნებთ ღმერთს. ბუნება, მატერიალური სამყარო, ობიექტური მოცემულობაა და ის არსებობს დროსა და სივრცეში. სამყაროს საფუძველია ოთხი ელემენტი: წყალი, მიწა, ცეცხლი, ჰაერი, რომელთა სინთეზი წარმოშობს საგანთა სხვადასხვა ვარიაციას.

წყალი, მიწა, ცეცხლი და ჰაერი სამყაროს წესრიგის სიმბოლოდ არის მოხმობილი პოემაში „ხოსროვი და შირინი“. მეორე თავში „მფარველობისა და შემწეობის შესახებ“ პოეტი წერს, რომ თუკი აღნიშნული ოთხი ელემენტი ერთმანეთთან ჰარმონიაშია, ეს მხოლოდ ღვთის ნების გამოხატულებაა:

*„თუკი ყოველთვის წყალი, მიწა, ცეცხლი და ქარი
ერთმანეთს შორის წასვლა-მოსვლის თანახმა არი,
აგრეთვე, სანამ არ იქნება მისი ბრძანება,
ძეს ადამისას კაცის სახე არ ემგვანება“.*

(ნიზამი 1964: 36)

ნიზამის სკეპტიციზმი, თავისი ხასიათით, თეორიული მნიშვნელობისაა, მაგრამ მასში პრაქტიკული შინაარსიც მოჩანს იმ მხრივ, რომ იგი ადამიანებს ურჩევს, დაფარულის, მისტიკურის ძიების ნაცვლად, ამქვეყნიური, ფიზიკური სამყაროს შემეცნებაზე იზრუნოს.

ნიზამის მსოფლმხედველობაში შეიძლება სტიქიური დიალექტიკის ელემენტებიც აღმოვაჩინოთ. მის ნაწარმოებებში გვხვდება მინიშნებები სამყაროს მოძრაობის, ცვალებადობისა და ურთიერთსაპირისპირო საწყისთა შესახებ, მაგრამ ეს არის ცალკეული მიხვედრები და არა მოძღვრება სამყაროს დიალექტიკური განვითარების შესახებ (მამედოვი 1959: 23-24).

თუმცა ლიტერატურისმცოდნეობაში გამოთქმულია ისეთი აზრებიც, რომელთა მიხედვით, ნიზამი თანმიმდევრულ მატერიალისტად არის წარმოდგენილი. მაგალითად, რ. ნურულაევი ნიზამის მატერიალისტად მიიჩნევდა. იგი ეყრდნობოდა ნიზამის შემოქმედებაში არსებულ იმ კონცეპტებს, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ – მარადიული მოძრაობა და მინიშნებები წინააღმდეგობათა ერთიანობაზე (მამედოვი 1959: 9).

შ. მამედოვი ამ თვალსაზრისს გადაჭარბებულად მიიჩნევდა და ამტკიცებდა, რომ ნიზამი არ ყოფილა არც მატერიალისტი და არც დიალექტიკოსი, მიუხედავად იმისა, რომ მის შემოქმედებაში თავს იჩენს როგორც სტიქიური მატერიალიზმის, ისე დიალექტიკის ელემენტები. შ. მამედოვის აზრით, ნიზამი უფრო იდეალიზმისა და მეტაფიზიკისკენ იხრება (მამედოვი 1959: 10).

ჯ. მუსტაფაევის აზრით, ნიზამი ინდურ მატერიალიზმს უფრო კარგად იცნობს, ვიდრე ბერძნულ ფილოსოფიას (მუსტაფაევი 1962: 91). ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ნიზამის ძირითადი წყარო უნდა ყოფილიყო

საშუალო სპარსულ (ფალაურ) ენაზე შექმნილი ლიტერატურა (იქვე: 95). ხოლო რაც შეეხება საკითხს ანტიკურ ავტორებთან მიმართების შესახებ, ჯ. მუსტაფაევი ფიქრობდა, რომ პოეტს ანტიკური მოაზროვნების დამოწმება იმისთვის სჭირდებოდა, რათა გამოეცოცხლებინა დოგმატური დისკურსის მიერ შევიწროებული ფილოსოფიური აზროვნება (იქვე: 124).

ნიჰამის შემოქმედების ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოეტი კარგად იცნობს ანტიკურ ფილოსოფიას და იყენებს მას საკუთარი პოეტური მიზნებისთვის. ძველი ბერძენი მოაზროვნების თეორიები მის ნაწარმოებებში წარმოდგენილია სამი ძირითადი სახით: 1. დეკლარაციული; 2. თავისუფალი; 3. პოეტური. პირველ შემთხვევაში ადეკვატურად გადმოსცემს ამა თუ იმ ფილოსოფიურ კონცეფციას; მეორე შემთხვევაში ცვლის კონკრეტულ თეორიას და მასში შეაქვს საკუთარი მოსაზრებები; მესამე – ეს ის შემთხვევაა, როდესაც შესაბამის მასალას პოეტური ტექსტისა და სიუჟეტური კონსტრუქციების ასაგებად იყენებს.

XII-XIII საუკუნეებში ანტიკური და ელინისტური ხანის მოაზროვნეთა და მწერალთა ციტატები, ექსცერპტები, რემინისცენციები გვხვდება როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ისე ფილოსოფიურ, ისტორიულ და საღვთისმეტყველო თხზულებებში. „ვეფხისტყაოსანში“ დამოწმებულია ან მინიშნებულია პლატონის, არისტოტელეს, ემპედოკლეს, ჰერაკლიტეს, პროკლე დიადოხოსის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და სხვათა აზრები, მაგრამ სისტემურად გამოყენებულია ნეოპლატონური იდეოლოგია, რომელიც საქართველოში ფსევდო-დიონისე არეოპაგელის წიგნების მეშვეობით შემოვიდა. რუსთაველისთვის კარგად არის ცნობილი აგრეთვე ნეოპლატონიზმის ის ქრისტიანული ადაპტაცია, რომლის ავტორია XII საუკუნის ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი.

„ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური კონცეფციის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატია ბოროტების არასუბსტანციურობის საკითხი, რომლის უშუალო წყაროა არეოპაგიტული წიგნები. ამ თეორიის მიხედვით, ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს საფუძველია სიკეთე, ხოლო ბოროტება არის ამ სიკეთის მოკლება, სიკეთის დაბალი ხარისხი. ამიტომ ბოროტებას არ გააჩნია არსი,

არსებობა. ის მხოლოდ დასაზღვრულ, კონკრეტულ დროში არსებობს, სიკეთე კი მარადიულია, რადგან მას აქვს არსი, არსებობა, სუბსტანციურობა. სწორედ ამას გულისხმობს რუსთაველი, როდესაც ფატმანს ათქმევინებს:

„ვეცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“. (1443)

ამავეს ამბობს ავთანდილი:

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. (1370)

1500-ე სტროფში კი რუსთაველი პირდაპირ წერს:

*„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს:
ღმერთი კეთილს მოავლინებს, მით ბოროტსა არ დაჰბადებს,
ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს.
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“*.

ზოგჯერ რუსთაველი ანტიკური ფილოსოფიური აზროვნების წესსა და შინაარსს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ქრისტიანულ დოქტრინას. რელიგიის მიმართ თავისუფალ დამოკიდებულებაში შეგვიძლია დავინახოთ პოეტის შემოქმედებითი ხასიათი – შეუთავსებელ წარმოდგენათა შეკავშირების საშუალებით დამოუკიდებლად ქმნის სამყაროს ორიგინალურ, სრულ, თვითკმარ სურათს (ნათამძე, ცაიშვილი 1966: 77).

უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალშივე ვლინდება ავტორის უშუალო მიმართება ანტიკური ფილოსოფიური წყაროებისადმი. ამაზე პირდაპირ მიგვანიშნებს პროლოგის მეორე სტროფი:

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“.

აქ „სახე“ პირდაპირი თარგმანია ძველი ბერძნული ფილოსოფიური ტერმინისა „ეიდოს“, ხოლო „ტანი“ ნიშნავს ფიზიკურ სხეულს. ამკარაა, რომ რუსთაველი ეყრდნობა პლატონის ცნობილ თეორიას იდეათა შესახებ. კერძოდ, იმ პოსტულატს, რომ ყველა მატერიალური საგანი თუ არსება, რაც სამყაროში არსებობს, იდეათა განხორციელების შედეგია, ანუ სამყაროში ზეცი-

ური პირველსაწყისი არის იდეა, „სახე“, რომლისგანაც იქმნება სხეული, ფიზიკური საგანი, „ტანი“.

ამ სტროფს პლატონის იდეათა თეორიას უკავშირებდა ვიკტორ ნოზაძე (ნოზაძე 1962: 284).

ავთანდილის ანდერძში პლატონი პირდაპირ არის მოხსენიებული. ავთანდილი სწერს მეფეს:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. (797)

აქ საქმე გვაქვს პოეტურ მისტიფიკაციასთან. პლატონის ნაწარმოებებში მსგავსი აზრი არ მოიძებნება. მიუხედავად ამისა, რუსთაველი ქმნის აფორიზმს ავტორიტეტული ფილოსოფოსის „მარკით“, რასაც არაფორმალური, ფიგურული ხასიათი ეძლევა და მკითხველის თვალწინ იქმნება ერთგვარი ეფექტი, რომელსაც თანამედროვე ენაზე მინუს-ხერხს უწოდებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ პოპულარულ თავში „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი“, კერძოდ, 1313-ე სტროფში გამოყენებულია ემპედოკლეს ოთხი სტიქიის კონცეფცია:

„ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა, მომცნეს ფრთენი და აფვრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა, დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრომასა“.

ემპედოკლე მიიჩნევდა, რომ ფიზიკურ სამყაროს ქმნის ოთხი საწყისი სტიქია – მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი. ამ საწყისებზე ზემოქმედებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა: სიყვარული და სიძულვილი (სიმპათია და ანტიპათია) და ამ ზემოქმედების შედეგად იქმნება ყველანაირი საგანი, სხეული, ფორმა.

ნესტან-დარეჯანი შეყვარებულს სთხოვს დაეხმაროს ოთხი სტიქიის, ანუ ფიზიკური სამყაროს ტყვეობიდან გათავისუფლებაში. ნესტანს სურს განერიდოს ამქვეყნიურ ზრუნვას, გავიდეს ფიზიკური არსებობიდან, ანუ აღარ იყოს ოთხი სტიქიის საზღვრებში, შეიძინოს სულიერი არსი და ავიდეს ზეცად, სადაც

მოიპოვებს მარადიულ არსებობას. პოეტური თვალსაზრისით, ეს დაახლოებით ისეთი მეტაფორაა, როგორც არის, მაგალითად, აღორძინების ხანის ფერმწერის, ტიცინის ტილო „ზეციური სიყვარული და მიწიერი სიყვარული“. თუმცა ამ სტროფისთვის არც ფილოსოფიური კონტექსტია უცხო.

შალვა ნუცუბიძე, როგორც ფილოსოფოსი, ამ სტროფს კონცეპტუალურად ხსნიდა და მოძღვრებას ოთხი ელემენტის შესახებ პროკლე დიადოხოსის სწავლების მიხედვით გადმოსცემდა. მისი აზრით, ოთხი ელემენტისგან შენაწევრებული სამყარო დუალისტურად უნდა ავხსნათ. მასში ერთდროულად არსებობს ბედნიერებისა და უბედურების საწყისები. ოთხელემენტნიანი სამყარო არის აუცილებლობის ყოფიერება, რომელიც ხელს უშლის თავისუფლებისკენ სწრაფვას. როდესაც სუბიექტი აუცილებლობის სამყაროს ტყვედ იგრძნობს თავს, ის იწყებს ბრძოლას თავისუფლებისათვის, ცდილობს თავი დააღწიოს ტყვეობას და თავისუფლებისა და ბედნიერების წიაღს მიაშუროს. ეს არის აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთმიმართების პრობლემა, რომელიც აქტუალური იყო როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ მოძღვრებებში.

სწორედ ამიტომ, რომ თავისუფლებისკენ სწრაფვა მიწის არტახებისგან ანუ ოთხი სტიქიისგან თავდახსნასა და ზეცისკენ სწრაფვას ნიშნავდა. ოღონდ, ითვალისწინებდა რა პოემის მთლიან კონტექსტს, შალვა ნუცუბიძე დაასკვნიდა: თავისუფლება მიიღწევა მიწასთან კავშირის გაწყვეტის გარეშე, რაც საბოლოოდ ნიშნავს თავისუფლებისკენ სწრაფვას მიწაზე, ან ამქვეყნიურ ელემენტთა შენარჩუნებას ზეციური თავისუფლების პირობებში (ნუცუბიძე 1976: 335).

როგორც ზემოთ ითქვა, რუსთაველის თვალსაზრისი იდეალური ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილების შესახებ თანხედება არისტოტელეს მოძღვრებას ეთიკურ სათნოებებზე. „ვეფხისტყაოსანში“ ეთიკური სათნოების არსი ზუსტად ესადაგება არისტოტელეს „საშუალის“ დოქტრინას და, საერთოდ, მის ეთიკას (ასათიანი 1996: 147).

ამავე „საშუალის“ თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის“ ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საემ-

მაკო?“ აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაზინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს. ეს სენტენცია გამოძახილია ძველბერძნულ ფილოსოფიაში ცნობილი თეორიისა, რომ სიყვარული არის საშუალო ინსტანცია კეთილსა და ბოროტს შორის (ხინთიბიძე 2019: 14).

არისტოტელეს ფილოსოფიის ელემენტები არაერთხელ გაიელვებს „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა მონაკვეთში. ელგუჯა ხინთიბიძის დაკვირვებით, რუსთაველის პოემაში ასახვას პოეზებს არისტოტელეს მოძღვრება სულის რაობაზე, მოძღვრება არსებობის მიზეზებზე, ეთიკის ძირითადი პრობლემატიკა, საერთოა არისტოტელესა და რუსთაველის ეთიკური თვისებები – სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, გონება, დათმობა, მოცალეობა. თუმცა, რაოდენ აშკარაც უნდა იყოს ეს შეხვედრები, რუსთაველი მაინც არ ჩაითვლება არისტოტელიანელად. პოეტისათვის არისტოტელური ნაკადი მხოლოდ ერთი წყაროა იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს საკუთარი, ორიგინალური ესთეტიკური მრწამსი (ხინთიბიძე 2009: 49).

მეთოდოლოგიური შეცდომა იქნებოდა, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობაში რომელიმე ფილოსოფიური სისტემის ძიება რომ დაგვეწყო. ფილოსოფია „ვეფხისტყაოსანში“ ელემენტია და არა სისტემა. რუსთაველს, როგორც ხელოვანს, ფილოსოფია აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ფილოსოფიურ ცნებებს ესთეტიკურ სახეებად გარდაქმნის.

მაგალითად, რუსთაველთან გვხვდება ნეოპლატონიკური თეორიიდან ნასესხები მზის სახე, მაგრამ პოემის მხატვრულ კონტექსტში მზე ფილოსოფიური ცნება კი არ არის, არამედ ესთეტიკური სახეა (ნადირაძე 2006: 19).

ბერძნულ-ბიზანტიური ანუ დასავლური და სპარსულ-არაბული ანუ აღმოსავლური ლიტერატურულ-ფილოსოფიური წყაროები შოთა რუსთაველის შემოქმედებაზე დიდ გავლენას ახდენს, მაგრამ ამ გავლენის შედეგად იქმნება არა ფილოსოფიური სისტემა, არამედ ორიგინალური პოეტური ტექსტი, რომელიც ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ტრადიციებზეა დაყრდნობილი.

დამოწმებანი:

ასათიანი 1996: ასათიანი ვ. *ანტიკური და ბიზანტიური ტრადიციები ძველ ქართულ მწერლობაში*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1996.

გოეთე 1981: Goethes Werke in zwölf Bänden. *Zweiter Band*. Berlin und Weimar: Aufbau-Verlag, 1981.

გოეთე 2017: გოეთე ი. ვ. „ფაუსტი“. II ნაწილი. გერმანულიდან თარგმნა დავით წერეთლიანმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017.

მაბეღოვი 1959: Мамедов, Ш. *Философские и общественно-политические взгляды Низами (Лекция)*. МГУ, 1959.

მუსტაფაევი 1962: Мустафаев, Дж. *Философские и этические воззрения Низами*. Баку: изд. Академии наук Азербайджанской ССР, 1962.

ნათაძე ... 1966: ნათაძე ნ. ცაიშვილი, ს. *შოთა რუსთაველი და მისი პოემა*. თბილისი: „განათლება“, 1966.

ნიზამი 1964: ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ნიზამი 2007: Низами Гянджеви. *Искандернаме*. Составитель и автор предисловия Агиль Гаджиев. перевод К. Липскерова. Баку: издательство „Чашыоглу“, 2007.

ნოზაძე 1962: ნოზაძე ვ. „ვეფხისტყაოსანის“ *ღმრთისმეტყველება*. პარიზი, 1962.

ნუცუბიძე 1976: ნუცუბიძე შ. *რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი*. შრომები. ტ. IV. თბილისი: „მეცნიერება“, 1976.

ხინთიბიძე 2009: ხინთიბიძე ე. „ვეფხისტყაოსანის“ *იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*. თბილისი: „ქართველოლოგი“, 2009.

ხინთიბიძე 2019: ხინთიბიძე ე. „ბერძნული მითოსის კიდევ ერთი დამოწმება „ვეფხისტყაოსანში““. *რუსთველოლოგია*. IX. თბილისი, 2019.

ჰასანოვი 1992: Гасанов, С. *Философская сущность естественно-научных воззрений Низами Гянджеви*. Автореферат диссертации. Баку, 1992.

აბოლოფაზლ მურადი რასთა

(ირანი)

ოქტაი ქაზუმოვი

(საქართველო)

ოთხი ელემენტის საკითხი ნიზამისთან და რუსთაველთან

ანტიკურ ცნობიერებაში ოთხი ელემენტი – ცეცხლი, წყალი, ჰაერი, მიწა – ადამიანისთვის ყველაზე ახლო ფენომენად მიიჩნეოდა და, ამდენად, იგი წმინდა და განსაკუთრებულად საპატივსაცემო იყო. ამ ტიპის ცნობიერება კაცობრიობის ისტორიის ყველა დროისთვის დამახასიათებელი იყო. ასე, რომ მეცნიერთა და პოეტთა სიტყვებში, თხზულებებში მას ხშირად ვხვდებით. ცივილიზაციისა და კულტურის ისტორიის კვლევისას, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთაგანი სხვადასხვა ხალხების წიაღიდან გამოსულ, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე პოეტთა შეხედულებების შედარებითი კვლევაა.

ჩვენს შრომაში განვიხილავთ ოთხი ელემენტის საკითხს ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედებაში. ორივე პოეტის შედარება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ერთ ისტორიულ პერიოდში ცხოვრობდნენ და ერთმანეთის თანამედროვენი იყვნენ. გარდა ამისა, ორივემ ერთ გეოგრაფიულ რეგიონში ანუ კავკასიაში შექმნა ნაწარმოებები. აქვე დავძენთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენს კვლევას, რომელიც კომპარატივისტული ხასიათისაა, საკითხის დასმის წესით წარმოვადგენთ.

ცისა და მიწის მითის წყარო სპარსულენოვან ლიტერატურაში

მსოფლიოს მრავალ ხალხს ცა მამად, ხოლო მიწა დედად მიაჩნია. ეს რწმენა მოეპოვებათ ინდოელებს, ეგვიპტელებს, ჩინელებს, იაპონელებს, ირანელებსა და სხვებს. რომელი ხალ-

ხი რომელზე უწინარეს დაეუფლა ამ შეხედულებას, ძნელი სათქმელია. აბრაამისტულ რელიგიებში ცა აუცილებელ წმინდა სიმბოლოთაგან ერთ-ერთია, ღმერთისა და რელიგიის ცნების პარალელურია. ცა პირველყოფილ ადამიანთა წარმოდგენებში ღმერთთა სამყოფელია (ალამი 1387: 120). ფალაურ ტექსტებში ორმუზდი პირველ რიგში ცას ქმნის და სხვა სულიერებს იქ დაასახლებს. მხოლოდ აპრიმანს ეკრძალება იმ სამყაროში შესვლა. ცა და წვიმის მოვლინების ძალა ღმერთის აღმატებულობის სიმბოლოა. მაზდეანიზმშიც ცა საკრალური ფენომენია (ალამი 1387: 121). აბრაამისტულ რელიგიებში აღმატებულობა, სიწმინდე, სულიერება, ღმერთთან ახლოს ყოფნა ცასთან არის დაკავშირებული. ასე რომ, ცა ანგელოზთა მუდმივი სამყოფელია, იგია ნათლის წყარო. გამოცხადება ციდან გარდმოეცემა, ყურანიც ციდან გარდმოევიწინება. ყურანი ბრძანებს: „გთხოვენ წიგნის მქონენი, რომ ცოდნა ან რაიმე წიგნი გარდმოუვლინო“¹. სანამ ისლამი გავრცელდებოდა, ძველ ირანულ მითოსში ოთხი ელემენტი ღმერთქალებივით და ღვთაებებივით აღიქმებოდნენ და მათ თაყვანს სცემდნენ. შუმერულ და ბაბილონურ მითოსში შესაქმის წყარო წყალია. ძველ ირანულ მითოსში წყლის ქალღმერთი ანაჰიტა ამ რწმენის მაჩვენებელია.

ცისა და მიწის წმინდა შეუღლება

ცას ძველ რელიგიურ ღირებულებებში საკრალურობასთან ერთად, კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა და ეს უპირატესობა მისი მამრობითობა იყო, რომელიც დედამიწას ეუღლება. ირანულ, ჩინურ, ინდურ და ბერძნულ რწმენა-წარმოდგენებში, მითოსებში ამას ხშირად ვხვდებით (ზომმოროდი 1382:5). ნიზამის მიხედვით, ოთხი ელემენტი ადამიანის გაჩენის მიზეზია და ადამიანი მათი შეკავშირების წყალობითაა შექმნილი, თუმცა აქ ღმერთის ნება და განგებულობა არ უნდა დავივიწყოთ:

1 სურა „ნისა“ – 152 აია, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლოზჟანიძემ, თბილისი, 2006 წ.

„მიუხედავად იმისა, რომ წყალი, მიწა, ქარი და ცეცხლი ერთმანეთს კეთილგანწყობით ესალმებიან. არცერთი მეორის ბრძანებას არ ემორჩილება, მხოლოდ ღმერთი იმორჩილებს მათ ერთად“.

შვიდი მთიები

ძველი შეხედულების მიხედვით, ზეცა შვიდი წრისაგან შედგებოდა. ეს წრეები ხახვის შრეებივით ერთმანეთზე იყო მიტმასნილი. თითოეულ წრეში ერთი ვარსკვლავი მოძრაობდა და ყოველ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა. მათი სპარსული სახელებია:

1. მაჰ, 2. თირ, 3. ნაჰიდ, 4. მეჰრ, ხორშიდ, 5. ბაჰრამ, 6. ბარჯის, 7. ქეივან.

არაბული სახელწოდებები:

1. ყამარ, 2. უთარიდ, 3. ზოჰრა, 4. შამს, 5. მარრიხ, 6. მუშთარ, 7. ზუჰალ.¹


გარდა იმისა, რომ თითოეულ ვარსკვლავს ოთხ ძირითად ელემენტზე აქვს დიდი გავლენა, ადამიანზეც ზემოქმედებენ. მაგალითად, ყოველი სინავსე და ყოველგვარი მიწიერი უბედურება ადამიანს ბაჰრამისა და ქეივანისაგან სჭირს (მარეხი და ზუალი), ხოლო ბედნიერებისა და სვიანობის მიზეზი ნაჰიდი და ბარჯისია. ძველი ხალხის წარმოდგენით, ბაჰრამი ანუ მარეხი მცირე უბედურების, ქეივანი ანუ ზუალი კი დიდი უბედურების გამომწვევია; ნაჰიდი ანუ ზოჰრა პატარა წარმატების, ბარჯისი ანუ მუშთარი კი დიდი ბედნიერების მომტანია.

¹ „ვეფხისტყაოსანში“ ცნობილია, რომ აღნიშნული ვარსკვლავები არაბული დასახელებებით და ქართული წარმოთქმით ვგვხვდებიან. მაგალითად – ოტარიდი, მარიხი, ზუალი, მუშთარი და ა.შ.

ოთხი ელემენტი

ძველი წარმოდგენით, დედამიწა სამყაროს ცენტრია და უძრავია. დედამიწის ზედაპირზე წყლის ელემენტი, ხოლო წყლის ზემოთ ჰაერი ლივლივებს. ცეცხლი ყველაზე მაღლა დგას. ოთხივე ელემენტი ყამარის (მთვარის) ეტლში ზის და მათ სწორედ მთვარე განაგებს.

შვიდი მთიებისა და ოთხი ელემენტის განლაგების გრაფიკა



ოთხი ელემენტი: A) მიწა, B) წყალი, C) ჰაერი, D) ცეცხლი.

შვიდი მთიები: 1) ყამარ/მეჰურ; 2) ოტარიდ/თირ; 3) ზოჰრა/ნაჰიდ;
4) შამს/მეჰურ/ხორშიდი; 5) მარობ/ბაჰრამ;
6) მუშტარ /ზარჯის; 7) ზუჰალ/ქეივან.

ოთხი ელემენტი ადამიანის სხეულში

ძველი ფილოსოფოსებისა და მედიკოსების, მათ შორის, იბნ სინას მიხედვით, ადამიანის სხეული ოთხი ელემენტისაგან – წყლისგან, ჰაერისგან, მიწისგან და ცეცხლისგან შედგება, რომელთაც ოთხი ბუნება აქვთ: ნაღველი, მელანქოლია, ლორწო/სისველე და სისხლი (იბნ სინა 1993:488). სიმბოლურად კი წყალი – სისხლია, ჰაერი – სული, მიწა – სხეული, ხოლო ცეცხლი – სხეულის სიმბურვალე. ძველი მედიცინის მიხედვით, ჯანმრთელობა და სიცოცხლე ამ ოთხი მოცემულობის (ნაღველი, მელანქოლია, ლორწო/სისველე და სისხლი) კავშირზე იყო დამოკიდებული. რომელიმეს მეორეზე გაბატონება ავადმყოფობის ან სიკვდილის საწინდარი იყო.

ოთხი ელემენტი რუსთაველთან

ანტიკური სამყაროდან მომავალ ამ საკითხს, რომელმაც მთელი შუა საუკუნეების მუსლიმურ და ქრისტიანულ სამყაროში მოიპოვა პოპულარობა, გვერდი ვერ აუქციეს დიდმა შემოქმედებმა. ნიზამი თავის სხვადასხვა პოემაში საგანგებოდ უბრუნდება ხოლმე ამ თემას და ხაზგასმით წარმოაჩენს. ოღონდ ის არის, რომ ნიზამი ამ მოვლენას, ამ ოთხი ურთიერთსაწინააღმდეგო რაობის ერთად თავმოყრას, შიშველ ფილოსოფიურ ფაქტად კი არა, ღვთაებრივი განგებულობის, ძალმოსილების აქტად მიიჩნევს და მას უმღერის. ნიზამის „იგბალნამეს“ აზერბაიჯანულენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაში მკვლევარი ზ. გულუზადე წერს: „საინტერესო გახლავთ ის, რომ როცა ნიზამი თავის გმირებს – ფილოსოფოსებს¹– ამეტყველებს, მათ ნააზრევს ხშირად როგორც სინამდვილეში გამოთქვებს, იმ ფორმით კი არა, არამედ აღმოსავლურ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ჭრილში გადმოსცემს“ (კურსივი ჩვენია – ო.ქ).

ასეთი მიდგომა ნიშნეულია რუსთაველთანაც და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ალბათ ორი მიზეზის გამო:

1 იგულისხმებიან ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსები, რომლებიც ნიზამის პერსონაჟებად შემოჰყავს თავის პოემებში – ო.ქ.

1) პოეტი/მწერალი/შემოქმედი ახალ სამყაროს, ახალ რეალობას ქმნის და ცდილობს თავისებურად გაიაზროს, გაითავისოს არსებული პოსტულატები; 2) მისი დროისთვის ახალი მიდგომები და ინტერპრეტაციები არსებობს, შესაბამისად, შემოქმედს უწევს მათი გათვალისწინება; ამ საკითხზე ე. ხინთიბიძე მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო“ აღნიშნავს: „რუსთველს არ ახასიათებს ბიბლიური თუ თეოლოგიურ-ფილოსოფიური წიგნებიდან ციტატის ზუსტად მოყვანა. იგი ხშირად წყაროს მიუთითებს და მოჰყავს დებულებას, რომელიც წარმოადგენს დასახელებული წყაროს გარკვეული კონცეფციის თუ დებულების დედააზრს, გარკვეული დებულების ინტერპრეტირებას“ (ხინთიბიძე 2009: 349).

საინტერესოა, რომ რუსთაველი ოთხ ელემენტს პროლოგში არ ახსენებს (მაგალითად, სამყაროს და ღვთის მიერ შექმნაზე დაწერილ პირველ და მეორე კუპლეტებში), და იგი მოცემულია პოემის პერსონაჟის, ამ შემთხვევაში, ნესტანის წერილში.

ე. ხინთიბიძე წერს: „ვეფხისტყაოსანში ჩანს, რომ ადამიანის სხეული, როგორც მატერიალური საგანი, ამ ოთხი ელემენტის, პირველსაწყისის ანუ კავშირისაგან შედგება: სიკვდილი გააზრებულია როგორც სხეულის ამ ოთხი კავშირისაგან დაშლა და მათგან სულის განთავისუფლება. ამგვარად ესახება ნესტანს თავისი სულის (პიროვნების) ზეცაში ამაღლება:

*„ღმერთსა შემვედრე ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და ავფრინდე, მივჰხვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღისით და ღამით ვჰხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა“* (1304)

(ხინთიბიძე 2009: 521).

„ვეფხისტყაოსანის ბუნებისმეტყველებაში“ ვიკტორ ნოზაძე პოემაში მიწის ფენომენზე საუბრისას ჩამოთვლის რა მიწის გააზრებებს (მაგ. მიწა-საფიცარი, მიწა-სათაყვანებელი, მიწა-სამარე, აკვანი, მიწა-ქვეყანა), მიწის როგორც კავშირის ანუ ოთხი ელემენტის ერთ-ერთ წევრს ცალკე აღნიშნავს. ასევე განმარტავს წყლის ფენომენსაც: „ვტნში (შემოკლება მისივეა – ო.ქ) სიტყვას „წყალი“ აქვს კიდევ ერთი მნიშვნელობა: ფილოსოფიური. „წყალი“

აქ არის, სხვა დანარჩენ სამ ელემენტთან ერთად, მეოთხე კავშირი, ანუ ელემენტი, რომლისგანაც ყველაფერი შესდგება“ (ნოზაძე 2005: 388). და აქაც ზემოთ დამოწმებულ სტროფიდან ნაწყვეტს უხმობს. ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველებაში“ ერთ-ერთი თავი ეძღვნება ჰაერს. მეცნიერი იმოწმებს ს.ს. ორბელიანის „სიტყვის კონას“ და მიუთითებს, რომ სულხან-საბა ჰაერს ოთხი ელემენტის ერთ-ერთ წევრად განმარტავს. მოიხმობს რა ჰაერის/აერის როლსა და მნიშვნელობას პოემაში დასძენს: „როგორც დავინახეთ, ვტნში ჰაერიც არ არის მივიწყებული, და დაწყებული დედამიწიდან, რომლის საგანთა და მოვლენათა სილამაზე აგრეთვე შვენების დასასურათებლად არის გამოყენებული, ყველაფერი: ჰაერი, ეთერი, ცანი... არიან ვტნის გმირთა სილამაზისა და სიკეთის დასახატავად“. იქვე ერთ საინტერესო მინიშნებასაც გვამღევს: „მართალია, ფირდოუსის შაჰ-ნამეში და ნიზამის ხუთ პოემაში ... ასტრონომიასა და ასტროლოგიას დიდი ადგილი უჭირავს და ორივეს ამ დარგის ცოდნა ფართოდ აქვს გამოყენებული, ოღონდ ეს ... შეხედულებანი მათ ვეებერთელა ნაწარმოებებში გაბნეულნი არიან – და აქ კი, მცირე ტანის ვტნში ისინი მოკლე სიტყვით არიან ნათქვამნი და ჩინებულად: მხატვრული მიზნებისთვის.“ (ნოზაძე 2005: 251-2).

აღსანიშნავია, რომ ნიზამის პოემებში მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის სიცოცხლის შემადგენელ ნაწილებად წარმოჩენის შემდეგ პოეტი იმგვარ სახე-ხატებს მიმართავს, რომლებშიც ეს ოთხივე კავშირი ცალ-ცალკეა გასიმბოლოებული. ასეთივე მიდგომაა „ვეფხისტყაოსანშიც“, რაც მითითებული აქვს ვიკტორ ნოზაძეს. მივყვეთ მაგალითებით:

ღვინო როგორც აღმოკიდებული წყალი

„ისკანდერნამეს“ ნაწილ „შარაფნამეში“ წყლისა და ღვინის მეტაფორული აღწერიდან ცეცხლი გამოჰყავს. პოეტი მწედს შესთხოვს, რომ ცეცხლის ალივით ნატიფი წყალი ანუ ღვინო ფიალაში ჩაასხას. ღვინოა დარდისა და ურვის წარმხოცი და მიწის გამწმენდი:

*„მწდევ, ცეცხლზმანებული წყლით აღსდექ,
ქარვისფერი ფიალა აღავსე!
ამ შავი მიწიდან ჩამოწურულმა მარგალიტმა
გული გამიმხიარულოს, დარდი არ შემირჩინოს!“
(განჯელი. „შარაფნამე“ 2004: 362)*

ქვემოთ მოცემულ ბეითებში პოეტი ღვინოს სამოთხისეულ წყალს ადარებს, რომელიც ცეცხლისაგან გამოყვანილ ფიალაში იღვრება. პოეტს სურს, წყურვილი წყლითა და ცეცხლით, ე.ი. ღვინითა და ფიალით მოიკლას:

*„იმ სამოთხისეულ წყლისგან, მწდეო, მალევე,
ცეცხლით ნაზელი სასმისი ამივსე!
არ გამომარიდო იმ წყალსა და ცეცხლს,
იმ წყლითა და ცეცხლით მე ვარ რომ ვსველდები.“
(განჯელი, „შარაფნამე“ 2004: 362)*

ელემენტთა კონტრასტულობა და პარადოქსულობა ნიზამისთან

ქვემოთ მოცემულ ბეითში ახალგაზრდას ჯერ წყალს ადარებს. ამ შედარების მიზეზი ალბათ ახალგაზრდული სიხალასე და სიხალისეა, თუმცა, სხვა მხრივ, ახალგაზრდის ბუნებიდან სითბო და სიცხე გამომდინარეობს, რამაც პარადოქსული და კონტრასტული გამოთქმა „წყალი, რომელიც ცეცხლია“ წარმოშვა:

*„მოხუცმა რომც დამჭრას, ის ჭრილობა ვერ გამაბრუებს,
ახალგაზრდობის ეშხი სისხლში ღვინოსავით მიდულს.
ახალგაზრდობა თავის ქვიდან ქვაზე ხეთქებით,
თხემით ტერფამდე განიბრძობა.“
(ნიზამი „საიდუმლოთა საგანძური“ 2004: 93)*

ნაპერწყლიანი წყლის პარადოქსი

ხოტბამესასხმელი გმირის ქებისას პოეტი მომხიბვლელ აღწერით გამოდის; იმ გმირის ხმალი იმდენად ძლიერია, რომ

შეუძლია წყალს ნაპერწკლები გააყრევინოს და ამ დროს ღრუბ-
ლები იძულებულნი არიან მზე ამ ცეცხლისგან დაიფარონ:

*„წყალს ხმაღს რომ ჩასცემს და ცეცხლს აუდენს,
იმ ცეცხლისგან მზეს ღრუბლები დაიფარებენ“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 32)

წყლისა და ცეცხლის ტრფიალი, სიყვარულის მიზიდულობა

ქვემოთ ნაჩვენები ბეითები იმ აზრს ცხადყოფს, რომ ხი-
ლულ სამყაროში არსებული საგნებს შორის სასიყვარულო რამ
კავშირი, მიზიდულობა სუფევს, ამისდაკვალად წყლისა და
ცეცხლის ელემენტებს შორისაც ურთიერთსიყვარული მყოფობს:

*„ის ტკბილი თამაშობანი მალევე დაცხრა,
ორი ცეცხლი, წყალი, ის წყალი ცეცხლს შეერთო.
ის უსამანო მიზიდულობა, ის ცეცხლოვანი ტრფიალი,
რკინის ანდამატით მიზიდულ იქნა ამგვარად“.*
(ნიზამი „ხოსროვი და შირინი“ 2004: 291)

ხოსროვისა და შირინის საქორწილო ღამის აღწერა. წყლისა და ცეცხლის მეტაფორა

ნიზამიმ პოემაში „ხოსროვი და შირინი“ ცდილობს ხოს-
როვისა და შირინის შეყრა დეტალურად აღწეროს. მაშინ, როდეს-
საც სიყვარულის, ტრფიალისა და ვნების გრიგალი ერთმანეთშია
აღრეული, ნიზამი მაინც იძულებულია ეს ყველაფერი კდე-
მამოსილებისა და სიწმინდის ჩარჩოებში, აღმოსავლური გად-
მოცემის სტილში გააცხადოს. ასე რომ, ქვემოთ წარმოდგენილ
ბეითში მან წყალი და ცეცხლი მეტაფორულად გამოიყენა:

*„სადაფმა მარჯნის რტოზე დაიბუდა,
წყალი და ცეცხლი აღთქმით ერთად დადგნენ“.*

წყალი და ცეცხლი გაერთიანდნენ და ერთფერად იქცნენ,
სარეცელი ვერცხლისწყლითა და ალისფრად შეიღება“.
(ნიზამი „ხოსროვი და შირინი“ 2004: 425)

შირინისადმი გამოთქმული სამგლოვიარო ლექსი და ოთხი ელემენტი

ხოსროვი ფარჰადთან დედაბერს აგზავნის, რათა მან ფარჰადს შირინის ვითომდა გარდაცვალება აცნობოს. დედაბერი შირინის საგლოველ ლექსს, მარსიას ამბობს. ამ მარსიაში შირინის სიკვდილის ქართან ერთად მოსვლაზეა აქცენტი გამახვილებული. ძველი ადათის მიხედვით, საფლავებს სურნელებსა და ვარდისწყალს აპკურებდნენ, იმ გზას კი სადაც შირინის ცხედარი უნდა ჩამოატარონ, თვალთაგან წარმონადენი წყლით, ანუ ცრემლებით რეცხავენ.

„აფსუს, ერთ დროს ალვამ ტანი რომ აიყარა,
სიკვდილი მოვიდა, ქარმა დაჰქროლა და მიწამ დაიტანა.
მისი მიწისგან მთვარეს ამბრი მიეცხო,
თვალთა წყლისაგან მიწა გაირეცხა კიდითკიდე“.
(ნიზამი „ხოსროვი და შირინი“ 2004:316)

„წყლის“ გააზრებისთვის „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველთან წყლის ფუნქცია/მნიშვნელობებს ვ. ნოზაძე ამგვარად გამოკვეთს:

წყალი – მდინარე

„ვით დღეს ვტნში „წყალი“ მდინარესაც ეწოდება –
„მინდორსა იქით წყალი სდის და წყლისა პირსა კლდენია (78)¹⁴“

წყალი – წყურვილისათვის

მეცნიერს აქ სამი მაგალითი მოჰყავს:

1 „ვეფხისტყაოსნიდან“ ციტატები ვ. ნოზაძის ამონარიდებში მითითებული დანომვრით მოგვყავს –ო.ქ.

„გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“. (855)
„სწყუროდეს, წყალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი“ (919)
„შენთვის ასრე მომწყურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ (1656)

წყალი – განმკურნებელი

როდესაც ტარიელს გული წაუვიდა –

„დაბნედასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი“ (322),
„ქალმან სრულად მოაქცია, მკერდსა წყალი დააპკურა“ (326)
„ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია (346)

წყალი – დამაშრეტელი

ვ. ნოზაძე მიუთითებს რომ „წყალი იხმარება ვით დამაშრეტელი, ჩამქრობი ცეცხლისა როგორც შედარება ძლიერი გრძნობისა და ღრმა განცდათა, სიყვარულის საქმეში –

„მერმე სრულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა“ (499)
წყალი სწრაფად რად დავასხი ცეცხლსა, მწელად დასაშრეტსა (1343)“

წყალი – ცრემლი

თვალთა ვითა წყაროს თვალი, ცრემლი ველთ მოადინეს (949)
მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ, ტევრთა საგუბართა (1005)

ვარდისწყალი

ვარდისწყალთან დაკავშირებით ვ.ნოზაძე შენიშნავს: „ვარდის წყალი ძველად დიდად ფასობდა ვით სუნნელება, და თუ ვტნში ვარდის წყალი მოხსენიებულია, როგორც საბანაო წყალი, ამით აღნიშნულია მხოლოდ დიდი ფუფუნება, რომელიც ნესტანისათვის იყო დანიშნული –

„კარზედა ბაღზა, საბანლად სარაჯი ვარდის წყალისა“ (329)
„მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა“ (341)

წყალი – გასართობი

მეცნიერი აქაც სამ მაგალითს მოუხმობს:

„თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა (83)“
„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა (357)“
„რა წყალი ნახის, გარდახდის, უჭვრეტდის ჭავლსა წყლისასა (840)“

ვ. ნოზაძის განმარტებით: „მდინარის ნახვა და მისი ჭკვრეტა არის დამშვიდებისა და დაწყნარების საშუალება, გულის გადაყოლება, თვალისთვის წყლის დალევინება“.

წყლიანი

როსტევეანი არის: „კვლა მოუბარი წყლიანი (32)“

ვაზირი: „ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნართა (59)“

ავთანდილი: „ესე სიტყვა დაასრულა წყლიანმა და სიტყვა-ნაზმა“ (170)

ავთანდილი და ფატმანი:

„ერთგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი (1099)“

მომდევნო მაგალითთან სადაც ფატმანი ნესტანს წერილს სწერს – „სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო“ (1270) მეცნიერი შენიშნავს: „თუმცა ნესტანს ორიოდ სიტყვა თუ უთქვამს, მაგრამ ამ გამოთქმას აქვს ზრდილობის წესის აღსრულების მნიშვნელობა: წყლიანი, ლამაზ-ენა!“ (ნოზაძე 2005: 385).

წყალი – ჯავარი

ვ. ნოზაძე წერს: „სიტყვას „წყალი“ აქვს კიდევ ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც ძვირფას ქვებთან ანუ თვალ-პატიოსანთან არის დაკავშირებული... „ჯავარი“ არის სპარსულ-არაბული სიტყვა და ნიშნავს – სილამაზე, შვენება, ელვარება, წყლიანობა თვალთა პატიოსანთა... ნესტანი სწერს ტარიელს და მის წიგნში ეწერა:

„ვნახე სიტურფე წყალ-ჯავარისა შენისა“ (493)

ნესტანის თქმით, ტარიელს ჰქონდა სიტურფე წყალ-ჯავარისა – ელვარება, სილამაზე, შვენება ძვირფასი ქვისა ან მარგალიტისა“ (ნოზაძე 2005: 387).

წყალი – პატივი, სახელი დიდება

ვ. ნოზაძის მიხედვით, „ვეფხისტყაოსნის“ ქვემოთ დამოწმებულ სტროფში, სადაც „როსტევეანი თინათინის შესახებ ამბობს: „ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო (104)“ და აგრეთვე, ავთანდილზეც: „ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ სრული, მრავალ წყალი (693)“ წყალი წარმოგვიდგება როგორც „ღირსება,

პატივი სახელი, განთქმულობა“. ამის დასტურად მეცნიერი ნიზამისთან პარალელებს მიმართავს: „პოემაში „ისკანდერ ნამე“ ნათქვამია – მომეცი წყალი და ქვა საპასუხოდ, და შენს ქვას ჩემი ხელით წყალში ჩავაგდებო. ამ წინადადების განმმარტებელი პროფ. ბარტელს ამბობს – „ქვა“ არის „სიმშვიდე“, „სიმტკიცე“; „წყალი“ არის „სახელი“, „დიდება“-ო.

მომდევნო ნაწილში – „წყალი –კავშირი“ მეცნიერი პოემაში წყლის, როგორც ოთხი ელემენტიდან ერთ-ერთის, დადასტურების ფაქტად ნესტანის ტარიელისადმი წერილის ცნობილ პასაჟზე მიუთითებს, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

შემდეგი ელემენტი „მიწაა“. მივმართოთ მაგალითებს ორივე პოეტის შემოქმედებიდან.

ზეცისაგან მიწის მთხვევა ნიზამისთან

ნიზამის წარმოსახვისა და გადმოცემის მიხედვით, თითქოს ზეცა თავისი წრე-ბრუნვითა და სიმრუდით ყოველლამ მიწის საკოცნელად იხრება:

იქნება შენს კარებს მეც გადმოვავიჯო,

შენ კარებს ვემთხვიო ყოველლამ გულით“.

(ნიზამი „ხოსროვი და შირინი“ 2004: 257)

წამოდგომა-დაჯდომის ქართან და მიწასთან მიმსგავსება

ამ ბეითში ნიზამი ქარის ქროლვის სისწრაფესა და აჩქარებას, ასევე მიწის დაფენილობასა და უძრაობას აქცევს ყურადღების ცენტრში. იგი ქარის სიჩქარით წამოდგომასა და მიწასავით წინასწარმეტყველის საფლავთან გაფენას ნატრობს:

„წმინდა საფლავს თავს პილიგრიმივით შემძლია წამოვადგე,

მტვერევით შემძლია დავედო, ქარევით შემძლია ვიქროლო“.

(ნიზამი „საიდუმლოთა საგანძურში“ 2004: 17)

ნიზამის მიხედვით, ადამიანსა და მიწას შორის კიდევ ერთი საერთო თვისება ადამიანის მიწისებურ თავმდაბლობაში უნდა გამოიხატოს. ნიზამი თავის მიმართვის ობიექტს ურჩევს, რომ სხვებთან შეხვედრისას მიწასავით თავმდაბალი და თავაზიანი იყოს. ხოლო რაც შეეხება ქარს, ქარის თვისება ისაა, რომ იგი მუდამ ცარიელია და სათავისოდ არაფერს იტოვებს. ასე რომ, ნიზამის მიხედვით, ადამიანიც სხვასთან შეხვედრისას ხელცარიელი და უმეგობრო უნდა იყოს:

*„შენი სილბო დაე ყველას ეამოს, როგორც მიწის სირბილე,
მარად ქროდე ქარივით და ხელიც მუდამ ცარიელი გქონდეს“.*
(ნიზამი „საიდუმლოთა საგანძური“ 2004: 17)

„მიწის“ გააზრებისთვის „ვეფხისტყაოსანში“

ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსანში“ „წყლის“ მნიშვნელობათა აღწერის შემდეგ „მიწის“ გააზრებებსაც წარმოგიდგენს. მეცნიერი მოუთითებს, რომ მიწა ოდითგანვე სათაყვანებელ-საფიცარი იყო ადამიანისთვის და იგი ღვთაების რანგშიც იყო აყვანილი, ამიტომაც მიწაზე დაფიცება, მისი თაყვანება სხვადასხვა კულტურაში ბუნებრივი ჩვეულება იყო. ამ ყოველივემ „ვეფხისტყაოსანზე“ იქონია გავლენა.

ფიცი მიწაზე

მეცნიერს აქ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს პოემიდან:

„მიწამცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია“ (67)

*„მიწაცა თქვენი ავთანდილ ისმნეთ გიწერ მე რასა,
თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა წიგნისა წერა“ (166)*

მეცნიერი ფრთხილად შენიშნავს, რომ „ორივე ამ შემთხვევაში, მგონია, საქმე მიწაზე დაფიცებასთანაა გვაქვს“.

მიწა – თაყვანებისათვის

ვ. ნოზაძე წერს: „აქ მხედველობაშია მიწამდე დავარდნა, დაჩოქება, კოცნა მიწისა, მუხლთა მოყრა, ქედის მოდრეკა და სხვა ამგვარი წესი, რაც მეფისა და საერთოდ უფროსის წინაშე

თაყვანებასა და პატივისცემას გამოხატავს... იგი წარმოშობილია რელიგიიდან, მიწის ღმერთობიდან და აგრეთვე, სხვა ღმერთთა თაყვანებიდან. როდესაც ტარიელ და ავთანდილმა ფრიდონს მიართვეს ძღვენად ძვირფასი აბჯარი –

„მან დასდვა პირი მიწასა, არ დააყოვნა ხანია“ (1384)

რამაზ მეფემ ტარიელს –

„მან თაყვანი სცა, პირსა ქვე მიწამდის დამდებარია“ (1648);

არაბეთის მეფე როსტევანმა –

„რა ტარიელ მუხლ-მოყრილი ნახა, მეფე შეუზარდა,

შორს უკუ დგა, თაყვანი სხა, ქვე მიწამდის დაუვარდა“ (1524)

(ნოზაძე 2005:380)

მიწა – სამარე

ვ. ნოზაძე შესაბამისი მაგალითის მოყვანით წერს: „მიწა სამარედ, ანუ საფლავად არის აღნიშნული. ღმერთმაო –

ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი (8)

ავთანდილს შერმადინი ეუბნება, უშენოდ სიცოცხლე არად ღირსო –

„შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე“ (161)

იგივეს ეუბნება ასმათს ტარიელი –

„მკვდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე,

მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე (307)“ და სხვა მაგალიტები (ნოზაძე 2005:381).

დამიწება

მეცნიერი „დამიწების“ შესახებ შენიშნავს: „ეს გამოთქმა შედარებისთვის იხმარება –

„ვითა მკვდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამიწა“ (209),

და ტარიელი თავის შესახებ ამბობს –

„ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი-და-მო კრთებოდა“ (512).

ორივე შემთქვევაში „დამიწება“ არის დადუმება, გაჩუმება, სიცოცხლის წართმევა“-დასძენს მეცნიერი (ნოზაძე 2005: 382).

მიწა – ქვეყანა

„როგორც დღევანდელ ქართულში, ვტნშიც „მიწა“ იხმარება აგრეთვე ქვეყნის აღსანიშნავად.

ავთანდილი როსტეევანს უთვლის –

ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონია (142)

და ტარიელიც როსტეევანს ეუბნება –

მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა (1505)

ორივე შემთხვევაში აქ სიტყვა „მიწა“ არის ქვეყანა, მხარე“ – დასძენს მეცნიერი (ნოზაძე 2005:382).

მიწა – მიწა

„მიწასთან“ დაკავშირებით მეცნიერი წერს: „მიწა ჩვეულებრივი აზრით, ვით ადგილი ვტნში ხშირად არ იხმარება“ და მხოლოდ ორ მაგალითი მოჰყავს ამის საილუსტრაციოდ.

„დაჯდა და მწარედ სულ ითქვნა, ცრემლი მიწასა გარია“ (346)

„მე, გლახ, რა ვარ, მიწა ცლდი; თავით ჩემით რაცა ვქმენი?“ (1051)

(ნოზაძე 2005: 382)

დაბოლოს, მიწა როგორც **კავშირი** – ვ. ნოზაძე აქაც ნესტანის ტარიელისადმი მიწერილ (1304) სტროფს ასახელებს.

ნიზამი ოთხი ელემენტის მეტაფორული გააზრების შემდეგ, სამყაროს შექმნის პროცესში მათ როლს ანტიკურ ფილოსოფოსთა პირით წარმოგვიჩენს. „ისკანდერნამეში“ ისკანდერი (ალექსანდრე– ო.ქ.) შვიდ ბრძენს მოუხმობს და აინტერესებს თუ სამყაროს შექმნისას ელემენტების შემადგენლობა და მათი შეერთება რა დონეზე მოხდა.

არისტოტელე

არისტოტელე პასუხობს რომ ყოფიერების დასაბამს და შესაქმის ცენტრს მოძრავი რამ ნივთიერება წარმოადგენს. იგი თავიდან ნელა მოძრაობდა, ხოლო შემდეგ ასწრაფდა და მის შედეგად ცა წარმოიშვა:

*„მბრწყინავი სხეულის მოძრაობასთან ერთად
მბრწყინავი ცანი წარმოიშენენ“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004:101)

აქ წრემ საკუთარი ცენტრისკენ მიზიდვით ცათა დონეები წარმოშვა ანუ შესაქმე გარე შრეებიდან შიგა შრეებისკენ მიემართა და ბოლოს, წრიული მოძრაობიდან ოთხი ელემენტიდან პირველი – ცეცხლი იშვა:

*„როს პირველმა ფარგალმა წრე შემოხაზა
ეს მაღალი ცები მისგან იშვა.
ცის ბრუნვისგან გამოჩნდა ცეცხლი,
ცეცხლი კი ამოძრავებული ძალისგან ჩნდება ხოლმე“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 101)

ცეცხლის ძალისგან, მიზიდულობისა და მოძრაობისგან მეორე ელემენტი – ჰაერი წარმოიშვა. ამიტომაცაა, რომ ჰაერის თვისება მისი ცეცხლივით სიცხელეა:

*„ცეცხლის ძალისგან ჰაერი იქმნა,
ჰაერიც სიცხისგან ცეცხლივით ააღდა“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 101)

სითბოს შედეგად ჰაერში სინოტივე გაჩნდა და ამ სისტემატურმა წრე-ბრუნვამ სინოტივისგან ამო და სუფთა წვეთები წარმოქმნა:

*„ჰაერში სინოტივე უხვად იყო,
თავად სინოტივე არ მოძრაობდა,
მისი ნაწილაკები დაილექნენ და წყლად იქცნენ,
ასე შეიქმნა სუფთა და ტკბილი წყალი“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 101)

წყალიც რომ დამდოვრდა სამყაროს ცენტრში მიწის ელემენტიც შეიქმნა:

*„წყლის სიმდოვრემ და ნალექები წარმოშვა
და რა მიწასაც ხედავ, სწორედ იმ დანალექისგან იქმნა.“*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 101)

თალესი

არისტოტელეს შემდეგ სიტყვით თალესი გამოდის. მისი მტკიცებით შესაქმეს დვრიტას წყალი წარმოადგენს და რომ სამყაროში ყოვლის უწინარეს წყალი არსებობდა:

*„მეც მოგახსენებთ: ქვეყნიერების საფუძველი,
ყოვლის უპირველეს წყალია, ჩემი აზრით.
გაცეცხლებული მოძრაობისა და ორომტრიალისაგან,
ცეცხლი გამოვიდა,
მეხმა ორთქლისგან ცეცხლი გამოაცალკევა,
აქედან კი ნოტიო ჰაერი იშვა.
წყალმა თანდათან სიმკვრივე შეიძინა
და იმ სიმკვრივისგან მიწა წარმოიქმნა“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 102)

აპოლონიუსი

აპოლონიუსს ნიზამი „ბალინასს“ უწოდებს. აპოლონიუსის მიხედვით, მიწა ყველა დანარჩენზე მნიშვნელოვანია:

*„სცანით თილისმასავით შეიქმნა მიწა,
სხვა დანარჩენი შედგენილობებიც მისგანაა.
მოძრაობის ძალამ მასზე გავლენა მოახდინა,
ცეცხლი რომ ჩაქრა ორთქლი წარმოიქმნა.
მისი მოციმციმე ნაწილაკებისაგან
ვარსკვლავები შეიქმნა, ასე ვფიქრობ.
ორთქლში წონით მძიმენი
ყველამ ცენტრში მოიყარა თავი.
მათგან პირველი – ნათელი ცეცხლია.
ქვეყნიერების ყველაზე მაღალი თალიც იგია.
მეორე – ჰაერია, რომელიც მოძრაობაშია,
თუ არ ამოდრავდა მისი რაობა დაფარული იქნება.
მესამე – წყალია, რომელიც სახალასეს ინიჭება,
ყველაფერს სიახლეს აძლევს.
მეოთხე მიწაა, რომელსაც დრო ტკეპნის,
და მას ტკეპნილი მკერდიდან მტვერი აუდის“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004:102-103)

სოკრატე

ნიზამის მიხედვით, სამყაროს შექმნაში პირველ ადგილს სოკრატე წყალს ანიჭებს და სხვა ელემენტების საწყისადაც სწორედ მას ასახელებს:

*„სანამ შესაქმნის გვერდი გადაიშლებოდა,
ერთადერთი სხეული ყოფილა, თანაც შემოქმედი.
ერთმა ღრუბელმა შექმნა ძალა და სილამაზე
მისი ელვა და წვიმა სასარგებლო ყოფილა.
მისი წვიმისგან წარმოშობილან ცანი,
ხოლო ელვისგან მზე, მთვარე და თანავარსკვლავედი.
მასში არებულ ორთქლს ნივთიერებები დაულექებია.
ეს მიწა შეუქმნია!“*

(ნიზამი „იგბალნამე“ 2004:103)

პორფირიუსი

პორფირიუსი ასეთ აზრს ავითარებს – ღმერთმა პირველად ელექსირი შექმნა. შემოქმედის მადლით ის ელექსირი წყალს შეუერთდა. ე.ი. ოთხი ელემენტიდან პირველი წყალი გაჩნდა. ამის შემდეგ წყლიანი ელექსირი ზემოთ, ხოლო მეორე ქვემოთ განთავსდა ანუ ელექსირის ერთი ნაწილით ცები, ხოლო მეორე ნაწილით ხმელეთი შეიქმნა:

*„ელექსირი წყლად გადაიქცა,
ხოლო ეს წყალი ორად გაიყო.
ისინი გვახსენებენ მუშკსა და ქაფურს,
ნაწილი ნივთიერება იყო, ნაწილი სიმკვრივე.
ნივთიერება ამოდრავდა,
მკვრივი კი ისე დარცა უძრავად.
ამოდრავებული ცად იქცა, ნათელად,
უმოდრაო კი მიწად და ხმელეთად“.*

(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 104)

ჰერმესი

ჰერმესის აზრით, ხილულ სამყაროში თვალისთვის საჩინო და მთელი ყოფიერებაზე მობატონე ელემენტი კვამლია

(ჰაერი). ალბათ, ფილოსოფოსის მიზანს ხილულ სამყაროში თავდაპირველ ელემენტად ჰაერის/ეთერის წარმოქმნის მტკიცება წარმოადგენს:

*„ჩემი აზრით, ზღვებისოდენა ეს ცები
მთის თავზე წაფარულ ნისლეებს მოჰგვანან.
ამ შემამინარ კვამლსზემით
ძალიან სუფთა, წმინდა, სპეტაკი ნათელი დგას.
ის ნათელზე სწორედ კვამლის ეს ფარდაა გადაფარული
ამიტომაც ციაგად მოჩანს მხოლოდ.
ამ ფარდაზე დატანებული სარკმლებიდან
ამ სამყაროში ნათელი ჩამოაშუქებს ხოლმე.
მზე, მთვარე, ვასრკვლავები –რასაც ვხედავთ,
იმ ნათელისგან გვაქვს ყოველი“.*
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004-105)

პლატონი

თავის მხრივ პლატონსაც თავდაპირველი ელემენტის საკითხი აინტერესებს. იგი ეწინააღმდეგება შეხედულებას, რომლის თანახმადაც, ღმერთმა პირველად რომელიღაც ელემენტი შექმნა და დანარჩენი ელემენტებიც მისგან „მიგამოა“¹ და იცავს აზრს, რომ თითოეული ელემენტი დამოუკიდებლად, მეორის ჩაურევლად არის გაჩენილი:

*„თითოეული ელემენტი მან ცალკე შექმნა
და არც ერთი გამოუყენებია საშუალებად (მეორეს შექმნისას).
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004-105-6)*

ფილოსოფოსებმა საკუთარი შეხედულებები რომ გამოთქვეს, სიტყვა ისკანდერმა (ალექსანდრემ – ო.ქ.) აიღო. იგი ფილოსოფოსთა აზრდასხვადასხვაობაზე ამახვილებს ყურადღებას:

*„სანამ შესაქმის საიდუმლოს არ ავხსნით,
მანამ რა უნდა გამოვიკვლიოთ?
თქვენ ცების შესახებ წარწერილი ფურცლებიო – თქვით,*

1 ტერმინი ეკუთვნის იოანე პეტრიწს ო.ქ.

თუმცა ყველამ სხვადასხვანაირად წაიკითხეთ.
სამყარო მხოლოდ იმ ერთმა დაასურათხატა
მეტი რამის თქმა უაზრობა გამოდის!“
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004: 106)

მეფის შემდეგ ნიზამი იწყებს ლაპარაკს. მისი პოზიციით, ღმერთმა თავდაპირველად გონი შექმნა და შემდეგ ყოველივე ამ გონის ნათლისგან განსხეულდა:

„დიადმა შემოქმედმა, რაც არ უნდა ყოფილიყო,
რაც არ უნდა შეექმნა, მაღალი თუ დაბალი,
უცილობლად ჯერ გონს შექმნიდა.
და იგი თავისი ნათლით გაანათა.“
(ნიზამი „იგბალნამე“ 2004:107)

ოთხი ელემენტით გასიმბოლოურება და მათი სიმბოლოური გამოყენება პოეზიაში.

წყალი და ცეცხლი როგორც ნაღველის სიმბოლო

ქვემოთ მოცემულ ბეითში წყლისა და ცეცხლის სიმბოლოური გამოყენება ძალიან კარგად არის მოცემული. ასე რომ, წყალი ცრემლის, ცეცხლი კი შინაგანი წვის, ოხვრის ალის სიმბოლოდ არის წარმოსახული:

„ჩრდილში თავის დარდს რომ ხსნიდა სატრფო,
მეზობელი ღამით ვერ იძინებდა.
ცეცხლსა და წყალს შორის იყო შთენილი,
ფერიის სახიანი იყო ის მშვენიერი ფერია.“
(ნიზამი „ლეილი და მაჯნუნ“ 2004 –97)

გარდა ამისა, ნიზამი სხვა ბეითში ოთხი ელემენტიდან ორს – წყალსა და მიწას, ხვავისა და ნამატის სიმბოლოდ იყენებს. კიდევ სხვაგან ცეცხლი წმინდა ნათლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი და მიწა – მეტრფოს, ქარი და მიწა კი სატრფოს აღმნიშვნელია. „ხოსროვისა და შირინის“ საუბარში, ხოსროვი შირინის მისგან

ლით მთავრდებოდა. ერთ არაბულ ანთოლოგიაში მოთხრობილია: მეტრფე ეკითხება პოეტს: რა უნდა იღონოს შეყვარებულმა მამაკაცმა? პოეტი უპასუხებს: მან უნდა დამალოს სიყვარული, სევდა დაითმინოს, იყოს თავმდაბალი, მორჩილი და მოკრძალებული. ხოლო თუ მას სიყვარულის დათმენა არ ძალუძს, მხოლოდ ტანჯვაა ერთადერთი სასურველი გზა. მეტრფე: გემორჩილები, მაგრამ მე მეტს ვეღარ ვიცოცხლებ; აცნობე მას, ვინც ჩემი გული ცეცხლის ალში გახვია, ჩემი სავალალო თავგადასავალი. მე დავწვები მისი კარის დირესთან და თავს მოვიკლავ. ბედნიერი ვიქნები, თუკი აღდგომის დღე ერთმანეთს კვლავ შეგვყრის (ჟან ჰუმბერტი 1819: 42).

სასიყვარულო ტანჯვის განუკურნებელ სენად წარმოდგენა განსაკუთრებულ მხატვრულ-ესთეტიკურ დატვირთვას იძენს მე-7-მე-8 სს-ში ცენტრალური არაბეთის ბედუინურ ტომებში გავრცელებულ პოეზიაში, რომელიც უმდეროდა ბედისწერის მიერ დაშორებული ორი უიღბლო შეყვარებულის უბიწო, პლატონურ სიყვარულს (ზოგიერთი მკვლევარი ამგვარ ტრფობას ფრანგი ტრუბადურების *fin amor*-ის ბედუინურ ვარიანტს უწოდებს (ფილშტინსკი 1977: 159)). განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამ თვალსაზრისით **უზრას** ტომი, რომელიც მომთაბარეობდა მედინადან ჩრდილოეთით, ვადი ლ-კურის ველზე. ამ ტომის პოეტები თხზავდნენ ლექსებს საბედისწერო, თითქმის მისტიკური სიყვარულის შესახებ, რომელსაც მოჰქონდა ტანჯვა და მისგან გათავისუფლება მხოლოდ სიკვდილით თუ იყო შესაძლებელი. ისინი ცდილობდნენ, გათავისუფლებულიყვნენ სექსუალური ინსტინქტების ტყვეობიდან, თავიანთი გრძნობებისთვის ზემთაგონების ძალა მიენიჭებინათ და იდეალად დაესახათ (ფილშტინსკი 1977: 201-215). ვინაიდან ეს საბედისწერო გრძნობა მათ ალაჰისგან ჰქონდათ მინიჭებული, შეუძლებელი იყო მისგან გათავისუფლება. საყოველთაოდ ცნობილია ერთ-ერთი პოეტ-ბედუინის გამონათქვამი – „მე ვეკუთვნი ტომს, რომლის მამაკაცებიც შეიყვარებენ თუ არა, კვდებიან“. ცხადია, იგი უზრას ტომს გულისხმობდა. ამ ტომის მამაკაცებს, შესაბამისად კი პოეტებს, სწამდათ, რომ სიყვარული არა მხოლოდ ყოვლისმომცველი გრძნობაა, არამედ თვით სიცოცხლეც (მდრ. ნიზამი განჯელი –

სიციცხლის სილამაზე საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანაშია, როდესაც მეტრფეს წარმოუდგენლად მიაჩნია მიჯნურისგან განცალკევებით ცხოვრება. სიყვარული არც ვნებაა, არც ავადმყოფობა, არამედ ადამიანის არსებობის საზრისი“ (რაფილი 1947: 65)¹. უზრიელ პოეტთა წარმოდგენით, შეყვარებულთა სულები ერთმანეთს მარადიულ საუფლოში შეხვედებიან და იქ პოეზიებს სამუდამო ბედნიერებას. შესაბამისად, უზრიული ლირიკა გაჟღენთილი იყო ფატალიზმით, დაუსრულებელი სევდით, განწირულებით, ამავედროულად, მიჯნურისადმი უსაზღვრო ერთგულებით. ყველა პოეტს ჰყავდა მხოლოდ ერთადერთი ტრფობის ობიექტი, იდეალური ქალი, რომლის იდეალიზაციამ პოეტები იქამდე მიიყვანა, რომ დემატერიალიზებულმა ქალმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და სიყვარულმა მიიღო მეტად აბსტრაქტული სახე, შეიძლება ითქვას, რელიგიური სამსახურისაც კი. „ეს ტრფობა იმდენად უმწიკვლო იყო, რომ უზრიული მიჯნურობა პლატონური სიყვარულის სინონიმად დამკვიდრდა არაბულ ლიტერატურაში... სწორედ ეს ტრადიცია დაედო საფუძვლად იმ ლიტერატურულ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც შეიქმნა უზრიული ღაზალი და ამ მიმართულების მიმდევარ პოეტებს უზრიელი მიჯნურები ეწოდათ, მიუხედავად მათი ტომობრივი კუთვნილებისა. მოხდა ერთგვარი განზოგადება ამ ტერმინისა, რომელიც ეთნიკური წარმომავლობის მაჩვენებლად კი არა, ამ სპეციფიკური ლიტერატურული კონცეფციის მიმდევრობის აღმნიშვნელად იქცა“ (გარდავაძე 2018: 56).

რა არის ამ პოეზიის მთავარი არსი? – უპირველეს ყოვლისა, **სიკვდილი სიყვარულის გამო**, რომელსაც ერწყმის ისეთი მოტივები, როგორებიცაა: **სიყვარულის მალვა**; მისი **სენად** წარმოდგენა, რომელსაც წამალი ვერ კურნავს, რომელიც გონებას და ღონეს ართმევს ადამიანს და აუძლურებს. სიყვარული პოეტს მო-

1 იგივე თვალსაზრისი შეიძლება ამოვიკითხოთ XI-XII საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე პროვანსელი ტრუბადურის, აქვიტანიის ჰერცოგის, გიომ IX-ის სიტყვებში: „სიყვარულს მოაქვს სიკვდილი და ახალგაზრდობა“ (სტეპლტონი 1996: 75); ტრისტანისა და იზოლდას რომანის გოტფრიდ სტრასბურგელისეულ ვერსიაში: „იზოლდავ, ჩემო ნანდაურო იზოლდავ, ჩემო მეგობარო, შენა ხარ ჩემი სიკვდილი, შენა ხარ ჩემი სიციცხლე“ (წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი 1984: 42) და ვეფხის-ტყაოსანში: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“ (271).

ულოდნელად ეწვევა, საშინელ სატანჯველში აგდებს, ხშირად სი-
გიჟემდეც მიჰყავს. „სასიყვარულო გრძნობას პოეტები ადარებენ
გახურებულ ნადვერდალს, ბობოქარ ცეცხლს, გახურებულ რკი-
ნას, მახეს, რომელშიც საბრალო მსხვერპლი ებმება. მიჯნური ცხა-
რე ცრემლით ტირის სატრფოსთან განშორების გამო, კონცნის
მიწას, რომელსაც მისი ტერფები შეხებია, დადის იმ ადგილებ-
ში, სადაც სატრფოს უყვარდა სიარული, კარგავს გრძნობას“
(ფილშტინსკი 1977: 216).

მე-8 საუკუნიდან მოყოლებული უზრიულ სასიყვარულო
ისტორიებს ვხვდებით ყველა ცნობილ ფილოლოგიურ კრებულში
და ანთოლოგიაში; ვხვდებით ვრცელი თუ ფრაგმენტული სა-
ხით, სხვადასხვა ვარიანტით, სხვადასხვა ზეპირ თუ წერილობით
წყაროზე დაყრდნობით, სულ უფრო და უფრო გამდიდრებულს
ახალი პოეტური თუ პროზაული ვერსიებით. ამ თხზულებათა-
გან განსაკუთრებით აღსანიშნავია აბასელთა ხანის ცნობილი
ლიტერატორის, მწერლის, ისტორიკოსის, მუსიკათმცოდნისა და
პოეტის აბუ ლ-ფარაჯ ალი იბნ ალ-ჰუსაინ ალ-ქათიბ ალ ისპა-
ჰანის“ (897-972) „სიმღერათა წიგნი“. ავტორს უსარგებლია რო-
გორც ათობით მისი წინამორბედის წერილობითი წყაროებით, ისე
თანამედროვეთა ზეპირი ისტორიებით. არაბებს სწორედ ასეთი
ისტორიები და გადმოცემები უვსებდათ ეპოსის არქონას. ყველა
ეს გადმოცემა გარკვეული სქემის ფარგლებშია მოქცეული:

1. პოეტი ბავშვობიდან უმიჯნურდება თავისივე ტომელ
მშვენიერ ასულს; შეყვარება ხდება ერთი ნახვით და სიკვდილამდე;

2. გამიჯნურებული პოეტი ლექსებს უძღვნის სატრფოს; ამ
ლექსებში მხოლოდ ერთი ქალის სახელი მოიხსენება (უზრიტმა
პოეტებმა სწორედ იმით გაითქვეს სახელი, რომ მთელი სიცოცხ-
ლე მხოლოდ ერთ ქალს უძღვნიდნენ ლექსებს);

3. მათი სიყვარული წმინდაა და ამაღლებული; შესაბამი-
სად, მიჯნური „შორით უნდა ბნდებოდეს“; ეს უნდა იყოს მუდმი-
ვი ლტოლვა და სატრფოს „ვერ მიხვდომა“, ამიტომ ბედისწერის
ჩადგომა მიჯნურთა შორის, მათი გათიშვა – არის ფატალური და
გარდაუვალი აუცილებლობა;

4. მიჯნურმა „ჭირი“ უნდა დამალოს, ის მთელი სიცოცხ-
ლე უნდა ეწამებოდეს და სიყვარულით მოგვრილ ტანჯვას უნდა
დაითმენდეს;

5. სატრფოს ხელის სათხოვრად მისულ პოეტს ქალის მშობლები და ახლობლები სხვადასხვა მოტივით უარს ეუბნებიან;

6. გამოჩნდება პოეტის კეთილმოსურნე პირი, ჩვეულებრივ, წარჩინებული წარმომავლობის ან მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რომელიც თვითონ ან სხვა რომელიმე გავლენიანი პირის ჩარევით ცდილობს პოეტის დახმარებას და სატრფოზე მის დაქორწინებას, მაგრამ ყოველი მცდელობა უშედეგოდ ამაოა;

7. პოეტის შეუპოვრობით შეწყუბებული ქალის სანათესაო უჩივის მას იმ მხარის გამგებელთან, ან, სულაც, ხალიფასთან;

8. ქალის ღირსებას ჩრდილი რომ არ მიადგეს, მას სხვაზე ათხოვებენ. ბედისწერა და გარემოებები სამარადისოდ აშორებს წყვილს;

9. პოეტი გონებას კარგავს უზომო სიყვარულის გამო, გადაიხვეწება სახლიდან შორს, გაურბის ადამიანებს, უკაცრიელ ადგილებში ყარბობს და გამუდმებით იგონებს სატრფოს. სიყვარულის სენს ის სიკვდილის პირას მიჰყავს;

10. პოეტი-მიჯნური და მისი სატრფო ერთმანეთზე დართით იხოცებიან¹ (გარდავაძე 2018: 125-143).

1 არაერთ მკვლევარს უცდია, ზემოთ ჩამოთვლილ მოტივთა კვალი ეძებნა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. ბაღდადის უნივერსიტეტის პროფესორი, ჯალილ ქამალ ად-დინი თავის სტატიაში „არაბები ძველ ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში“ რუსთაველურ მიჯნურობას პირდაპირ აიგივებს უზრიულ სიყვარულთან. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ტანჯვა ტრფობით გახელებული არაბის ტანჯვის მსგავსია. სიყვარულისადმი მათი დამოკიდებულებაც ჰგავს ამ გრძნობის მიმართ არაბის დამოკიდებულებას. რუსთაველის პოემის არაბული ფონი კი უფრო „განამტკიცებს“ მის მოსაზრებას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უზრიელი პოეტი-მიჯნურის შესახებ არაბულ გადმოცემათა ნორმატული სქემისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის შედარება გვიჩვენებს, რომ ტიპოლოგიურად ეს ორი სხვადასხვა სქემაა და, მართალია, მსგავსება ცალკეულ კომპონენტთა დონეზე აშკარაა, გარკვეული სიუჟეტური ხაზებიც თანხვედება ერთმანეთს, მაგრამ თუ „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია აგებულია „დაკარგვა-ძიება-პოვნის“ მოტივზე, მეორის კომპოზიციური ჩონჩხია – „შეყვარება – საბედისწერო და სამარადისო განშორება – სიყვარულით სიკვდილი“. შესაბამისად, მსგავსება მათ შორის, რაგინდ ხელშესახები და კონკრეტულიც არ უნდა იყოს, მაინც გარეგნულია (გარდავაძე 2018: 152-153).

ნიზამის მაჯნუნი

უზრიული ლირიკის ძირითადმა მოტივებმა უფრო მეტი დატვირთვა და სიღრმე შეიძინა სუფისტურ პოეზიაში. სუფიზმის მიმდევარი ვერ შეიცნობდა ღვთიურ სიყვარულს, თუ მანამდე უფალი მას ხორციელი სიყვარულით არ გამოსცდიდა. შესაბამისად, სუფიებს ქადაგებებზე მოჰქონდათ მაგალითები იმ უზრიელი შეყვარებულებისა, რომელთაც თავდავიწყებით უყვარდათ თავიანთი რჩეულები. უზრიტი პოეტებიდან სუფიებს შორის განსაკუთრებული ყურადღება და კანონიზაცია მაინც მაჯნუნს ერგო, რომელსაც იდეალურ შეყვარებულად სახელდებდნენ და მის სიგიჟეს ნეტარი ღვთაებრივი ხედვის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ (გარდავაძე 2018: 85-87).

არაბული წყაროები სხვადასხვაგვარად ხატავენ მაჯნუნის პიროვნებას. ზოგი არაბი თეორეტიკოსი მის პროტოტიპად მიიჩნევს ისტორიულ პირს – პოეტს – რომლის ლექსებიც ჩვენამდე შემონახულა. ფიქრობენ, რომ ეს ლექსები შეუქმნია ომეიადთა დინასტიის ერთ-ერთ წევრს და დაუმალავს თავისი ვინაობა. ზოგი მკვლევარი მას გამოგონილ პერსონაჟად მიიჩნევს. ტრადიციული გადმოცემების მიხედვით, მაჯნუნის ნამდვილი სახელი იყო ყაის იბნ ალ-მულაავაზი, რომლის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

აბულფარაჯ ალ ისპაჰანის „სიმღერათა წიგნის“ მიხედვით, მაჯნუნის ისტორია შეიძლება მივაკუთვნოთ მე-8 საუკუნის ბოლოს, მისი ლექსები კი – უზრიული პოეზიის ნიმუშებს. მიუხედავად იმისა, რომ ლეილისა და მაჯნუნის თავგადასავალი ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, არაბულ სინამდვილეში ის მაინც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. ამ სამიჯნურო-სათავგადასავლო ამბებს პირველად თავი მოუყარა, მხატვრულად ხორცი შეასხა და დასრულებული სახით წარმოგვიდგინა აღმოსავლეთის უდიდესმა პოეტმა ნიზამიმ.

ნიზამის ეს პოემა არამიწიერი სიყვარულის აპოლოგიაა, იმ სიყვარულის ჰიმნია, რომელსაც ამ ქვეყნად არ უწერია სრულქმნა, რომლის გამარჯვებისთვის პიროვნული „მეს“ მაქსიმალური დაკნინება და განადგურებაა აუცილებელი. „ლეილსა და მაჯნუნს“ რომ წერდა, ნიზამი უკვე ჩამოყალიბებული სუფი იყო.

პოემა „საიდუმლოებათა საგანძური“ მან სუფიზმის პრინციპებით ააგო, ხოლო „ხოსროვირინიანში“ უკვე ერთ-ერთი მოქმედი გმირის, შირინზე თავდავიწყებით შეყვარებული ფარჰადის სახე დაგვიხატა (ფარჰადი ეუბნება ხოსროვს: „როცა ცოცხალი აღარ ვიქნები, მხოლოდ მაშინ შემიძლია გავიყო შირინის სარეცელი“ თოდუა 1974: 8)). თუმცა „ლეილსა და მაჯნუნში“ ნიზამი ძალზე ორიგინალურ გზას ირჩევს: „საჭიროების შემთხვევაში, იგი იყენებს სუფისტური სიყვარულის კონცეფციას, როგორც სიმბოლოს, თუმცა მეტწილად ეყრდნობა სიყვარულის უზრიულ დოქტრინას, რომელიც ძირითადი წყაროა მისი სოციალური, ფილოსოფიური, სუფისტური თუ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისისა. ეს კონცეფცია, ამავდროულად, ეხმარება მას, გადაჭრას ადამიანსა და დროს, ადამიანსა და ბედისწერას შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა“ (რუსტამოვა 2020: 359). ამდენად, ამ კონცეფციის მიხედვით, „მაჯნუნისა და ლეილის ამქვეყნად დაუგვირგვინებელი ვნება უიღბლო სიყვარული კი არ არის, არამედ იდეალური ტრფობა, რომლითაც ადამიანი საკუთარი არსობის, საკუთარი „მე“-ს უარყოფით აღწევს სრულქმნას (თოდუა 1974: 8).

პოემაში თანმიმდევრულადაა წარმოჩენილი, როგორ გადადის მაჯნუნის სიყვარული ყოვლისმომცველ ვნებაში, რომლისგანაც თავის დაღწევა შეუძლებელია და რომლის ფინალიც მხოლოდ სიკვდილი შეიძლება იყოს. მოცემულია სიყვარულის განვითარების ის ზოგადი და მაგისტრალური ხაზი, რომელიც საერთოდ ახასიათებს შუასაუკუნეების აღმოსავლურ ლირიკას და ხელშესახებადაა წარმოდგენილი სიყვარულის განვითარების ძირითადი საფეხურები, რასაც საფუძვლად უდევს იმდროინდელი თეორიულ-ფილოსოფიური ნაზრევი და ეთიკური მრწამსი. ყაისის სიყვარული ყოფით ნიადაგზე აღმოცენდება (ყაისი და ლეილი ერთმანეთს სკოლაში გაიცნობენ; იქ აღმდგრებათ გულში სიყვარული. თანაკლასელები მათზე ჭორაობას დაიწყებენ და მალე მათი სიყვარულის ამბავი „ცასა და ქვეყანას მოედება“ (ნიზამი 1974: 116))¹, თანდათან ღვივდება, (ყაისმა „მი და მო რბენა

1 ტექსტს ყველა შემთხვევაში ვიმოწმებთ: ნიზამი განჯელი. ლეილი და მაჯნუნი. თარგმნა მაგალი თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

დაუწყო ქვეყნის განსა და კიდესა“ (117), მძაფრდება („ყაისს „მაჯუნნი“ შეარქვეს ტრფობისგან ქვეულს ხელადა“ (117)), შემდეგ კი მიწიერ გაგებას სცილდება და ირეალურში წარმოჩინდება. აღმოსავლური მისტიკური აზროვნებით, გახელებული ადამიანი ჭეშმარიტებასთან, ღმერთთან უფრო ახლოა, ვიდრე გონიერი, ბრძენი, რომელიც ამ ქვეყნის ჭირ-ვარამზე ფიქრობს. ჭეშმარიტება (ღმერთი) გონებით ვერ აღიქმება. მის შესაცნობად საჭიროა დიდი გრძნობა, რომელიც ადამიანის „მე“-ში დაიბუდებს და მთლიანად დაიმორჩილებს მას. შესაბამისად, ეს სიყვარულის ის ეტაპია, როდესაც პიროვნებაში გაბატონებულმა ყოვლისმომცველმა გრძნობამ უნდა დაამარცხოს ცივი გონება. „მაჯუნნისათვის სატრფო – ლეილი – არის ღმერთის გამოვლინება, ვინაიდან იგი სწორედ ლეილის სახეში ხედავს ღმერთს და მისი მეშვეობით სიყვარულს უცხადებს უზენაესს. ლეილის ხატება და მის მიმართ სიყვარულის გამჟღავნება არის მეტაფორები, რომლებიც ერთგვარი ხიდია, გზაა, უფალთან და ჭეშმარიტებასთან მისალწევად“ (რუსტამოვა 2020: 359).

თუ სიყვარულის განვითარების ამ საფეხურებს (ეტაპებს) მიჯნურის მდგომარეობასთან შესაბამისობაში წარმოვიდგენთ, ცხადი გახდება, რომ შეყვარება სიყვარულით დასწეულებას იწვევს, რომლის გამოხატულებად მიჩნეული იყო დაბნედა, გულის წასვლა, ცნობის დაკარგვა, სულთქმა, ოხვრა, სევდა, ფერ-დაკარგულობა, ცახცახი, კრთომა, გაფითრება და სხვა ამგვარი მოვლენა. ტარიელი თავისი გამიჯნურების ამბის თხრობისას ამბობს: „ქალსა შევხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“ (344). ცხადია, რომ ტარიელის დაბნედა როგორც მისი თავგადასავლის თხრობისას, ისე ნესტანის პირველი დანახვისას, რიდის კიდეში გამოხვეული მიჯნურის წერილის ხილვისას თუ სხვ. ველადგაჭრილი რაინდის ჩვეული მდგომარეობაა (შდრ. ყაისის გამიჯნურება – „სიყვარულისგან ყაისი ასე გაშმაგდა თუ არა,/ წამების ჩარხზე გაეკრა და ვნების კოცონს უარა... ბოლოს კი ველარ გაუძლო ამდენ დარდასა და ვაებას,/ თავგზა აებნა, დავარდა, ვაი-ვაგლახში გაება“ (117), ან ფარჰადის რეაქცია შირინის დანახვისას და მისი ხმის გაგონებისას: „როცა მოსმენა მისი სიტყვის ფარჰადს

მოუხდა,/ აღტაცებისგან გულ-მუცელი სულ აუდუღდა,/ მთელი ძალ-ღონით, რაც შეეძლო, შეჰყვირა ძალზე,/ გახდა უძილო და განერთხო იგი მიწაზე“ (ნიზამი 1964: 220)¹.

ტრუბადურული პოეზია

სიყვარული, მიჯნურობა რომ სწეულეზაა, ამას აღიარებდნენ XI-XII საუკუნის ევროპელი ტრუბადურებიც და მინეზინგერებიც, რომელთა შემოქმედებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა ცნობილი რომაელი პოეტის, ოვიდიუსის (ძვ.წ.43-ახ.წ.17) შემოქმედებამ, კერძოდ კი მისმა სატრფიალო ელეგიებმა (*Amores*) და სიყვარულის ხელოვნებამ (*Ars Amatoria*)². მათ კრიტიკულად გადაამუშავეს ოვიდიუსის ეროტიკული პოეზია და ფეოდალურ სამოსელში „გამაოწყვეს“ იგი. ამგვარი ინტერტექსტუალიზმი, უდავოდ, ნაწილია იმ ფენომენისა, რომელსაც მე-20 საუკუნის შუახანების ლიტერატურისმცოდნეობამ *fin'Amores* უწოდა (სწორედ ასე სახელდებდნენ ფრანგი ტრუბადურები იმ სიყვარულს, რომელსაც თავიანთ სიმღერებში განადიდებდნენ). უნდა ითქვას, რომ გარკვეული ეროტიზმით ეს პოეზიაც არის აღბეჭდილი, თუმ-

1 მსგავს მოვლენას აღწერს იბნ ჰაზმი „მტრედის ყელსაბამში“ – „სიყვარულის მტანჯველი სენი ადამიანს გულს უფლეთს“ (იბნ ჰაზმი 2006). ამგვარადვე აქვს დახასიათებული სიყვარულის სენი ოვიდიუსსაც. თავისი „ელეგიების“ II წიგნის IX თავში პოეტი მიმართავს კუპიდონს: „ჩემს ძვლებზე აფუჭებ ისრებს? შეხედე, მოუცვდათ პირი, ისე დამადნო ტრფობამ, მხოლოდ ძვლებიღა დავრჩი“ (ოვიდიუსი 1987: 97). ამასვე აღნიშნავს ანდრეას კაპელანი თავის „წესთა“ მე-15 თავში: ყველა მეტრფე უნდა გაფითრდეს სატფოს წინაშე; მის ანაზღეულ დანახვაზე გული უნდა აუთრთოლდეს (ნიზამი 1975: 182).

2 ოვიდიუსის ავტორიტეტი ოდნავადაც ვერ შელახა ვერც მისმა რომიდან განდევნამ და ვერც იმ ბრძოლამ, რომელიც მისი ნაწერების წინააღმდეგ წამოიწიეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკებიდან გაქრა ოვიდიუსის ყველა წიგნი, მას მაინც კითხულობდნენ და ბამავდნენ. შუასაუკუნეებში იგი მიჩნეული იყო მეორე პოეტად ვირგილიუსის შემდეგ, თუმცა როცა სასიყვარულო პოეზიაზე მიდგებოდა საქმე, ოვიდიუსს მართლაც არ ჰყავდა კონკურენტი. შუასაუკუნეების საზოგადოებას ისევე კარგად ესმოდა მისი ირონიულ-დიდაქტიკური პოემების არსი, როგორც რომაელ მკითხველს; მისი სიყვარულის, ანუ „ცდუნების ხელოვნებამ“ კი იმგვარივე ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა XI საუკუნის მიწურულის ლანგედოკში, როგორც ერთ დროს ძვ.წ.-ის I საუკუნის რომში.

ცა ის იშვიათად იყენებს ოვიდიუსის სარდონიკულ ტონს და სალექსო სტრიქონებიდან ფრთხილად გამომკრთალი სექსუალობაც, ეფემერიზმის საბურველში გახვეული, იშვიათად არის მკაფიო და სურათოვანი. ოვიდიუსის პირობითობათაგან ტრუბადურულ პოეზიას შემორჩა სიყვარულის, როგორც ყოვლისმომცველი, ადამიანის დამმონებელი ძალის გაგება („მივხვდი, საცოდავ ჩემს გულს შმაგი ამური ტანჯავს/ დავნებდე? ვებრძოლო? ბრძოლით უფრო არ გაღვივეს ცეცხლი,/ ჯობს მოვუხარო თავი, იქნებ დამინდოს ცოტა“ (ოვიდიუსი 1987: 54). კურტუაზული მეტფრეც უნდა დამშვრალიყო თავისი ქალბატონის სამსახურში, მაგრამ თუ მიჯნურის კეთილგანწყობას ვერ დაიმსახურებდა, ტირილში, ვაებასა და მოთქმა-გოდებაში უნდა ჩაეხშო სასოწარკვეთა. გოტფრიდ ფონ სტრასბურგელი მიჯნურობის დამახასიათებელ ნიმუშად სიყვარულთან ერთად ჭირსაც მიიჩნევდა: გამიჯნურებული ადამიანი, მისი აზრით, ერთდროულად განიცდიდა სიხარულსა და შეჭირვებას, ტანჯვა-წამებასა და ნეტარებას. პიერ ვიდალი ამბობს: მირჩევნია დავრდომილი ვიყო, ავიტანო ჭირი და ტანჯვა, ვიდრე ბედნიერება სხვასთან მოვიპოვო. იმავე აზრისაა ბერნარ დე ვენტადორნელი – სიყვარულმა ისე სასიამოვნოდ დამჭრა, რომ გული ჩემი ტკივილშიც კი სიამოვნებას განიცდის; ჩემი ჭირი იმდენად უჩვეულოა, რომ ის ყველა სხვა სიკეთეს მირჩევნია და რაოდენ ამ ჭირთ ამდენი მომხიბვლელობა აქვთ, იმდენად ამ ჭირთა შემდეგ იქნებიან სიამოვნებანი ტკბილნი (სტეპლტონი 1996: 69-80). მოტანილ ციტატებში სტრიქონებს შორის შეიძლება ამოვიკითხოთ ოვიდიუსის კიდევ ერთი მაქსიმა: „აკრძალულს ვესწრაფით ყველა, უარი გვიღვიძებს სურვილს, როცა სმას უშლი სნეულს, სწორედ მაშინ გთხოვს სასმელს“ (ოვიდიუსი 1987: 124).

გახელება და ველად გაჭრა

სიყვარულით დასნეულებას შედეგად მოჰყვება მიჯნურის ტანჯვა, გახელება (გაშმაგება), გამოწვეული სატრფოსთან დროებითი ან სამუდამო განშორებით და ბოლოს ველად გაჭრა¹. მიჯ-

1 შდრ, ფარჰადი, რომელიც მართალია, დაკარგულ მიჯნურს არ ეძებს, მაგრამ მისი გაჭრა უიმედო სიყვარულის შედეგია. შესაბამისად, გაშმაგებითა და მარტოობისაკენ სწრაფვით ის ემსგავსება მაჯნუნს და ტარიელს. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ფარ-

ნურს ველარ ძალუმს ჩაკეტვა მოწესრიგებულ, შემოფარგლულ სივრცეში, ამიტომ იგი არღვევს ამ სივრცის საზღვრებს და სიმ- მაგის უმაღლეს წერტილს მიეახლება (გამმაგებული მაჯუნნი თავის ტრფობას ადარებს გარეულ ფრინველს, რომელიც ბასრი ბრჭყალებით დაუნდობლად უფლეთს გულს).

გრძნობების ტყვეობაში მოქცეული ველად გაჭრილი ადამიანი ქვეყნიერებასთან კავშირს წყვეტს. ის მხოლოდ ფიზიკურად არსებობს ამქვეყნად, ის უკვე მომზადებულია, სულიერი კავშირი დაამყაროს ზეციურთან. ამის ნათელი მაგალითია მაჯუნნი, რომელიც მას შემდეგ, რაც ლეილს დააშორებენ, ველად გაიჭრება, ტირის, გოდებს, გაურბის ადამიანებს და საერთოს მხოლოდ ცხოველებთან პოულობს. მისი გახელება კულმინაციას აღწევს მაშინ, როდესაც მოხუც მათხოვარს სთხოვს, კისერზე თოკშებმული კარდაკარ ატაროს. ლეილის კარავთან მისული იგი სატრფოს კარის ზღურბლს ახლის თავს, კოცნით დაფარავს კარიბჭეს, გულშიჩამწვდომ სიყვარულის სიმღერას იტყვის, შემდეგ კი აიწყვეტს ჯაჭვებს, ველად გაიჭრება და ისევ უდაბნოს შეაფარებს თავს. ეს ეპიზოდი სიმბოლურად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ მაჯუნნის ყოველგვარი კავშირი ადამიანთა საზოგადოებასთან უკვე გაწყვეტილია და მისი თავგადასავალიც ბედნიერ დასასრულამდე ველარასოდეს მივა (ბერტელსი 1962: 269). ამ ეტაპიდან სიყვარულმა იგი არა მარტო უნდა გაახელოს, არამედ კიდევაც ხაზი უნდა გადაუსვას და გაანადგუროს მისი პიროვნული „მე“. სიყვარულმა უნდა დაფერფლოს იგი. სიყვარულის განვითარების ამ ფაზაზე შეყვარებულთა შორის უნდა მოისპოს ინდივიდუალური სხვაობა, ისინი ერთ საერთო ინდივიდად, ზოგად „მე“-დ უნდა იქცნენ. ეს კარგად ჩანს იმ ეპიზოდში, როდესაც მაჯუნნი კედელზე დაკიდებულ ქალაღდს ნახავს, რომელზეც მისი და ლეილის სახელები წერია და ფურცლის იმ მხარეს მოხევეს, რომელსაც „ლეილი“ აწერია. როდესაც ასეთი საქციელის მიზევეს ჰკითხავენ, მაჯუნნი უპასუხებს: „ორი სულღმული თუ ერთ არსებად დაღგინდა, მაშინ ერთ საგნის სანიშნოდ ორი ნიშანი რად გინდა?“ „სხვამ თუ არ იცის, მე ხომ

ჰადი თავის სიყვარულს ოღენ პასიური გოდებით და უდაბნოში განსვლით კი არ გამოხატავს, არამედ აქტიურად იბრძვის ამ სიყვარულის მოსაპოვებლად (კლდის გარღვევა) (ყული-ზადე 1987:130).

მწამს, მე რა ვარ, იგი რაც არი, – მე მხოლოდ მისი ჩენჩო ვარ, ხოლო ის – ჩემი მარცვალი!“ (280) შესაბამისად, მაჯნუნის სიყვარული აღწევს ამ სრულყოფილებას. მის სულს ლეილის სული ერწყმის და ამ გზით ისინი ერთიანდებიან. აქ ნიზამი ძალიან უახლოვდება სუფისტური „შერწყმის“ იდეალს. ამიერიდან მაჯნუნი უკვე ყაისი კი აღარ არის, ის მხოლოდ „ჩენჩოა“, რომელშიც ცხოვრობს მისი იდეალი – თანაც ის უფრო ბრწყინვალე და მშვენიერია, ვიდრე რეალურად არსებული ლეილი. აი, სწორედ ამიტომ იღუპება ის და ადგილს უთმობს იმ იდეალურ ხატებას, რომელიც ცოცხლობს მასში. მაჯნუნი ლეილის საფლავზე მიდის, ზედ დაემხოზა, ჩურჩულით სატრფოს სახელს წარმოთქვამს და სულს განუტყევებს:

„რადგან ეს თემი იმ სოფელს,
არ არის გადამიჯნული,
იქ გაემგზავრა მაჯნუნი
ლეილის ხელი მიჯნური“ (337),

– ასე მთავრდება ნიზამის პოემა. მიჯნურთა შეერთება ხორციელდება, ოღონდ არა იმ ფორმით, როგორსაც მას ელოდა თანამედროვე მკითხველი. პოემის ფინალში მთავარ პერსონაჟთა ტრაგიკული სიკვდილი აღმოსავლური სიყვარულის განვითარების საბოლოო ეტაპია – მიჯნურები ტოვებენ წუთისოფელს, მაგრამ მათი სულები აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს აბსოლუტური მშვენიერების საუფლოში. ასე ესმოდათ შუასაუკუნეების აღმოსავლეთში სიყვარულის ჭეშმარიტი არსი და მისი სრულყოფის გზა: სიყვარული აღმოცენდება რეალურ მიწიერ ნიადაგზე, თანდათან შორდება ადამიანურ ყოფას და აბსტრაქტიზებას იდეალურში ჰპოვებს ბოლოს კი აბსოლუტური მშვენიერების ჭვრეტის საფეხურამდე მალღდება (ჯაველიძე 1972: 105-109).

ველად გაჭრის მოტივი უმთავრესი ელემენტია არა მხოლოდ აღმოსავლური, არამედ შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპული და კლასიკური ხანის ქართული საერო ლიტერატურისთვის. თამარის ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი, ამ მოტივს სრულყოფილი მიჯნუ-

რის უცილობელ თვისებად მიიჩნევს. „ვისრამიანის“ ქართველი მთარგმნელის თქმით, „გაჭრა“ მიჯნურთა ვალია, რომლის გარეშეც გრძნობის სიძლიერე ვერ დამტკიცდება. მეხოტბებთან ეს მოტივი, ძირითადად, ტროპის ფუნქციამდე დაყვანილი, მაგრამ კონვენციონალურობისგან თავისუფალი სახითაც გვევლინება (მაგ. პოეტი მოგზაურის ფრაგმენტი) (ნათამე 1965: 81-84). რაც შეეხება *ვეფხისტყაოსანს*, აქ კაცთაგან განსვლას და „ველურ“ გარემოსთან შერწყმას სამგვარი ფუნქციური დატვირთვა აქვს:

1. ის მიჯნურობას უკავშირდება და „ველად გაჭრასთან“ არის გაიგივებული – „თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს, სიარული მარტოობა შვენის, გაჭრად დაეთვლებს“ (31); „თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდორთა მე რებად,/ არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?/ გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს თავისა ბერებად!“ (775); შესაბამისად, ტყე, ველური გარემო სასოწარკვეთილი, გახელებული მიჯნურისთვის ერთგვარი თავშესაფრის ფუნქციასაც ასრულებს, სადაც მას, „კაცრიელთა თემთაგან“ განშორებულს, შეუძლია განმარტოება და საკუთარ ფიქრებში ჩაძირვა – „ხელი მინდორს გავიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვზნდები“ (647).
2. რაინდული რომანების მსგავსად ტყე (სასახლის კარის ანტითეტური გარემო) გვევლინება იმ ლინეარულ სივრცედ, რომელზეც გადის თავგადასავლის მაძიებელი რაინდის „გზა“ და რომლის წიაღშიც ამ უკანასკნელის სრულყოფილ პიროვნებად ფორმირების პროცესი უნდა დასრულდეს. „ხეტიალის“ ცნება, რომელსაც *ვეფხისტყაოსანში* სიტყვა „გაჭრა“ შეესაბამება, ან სამიჯნურო დავალების შესრულებას უკავშირდება („რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად“ (160), ან „ფათერაკს“ („გოჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა“ (577). როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, სხვის სივრცეს, რომელიც ნეიტრალურია, უდაბური და „მიუსაფარი“ („მიხვდა რასმე ქვეყანასა უგემურსა, მეტად მქისსა,/თვე ერთ კაცსა ვერა ნახავს, ვერსა შვილსა ადამისსა“ (181)) – მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვა ენიჭება, რადგან სწორედ აქ უნდა განვითარდეს რაინდული სათავგადასავლო მოთხრობა.
3. ისევე როგორც ევროპულ რაინდულ რომანებში, ტყე არის სივრცე ცი-

ვილიზაციის ცენტრებს (სასახლის კარი/ციხესიმაგრე) შორის და მისი ფუნქციაა თვალნათლივ აჩვენოს ის კონტრასტი, რომელიც აუცილებელია „ძიების“, ანუ თავგადასავლის, ავანტიურის სტრუქტურული ერთეულის დიფერენცირებისათვის იმ სტრუქტურული ერთეულისაგან, როგორცაა, ვთქვათ, ნადიმი, სტუმართმოყვარეობა და ა.შ.

ტარიელიც, მაჯუნუნის მსგავსად, სატრფოს დაკარგვის შემდეგ გაიჭრება ველად, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ის გახელება, რომელსაც მოჰყვება ადამიანთა საზოგადოებისთვის ზურგის შექცევა და მხეცების გარემოცვაში “ველთა რბოლა”. მიუხედავად თავს დატეხილი უბედურებისა, ტარიელს ძალუმს თავის არსებაში გამეფებული მტანჯველი ემოციების დათრგუნვა, მობილიზება შინაგანი ძალებისა და სავალი გზის სიძნელეთა წარბშეუხრელად ატანა: „გულსა ვუთხარ, ნუ მოჰკვდები, არას გარგებს ცუდი წოლა,/ გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა“ (577). ამ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად ტარიელი „ფიცხლად შეეკაზმება“ და ას სამოცი მეომრის თანხლებით გაემშურება დაკარგული სატრფოს სამებრად – გადალახავს ზღვასა თუ ხმელეთს, მოივლის ქვეყნიერების ოთხსავ კიდეს, მაგრამ ამაოდ. რაინდი მაინც აგრძელებს დაკარგული სატრფოს ძებნას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ უშედეგოდ მოივლის „ყოვლსა პირსა ქვეყანისა“, სასოწარკვეთილი დატოვებს „კაცრიელთა თემს“, გაიჭრება ველად და ვეფხის ტყავით შემოსილი უკაცრიელ გამოქვაბულში დაიდებს ბინას. ამიერიდან ტარიელს მხოლოდ ერთი სურვილი ამოდრავებს – რაც შეიძლება მალე დატოვოს წუთისოფელი, რათა იმქვეყნად მაინც შეძლოს შეერთება გაყრილ მიჯნურთან – ქალთან, რომელიც მისი სიცოცხლის საზრისს წარმოადგენდა და რომელიც ახლა მკვდარი ჰგონია. ტარიელისა და მაჯუნუნის გახელებასა და სიკვდილის ნატვრას შორის ის განსხვავებაა, რომ საკმარისია, ტარიელმა დაინახოს ნესტანის რიდის კიდეში გახვეული მისივე „წიგნი“, დარწმუნდეს, რომ მისი სატრფო ცოცხალია, რომ მოულოდნელი ბედნიერებით „უცნობოდ ქმნილში“ ისევ გაიღვიძოს დაკარგულმა იმედმა და მას სიცოცხლის, მოქმედების დაუოკებელი სურვილი აღედრას. ამიერიდან ტარიელს მიზნის მისაღწევად

კვლავ თავისი გულოვნებისა და მკლავის ძალის იმედი აქვს. დაყოვნება მისთვის სიკვდილის ტოლფასია, ამიტომ სიხელე და სიმშაგე დროებით უკან იხევს და ადგილს „გონებას“, ცივ განსჯას უთმობს. „მომცინარი და მხიარული“, იგი მზად არის რთულ, ფათერაკებით აღსავსე გზას დაადგეს, რომელმაც ის დაკარგულ სატრფომდე უნდა მიიყვანოს.

ყოველივე ზემოთქმული როდი ნიშნავს, რომ ქაჯეთს გამგზავრებული ტარიელი აღარც ხელია და აღარც შმაგი. მისი, როგორც მიჯნურის სიხელე მხოლოდ და მხოლოდ სატრფოს პოვნის შემდეგ დასრულდება. სიმშაგე დროებით „გონების“ კალაპოტში ექცევა, ისევე როგორც უწინ, ნესტანის დაკარგვის შეტყობის ჟამს. საგრძნობლადაა შესუსტებული ველად გაჭრის მოტივიც, ვინაიდან სივრცე, რომლის ფარგლებშიც ამიერიდან მოქმედებს ვეფხისტყაოსანი რაინდი, კვლავ შემოსაზღვრული და „წრიული“ ხდება¹. მმადნაფიცების თანხლებით ტარიელი მიისწრაფვის ქაჯეთის ციხისკენ, რათა ნესტანის გათავისუფლებასთან ერთად დაიბრუნოს დაკარგული სიყვარული და სულის მშვიდობა.

ქაჯეთიდან გამარჯვებით შემოქცეული რაინდი კვლავ „მძლეუთა მძლე“ ხდება. მას შემდეგ, რაც იგი შეეყრება სატრფოს, მისი სიხელე და სიმშაგე საბოლოოდ ითრგუნება, შესაბამისად, რომანშიც აღარ არსებობს გახელებისა და ველად გაჭრის მოტივის საჭიროება. როგორც სწორად აღნიშნავს ნოდარ ნათაძე, ტარიელის სიხელეში კონვენციას ფსიქოლოგიური მოტივაციის ხაზი ჩრდილავს, რომელიც ამ რომანში ძირითადია (ნათაძე 1966: 135).

ველად გაჭრა კონვენციონალური მოტივის სახით გვხვდება შუასაუკუნეების ფრანგი ავტორის, კრეტიენ დე ტრუას რომანშიც „ივენი, ანუ ლომის რაინდი“. რაინდის გახელება ამ რომანში

1 ევროპულ რაინდულ რომანებში სივრცის გაგება დაკავშირებულია ცალკეულ პერსონაჟთან და მის ქცევასა და ხასიათზეა დამოკიდებული. პერსონაჟი, რომელსაც აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანი (მაგალითად, ავთანდილი), ყოველთვის „ჩაკეტილ წრეში“ მოძრაობს, ველადგაჭრილი ტარიელის სივრცე (მიუხედავად პერსონაჟის სტატიკურობისა) კი უსაზღვრო და უსასრულოა (იხ. ელბაქიძე, მ. ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ზოგირთი საკითხი შუასაუკუნეების ფრანგულ რაინდულ რომანთან ტიპოლოგიურ მიმართებაში. თბილისი: „პეტიტი“, 2007. გვ. 35-40).

იწყება მას შემდეგ, რაც სიტყვის გამტებ ივენს ჩამოართმევენ მეუღლის ნაჩუქარ ჯადოსნურ ბეჭედს, შესაბამისად კი, მასთან დაბრუნების შესაძლებლობას და უფლებას. უბედურებით თავზარდაცემულ რაინდს ისლა დარჩენია, უღრან ტყეს მისცეს თავი, რადგან გაშმაგებულსა და სიგიჟის ზღვარს მიახლებულს ვედარ აუტანია კაცთა სამყოფელი თავისი წესრიგით, მომაბეზრებელი ყოველდღიურობით და მკაცრად განსაზღვრული ეტიკეტით. გახელებულ რაინდს ერთადერთი მიზანი ამოდრავებს – რაც შეიძლება სწრაფად განემოროს იმ სამყაროს, რომელიც მას სწორუპოვარ და უძლეველ რაინდად იცნობდა, და თავდავიწყება უკაცრიელ ადგილებში პოვოს. შეშლილი, ადამიანის იერდაკარგული რაინდი დაეხეტება ტყე-ღრეში, უმი ნანადირევით იკლავს შიმშილს და შიშველ-ტიტველი დასაძინებლად ნოტიო მიწაზე მიეგდება. გახელებული ივენის მხატვრული სახე, განსაკუთრებით მისი პორტრეტული შტრიხები, საკმაო მსგავსებას ამჟღავნებს, ერთი მხრივ, ნიზამის მაჯუნთან, მეორე მხრივ, რუსთველის ტარიელთან, თუმცა კრეტიენ დე ტრუას ნიზამისა და რუსთველისგან განსხვავებულად წარმოუდგენია ამ მოტივის განვითარებაცა და ამოწურვაც.

ივენის გახელება იწყება მაშინვე, როგორც კი იგი დაკარგავს სატრფოს სიყვარულსა და მისი მეუღლეობის უფლებას, მაგრამ სრულდება გაცილებით ადრე, ვიდრე იგი დაიბრუნებს მიჯნურს. „გახელება“, „სიშმაგე“ აქ შეწყვეტილია ჯადოსნური ძალის ჩარევით (ფერია მორგანას სასწაულმოქმედი ბალზამის დახმარებით), რაც კურტუაზიული რომანის ჟანრობრივი სპეციფიკით შეიძლება აიხსნას. სიყვარულის რიტუალიზება (ივენი იძულებულია, მდუმარედ აიტანოს სატრფოს საყვედურები და არც კი ცდილობს თავის მართლებას), ფანტასტიკური ელემენტების სიჭარბე (ჯადოსნური ბეჭედი, სასწაულმოქმედი ბალზამი) და რაინდული კოდექსისადმი მორჩილების აუცილებლობა (ივენი ვერ დაბრუნდება მეუღლესთან, ვიდრე არ აღასრულებს თავის რაინდულ ვალს, მისი კეთილგანწყობის ხელახლა მოსაპოვებლად მონაწილეობას არ მიიღებს ტურნირებსა და ორთაბრძოლებში) განსხვავებული ნიუანსით წარმოგვიჩენს ამ მოტივს და განასხვავებს მას ტარიელის და მაჯუნის სიშმაგესიხელისგან.

სიკვდილის ნატვრა

სასიყვარულო ტანჯვას, სენს, რომელიც „კაცრიელთა თემთაგან“ განსვლით, ანუ ველად გაჭირთ კულმინაციას აღწევს, თან სდევს სიკვდილის ნატვრა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში, მართლაც, ლეტალური დასასრული აქვს. ცნობილია, რომ სუფისტ პოეტებს სიყვარულის შედეგად სიკვდილი ბედნიერებად მიაჩნდათ¹. როგორც ერთი არაბი პოეტი წერდა: სიყვარულში მოსვენება არის დაღლილობა, მისი დასაწყისი არის სნეულება, მისი დასასრული არის სიკვდილი. მაგრამ ჩემთვის კი სიყვარულის გამო სიკვდილი არის სიცოცხლე. ის, ვინც კვდება თავისი სიყვარულისგან, არ შეუძლია სიყვარულში იცხოვროს. ეს არის სიყვარული ღმერთის მიმართ და სიკვდილი ღმერთისთვის... (ნოზაძე 1975: 187).

ევროპელი მედიევისტები მიუთითებენ, რომ შუასაუკუნეების რაინდული რომანის ფათერაკი ან ავანტიურა, რომელიც რომანის სიუჟეტის მთავარ ღერძად მოიაზრება, იმთავითვე გულისხმობს თავგანწირვას, ტანჯვა-წამებას, ჭირთა თმენას (რასაც ოვიდიუსი *tormentum*-ს უწოდებს, ხოლო ანდრეას კაპელანი – *cotidiana tormenta*-ს), რომელიც, ერთი მხრივ, სიყვარულისთვის სიცოცხლის მსხვერპლად მიტანას გულისხმობს, მეორე მხრივ, პიროვნების მორალური სრულყოფის, მისი სულიერი ჰარმონიზაციის პროცესის დამაგვირგვინებელია. ხანგრძლივი, მომქანცველი მოგზაურობა და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული სიკვდილის შეგრძნება შინაგანად გარდაქმნის კრეტიენ დეტრუას „ერეკისა და ენიდას“ პერსონაჟს, ერეკს, საკუთარ თავს აპოვნიებს, კრიზისს გადააღახვინებს. შესაბამისად, რაინდის ცოლი, ენიდაც, საბოლოოდ დარწმუნდება, რომ მისი მეუღლის სიყვარული ეჭვიმუტანელი და ჭეშმარიტია. თითქმის იგივე აზრია ჩადებული ავთანდილის სიტყვებში: „სდევს მიჯნურსა ფათერაკი, საწუთროსა დაანავლებს,/ მიჯნურობა საჭიროა, მით სიკვდილთან მიგვაახლებს“ (904), რომლებიც ნათლად გვიჩვენებს, რომ მიჯნურობა ჭირის მომტანია, სიმძლეეთა და დაბრკო-

1 შდრ. „კუპიდონ, აღარ ღირს ტრფობა, განმშორდი მაგ შენი მშვილდით, / სიკვდილის მეტი უკვე აღარაფერი მინდა!“ (ოვიდიუსი 1987: 90).

ლებათა შემქმნელია, რომ მიჯნურობას მოაქვს მწუხარება, სევდა და სიკვდილთან გვაახლოებს (გავიხსენოთ ტარიელის სიტყვები: „ჩემი ლხინია სიკვდილი, გაყრა ხორცთა და სულისა“ (374). თუმცა, იმავდროულად, მიჯნურობა საუკეთესო გზაა საკუთარი თავის შესამეცნებლად, მტანჯველ ემოციებთან გასამკლავებლად, ნებისყოფის გასამდიერებლად (ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა ტარიელისადმი მიმართული ნესტან-დარეჯანის სიტყვები: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?/ სჯობს, საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია!“ (370). თუ მიჯნურობას ფათერაკი სდევს, ეს ფათერაკი და მისი თანამდევი ჭირი გამოცდაა შეყვარებულისათვის. თუ საწუთრო მიჯურს დანადვლებს, საბოლოოდ ლხენასაც აძლევს, სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს გახელებული ტარიელისთვის ავთანდილი, თუმცა თინათინთან განშორებული თვითონაც არაერთგზის „მიმართის დანასა“. ამგვარად, სიკვდილი ავთანდილისთვის არის სურვილი თავისი ღრმა გრძნობებისა და მტანჯველი ემოციების გამოსახატავად, რასაც მასში თინათინის მიერ „დანერგული“ სიყვარული იწვევს. ტარიელის მსგავსად, ამ შემთხვევაში სიკვდილი მასაც ლხინად წარმოუდგენია (სატრფოსთან განშორება, რომელიც არავინ იცის, სადამდე გასტანს, მისთვისაც ისევე გაუსაძლისია, როგორც ტარიელისთვის), რადგან სიყვარულს სიკვდილთან ზიარი საზღვარი აქვს, მაგრამ ეს სიკვდილი ავთანდილისთვის მაინც არ არის მისაღები, თავის მოკვლა რაინდს სატანისებურ სურვილად მიაჩნია, ამიტომ ის გულს უბრძანებს, დათმეო (ნოზაძე 1975: 191).

სიყვარულით გამოწვეული სენის მკურნალი შეიძლება იყოს სატრფო (თუმცა ბევრი ფიქრობს, რომ სიყვარულის ტკივილი განუკურნავია, ანდა მისი მკურნალი შეიძლება იყოს მხოლოდ სიკვდილი). თუ კურტუაზული რომანის მეტრფე ქალბატონის კეთილგანწყობას ვერ მიიღებს, იგი მხოლოდ სიკვდილში პოვებს შევებას. ამ შემთხვევაში მისი მალამო სიკვდილია, რადგან სხვა წამალი, სხვა მალამო, სხვა აქიმი მისთა წყლულთა მოსარჩენად არ არსებობს. ოვიდიუსის კვალობაზე, ევროპელი ტრუბადურები და მინეზინგერები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ

მიჯნურის განკურნება თვით სიყვარულის ღმერთს, ამურსაც არ ძალუძს. მეორე მხრივ, „თუ მიჯნურს სიყვარულის სენი – ჭირი – აწუხებს, მეორე მიჯნურმა, ძირითადად მისმა მეგობარმა, პირველის ჭირი უნდა გაიზიაროს და მტანჯველი ემოციები დაათრგუნინოს“ (ნოზაძე 1975: 227-228), ვინაიდან სიყვარულისგან გახელდებულ ადამიანს დაკარგული აქვს როგორც „ცივი განსჯის“, ისე საკუთარი ემოციების სათანადოდ წარმართვის უნარი, შესაბამისად, სიყვარულის სენტან გამკლავება მას სხვა აქიმის გარეშე არ ძალუძს.

თუკი სიყვარულის „ჭირი“ ტანჯვისა და ვნების მომტანია, ადამიანმა ან უნდა დაითმინოს ის, ან უნდა ებრძოდეს. სწორედ აქ მქდავენდება ადამიანის ნებისყოფის, მისი სულიერი სიმტკიცის ღირებულება. ავთანდილი აცხადებს: „ხამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუხდეს მამაცურად“ (152), ე.ი. ჭირს აქვს თავისი დიალექტიკა – ის ყოველთვის არ იარსებებს, არამედ იცვლება ლხინით, ჭირი არ შეიძლება მარადიულად არსებობდეს, იგი ლხინმა უნდა დასძლიოს. ამიტომაც არის საჭირო მამაკაცის გულოვნობა, „ჭირსა შიგან გამაგრება“. „ამგვარად, ვეფხისტყაოსანში ჭირის ფილოსოფია ოპტიმისტურია. ადამიანი არ უნდა შეუდრკეს ჭირს და უნდა შეებრძოდეს მას. ეს არის პიროვნების სრულყოფის გზა“ (ნოზაძე 1975: 229).

კრეტიენ დე ტრუა გვეუბნება: ჩემი ჭირი ყველა ჭირისგან განსხვავდება; ჩემი ჭირი არის ის, რომელიც მე მსურს; მე ვერ ვხედავ, რაზე ვიჩივლო, რადგან ჩემი ჭირი თვით ჩემი ნებისგან მომდინარეობს; ეს არის ჩემი ნებელობა, რომელიც ჭირად გადამექცა: მაგრამ ჩემთვის სასიხარულოა მნებავდეს და ასე სასიამოდ ვიტანჯო. ეს სიტყვები, ცხადია, სიყვარულს ეხება. სიყვარული აქ წარმოდგენილია ჭირად, სნეულებად, რომელიც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს; სიყვარული აქ არის სენი, რომელიც ტკივილებს იწვევს და სიყვარულის ტკივილი არის სასიამოვნო, სალხინო. და ამას შეყვარებული თავისი ნებელობით ჰქმნის; ნებელობას სიყვარულის ტკივილის განცდები იზიდავს და არა სიყვარულის განხორციელება (ნოზაძე 1975: 230). მე-13 საუკუნის შუახანების ფრანგი პოეტი გირაულტ რიკიერიც მი-

უთითებდა, რომ სიყვარული სერიოზული აქტია, რომელსაც უთუოდ ტანჯვაც ახლავს. მაგრამ ტანჯვით გამოწვეულ სევდას, რომელიც არ არის სამუდამო, უთუოდ გააწონასწორებს დადებითი შედეგი, ვთქვათ, პოეტური შთაგონება (შიშმარიოვი 1965: 207).

ვეფხისტყაოსანში სიყვარულის ტკივილი, ტანჯვა, წამება, ცეცხლი, დაგვა, ბნედა, დაბნედა მიუღწეველი სიყვარულის შედეგია და არა ნებელობისა. *ვეფხისტყაოსანში* არავის სურს თავისი ნებით სიყვარულის გამო დაიტანჯოს, არავის სურს თავისი თავი გვემოს, აწამოს, პირიქით, აქ თითოეული გმირის ნება გამოიხატება სიყვარულის მოპოვებისათვის ბრძოლაში და თუ სიყვარული სენია, მისგან განკურნებას, ამ სენისგან თავის დაღწევას ყველა ცდილობს (ნოზაძე 1975: 230). როგორც ვხედავთ, სასიყვარულო ურთიერთობაში ჭირის დათმენა, როგორც *ვეფხისტყაოსანში*, ისე აღმოსავლურ თუ კურტუაზულ პოეზიაში ერთნაირად სავალდებულოდ არის მიჩნეული, მაგრამ თუ აღმოსავლურ პოეზიაში ან ტრუბადურთა პოეზიაში ჭირი უმრავლეს შემთხვევაში პოეტური სამკაულის ფუნქციით გვევლინება (მოგვიანებით ეს დაძლეული იქნება ფრანგულ რაინდულ რომანში), *ვეფხისტყაოსანისთვის* დამახასიათებელია ჭირის დამარცხება, მისი ლხინად შეცვლა, სიცოცხლის გამარჯვება. რუსთველთან სასიყვარულო ტანჯვა და მიჯნურობით მოგვრილი სიხარული მჭიდროდაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან და გამიჯნულად არაა წარმოდგენილი. აქცენტი აქ გადატანილია არა ტანჯვის სიძლიერესა და კვდომაზე (შდრ. „ტრისტანი და იზოლდა“, „ვისრამიანი“, „ლეილი და მეჯნუნი“ და ა.შ), არამედ ამ მტანჯველ ემოციათა დაძლევისა და მათი ფლობის უნარზე, რასაც საბოლოოდ მივყავართ პიროვნების სრულყოფასა და უზენაესი იდეალის ამქვეყნადვე წვდომამდე.

დამოწმებანი:

გოტფრიდ სტრასბურგელი 1976: Готфрид Страсбургский. *Тристан. Легенда о Тристане и Изольде*. Издание подготовил А.Д. Михайлов. Литературные памятники АН СССР. Москва: издательство «Наука», 1976.

დე ტრუა 1974: Кретьен де Труа. *Ивейн, или рыцарь со львом*. Библиотека всемирной литературы. Серия I. Москва: издательство «Художественная литература», 1974.

დე ტრუა 1980: Кретьен де Труа. *Эрек и Энида. Клижес*. Литературные памятники АН СССР. Москва: издательство «Наука», 1980.

ვისრამიანი 1962: ვისრამიანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

თოდუა 1974: თოდუა, მ. წინასიტყვაობა წიგნისა: „ლეილი და მაჯუნნი“. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

იბნ ჰაზმი 2006: Ibn Hazm. *The Ring of the Dove. A Treatise on the Art and Practice of Arab Love*. Translated by A.J. Arberry (ონლაინ წიგნი) Luzac and Company, LTD, London, W.C.1, განთავსებულია 5 აგვისტოდან, 2006. მის: <http://www.muslimphilosophy.com/hazm/dove/index.htm>

ყული-ზადე 1987: Кули-заде, З. *Теоретические проблемы истории культуры востока и Низамиведение*. Баку: ЭЛМ, 1987.

მიხაილოვი 1976: Михайлов, А. *Французский рыцарский роман и вопросы типологии жанра в средневековой литературе*. Москва: издательство «Наука», 1976.

ნათაძე 1966: ნათაძე ნ. *რუსთველური მიჯნურობა და რენესანსი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

ნიზამი 1964: ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. თარგმნილი სპარსულიდან ამბაკო ჭელიძის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1964.

ნიზამი 1966: Nizami Ganjavi. *The Story of Layla and Majnun*. Translated from the Persian and edited by Dr. R. Gelpke. English version in collaboration with E. Mattin, G. Hill. London: Bruno Cassirer Ltd: 1966. https://archive.org/stream/TheStoryOfLaylaAndMajnun/Leyla%20and%20Majnun_djvu.txt

ნიზამი 1974: ნიზამი განჯელი. *ლეილი და მაჯუნნი*. თარგმნა მაგალი თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნოზაძე 1975: ნოზაძე, ვ. *ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება*. პარიზი, 1975.

ოვიდიუსი 1987: პუბლიუს ოვიდიუს ნაზონი. *ტროზიანი*. ლათინურიდან თარგმნა, შესავალი წერილი, შენიშვნები და სახელთა საძიებელი დაურთო მანანა ლარიბაშვილმა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.

რაფილი 1947: Рафили, М. *Низами Ганджеви и его творчество*. Баку, 1947.

რუსთაველი 1966: რუსთაველი შოთა. *ვეფხისტყაოსანი*. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

რუსტამოვა 2020: Rustamova, A. *Philosophy of Love in Nizami Ganjavi's Khamsa in the Context of Sufism*. In: *The Interpretation of Nizami's Cultural Heritage in the Contemporary Period*. Berlin: Peter Lang, 2020.

სტეპლტონი 1966: Stapleton, M.L. *Harmful Eloquence*. Ovid's Amores from Antiquity to Shakespeare. The University of Michigan Press, 1996.

ფილშტინსკი 1977: Фильштинский, И. *Арабская литература в средние века. Словесное искусство арабов в древности и раннем средневековье*. Москва: издательство «Наука», 1977.

შიშმაროვი 1965: Шишмарев, В. *К истории любовных теории романского средневековья*. Избранные статьи в 2-х томах. том I. Москва-Ленинград: издательство «Наука», 1965.

ჯაველიძე 1972: ჯაველიძე, ე. *ფუზული*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1972.



„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-110
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)



„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-076
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)

ნანა გონჯილაშვილი
(საქართველო)

მეგობრობის კონცეფცია ვეფხისტყაოსანში

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოჩენილი და განსახოვნებული მეგობრობა პოემის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მოტივია. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული (ნ. მარი, ვ. ნოზაძე, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ე. ხინთიბიძე და სხვ).

მეცნიერთა ერთი ნაწილი (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ზ. ავალიშვილი, ვ. გოლცევი) ფიქრობდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ უმთავრესი იყო მეგობრობა-ძმადნაფიცობა და არა სიყვარული. ამ მოსაზრების არგუმენტად მიაჩნდათ ის, რომ პოემაში დიდი ყურადღება ეთმობოდა სამი ძმადნაფიცის (ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის) ურთიერთობას, ერთმანეთისათვის თავგანწირული ქმედებების აღწერას და, ზოგადად, მეგობრობა-ძმადნაფიცობის შესახებ მსჯელობათა სიუბვეს; განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებდნენ სტროფზე (300),¹ რომელშიც, მათი აზრით, ავთანდილისათვის „იაგუნდი“-ტარიელი უფრო აღმატებულადაა მიჩნეული, ვიდრე – მშვენიერი „მინა“-თინათინი. ეს შეხედულებები რუსთველოლოგიაში გაზიარებული არაა. სიყვარული „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოტივია.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოყვრობა-მეგობრობას მხოლოდ ორი ტაეპი ეთმობა („მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“ და „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“), რომელთა მიხედვით მკითხველი იგებს, რომ პოემაში სამი გმირის მეგობრობა და მათი შესხმა იქნება აღწერილი. თავად პოემაში მოყვრობის ერთგვარი კოდექსია წარმოდგენილი, რომელიც „სევდის მუფარაზის“ და „გონიერთა დასტაქარის“ – ავთანდილის, სიტყვებშია გაცხადებული. იგი ყველა ეპოქისა და ყველა ადამიანის მსოფლგანცდის ამსახველია:

1 ტექსტს ვიმოწმებთ „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წ. საიუბილეო გამოცემიდან (რედ. ი. აბაშიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა,
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ-მოწყენა,
გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“ (779).

ამ სტროფში მოყვრობის განმსაზღვრელი სამი უმთავრესი თვისებაა დასახელებული – მოყვარესთან მუდმივი სიახლოვე, რაც მოყვარულ ადამიანთა ერთმანეთის ცხოვრებაში, მათს ჭირსა და ლხინში თანამყოფობასა და თანაგანცდას, ცხოვრების გზაზე ფიზიკურ და სულიერ „მგზავრობა“-მეგზურობას გულისხმობს. პოეტი მოყვრობის განმსაზღვრელ ამ უპირველეს თვისებას ხორცს ასხამს პოემის გმირთა სიტყვასა და საქმეში, რითაც მკითხველს მხოლოდ სქემატურ სწავლებას როდი აწვდის; პირიქით, გმირთა ურთულეს შინაგან სამყაროში მიმდინარე ძვრებს გადაუშლის, მათი გულისა და გონების ჭიდილის გზაგასაყარზე დააყენებს, პიროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის, დასახული მიზნებისკენ თავდაუზოგავ სწრაფვას წარმოუჩენს, ჭეშმარიტი ფასეულობებით ცხოვრებისათვის გზებს დაუსახავს.

უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა რუსთაველის მიერ გმირთა მოყვრობის ჩასახვისა და დამოყვრების საფუძველთა ჩვენება-ახსნა. ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებაში“ საუბრობს სხვადასხვა ეპოქისა პოეტთა შემოქმედებაში წარმოჩენილი „მოწონება-სიყვარულის“ უეცარი ჩასახვა-წარმოშობის შესახებ და დასძენს: „ვეფხისტყაოსანში... მოწონება არის პირველი, რაც მეგობრობას გზას უხსნის და შემდეგ კიდევ ანამდვილებს“ (ნოზაძე 1975: 172).

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ბრძენთა საქებარი“ ავთანდილისა და „ტან-სარო, პირ-ბაკმიანი“, „ხელი“ მოყმე ტარიელის შეხვედრა-გაცნობის ეპიზოდი. მოყმეთა პირისპირ შეყრამდე ასმათი, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, მათი გაცნობის საფუძვლის მომზადებას ცდილობს. იგი არაბ ჭაბუკს ეუბნება:

„რა მოვიდეს, შევეხვეწო, ნუთუ ვით რა მოვაგვარო;
ერთმანერთსა შეგამეცნე, თავი შენი შევაყვარო“ (263, 2-3).

ასმათის გმირებთან საუბრიდან ჩანს, რომ აქ წამყვანია გმირთა ერთმანეთის გაცნობა-„შეცნობა“ და შეყვარება. ამ ეპიზოდში რუსთაველი გმირთა „ფერობასა“ (სწორობას) მათი მშვენიერების აღწერაში წარმოაჩენს – „და ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე და რად!“ (289, 4)

გმირთა შეხვედრის აღწერა ერთგვარად აგრძელებს მოყმეთა შინაგანი მშვენიერების ჩვენებას:

„მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდეს,
ვარდასა ხლუჩდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჰვირდეს,
ყელი ყელსა გარდააჰვიდეს, ერთმანერთსა აუტირდეს,
ქარვად შექმნნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს“ (284).

გმირთა შეყვარების ეს სურათი საოცარი სიყვარულითა და უშუალოდ გამოირჩევა. აქ „უცხოობა“ უკან იხევს – ერთმანეთის მშვენიერების განმცდელი გმირები ერთურთს მეგობრებზე ვით ეგებებიან, რაც შემდგომ მათი „შემეცნებით“ გვირგვინდება – ერთმანეთს უშურველად გაუღებენ გულის კარებს: „მაგრა ჰქონდა გულისათვის გული გულსა განაცვალი“ (695, 4).

რუსთაველი ამგვარად აღწერს ტარიელისა და ავთანდილის სიყვარულით გამშვენიერებულ სულიერ კავშირს:

„ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი
იაგუნდნი ქარვის-ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;
შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყვი გულსა დაგნი,
მას ლამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი“ (670).

აქ პოეტი აერთიანებს ძალზე მნიშვნელოვან მხატვრულ სახეებს („სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი“, „გულ-სადაგნი“), რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო გმირთა შინაგან ბუნებას და ცხოვრების წესს, არამედ მათს სწორობა-„ფერობას“. აქვეა თავმოყრილი გმირთა სულიერი კავშირის გამოხატველი ყველა ლექსიკური ერთეული – „მოყვარე“ და „ამხანაგი“; თითქოს, არ შეიძლებოდა ამ სტროფში მათი „უძმოდ“ ხსენება და რუსთაველმა ეს სივრცეც ამოავსო; ამ სიტყვის ნაცვლად „შეფიცვა“ მოიმარჯვა და სრულად გამოთქვა გულისნადები. ამ ერთ სტროფში

რუსთაველის მიერ მეგობრობის გრძნობა-განცდათა ამგვარი წარმოჩენა უდიდესი ჰუმანიზმის გამოვლინებაა. ეს სიყვარული მიწიერების ღვთაებრივი მშვენიერებით „შემოსვის“ საფუძველია, „მშვენიერ ამხანაგთა“ მშვენიერ კავშირში რომ ვლინდება.

სხვაგვარ ვითარებაში წარმოგვიდგენს რუსთაველი ტარიელისა და ფრიდონის გაცნობა-დამოყვრებას, თუმცა, ამ შემთხვევაშიც ერთმანეთის „მოწონებაა“ ამოსავალი. ნესტანის ძებნით დამაშვრალი ტარიელი ზღვის ნაპირას ამაყად „მყივარ“ მოყმეს დაინახავს, ხმლის ნატეხით ხელში და სისხლმდინარს, მტერზე გამწყრალს. ამის შემყურე ტარიელს თავისი უბედურება გადაავიწყდება. ტარიელის სიტყვებმა – „დადეგ, გამაგონე, შენი საქმე მეცა მინა!“ (598, 3), მიახედა ფრიდონი და უცხო მოყმის სახებამ მის არსებაში საოცარი განცდა – „მოწონება“, დაბადა და სვლა შეაჩერა: „შემომხედნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა“ (598, 4). ტარიელის მშვენიერების „განცდას“ ფრიდონისგან სრული ნდობა და გულწრფელი საუბარი მოჰყვა. აქ ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, კერძოდ, ფრიდონის განცდებს ტარიელი აღუწერს ავთანდილს („მოვეწონე“, „გამიცადა“, „სიარული დაითმინა“), ანუ ფრიდონის გამომეტყველებითა და ქცევით მიხვდა ტარიელი, თუ მასზე რა შთაბეჭდილება მოახდინა. ეს უკვე ერთფერი გმირების გრძნობა-განცდება, ცნობა-შეცნობის ერთგვარობა, რაც რუსთაველმა თავისებური ხედვით წარმოგვისახა. ფრიდონის ამგვარ დამოკიდებულებას ტარიელის მხრიდანაც შესატყვისი განცდა მოჰყვა – „მე გავკვირვე ჭკრეტასა მის ყმისა სინაზეთასა“ (600, 4). ამ ორმხრივმა წვდომამ მათ შორის მშობლიური გრძნობის გაჩენა განაპირობა – „უტკბოსნი მამა-ძეთასა“.

გმირთა ამ ნაცნობობას მათი გულით შეყვარება და ძმობა მოჰყვა, რასაც მოწმობს ფრიდონის ამბის მოსმენის შემდეგ ტარიელის სიტყვები: „ამა ყმამან შემიკვეთა, გული მისკე მიმიბრუნდა“ (612, 1); ფრიდონისთვის კი ტარიელთან სიახლოვე სიყვარულით „დამონების“ გრძნობას ბადებს („დღედ სიკვდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების“ – 613, 4). მართალია, ფრიდონმა იმ დროს ტარიელის შესახებ ვერაფერი შეიტყო, მაგრამ გულითა და გონებით მიენდო, რასაც გმირის მომშვიდება

მოჰყვა. ეს მისთვის უკვე დიდი „ლხინი“ იყო. აღნიშნულის შესახებ რუსთაველი ერთგან ამბობს – „და დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს“ (925, 4).

გმირთა პირველგანცდილი სულიერი სიახლოვის უცთომელობას მათი საქმეც მოწმობს. ფრიდონის ვაჟკაცობას ბიძაშვილებთან ბრძოლაში ტარიელი ასე აფასებს: „მუნ მომეწონნეს ფრიდონის სიქველე-სიმკვირცხლენია“ (619, 3). ფრიდონის სამეფოს მკვიდრნიც მსგავსად განიცდიან ტარიელის მშვენებას, რასაც კვლავ ამირბარის სიტყვებიდან ვიგებთ: „კვლა მოვეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკიდარი“ (615, 1). ამ ფაქტის ახსნას რუსთაველი შემდგომ გვაწვდის, სრულიად სხვა ვითარებაში, რაც ბიბლიის სიტყვებითაა გაცხადებული: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (1323, 4).

რუსთაველი, როგორც ირკვევა, დამოყვრებისათვის ერთ-ერთ უცილობელ პირობად გმირთგან ორმხრივ „შემეცნებას“ მიიჩნევს. ეს კარგად ჩანს ტარიელის სიტყვებიდან, როდესაც ფრიდონს თავის ვინაობასა და ამბავს გაუხმელს: „მაშა, რათგან შეგემეცენ, ამის მეტი რად რა მინა?“ (637, 3). მათი „მოწონებით“ დაწყებული ურთიერთობა „შემეცნების“ გზით ჭეშმარიტი ძმობით დაგვირგვინდა.

პოემაში კიდევ ერთი გაცნობა-დამოყვრების ეპიზოდია აღწერილი. ძმადნაფიც ტარიელთან დამშვიდობების შემდეგ, ავთანდილი ფრიდონის სამეფოსკენ გაეშურა. ფრიდონმა შეიტყო, რომ მასთან მისული იყო ტარიელის ძმადნაფიცი. რუსთაველი ფრიდონისა და ავთანდილის შეყრის აღწერისასაც გმირთაგან „უცხოობით არდარიდებაზე“ და „მოწონებაზე“ აკეთებს აქცენტს:

„მოეხვიენეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დაჰრიდონ;

თვით უსახოდ ფრიდონს ყმა და მოეწონა ყმასა ფრიდონ“ (988, 1-2).

რუსთაველი ამ შემთხვევაშიც არ არღვევს მოყვრობისათვის აუცილებელ პირობას; ავთანდილს ტარიელისგან „შეცნობილი“ ჰყავს ფრიდონი, იცის მისი შეუდარებელი ვაჟკაცობა. ამიტომაც რუსთაველი ასპარეზს არაბ მოყმეს უთმობს და ავთანდილიც მულღაზანზარის მეფეს გაეცნობა და მოკრძალებით ტარიელის დამოკიდებულებასაც აუწყებს: „და იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო,

თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა“ (991). ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრით რუსთაველი ასრულებს „სამთა გმირთა საქებელთა“ ერთმანეთის შემეცნება-დამოყვრების ამსახველი ეპიზოდების აღწერას.

ამგვარად, რუსთაველი სამი გმირის შეყრას სხვადასხვაგვარ სიტუაციაში წარმოგვიდგენს, თუმცა, მათი დამოყვრების უმთავრესი წინაპირობა ესთეტიკური განცდა – „მოწონებაა“. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსთაველი ტარიელისა და ავთანდილის პირველი შეხვედრისას „უსახოდ მოწონებას“ გარკვეულ საფუძველს უმზადებს, ორივე გმირი წინასწარაა განწყობილი ამ შეყრისათვის. ავთანდილისა და ფრიდონის შეხვედრის შემთხვევაშიც გარკვეულწილად კეთილგანწყობის საფუძველი არსებობს, რადგან არაბეთის სპასპეტმა კარგად უწყის ფრიდონის ვინაობა და მისი სიქველე, ამასთანავე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტარიელისაგან მის „ძმად ხმობას“. ტარიელისა და ფრიდონის პირველი ნაცნობობა ჰუმანიზმის გამოვლენასთან ერთად (გასაჭირში ჩავარდნილი მოყმის დახმარება) „მოწონებას“ ემყარება. რუსთაველი გმირთა „მოწონების“ შემდგომ მათი დამოყვრებისათვის უცილობელ პირობად ერთმანეთის შეცნობა-„შემეცნებას“ მიიჩნევს და ეს პრინციპი სამივე გმირის შეხვედრისას სხვადასხვა ფორმითაა მოწოდებული. რუსთაველი გმირთა განსხვავებული შეხვედრის აღწერით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დამოყვრებისათვის მნიშვნელობა არ აქვს დროს, ადგილსა და ვითარებას. აქ მთავარია გმირთა პიროვნული სიდიადე, სულიერი მშვენიერება, ადამიანურობა, რომელიც თვითშემეცნების წადილიდან სხვათა შეცნობისაკენ გზას გაკაფავს და ადამიანთა გულებს შორის სიყვარულს ხიდად გასდებს.

რუსთაველი გმირთა ტკივილიანი შეხვედრის და მათი დამოყვრების ჩვენებით არ იფარგლება. მკითხველს სიხარულით აღვსილ მოყვარეთა შეყრის უმთავრესი ამბავი ელოდება. რუსთაველი აქაც ხატავს გმირთა შეხვედრის განსხვავებულ სურათს, რომელიც „სამი მზის“ – სამი ძმის, სითბოთი და სიყვარულითაა გაჯერებული. მკითხველიც ამ განცდით ელოდება სასურველ შეხვედრას და მოლოდინი გამართლებულია. პოეტი ღირსებით სავსე მოყმეთა ქმედებას ამხანაგური ღიმილითა და

სიყვარულით წარმართავს (ტარიელი და ავთანდილი გახუმრების მიზნით ფრიდონის ჯოგს შეესივნენ), შემდგომ კი გმირთა შეხვედრას ციურ მნათობთა უჩვეულო შეყრის მოვლენით წარმოაჩენს, ზეცის „ვარსკვლავებს“ მიწაზე განათავსებს და გმირებს მათი ბრწყინვალეობა-მშვენიერებით ხატავს: „ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“ (1381, 3).

პოემის გმირთა მოყვრობის წინაპირობა რომ „მოწონება“-„შემეცნებაა“, ამას ცხადყოფს ნესტანისა და თინათინის ურთიერთობაც, განსაკუთრებით, მათი განშორების ეპიზოდის აღწერა. ნესტანი მიმართავს თინათინს: „ნეტამც ყოლა არ შემოგმცნებოდი“ (1570, 1). ამდენად, ურთიერთსიყვარულისთვის მხოლოდ „მოწონება“ არაა საკმარისი, უმთავრესია „შეცნობა“, რომელიც სამუდამოდ აკავშირებს გმირებს და სიყვარულის „ჯაჭვებით დაატყვევებს“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველი პოემაში სამ მნათობ გმირთა სიყვარულით „დამონების“ აღსანიშნად სიტყვა „მეგობრობას“ არ იყენებს. პოემაში „მეგობარი“, „მეგობრობა“ და „დამეგობრება“ საერთოდ არაა ნახსენები, რაც ერთობ საკვირველია.

„მეგობარი“ სახარების ქართულ ტექსტებში არაერთგზისაა გამოყენებული (იოანე, 15, 13-15; ლუკა 11, 5-6; 23, 12; მათე, 5, 47 და სხვ.), ხოლო ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიულ თხზულებათა განხილვა ცხადყოფს, რომ აქ სიტყვა „მეგობარი“ არაერთგზის გვხვდება, ხოლო XI-XII ს.ს-ის საერო თხზულებებში „მეგობარი“ საერთოდ არაა ნახსენები.

რუსთაველი „მეგობრობის“ შინაარსის გამომხატველ ყველა შესაძლო ლექსიკურ ერთეულს იყენებს და „მეგობარს“, თითქოს, კატეგორიულად ემიჯნება. ფიქრობენ, რომ ეტიმოლოგიურად სიტყვა „მეგობარი“ უკავშირდება პურობისთვის განკუთვნილ ჭურჭელს, „გობს“ და „მეგობრობა“ ერთი ჭურჭლიდან საკვების მიღლებთ შორის არსებულ დიდ სიახლოვესა და სიყვარულს გამომხატავს.

გ. იმედაშვილის აზრით, რუსთაველის ლექსიკაში „მეგობრის“ (ისევე როგორც „რანდის“) მოუხსენებლობა შესაძლებე-

ლია იმით აიხსნას, რომ ძველ ქართულში მეგობრობას დღევანდელი მნიშვნელობა არ ჰქონდა მიკუთვნებული, რასაც ვერ გავიზიარებთ. აგიოგრაფიულ თხზულებებსა და „ვეფხისტყაოსანში“ მოხმობილი „მეგობარი“ საწინააღმდეგოზე მეტყველებს და სულიერი მეგობრობის გამომხატველია. ამასთანავე, არ უნდა დაგვავიწყდეს ქართული ხალხური ტრადიციები და წესჩვეულებები, რომლებშიც თვალნათლივ ვლინდება რუსთველური მეგობრობის ძირები და შინაარსი.

სავსებით ვეთანხმებით გ. იმედაშვილის მოსაზრებას, რომ „თვითონ მოყვრობა, მოყვარე, მოყვასი სიტყვებში კი საყურადღებო ისაა, რომ ეტიმოლოგიურად „სიყვარულთან“ ჩანან დაკავშირებული, რაც მათ განსაკუთრებულ შინაარსს ანიჭებს...“ (იმედაშვილი 1968: 225).

რუსთაველისათვის, ჩვენი აზრით, უმთავრესი გახლდათ, ეს გრძნობა ისეთი სიტყვით გადმოეცა, რომელიც თავისი ძირით იმთავითვე ასახავდა სიყვარულს; ამ აზრით, „მოყვარე“ და „მოყვასი“ სრულად ამოწურავდა სათქმელს. კიდევ ერთი გარემოება გასათვალისწინებელი, კერძოდ, ეს სიტყვები მხოლოდ ქართული ნაციონალური შინაარსით არ არის შემოზღუდული (როგორც წმინდა ქართული „მეგობარი“) და რუსთაველი მათი („მოყვარე“ და „მოყვასი“) მოხმობით ზოგადი ხასიათის დებულებებსაც გამოთქვამს. ამასთანავე, ქართული ბუნებისა და იდენტობის მაჩვენებელი სიტყვები – „ძმა“ (საერო მნიშვნელობით) და „ძმადნაფიცი“, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა შორის დამოკიდებულების გამომხატველი, არაერთგზისაა გამოყენებული.

რუსთაველი დამოყვრებულ გმირებს „ძმებად“ და „ძმობილებად“ მოიხსენებს (850, 1; 874, 1; 991, 4; 935, 4; 1335, 1 და სხვ.). პოემაში განსხვავებული შინაარსითაა წარმოდგენილი „ძმა“ და „თვისი“ (775, 4). ამ უკანასკნელში შესაძლებელია, მოიაზრებოდეს როგორც ნათესავი, ასევე – ამხანაგი, ზოგადად, მოყვარული ადამიანი. რუსთაველისათვის „ძმა“ და „ძმობა“ მათზე აღმატებულია. ამას მოწმობს ანდერძში ავთანდილის განაცხადი: „მე რად გაგწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!“ (792, 2). ამ ტაეპში ზოგადი „მოყვარე“ დაკონკრეტებულია.

რუსთაველი მამაკაც გმირებს „სამ ძმობილს“ უწოდებს (1421, 3; 1585, 1) და ამ ძმობის მნიშვნელოვან მხარესაც წარმოაჩენს, კერძოდ, ინდოეთისაკენ მიმავალ გმირებზე ამბობს: „მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა“ (1585, 4). ერთმანეთის „მარგებელი გულის“ განმსაზღვრელი სიყვარულია, ამასთანავე „რგება“ საქმეს ახასიათებს და აქ გვახსენდება ფსალმუნის სიტყვები: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალო კელითა და წმიდად გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკვით მოყუასსა თვსა“ (ფსალმ. 23, 3-4). ეს მღვიძარე, მხედრული შემართებით აღვსილ ადამიანთა მახასიათებელია და ასეთი ადამიანები არიან რუსთაველის დაძმობილებული გმირები.

ერთადერთი შემთხვევაა პოემაში, როდესაც „ძმობა“ მთავარ გმირთა ურთიერთობის აღსანიშნად არ გამოიყენება, კერძოდ, როდესაც ავთანდილი მეკობრეებზე გამარჯვების შემდეგ ვაჭრებს სთხოვს: „თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!“ (1058, 4).

რუსთაველი პოემის მათავარი გმირების ურთიერთობის აღსანიშნად „ძმად-ფიცს“, „ძმადნაფიცისა“ და „ძმად-შეფიცებულსა“ იყენებს (947, 4; 984, 3; 1024, 3; 1317, 4; 1272, 1; 1389, 1; 1447, 1).

„ვეფხისტყაოსანში“ გმირთა ძმადგაფიცვის რიტუალი წარმოჩენილი არაა, მაგრამ თავად ლექსიკური ერთეულები – „ძმად-ფიცი“, „ძმადნაფიცი“ და „ძმად-შეფიცებული“, ძმობის აღთქმის დადებას და ერთმანეთისათვის თავის გაწირვას, „გავლენა“-მსახურებას, ჭირსა და ლხინში თანაზიარობას გულისხმობს, რაც მთავარ გმირთა ცხოვრების წესითაა დადასტურებული. ძმადნაფიცობის სხვა წესთა შორის „ვეფხისტყაოსანში“ დიდი ყურადღება ეთმობა ფიცს: „ერთმანერთი არ გავწიროთ, მაფიცო და შემომფიცო“ (666, 4) და „მეცა ფიცით შეგაჯერო, არასათვის არ გაგწირო“ (667, 3). ფიცის შესრულება, დაურღველობა ჭეშმარიტი ძმობის უცილობელ პირობას წარმოადგენს (741, 4; 846, 3-4; 847, 3 და სხვ.). ნიმუშად ერთ მათგანს მოვიხმობთ.

„შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა,
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“ (708, 1-2)

– ეუბნება თინათინი ავთანდილს. გმირები მთელი ძალისხმევით ცდილობენ ფიცის „გასრულებას“, რათა მოყვრობის აღთქმა, სიყვარული არ დაირღვეს. მათთვის ფიცი ერთგვარი გამოცდაა („სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცნი გამოსცდიან“ – 750, 3), კაცის ბუნების გამოხატულებაა, სახელის მოხვეჭის ერთ-ერთი გზაა. ფიცის აღსრულება უფრო მეტად ჰმარტობთ, როცა გმირები ძმობასთან ერთად მიჯნურობის „სენითაც“ თანაზიარნი არიან („ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავწირავ ხელი ხელსა, რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!“ – 738, 3-4).

ტიქსტის განხილვა ცხადყოფს, რომ „ძმად-ფიცი“, „ძმადნა-ფიცი“ და „ძმად-შეფიცებული“ ძმობილსა და ძმაზე უფრო მტკიცე კავშირია. რუსთაველი ამ ლექსიკურ ერთეულთა მოხმობით ცდილობს, გვაჩვენოს, რომ გმირები არ არიან ჩვეულებრივი მოყვრები, არც „თვისნი“, რომ ისინი გამორჩეულები არიან არა მარტო ფიზიკურად, პიროვნული ღირსებებით; მათ სხვაგვარი სიყვარული და სხვაგვარი ურთიერთობა იციან, „ძმაზე უმტკიცესი ძმობი“ კავშირით არიან შეკრულნი.

პოემის დამძობილებულ გმირებთან დაკავშირებით საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება. რუსთაველი მათი ურთიერთობის აღწერისას რამდენიმე ლექსიკურ წყვილს გამოკვეთს, კერძოდ, „უცხოს უცხო“, „მიჯნური მიჯნურსა“, „ხელი ხელსა“ და „მოყვარესა მოყვარულსა“.

პოემის მიხედვით, ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთის „რგებას“ (დახმარებას), თანაგრძნობასა და თავდადებას, მიუხედავად „უცხოობისა“ (რაც თავადაც აკვირვებთ – „უცხოს უცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?“ – 668, 1, ან „მე უცხოს უცხომ მანატრა მოსმენა სანატრელისა“ – 1000, 1), მოვალეობად თვლიან და სიყვარულით აღასრულებენ, რასაც ამბაფრებს მათი ერთნაირი სულიერი ვითარება – მიჯნურობა, სიყვარულით გახელება და უანგარო მეგობრობა – „მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების!..“ (301, 3), „მით ვიწვი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწვავს მოუთმინები“ (699, 3), „ვერ გავწირავ ხელი ხელსა...“ (738, 3).

პოემაში ზოგადად იკვეთება აზრი, რომ მხოლოდ „გახელება“- „მიჯნურობა“ არაა ადამიანთა ურთიერთდახმარების, „გავლენის“ მიზეზი (ეს საკითხის ერთი მხარეა); „ფიცის გატეხვა“, ერთმანეთის გაწირვა მიუღებელია ზნეობრიობით მცხოვრები ადამიანისათვის („კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“ – 791, 2). აქ ამოსავალია ის დიდი ჰუმანიზმი, რომელიც პოემის შინაარსის განმსაზღვრელია და რომელიც რაინდული ეთიკის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, რუსთაველი „მოწონება“-„შემეცნების“ საფუძველზე გმირთა „დამონება“-დამძობილების უმთავრეს წინაპირობად სულითა და ხორციტ ერთფერ ადამიანთა შეყრას მიიჩნევს და, მიჯნურობის მსგავსად, პოემა „მშვენიერ სულთა“ მშვენიერი კავშირის – მოყვრობა-ძმობის – იდეითაა გამსჭვალული.

რუსთაველი ზოგადად მოყვრობისა და მოყვრობის სიყვარულის ძიება-მოპოვებას ქადაგებს – „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (855, 2). ამ მიმართებით, ადამიანისათვის მოყვარე საკუთარი თავის შეცნობა-დამკვიდრების, სულიერი სიმდიდრის მოპოვების, ზნესრულობისა და „ზესთ მწყობრთა წყობისკენ“ სწრაფვის „გზა და ხიდია“, ერთგვარად, უფლის ძიებაა – „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათეს, მუნ ვარ მე შორის მათსა“ (მათ. 18, 20).

რუსთაველისთვის ქეშმარიტი ძმობა-მოყვრობა სულიერი მღვიძარებაა, ქრისტიანული მხედრობაა, სულიერი ჰარმონიისკენ მსწრაფთათვის – „გზა და ხიდი“.

„ვეფხისტყაოსანში“ უაღრესად მძაფრი განცდებითაა წარმოჩენილი მეფის ასულთა დობის ამსახველი პასაჟებიც. რუსთაველი მამაკაცისა და ქალის, ასევე ქალთა შორის მოყვრობის გრძნობით შეკავშირებას შემდეგი ლექსიკური ერთეულებით წარმოგვიდგენს: „და“, „დობილი“, „დება“ და „დად-ფიცნი“. მოვიხმობთ რამდენიმე ნიმუშს – „შენგან კიდე ხორციელი, დაო, მივის არასადა“ – ეუბნება ტარიელი ასმათს (276, 4) (ასევე – 275, 1; 508, 1; 899, 4; 900, 1).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსთაველმა ტარიელისა და ასმათის ურთიერთობის ჩვენებით მსოფ-

ლიო ლიტერატურისათვის მანამდე უცნობი, შესაძლებელია ითქვას, უნიკალური დამძვრი სიყვარულის ნიმუში შექმნა.

ავთანდილიც ასმათს „დას“ უწოდებს (258, 1; 672, 4; 736, 4). თავის მხრივ, ასმათიც არაბ მოყმეს დობას ჰპირდება – „აწ მოყვარე გიპოვნივარ, დისგანაც უფრო დესი“ (253, 4) და ამ მოვალეობას უებროდ ასრულებს. უნდა აღინიშნოს, რომ არც ტარიელი და არც ავთანდილი სახელით არ მიმართავენ „შაოსან ქალს“. მას ყოველთვის „დას“ უწოდებენ, „ასმათს“ მხოლოდ რაღაც ამბის თხრობისას თუ ახსენებენ. მსგავსი ვითარება შეინიშნება სამ ძმადნაფიცთა ურთიერთობაშიც, ისინი ერთმანეთს სახელებით არ მიმართავენ, ძირითადად, მათი მიმართვაა „ძმაო“. მხოლოდ ორიოდ მაგალითია სახელის ხსენებისა, როდესაც გმირს ძახილით მოუხმობენ (233, 3; 333, 2; 872, 2). ხომ არაა შესაძლებელი ვიფიქროთ, რომ რუსთაველი გმირთა ურთიერთობისას ფამილარულ დამოკიდებულებას ერიდება? მას თითქოს ურჩევნია, დიდი სიყვარულის გამომხატველი მიმართვა – „ძმა“ და „ძმადფიცი“ – გამოიყენოს.

ტარიელისაგან „დად“ იწოდება პოემის კიდევ ერთი პერსონაჟი – ფატმანი (1442, 1-2), ნესტანის დიდი გულშემატკივარი. რუსთაველი განსაკუთრებით გამოყოფს თინათინისა და ნესტანის „დებას“ („ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი, ერთმანერთისა დადფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი“ – 1567, 1-2). განსხვავებით ძმადნაფიცთაგან, „მოწონების“ განცდა მიჯნური ქალების შეყრის შემთხვევაში არ შეინიშნება. მათი „დობილება“ თავად ტარიელის დიდი სურვილია, რადგან, მისი შეხედულებით, ძმადნაფიცთა მეუღლეები უცილობლად დები უნდა გახდნენ. „ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს ეგრევე თქვენი დება“ (1547, 3) – მიმართავს ტარიელი თინათინს. პოემის დასასრულს რუსთაველი მათს დაშორებას ტრაგიკული ელფერით ხატავს (1563, 1565, 1570). ამგვარი სიყვარული, მეგობრობა და გრძნობათა სიწრფელე მხოლოდ თანასწორი ადამიანების ხვედრია და უმადლეს იდეალთა სფეროს განეკუთვნება. რუსთაველსაც მათი განშორება კოსმიურ სივრცეში გადააქვს და სიმბოლურად მთვარისა და ცისკრის ვარსკვლავის შეყრა-განშორებას ადარებს (1568).

ამასთან დაკავშირებით თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ამას ამისთვის იტყვის რუსთაველი, როგორათაც მთოვარეს ნათელს გაჰყრის დილა (თუმცა დილა არ არის ბოროტი რადმე), ეგრეთვე ჟამი და დრო მეგობართ რომ გაჰყრის, ის სწორეთ მთოვარის სინათლის ჟამიერს მოშორებებსა ჰგავს“ (ბაგრატიონი 1960: 282).

პ. ინგოროყვას აზრით, რუსთაველის ქების მთავარი საგანი არის „სიმფონია სიყვარულისა და მეგობრობისა, რომელიც გაშლილია პოემაში ცისარტყელის მრავალფეროვნებით... მეგობრობა ვაჟთა – ტარიელისა, ავთანდილისა, ფრიდონისა, – ეს უდიდესი გრძნობა, რომელიც განასახიერებს ძმობას არა მხოლოდ ადამიანთა შორის, არამედ ძმობას ხალხთა შორის; მეგობრობა ქალთა – ნესტანისა და ასმათისა, ნესტანისა და ფატმანისა, – რომელსაც არ აფერხებს მათი სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი კუთვნილება. მეგობრობა ქალისა და ვაჟისა – ტარიელისა და ასმათისა, – ეს ჭეშმარიტად უმშვენიერესი ფურცელი მსოფლიო პოეზიისა, უნაზესი და უკეთილშობილესი გრძნობით შთაგონებული“ (ინგოროყვა 1937: XXXVIII-XXXIX).

რუსთაველი გმირთა სულიერი სიახლოვის, მათი ურთიერთმონობის აღსანიშნად კიდევ ერთ ლექსიკურ ერთეულს – „მოყვარეს“ – მოიხმობს.

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ (ორბელიანი 1966: 509) და ძველი ქართული ენის ლექსიკონში (ძველი ქართული...1973: 83; 335) „მოყვარე“ (სხვა მნიშვნელობებთან ერთად) კეთილისმოქმედს, სიყვარულის მქონეს, მოყვასს, მეგობარს, საყვარელს, მოსიყვარულეს ნიშნავს.

ვ. ნოზაძე „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებებში“ განიხილავს რა „ვეფხისტყაოსნის“ „მოყვარეს“ (ნოზაძე 1975: 135-137), გამოყოფს მის ნიშნებს (90-ს) და მათ სხვადასხვა თვალთახედვით აჯგუფებს – 1) ესთეტიკური, 2) ფსიქოლოგიური, 3) ზნეობრივი, 4) რელიგიური, 5) იურიდიული და 6) სოციალური.

პოემის განხილვიდან ირკვევა, რომ „მოყვარე“, ზოგადად, სიყვარულითა და ერთგულების გრძნობით გამსჭვალულ ადამიანთა მიმართ გამოიყენება და არა მხოლოდ მამაკაცთა და მიჯნურთა აღსანიშნად (253, 4; 670, 1; 863, 1; 1263, 1; 705, 1; 711, 2 და

სხვ.). (რუსთაველი ძმობილის მსგავსად მიჯნურსაც „მოყვარეს“ უწოდებს –140, 4; 307, 3; 504, 3; 862, 2; პოემაში ერთგან „საყვარელი“ მოყვარე-ძმის მნიშვნელობითაა ნახმარი – 940, 3). „მოყვარე“ იმთავითვე ცხადყოფს, რომ მისი ამოსავალი სიყვარულია. რუსთაველი, ავთანდილის სიტყვით, საუკეთესოდ განმარტავს მოყვარესთან დამოკიდებულების შინაარსს: „გული მისცეს გული-სათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ (705, 2).

ყურადღებას იქცევს „ვეფხისტყაოსანში“ მოყვრობასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულის – „ამხანაგის“ („ამხანაგობის“), გამოყენების შემთხვევები.

სულხან-საბას „სიტყვის კონის“ (ორბელიანი 1966: 51), ძველი ქართული ენისა (ძველი ქართული... 1973 :83) და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების (ქართული ენის ... 1986: 335) მიხედვით, „ამხანაგი“ ნიშნავს მოყვასს, მოყვარეს, მახლობელს, თანატოლს და სხვ.

„ამხანაგი“ პირველად პოემის პროლოგში გვხვდება პოეტის მიერ მოზიარეთა მესამე ნაწილის განმარტებისას: „მესამე ლექსი კარგი არს სანადიმოდ, სამღერელად, სააშვიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“ (17, 1-2). ამ ტაეპიდან როგორც ჩანს, რუსთაველი „ამხანაგს“ ზოგადად თანამოაზრის (რომელშიც თანატოლიც და სხვა ასაკის ადამიანიც იგულისხმება) მნიშვნელობით იყენებს და მას სილაღესთან, ხუმრობასთან, გართობასთან, მღერასა და ნადიმთან აკავშირებს. „ამხანაგობა“ სილაღესთან, ენაწყლიანობასთან, შეხუმრებასთანაა დაკავშირებული პოემის სხვა ეპიზოდებშიც (766, 1; 1406, 1; 1496, 3;). „ამხანაგი“ მთავარ გმირებთან ერთად (637, 4; 670, 4) პოემის სხვა პერსონაჟებსაც მიემართება, თანამოაზრეებისა და თანამდგომთა მნიშვნელობით (257, 1; 439, 3; 1052, 2).

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „მოყვასი“ სულ ხუთგზის გვხვდება (1217, 1218, 2-4; 1219, 1) და შემთხვევით ნაცნობობასთან დაკავშირებით იხმარება. როგორც ირკვევა, რუსთაველი „მოყვასსა“ და „ამხანაგს“, გარკვეულწილად, განასხვავებს – „ამხანაგი“ დაახლოებულ ადამიანებს გულისხმობს, რომელთაც ერთმანეთთან „ლაღობის“ უფლება აქვთ, ხოლო „მოყვასში“ კეთილისმყოფელთან ერთად (1396, 1) ერთმანეთისთვის უცნობი

ადამიანებიც შესაძლებელია, მოიაზრებოდეს. ერთგან „მოყვასი“ რაღაცის მოყვარულსაც, კერძოდ, ოქროსმოყვარულებს აღნიშნავს (1197, 1). ტექსტიდან როგორც ჩანს, „მოყვასნი“ და „ძმანი“ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, „ძმა“, „ძმად-ფიცი“, „ძმობა“ მოყვრობის უმაღლესი ფორმაა, მხოლოდ მთავარ გმირთა მიმართ იხმარება და ჭეშმარიტ, ურღვევ სულიერ კავშირს გულისხმობს. აღნიშნულია ისიც, რომ პოემაში „მოყვასი“ სახარებისეული ფართო შინაარსით არაა წარმოდგენილი, რადგან ქრისტიანული სწავლებით. „მოყვასი“ მოყვარესთან ერთად მტერსაც, არაკეთილისმოსურნესაც გულისხმობს.

„ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სიტყვა „სწორი“/„სწორნი“ (375, 3; 393, 2). ძველი ქართული და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით (ძველი ქართული...1973) – „სწორი“ (სხვა მნიშვნელობასთან ერთად) ნიშნავს თანასწორს, ტოლს, წყვილს, მეგობარს, თანაშეზრდილს.

პოემაში „სწორნი“ „თანატოლს“, „თანასწორს“ აღნიშნავს. რუსთაველი განარჩევს „ამხანაგს“, „ძმად-ფიცს“ და „სწორს“; ეს უკანასკნელი მოყვარეთა რიგს განეკუთვნება, მაგრამ დაკონკრეტებულია ასაკი – თანატოლი.

არაერთგზისაა აღნიშნული, რომ პროლოგში რუსთაველის თეორიული მსჯელობა მიჯნურობაზე პოემის მთელი თხრობის მანძილზე მთავარ გმირთა სიტყვასა და ქცევაშია გაცხადებული. საინტერესოა, როგორ ვლინდება მოყვრობის ერთგვარი კოდექსის კვალობაზე სამი ძირითადი დებულება გმირთა ურთიერთდამოკიდებულებასა და მათი ცხოვრების წესში. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ მოყვრობის პირველი დებულება – „ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ-მოთმენა“. პოემის ტექსტის განხილვა ორ მხარეს გამოკვეთს: 1. გმირები ერთმანეთს უმხელენ და არ ერიდებიან სიშორით გამოწვეული ტანჯვის დათმენის სიმძიმის აღიარებას; 2. გმირი სხვათა წინაშე ამჟღავნებს მოყვარესთან სიშორეზე წუხილს. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, თითოეულს ორიოდ მაგალითის მიხედვით განვიხილავთ.

ადმატებული მგრძნობელობითაა გაჯერებული ტარილისა და ავთანდილის პირველი გაყრის ეპიზოდი. ავთანდილის

სიყვარულითა და თავდადებით შეძრულ ტარიელს უკვირს, „უცხო უცხო“ ასე როგორ შეიყვარა და არაბი ჭაბუკისგან მოშორების სიძნელეს იადონისგან ვარდის გაყრას ადარებს (668, 1-2). თავადაც განიცდის განშორების სიმძიმეს და ღვთის წყალობით მისი კვლავ ნახვის იმედი აქვს.

რუსთაველი საოცარი სიფაქიზით, სულის ურთულესი ლაბირინთების წვდომით გაშლის თხრობას და „გულ-სადაგ“ ძმათა გაყრას მხოლოდ ერთი სტროფით არ ამოწურავს, თითქოს, თავადაც ეძნელება მათი დამშვიდობება:

„ამას ზედა შეიფიცნეს მოყვარენი გულ-სადაგნი,
იაგუნდნი ქარვის ფერნი, სიტყვა-ბრძენნი, ცნობა-შმაგნი;
შეუყვარდა ერთმანერთი, სწვიდეს მიწყვი გულსა დაგნი,
და მას ღამესა ერთგან იყვნეს შვენიერნი ამხანაგნი“ (670).

ეს ერთი სტროფი თითქოს ყველაფერს იტევს, გმირთა ფიზიკურ („იაგუნდნი ქარვის-ფერნი“) და სულიერ მდგომარეობას („სიტყვა-ბრძენნი, ცნობა შმაგნი“), მათს სიყვარულს და მოყვრობის ფიციტ განმტკიცებას, მათი ურთიერთობის მშვენიერებას. რუსთაველი ამგვარი დახასიათებით მათს მსგავსებასაც გამოკვეთს, გულითა და გონებით, ბრძნული სიტყვითა და გახელებული ცნობით. მათი „მოყვრობა“, „ძმად-ფიცობა“, „შვენიერი ამხანაგობა“ გულწრფელია.

რუსთაველი ტარიელ-ავთანდილის განშორების აღწერას კიდევ ერთ სტროფს უთმობს:

„ავთანდილცა მასვე თანა ტიროდა და ცრემლი ღვარა;
რა გათენდა, წამოვიდა, აკოცა და გაეყარა;
ტარიელს თუ ვით ეწყინა, რა ქმნას, ამას ვერ მიმხვდარა“... (671, 1-3).

მიმავალი ავთანდილის განცდებიც გულისშემძვრელი, გაუსაძლისი ტკივილითაა აღბეჭდილი (674).

რუსთაველი საოცარი უშუალოებით ხატავს გმირთა გაყრის სურათს, „ტირილი და ცრემლთა ღვრა“ მათგან ბუნებრივად აღიქმება. ამ სტროფში ყველაზე მეტად ყურადღებას იქცევს ის, თუ როგორაა გადმოცემული ტარიელის განცდები, კერძოდ,

თავად გმირისათვის ძნელად მისახვედრია, თუ „ვით ეწყინა“ ავთანდილთან განშორება. ესეც „გულ-სადაგ“ გმირთა შინაგანი ბუნების კიდევ ერთი გამოვლენაა.

რუსთაველი უყურადღებოდ არ ტოვებს გმირთა მეორე გაყრასაც, ჭირთა გაორკეცებად, სიცოცხლის დღეთა შემოკლებად განაცდევინებს გმირებს და მკითხელისგან თანაგანცდას ითხოვს –

„ლექსთა მკითხველო, შენნიმცა თვალნი ცრემლისა მღვრელია!
გულმან, გლახ, რა ქმნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!
მოშორვება და მოყვრისა გაყრა კაცისა მკვლელია,
და ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგვარ ძნელია“ (943).

რუსთაველი დარწმუნებულია, რომ მკითხველი გმირებთან ერთად „ცრემლს ღვრის“, მათი საუბრის მოსმენით „დნება“, რადგან გულის გულთან გაყრა ნებისმიერი მოყვარული ადამიანისათვის „კაცისა მკვლელია“. პოეტი სხვა ბევრი მოვლენა-ამბისგან განსხვავებით, ყოველთვის ჩერდება გმირთა შეყრისა და განშორების აღწერაზე, განსაკუთრებით, მათს გაყრაზე, რასაც არაერთი სტროფი ეძღვნება (944, 946, 950). პოეტი მათს ყოველ ქმედებას აღწერს, ყოველ ჟესტს, მიმოხრას, მათს ტკივილით გაჟღენთილ ხმასაც გვასმენინებს –

„გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მივლენ შამბთა ეჯით;
ვირე უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბლეჯით,
და იგი ნახნეს დაღრეჯილნი, მზე დაირღეჯს მისით ღრეჯით“ (951).

რუსთაველი არა მხოლოდ მკითხველს განაცდევინებს გმირთა სულიერ ძვრას, მთელ სამყაროს მოჰფენს მათი სიყვარულის ტკივილს – მათი შემყურე „მზეც დაიღრეჯს“. ამასვე მოწმობს ტარიელს განშორებული ავთანდილის ცამდე აწვდილი მოთქმა-გოდება, რომელსაც საბოლოოდ რუსთაველის სიბრძნე აგვირგვინებს – „და კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის!“ (953, 4). პოეტის თქმით, ამგვარი სიყვარული, მშობა და მოყვრობა ყველა ადამიანისთვის არაა მისაწვდომი, დიდი სხვაობაა მათს ბუნებას, ცნობასა და გულს შორის, მათს საქმეთა და ზრახვათ განსხვავებული სიღრმე აქვთ.

შედარებით მსუბუქად და მცირედი სიტყვით აღწერს რუსთაველი ავთანდილისა და ფრიდონის გაყრის ეპიზოდს (1015, 1017, 1024 და სხვ.). აქაც სიკვდილთან მიახლება, ტანჯვის გრძნობა და ცრემლთა ღვრა იხილვება. ტარიელისა და ფრიდონის დამშვიდობებაც დიდ ტკივილს უკავშირდება (646), „გაზრდილ-გამზრდეთა“ დაშორებას ემსგავსება (651).

რუსთაველი გმირთა გაყრის „მკვლელ“ ეპიზოდთა აღწერის საპირისპიროდ უდიდესი, „ცას მწვდომი“ სიხარულით აღსავსე მათს შეხვედრას გადმოგვცემს, რომელიც გმირთა თითოეულ ჟესტს, მოძრაობას, ბგერას, ხმის ტემბრს იტევს. განსაკუთრებული ზეაღმატებული ემოციითა და განსახოვნებით წარმოაჩენს რუსთაველი ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრას (1334-1336) – ტარიელმა დაინახა ავთანდილი – „შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკე მირბოდა, ხლტებოდა“ (1334, 4), ხოლო ავთანდილს „ხმა შაქრის-ფერად გაუხდა ვარდსა, ხშირ-ხშირად პობილსა“ (1335, 4). ძმობილთა ერთმანეთისკენ სწრაფვას რუსთაველი ციურ ეტლთა მოძრაობაზე აღმატებულად სახავს, რათა უფრო მეტად საგრძნობი გახდეს სიყვარულის, მონატრების, ერთად ყოფნის სიხარულის განცდა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსანში“ მოყმეთა შეყრა-განშორებისას გმირთაგან გამოვლენილი „სიახლე“-„სიშორის“ განცდის ამსახველი ეპიზოდები განსაკუთრებით დიდი ექსპრესიით, სულიერი ტკივილითა და ცრემლთა დენით, გაუსაძლისი ყოფით და სიკვდილს მიმსგავსებული ტანჯვითაა გადმოცემული. გმირთა ამგვარი მგრძნობელობა მათი სულიერი სინედლის მაჩვენებელია და ამავდროულად იმის გამომხატველიც, რომ უდიდესი ფიზიკური ძალის მქონენი ძალზე მგრძნობიარენი და გულწვილნი არიან.

პოემის დასასრულს გამარჯვებულ და მორჩმულ გმირთა გაყრა შედარებით ფერმკრთალადაა წარმოჩენილი, გმირთა მხრიდან ნაკლები ემოცია ვლინდება, რაც სრულიად განსხვავდება რუსთაველური ხატვის პრინციპებისაგან. მკითხველი ამ ეპიზოდში გმირთაგან გრძნობათა სიმძაფრეს, ცრემლს, შეჭირვებას, „დაღრეჯას“ ელის, როგორც ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში იმედი უცრუვდება. ხომ არაა შესაძლებელი, სხვა

საკითხებთან ერთად აღნიშნული გარემოებაც მიანიშნებდეს იმას, რომ „ინდო-ხატელთა ამბავი“ პოემის გაგრძელებას წარმოადგენს?

როგორც უკვე აღინიშნა, საკითხს სხვა მხარეც აქვს, კერძოდ, თავად გმირი სხვათა წინაში სიტყვით გააცხადებს მოყვარესთან სიშორის ტკივილს. ამგვარი ეპიზოდები საკმაოდ ხშირია პოემაში, ძირითადად, ავთანდილთან დაკავშირებით. გმირი სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანებთან არ ფარავს თავის განცდებს და ამ შეჭირვება-წუხილში მეტად გულწრფელია. ავთანდილისთვის ტარიელის გარეშე ცხოვრება გამწარებულია, ლხინი ჭირადაა ქცეული (705, 4; 756, 4; 748, 2-4); იგი მისი სიყვარულის ცეცხლით იწვის (735, 736), გახელებულია, ამ გრძნობით დატყვევებულია, ყოველგვარი საქმისათვის გამოუსადეგარია (750, 1-2; 770), ტარიელის გარდა მისთვის სხვა მოყვარე „გაკიცხულია“ (863, 4) და სხვ.

ფრიდონისაგან ტარიელის სიშორის გამო წუხილიც გაუსაძლისია და, ამდენად, მისი ყოფა სიცოცხლის მოძულებად აღიქმება (1008). რუსთაველი ფრიდონის „მოთქმას“ „მშვენიერს“ უწოდებს. გ. ნადირაძე ამ სტროფებთან დაკავშირებით აღნიშნავს, „მეგობრობის გრძნობა არა მარტო განსახიერებულია მხატვრულად, არამედ გააზრებული არის ესთეტიკურად“ (ნადირაძე 1958: 217).

ფრიდონთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება, კერძოდ, მისი სიტყვებიდან ვიგებთ, რომ ტარიელი შვიდი წლის მანძილზე არ უნახავს (1015). აქ, გარკვეულწილად, დარღვეულია რუსთაველის მოყვრისაგან გამოჩენის ერთი წესი – „ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა“. ტარიელს, რომელიც „მხეცთა თანა იარებოდა“ და „სიკვდილს იყო მიახლებული“, ვფიქრობთ, ნაკლებად მოეთხოვებოდა ამ წესის დაცვა. თუმცა, ფრიდონი, როგორც „მმად-ფიცი“, მოვალე იყო ტარიელზე ეზრუნა, მისთვის თავი გაეხელებინა. ავთანდილი მათს ძმობას შორის გაწყვეტილი „ჯაჭვის“ აღმდგენია. რუსთაველი ამ ეპიზოდთა მოხმობით გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი ძმობა-მოყვრობა არ უნდა დაიკარგოს, ყოველგვარი საშუალებით უნდა მოხდეს დარღვეული კავშირის აღდგენა, რაც აღსრულდა კიდეც – „მათ სამთა შვიდნი მნათობნი ჰფარვენ ნათლისა სვეტითა“ (1408, 2).

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიხედვით ცხადი ხდება, რომ რუსთაველი მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის ე. წ. პირველ წესს – „პირველ ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა“ – პოემის მთელ თხრობაში გაშლის და ყველა შესაძლო ნიუანსით, გმირთა სიტყვითა და საქმით, სიხარულისა და ტკივილის წრფელი განცდით ცხადყოფს, რითაც მკითხველს მოყვრობის სიკეთეს, მის მშვენიერებას და მნიშვნელოვნებას წარმოუჩენს, უმოყვროდ ყოფნის სიძნელეს, „სიშორის“ ვერთმენა-გაუსაძლისობას და, ზოგადად, ღირსეული ცხოვრების წესს („სიყვარული გზად და ხიდად“), გულისა და „ცნობის“ ჰარმონიული მოქმედებისკენ სწრაფვას გვასწავლის და არჩევანის გაკეთებას მკითხველს მიანდობს.

რუსთაველური მოყვრობის „გასრულების“ მეორე წესი – „მიცემა და არას შური, ჩუქებისა არ მოწყენა“. მოყმე-გმირები ამ პირობას მისდევენ და განუხრელად იცავენ. უპირველესად, უნდა გავიხსენოთ ტარიელის შეუდარებელი, „უჩინო“ „შავი ცხენი“, რომელიც მას ფრიდონმა უსახსოვრა, რაც არსერთვის იხსენება (597, 1; 650, 1; 1001, 2), ქაჯეთის ციხის აღების დროს კი იუმორს უკავშირდება (1405).

პოემაში გმირებისგან სიუხვისა და უშურველობის არაერთი ეპიზოდია წარმოჩენილი – მათი ღირსეული მასპინძლობა (1013, 1384, 1-2), სიუხვის გამოჩენა, საჩუქართა ბოძება (1028, 1383, 1384, 3-4). ძღვენ-საჩუქართა გაცემით განსაკუთრებულადაა დატვირთული ფრიდონისაგან ნესტანისა და ტარიელის ქორწილი (1464-66 და სხვ.). ხელგაშლილობითა და სიუხვით გამოირჩევა თავად ტარიელი, რომელიც ქაჯეთზე გამარჯვების შემდგომ ფატმანს გადასცემს იქ არსებულ სიმდიდრეს (1429), ფრიდონს კი გამოქვაბულში შენახულ საგანძურს ჩუქნის (1499, 3-4), ასმათს კი სამეფოს ერთ მეშვიდედს უბოძებს (1583, 2-4). ამდენად, რუსთაველი თავისი გმირების ყოფაში, ერთმანეთის თავდადებასთან ერთად, გამოკვეთს მათს „ჩუქების არ მოწყენას“, უზომო სიუხვის გამოჩენას; „გულ-სადაგნი“ გმირები სიხარულით ადასრულებენ ძღვნობას და, საინტერესო ისაა, რომ საჩუქართა მიმღებნი უდიდესი ღირსებით, სიყვარულითა და მაღლიერებით იღებენ მოყვრისაგან ნაბოძებს. პოემაში ერთად-

ერთი ავთანდილია, ვისგანაც არ არიან „მმად-ფიცები“ დაჯილდოვებულნი. რუსთაველი ამ შემთხვევაში ცხადად გამოკვეთს იმ აზრს, რომ „ყმა ტკბილის“ მიერ უშურველად გაღებული „ბრძენი გული“, მოყვარე-მმათა ბედნიერებისათვის დაუშრომელი ღვწა, მისი სულიერი შემართება და ბრძოლა სიკეთის გამარჯვებისათვის აღარ საჭიროებს სხვა, მატერიალურ ძღვენს; ავთანდილია მათი ცხოვრების საუნჯე. ამ აზრს ერთგვარად ცხადყოფს პოემის ერთი ეპიზოდი; გავიხსენოთ, არაბეთში გმირთა გამარჯვებით დაბრუნებისას, ტარიელის მიმართვა როსტევეანისადმი:

„ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია
ოდენ ძღვენად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“.

(1492, 3-4)

მართლაც, ყარიბობიდან ავთანდილის გამარჯვებით დაბრუნება, უცხო მოყმესა და მის მიჯნურთან ერთად, თავად იყო საჩუქარი არა მარტო როსტევეანის, არამედ – თინათინისთვისაც. ამის კვალობაზე, „ცნობიერთა დასტაქარი“ და „სევედის მუფარახი“ ავთანდილი მმად-ფიცთათვის და, ზოგადად, ქვეყნიერებისათვის გახლდათ „ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარი და სრული ლალი“ (695, 3).

რუსთველური მოყვრობის გამოჩენის მესამე აუცილებელი წესი – „გავლენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

მოყვრისათვის დამახასიათებელი ეს ქმედება ყველაზე მასშტაბურად და ყოვლისმომცველი თვალსაზრისითაა წარმოდგენილი პოემაში.

ტექსტის მიხედვით, პირველად ავთანდილის სიტყვებში ისახება „გახელება“ და „გაჭრა“ უცხო მოყმისათვის, რომელიც, მართალია, ჯერ კიდევ მისი მოყვარე არაა, მაგრამ გასაჭირშია ჩავარდნილი. თინათინის დავალებით („ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“ – 708, 2) გაჭირილი სპასპეტის მოვალეობას, მიჯნურისა და მოყმისა, ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად – „მისთვის ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი ჩემი ვაალქატე“ (252, 2). ასმათივ ავთანდილს „ხელ“ მოყმეს უწოდებს, რომელსაც ტარიელის საშველად თავი აქვს გადაღებული (303, 3). ტარიელიც გაკვირვებულია ავთანდილის „გულის სიმხურ-

ვალით“ (301, 2) და, მიჯნურისგან მიჯნურის „შებრალებით“ ხსნის არაბი მოყმისაგან სიკვდილამდე ხლების სურვილს. თავის მხრივ, ტარიელი ამავე მიზეზით და მიჯნურთა შეყრის სურვილით თავს გადადებს და სიცოცხლის ფასად მას საკუთარ ამბავს უყვება –

„ყმასა უთხრა: „ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს, ხამსო მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს; ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს! და შენ ისმენდი, მე გაიმბობ, რაცდა გინდა წამეკიდოს“ (308).

სწორედ აქ იკვეთება ის უმთავრესი პრინციპი, რომელიც რუსთველური ძმობა-მოყვრობის განმსაზღვრელია – მოყვარე-ძმისათვის არა მარტო „გავლენა“, „მოხმარება“ და „ველად გაჭრა“, არამედ მისთვის სიცოცხლის სამსხვერპლოდ მიტანაა აუცილებელი, თანაც ამას ტარიელი სიხარულით აღასრულებს – „ლხინად მიჩს შეყრა მოყვრისა მის, შენგან შეუყრელისა“ (504, 3) და ესაა მნიშვნელოვანი. თუ აგიოგრაფიაში მოწამე უფლისათვის სიცოცხლეს სიხარულით წირავს, „ვეფხისტყაოსანში“ მოყვარე-ძმათა ურთიერთობაშია დასახული ამგვარი გზა; მოყვრის სიყვარულის ამ სიმაღლემდე გაცხადებას, რასაკვირველია, ქრისტიანული მრწამსი, ქართული ძმადნაფიცობის ტრადიციები, რაინდული ეთიკის პრინციპები და ჰუმანიზმი უდევს საფუძვლად.

ტარიელის თავგანწირვას („შენ ყველაკაი გაამე მე ვერსა ვერ ამებულმან; გაიმბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან...“ – 662, 2-3) ავთანდილი მთელი არსებით აცნობიერებს („მან ჩემთვის დაწვა თავისა დადვა, არ-დასაწვავისა“ – 704, 2) და, თავის მხრივ, სიცოცხლეს არ იშურებს („შენთვის მოვკვდე, შენთვის ვირო“ – 667, 3) მისი ბედნიერების მოსაპოვებლად („მას ჩემთვის სულნი არ ჰშურდეს, შეზღვა ხამს შეუზღველისა და ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშურველისა“ – 735, 3-4). ძმის სიყვარულის „გადახდა“ და ჭეშმარიტი მოყმე-მიჯნურის პიროვნული ღირსებების გამოვლენაა ავთანდილის ცხოვრების წესი:

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად...“
(705, 1-3)

რუსთაველის მიერ ძმისათვის ფიცის გაუტეხლობა და არაერთგზის ხაზგასმული მიჯნურობა-გახელებასთან თანაზი-არობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჭეშმარიტ მეგობრობაში –

„ვერ გავუტეხ ზენაარსა, ვერ გავსწირავ ხელი ხელსა,
და რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!“ (738, 3-4).

ძმადნაფიცისათვის „თამაშითა“ და „მღერით“ სიკვდილი-სათვის მზაობა ჭეშმარიტი მეგობრობის, გმირთა სულიერი მხედრობის, მოყვასის უშურველი სიყვარულის უმაღლესი ცხად-ყოფაა, რაც ავთანდილის სიტყვებში ჩანს:

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვჰკრეფ კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიმიჩს მღერად“.
(788, 1-2)

ჭეშმარიტი მოყვრობის და, ზოგადად, ადამიანის ზნეობ-რივი ცხოვრების მთავარი დებულებებია გამოკვეთილი ავთან-დილის ანდერძში – „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყ-ვარულსა“ (791, 2), „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (791, 4), „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილასოფოსთა ბრძნობისა!“ (792, 3), „წესი არის მამაცისგან მოჭირვება, ჭირთა თმენა“ (797, 3), „არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიან-სა“ (800, 1), „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“ (801, 4), „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ (802, 4), „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდო-ვანი“ (802, 1), „სცთების და სცთების სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად“ (803, 2) და ა.შ. ამ პრინციპთა განუხრელად დამცველ ავთანდილს რუსთაველი არაერთგზის ასხამს ქებას –

„მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!
კაცი იყო საქმისაგა შესაფერი, შესატყვისი;

ასრე უნდა მოხმარება, გაჰვიდოდეს ვისცა ვისი.
ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი“ (775).

ს. ჩიქოვანი ავთანდილის ანდერძის განხილვისას აღნიშნავს, რომ „მეგობრობა საზოგადოებაში წესრიგის არსებობის მაჩვენებელია და ამ წყობაში მეგობრობის გრძნობის განსწავლით შეიძლება შესვლა... მეგობრობა არა უბრალო სიახლოვეა ერთი პიროვნებისა მეორე პიროვნებასთან, არამედ საფუძველია მიწიერი ცხოვრების ამაღლებისა და მისი ღვთაებრიობისა. მეგობრობა რუსთველის ცხოვრების ფილოსოფიაა...“ (ჩიქოვანი 1983: 30).

ავთანდილის საფიცარი-ანდერძი, ჭეშმარიტი მოყვრობის დამადასტურებელი, ზოგადადამიანური იდეალებისა და პრინციპების, ამქვეყნად ღირსეული ყოფის დამკვიდრებისათვის მოწოდებული სწავლებაა, ღვთისკენ მიმავალ გზაზე სვლაა.

ავთანდილი გასაჭირში ჩავარდნილ ტარიელს, გახელებულ მიჯნურს, მუდამ ძმურ დახმარებას უწევს. როდესაც სასომიხდილი ტარიელი „სიკვდილის პირას ჯდა“ და „სოფლით გაღმა გაებიჯა“, ავთანდილი მოევილინა მხსნელად. მისი დიდი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი გმირის ამქვეყნად მობრუნება; მის წყლულთა „წამლის“ ძეხნაც მან იღო თავს („შემებრალნეს და გავშმაგდი, გავხე გულითა ხელითა, მომინდა მისთა წამალთა ძეხნა ზღვითა და ხმელითა“ – ეუბნება ფრიდონს – 1002, 2-3); „შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი!“ (935, 4) – მიმართავს ავთანდილი ტარიელს და თავდაუზოგავად აღასრულებს ძმად-ფიცის მოვალეობას და მოყვრის სანუკვაროცნებას ხორცს შეასხამს. ავთანდილი მოყვრისა და მოყვრობის გამოჩენის ნიმუშია. სწორედ ავთანდილის მცდელობით მოხდა ფრიდონისა და ტარიელის ძმობის კავშირის აღდგენა; შემდგომ კი ფრიდონი ხდება ქაჯეთს მიმავალი გმირების გზის გამკვალავი. გმირთა ძალისხმევითა და ფრიდონის სამასი მეომრის თავდადებით ბოროტების ციხე-სიმაგრე განადგურდა და სიკეთით იძლია.

რუსთაველი იმასაც გამოკვეთს, რომ არა მარტო გასაჭირის, ბედნიერების ჟამსაც გმირები ერთმანეთზე ზრუნავენ. ამის ნი-

მუშია ტარიელისგან საკუთარ ქორწილში ავთანდილის გაბედნიერებაზე ფიქრი, მისი დახმარება – „ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი, ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალგულნი ძმისანი!“ (1479, 3-4). მას საკუთარი ბედნიერება გასრულეზულად არ მიაჩნია, თუ ავთანდილსაც თინათინის გვერდით ვერ ნახავს. „თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“ (1471, 4) – შეუთვლის ავთანდილს და თავის გადაწყვეტილებას აღასრულებს, როსტეკვან მეფისაგან ავთანდილისთვის თინათინის ხელს ითხოვს და ამის შედეგად არაბეთის ტახტზე „მორჭმული“ წყვილი იხილვება.

ტარიელის დიდი „გავლენა“ ვლინდება გასაჭირში ჩავარდნილი ფრიდონის მიმართაც. ამირბარი აღასრულებს ჭეშმარიტი მოყმის მოვალეობას, თავის პირად სატკივარსა და მწუხარებას დროებით გადადებს და ბიძაშვილთაგან შეჭირვებულ მულღაზანზარის მეფეს ძმურ დახმარებას უწევს.

სრულიად განსაკუთრებულია ასმათის „გავლენა“ და „მოხმარება“ მისი პატრონებისათვის; ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის მოციქული და თანამდგომი, შემდგომ ტარიელის უერთგულესი თანმხლები და მისი გასაჭირის დამთმენი დობილი ხდება.

ამდენად, გმირთა მოყვრობის გამოჩენა, ერთმანეთისთვის „გავლენა“ და მოხმარება“, სულის არდაშურება, გახელება და „ველთა რბენა“ სიკეთის გამარჯვების, სიყვარულის „გასრულების“, დაკარგული ჰარმონიის აღდგენის საფუძველია; ხოლო ყოველივეს საფუძველთა საფუძველი სიყვარულია, მოყვარეთა ცხოვრების საზრისი, ამოსავალი და წარმმართველი მათი აზროვნებისა და ქმედებისა, პოემის გმირებს ცხოვრების წესად რომ გაუხდიათ და მისი „გასრულებისათვის“ წუთისოფელსაც რომ თმობენ, მოყვრისათვის სიკვდილი „თამაშად და მღერად“ რომ დაუსახავთ. ამიტომაც ამბობს რუსთაველი მათ შესახებ პოემის პროლოგში – „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირთ ერთმანერთის მონება“ (6) და „სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ვლენა“ (10). „სამი ფერი“, ალეგორიულად, უმაღლეს იდეალებს განასახოვნებს, კერძოდ, ტარიელი – სიყვარულს, ავთანდილი – რწმენას, ფრიდონი – იმედს. მათი ძალისხმევით ხდება

შესაძლებელი მშვენიერების (ნესტანის) გამოხსნა, ბოროტების დამარცხება და სიკეთის მრავალჯამიერობის დამოწმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ რუსთაველის მიერ მოყვრისაგან მოყვრობის გამოჩენის დებულებებად გამოთქმული სამი უმთავრესი მახასიათებელი სრულადაა წარმოჩენილი და გახსნილი პოემის გმირთა ურთიერთობაში, მათი ცხოვრების ფილოსოფიაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის საფუძველთა შესახებ, კერძოდ, აღნიშნულია, რომ რუსთაველი ქართული ეპოსის, ფოლკლორის ტრადიციას აგრძელებს (მ. ჩიქოვანი, ვ. ნოზაძე, თ. ჭყონია, გ. იმედაშვილი, ალ. ბარამიძე და სხვ.), პლატონის მოძღვრების კვალს მიჰყვება (ზ. ავალიშვილი), არისტოტელეს ეთიკურ-ესთეტიკური პრინციპებს ეფუძნება (მ. გოგიბერიძე), რომ პოემაში სტოელთა მსოფლმხედველობის გავლენა ჩანს (პოლ. ცინცაძე), ხალხური ტრადიციების, ქრისტიანული ეთიკის „მოყვასის სიყვარულის“ იდეის, რაინდული ეთიკისა და არისტოტელეს ფილოსოფიის გავლენა ვლინდება (ე. ხინთიბიძე).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოყვრობა და „მონება“, რა თქმა უნდა, ქრისტიანული ეთიკის „მოყვასის სიყვარულის“ იდეითაა შთაგონებული (თუმცა, მტრის სიყვარულს არ ითავსებს, ფიცი და ფიცის დადებაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას) – „შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (მათე 22, 37-40). ღმერთის სიყვარული და მოყვასის სიყვარული – ამ ორ მცნებაზე, როგორც სახარება გვაუწყებს, „ყოველი რჯული და წინასწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან“ (მათე 22, 37-40). ერთმანეთის სიყვარული ღვთიური სიყვარულის თანაზიარია და ის „ახალი მცნება“, რომელიც უფალმა თავის მოწაფეებს ამცნო საიდუმლო სერობაზე: „მცნებასა ახალსა მიგცემ თქვენ, რადთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ, რადთა თქვენცა იყუარებოდით ურთიერთას. ამით ცნენ ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13, 34-35). მეგობრის სიყვარულის არსთან დაკავშირებით უფალი მოძღვრავს თავის მოწაფეებს და განუმარტავს მის მნიშვნელოვნებას: „უფროდის ამისა სიყუარუ-

ლი არავის აქუს, რადთა სული თვისი დადვას მეგობართა თვისთათს“ (იოანე 15, 13; იხ. აგრეთვე – 1 იოანე 2, 8-11; 3, 10-16, 23; იაკობ 2,8; 1 თესალ. 4,9). ავთანდილის ანდერძში მოყვრისადმი სიყვარულის „შესამეცნებლად“ უშუალოდ დასახელებულია მოციქულთა სწავლება – „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ? ვით იტყვიან, ვით აქებენ?...“ (793, 1-2).

მოყვასის სიყვარულის ქრისტიანული სწავლება თვალნათლადაა წარმოჩენილი პოემის კიდევ ერთ (და არაერთ) ეპიზოდში, კერძოდ, ტარიელთან მეორედ მიმავალი ავთანდილი თავის დამოკიდებულებას, სწრაფვას ტარიელის მიმართ ფსალმუნის პერიფრაზით გამოხატავს – „გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“ (856, 3). „ინდო-ხატაელთა ამბის“ დასასრულსაც, ფრიდონის ტარიელთან დამშვიდობებისას, კვლავაც ეს ფრაზა ისმის – „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ (1649, 3-4). ღვთის სიყვარულისკენ სწრაფვის გმირთა ურთიერთსიყვარულის წყურვილად გააზრება ახალი ეპოქის ახალი ადამიანის ხატვის რუსთველური გზაა, რენესანსული სულის გამომხატველი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსთაველთან „მოყვასი“ და „მოყვარე“ კეთილისმყოფელთა, ზოგადად, „მოყვარულთა“ აღმნიშვნელია და პოეტი მათ მხოლოდ ამ შინაარსით მოიხმობს („მოყვასი“ ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანთა მიმართაც ითქმის). საინტერესო ისაა, რომ რუსთაველი სიტყვა „მოყვასს“ არ იყენებს მთავარ გმირთა მიმართ. როგორც ჩანს, რუსთაველი მეგობრობის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულებს სიყვარულის ხარისხით განარჩევს. პოეტისათვის „ძმა“ („ძმობილის“/ძმად-ფიცის“ მნიშვნელობით) მოყვრობის უმაღლესი ფორმაა. ქართული ხალხური წეს-ჩვეულებების მიხედვით, ძმადნაფიცი ძმაზე უფრო აღმატებულად მიიჩნეოდა და ძმადშეფიცულთა კავშირი სისხლით ნათესაობაზე უფრო მყარად ითვლებოდა. აღნიშნული პოემაშიც აქცენტირებულია – „ძმა უმტკიცესი ძმობისა“ ან „დისაგანცა უფრო დესი“. ტარიელისა და ასმათის ურთიერთობა ხომ წმინდა ქართული ხალხური ჩვეულების – და-ძმად შეფიცვის და ამ საფუძველზე დამყარებული ურთიერთსიყვარულის ნიმუშია.

ჩვენი აზრით, რუსთაველი ლექსიკური ერთეულების – „ძმად-ფიცნი“, „ძმადნაფიცნი“ და „ძმად-შეფიცებულო“, „დობილი“ და „დად-ფიცნი“ – გამოყენებით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს წმინდა ქართული მოვლენაა და „ესე ამბავი სპარსული“ მხოლოდ შეფარვის, გაუცხოების მიზნითაა მოხმობილი, ისევე როგორც „უცხო ხელმწიფეთა“ „უცხო ამბავი“, გეოგრაფიული სივრცის არაქართულობა, გმირთა სარწმუნოებრივი აღმსარებლობა, ისიც, რომ არსად არაა ნახსენები ქართული ყოფისა და ქართული ესთეტიკური აზრისათვის მეტად მნიშვნელოვანი ვაზი და მისი სიმბოლიკა; გაუცხოების მაჩვენებელია აგრეთვე პოემაში მეტად მკრთალად წარმოდგენილი ქართველთათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დედის ფენომენი. ამასვე გვაფიქრებინებს ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ იცნობს ძმადნაფიცობის რიტუალს. შეფარვის თქმაზე, შესაძლოა, კიდევ ერთი, მეგობრობასთან დაკავშირებით ნათქვამი ტაეპი მიგვანიშნებდეს – „ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია: ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (844, 1-2). რუსთაველოლოგიაში ამ ტაეპს სხვადასხვაგვარი წაკითხვა აქვს; „ჩინსა“ შესაძლებელია, აღნიშნავდეს როგორც „ჩინეთს“, ასევე – „ჩინებულს“ („გამოჩენილს“). თუმცა, ჩვენი აზრით, აღნიშნული ერთმანეთს არ გამოირიცხავს. საკვებით შესაძლებელია აქ „ჩინეთის“ წაკითხვა, რადგან ჩინური სიბრძნე „მოყვრობის“ შესახებ მსჯელობებსაც მოიცავს (ნ. კონრადი), გამოჩინებულ ქვაზე დაწერილი „მოყვრობის“ სიბრძნეც არაა უცხო აღმოსავლეთის კულტურული სამყაროსათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ პირველ წაკითხვას („ჩინეთს“) მივაკუთნებთ უპირატესობას, შესაძლებელია ერთი ვარაუდის დაშვება, კერძოდ, პოემის პროლოგში რუსთაველი ფაბულის წყაროდ „სპარსულ ამბავს“ ასახელებს, ხოლო პოეზიის აღსანიშნად არაბულ სიტყვას „შაირს“ ხმარობს, ასევე არაბული სიტყვებით – „მიჯნური“ და „მიჯნურობა“ – არის გამოთქმული სატრფო-მეტრე და სიყვარული. ამ მიმართებით, რამდენიმე კითხვა ჩნდება – ხომ არაა საფიქრებელი, მოყვრობის მნიშვნელოვნების „ჩინურ“ თუ „ჩინეთის“ ქვაზე მითითება პროლოგის ზემოაღნიშნულ უცხო-სიტყვათა მიზანმიმართული ხმარების მსგავსად გავიაზროთ? რუსთაველი პოემის უმნიშვნელოვანეს საკითხთა და ცნება-

იდეათა ამგვარი გაუცხოებით სიმბოლურ-ალეგორიული პრინციპით აზროვნებისკენ ხომ არ გვიბიძგებს? ალბათ, საკითხის ამგვარი დასმა უმართებულო არ არაა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ძმობა“-„მოყვრობა“, როგორც აღნიშნულია, იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივ რაინდულ ინსტიტუტთან ამჟღავნებს კავშირს. ტერმინი „მოყმე“, რომელიც საისტორიო თხზულებებსა და საგმირო ეპოსში გვხვდება, „რაინდის“ მნიშვნელობისაა; XII ს.-ის საქართველოში, პატრონყმური სოციალური ურთიერთობის პირობებში, რაინდული ინსტიტუტის არსებობა დღეს უკვე ეჭვმიუტანელი ფაქტია. სწორედ რაინდთა ფენა იყო ქვეყნის კეთილდღეობის მთავარი გარანტი და ამავდროულად, ნიმუში ქვეყნისა და მეფისათვის თავდადებისა, სიყვარულისა, გმირობისა, პიროვნული ღირსებისა.

რუსთველოლოგიაში აღნიშნულია, რომ სანიმუშო მეგობრობის ამსახველი არაერთი თხზულება მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში, კერძოდ, დასახელებულია „გილგამეშის ეპოსი“ (გილგამეშისა და ენქიდუს მეგობრობა), „ილიადა“ (აქილევსისა და პატროკლეს მეგობრობა), „რამაიანა“ (რამას, ლაქშმანასა და მაიმუნთა მეფე სუგრივას მეგობრობა), XII ს.-ის ბიზანტიური რომანები (ქარიტონ აფროდისიელისა და ნიკიტა ევგენიანეს), „როლანდის სიმღერა“ (როლანდისა და ოლივიეს მეგობრობა), „ტრისტანი და იზოლდა“ (ტრისტანისა და კომერდინის ურთიერთობა), „ელექტრა“ (ორესტე და პილადეს მეგობრობა), „ლეილი და მაჯნუნი“ (მაჯნუნისა და ნავვალის მეგობრობა) და სხვ. ამ უკანასკნელზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ნიჰამი განჯელის პოემის „ლეილი და მაჯნუნი“ ერთი ეპიზოდი მეგობრობის თემას უკავშირდება. შევეცდებით, ამ მიმართებით დავძებნოთ „ვეფხისტყაოსანთან“ საერთო მახასიათებლები, თუმც დიდია სხვაობა, რადგან ნიჰამის პოემა, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნისგან“, ეძღვნება სუფისტურ სიყვარულს, რომელიც სიუჟეტის განმსაზღვრელია და ყოველი მოვლენის, ამბისა და ნიუანსის წარმმართველი. შესაბამისად, მეგობრისა და მეგობრობის იდეალიც ამ სიყვარულის ფონზეა გასააზრებელი, თუმც კი, წმინდა ადამიანური თვალსაწიერიდანც შესაძლებელია მათი განხილვა.

რა არის საერთო რუსთაველისა და ნიჟამის პოემებში წარმოჩენილ მეგობრისა და მეგობრობის იდეალში? პირველი ის, რომ ორივე შემთხვევაში ველად გაჭრილ, მხეცებთან მოარულსა და გახელებულ მიჯნურებს – ტარიელსა და მაჯუნს – მხსნელად და ნუგეშად „უცხო და საკვირველი“ ყმები ევლინებიან, ტარიელს – ავთანდილი, არაბეთის ამირბარი და შეუდარებელი ჭაბუკი, ხოლო ყაისს – გამორჩეული ყმა, „ბრძოლაში რკინისმკვნეტელი“ და „მოყვრად – ცვილის გულისა“ – ნავფალი. ავთანდილის მსგავსად, არც ნავფალი იცნობს მაჯუნს და ამ შემთხვევაშიც გმირთა სიტყვისა და ქცევის ამოსავალი და განმსაზღვრელია ჰუმანიზმი, გასაჭირში მყოფი მიჯნურის „ჭმუნვაში თანაზიარობა“, „ჭირთაგან ხსნა“ და მისთვის სიცოცხლის არდაშურება.

თუ დაუვკვირდებით, გარკვეულწილად მსგავსობს ავთანდილისა და ნავფალის დამოკიდებულება „სოფლით გაღმა გაბიჯებული“ უცხო მოყმისადმი. გავიხსენოთ, როგორ ცდილობს ავთანდილი დაბნედილი ტარიელი გონს მოყვანას – თავდაპირველად ბრძნული შეგონებით, შემდგომ ცხენზე შესმითა და ბოლოს – ტკბილი საუბრით. ნავფალიც გახელებული მაჯუნის მომშვიდებასა და „მოთვინიერებას“ სწორედ ძმური სიყვარულის, მასთან „ჭმუნვის თანაზიარობის“ ჩვენებით და „ბაასში შეყოლიებით“ ცდილობს. და, მართლაც –

„მოთვინიერდა მაჯუნნი,
მოშინაურდა გავაზი.
და ეს შლუ კაცი, რომელიც
ყურს არ უგდებდა არავის,
მხოლოდ რომ თვისი გულისთქმა
ესმოდა გულის მზარავი....
თუ დამიჯერებთ, ეს კაცი
ასე ხელდახელ და ცხადად
ნელ-ნელა კიდეც დამშვიდდა,
კიდეც დაცხრა და დაწყნარდა“.

– დასძენს ნიჟამი და სურს, მკითხველი დაარწმუნოს მაჯუნის ამ საოცარი ფერისცვალების რეალურობაში (ნიჟამი განჯელი 1986: 66).

ნიზამი განჯელი წარმოაჩენს რა ცნობიერებადაბრუნებულნი მაჯუნის „გალაღებას“, „ემში შესვლას“ (ლექსთა გამოთქმას), ამ საქმეში ნავფალის დამსახურებას უყურადღებოდ არ ტოვებს და მასში ადამიანის შინაგანი სამყაროს სიღრმისეული წვდომისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების უცდომელ უნარს გამოკვეთს –

„ნავფალიც გალაღებაში
შველოდა – ღმერთმა უშველა! –
რაც მას სიშმაგით ენგრია,
ამან სიმშვიდით უშენა“ (იქვე).

რუსთაველიც ავთანდილის ამგვარ შესაძლებლობების თაობაზე (გავიხსენოთ დაბნედილი ტარიელის ცნობადმოყვანის ამბავი) „გრძელი სიტყვის“ შემდგომ „მოკლედ“ ამბობს, რომ ავთანდილი „სევდის მუფარახი“ და „გონიერთა დასტაქარია“.

ნავფალიც, ავთანდილის მსგავსად, გახელებულ მიჯნურს ყოველგვარი მცდელობით, სიცოცხლის გაწირვითა და თავდადებით, სატრფოსთან შეყრას აღუთქვამს, თუმც კი ნავფალის მიერ სიტყვით თავგამოდება ბევრად სჭარბობს ავთანდილისას. რუსთაველი ყოველგვარი გაზვიადებისა და ჰიპერბოლიზების გარეშე ზომიერების ფარგლებში აქცევს არაბი სპასპეტის აღთქმას, რითაც გმირის უბრალოების ღირსებას (ევანგელური სწავლებისა და კვალობაზე) გამოკვეთს.

განსხვავება თავს იჩენს ნიზამისა და რუსთაველის პოემების მთავარ გმირთა დამოკიდებულებაში მხსნელად მოვლენილ მოყმეთა მიმართ, კერძოდ, მაჯუნის, მართალია, ემადლიერება ნავფალს ამგვარი თავგამოდებისათვის, თუმც კი იქვე ახსენებს, რომ მის მდგომარეობაში მყოფს („ხელს“, „არეულს“, „სნეულსა და ეულს“) ღვიძლ შვილს არავინ გაატანს, რომ ნავფალის მსგავსად ბევრი ეცადა მის დახმარებას, ამაოდ. იგი დარწმუნებულია, რომ ისიც შუაგზაზე მიატოვებს, თუმც , იმედი აქვს, რომ ჭაბუკი ფიცს არ გატეხს. და თუ ნავფალი მლიქვნელურად აღუთქვამს დახმარებას, მაჯუნის თქმით, სჯობს, გაეცალოს და კვლავაც გახელებული დატოვოს. ნავფალი თავისი სიტყვების განსამტკიცებლად უფლის წინაშე ფიცს დებს და უფლის მოციქულს იწვევს

დასამოწმებლად. ამასთანავე, მაჯნუნს სთხოვს, რომ სიგიჟე და-
იცხროს და აღარ გადაიხვეწოს, რასაც მაჯნუნი აღასრულებს და
ნავფალთან სტუმრობს.

სხვაგვარი ვითარებაა რუსთაველის გმირების შემთხვევა-
ში. რა თქმა უნდა, ამას სიუჟეტის არაერთგვაროვნება და იდე-
ური ჩანაფიქრი განაპირობებს, თუმცა, მაინც შესაძლებელია
პარალელების გავლება. როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველი ავ-
თანდილისგან ტარიელისათვის აღთქმულ ერთგულებისა და
თავგანწირვის პირობას დიდ ადგილს არ უთმობს. მართალია,
ტარიელს უკვირს არაბი მოყმის ამგვარი თავდადება, მაგრამ იქ-
ვე ხსნის ამის საფუძველს – „მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა
შეებრალეობს“ (301, 3) და, თავის მხრივ, მოყვრადმოსულ ჭაბუკს
სატრფოსთან შესაყრელად სიცოცხლის ფასად თავის ამბავს უყ-
ვება. საბოლოოდ რუსთაველის გმირები ფიცით აღუთქვამენ
ერთმანეთს არგაწირვას, რომ ავთანდილი უსათუოდ დაბრუნ-
დება ტარიელის სანახავად და საშველად, ტარიელი კი მას არ და-
ივიწყებს, ველად არ გაიჭრება და იმ ადგილს არ გაეცლება.

„ლეილმაჯნუნიანის“ მიხედვით, ნავფალი არ ჩქარობს
მაჯნუნის დახმარებას, რის გამოც დიდ საყვედურს იღებს, რომ
პირობას არ ასრულებს, რომ ამგვარი ფუჭსიტყვაობა მას არ
ეკადრება; თუ მეგობრის შველა უნდა, იმოქმედოს, თავად კი
ლეილის გარეშე თავს არ იცოცხლებს. ამაში კი ნავფალიც იქნება
დამნაშავე. მხოლოდ ამის შემდგომ იწყებს ნავფალი ბრძო-
ლას და ომს ლეილის მამასთან ქალის მოსაპოვებლად (შდრ.
„ვეფხისტყაოსანში“ არაბეთისკენ მიმავალი ტარიელი თინათი-
ნის ხელის მოსაპოვებას როსტევანთან ტკბილი სიტყვითა და
ხმლის ძალით აპირებს. ავთანდილი კატეგორიული წინააღმდე-
გია ამგვარი საქმისა, მისთვის მეფე-პატრონზე ხელის აღმართვა
ღვთაებრივი სამართლის დარღვევა და დიდი „სიმუხთლეა“).
ლეილის ტომთან მეორე ომში გამარჯვებასთან ახლოს მყოფი
ნავფალი კი ლეილის მამის თხოვნასა და გადაწყვეტილებას (რომ
გიჟს ქალს ვერ გაატანდა, სხვა შემთხვევაში კი თავისი ხელით
მოკლავდა) თანხმდება. ამგვარი ქცევით იგი მაჯნუნს კვლავაც
ველად გასაჭრელად გაწირავს. როგორც ჩანს, მართლდება
მაჯნუნის ეჭვები და ფიცის გამტეხ ნავფალს „გულაცვენილი“
გაეცლება.

საინტერესოა, რა მიზეზით იღებს ნავფალი ამგვარ გადაწყვეტილებას და რატომ არღვევს მოყვარესთან დადებულ ფიცს? შესაძლოა ფიქრი იმისა, რომ ასეთი ქცევით მან ლეილს სიცოცხლზე შეუნარჩუნა, თუმც კი იცოდა, რომ მაჯუნუს ამით კვლავაც სიკვდილის პირას მიიყვანდა. მაგრამ ტექსტში ეს არგუმენტი არ ჩანს. ნავფალის სიტყვებიდან ირკვევა, რომ მას სურდა, ლეილის მამას გულით მიეცა ქალი, ეს მისი ნება იყო, ხოლო თავად ძალით მას არ წაიყვანდა. უცნაური და გაუგებარია ნავფალისეული შეფასებაც, კერძოდ, მისთვის კაცი, რომელიც ქალის სურვილის გარეშე მას ძალით შეირთავდა, პურის გემოს ვერ გაიგებდა. რატომ ამბობს ამას ნავფალი? ეს ხომ ლეილსა და მაჯუნუნზე არ ითქმის? ნავფალისათვის, როგორც ჩანს, მთავარია, რომ მის გამო, არავის მიაღგეს ზიანი და ამიტომაც „ამ საქმეს თავი ანება“. მაჯუნუნის საყვედურის შემდეგ კი სწუხდა, მაჯუნუს სიმართლე მზაკვრობად არ გაეგო და მასთან ხალხი გაგზავნა, რათა ეთქვათ, კვლავ მზად იყო მისთვის სიცოცხლე გაეწირა. ნავფალის ამ სიტყვების გაგებაც ერთობ ჭირს.

ამგვარადაა მოთხრობილი „ლეილმაჯუნუნიანში“ გმირთა მეგობრობის ეპიზოდი, რომლის აღქმა, წვდომა და ანალიზი აზრთა პლურალიზმს იწვევს და მკითხველის ფენომენზეა დამოკიდებული მისი შეფასება. ჩვენი მხრივ, დავძენთ (ვეყრდნობით რა სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულ შეხედულებას), რომ რუსთაველის გმირებმა სხვაგვარი მეგობრობა და ძმობა იციან. არაბეთს დაბრუნებული ავთანდილი სატრფოს ნახვის შემდეგ მალევე ტოვებს არაბეთს, როსტევანისგან მალულად მიდის ძმადფიცთან და „დასნეულეზულ აქიმს“, მრავალგვარი დაბრკოლების, ჭირთა თმენისა და ორი მზის (ნესტანისა და ტარიელის) მოშორებით გამოწვეული გაუსაძლისი ტკივილის ფასად, მხსნელად ევლინება. ავთანდილის თავდაუზოგავი ღვწისა და თავდადების წყალობით გახდა შესაძლებელი ღვთისა და მოყვრის წინაშე დადებული ფიცის შესრულება – დაკარგული ნესტანის ადგილსამყოფლის მიგნება და ტარიელისათვის სიცოცხლის დაბრუნება, სამთა გმირთა სიყვა-

რულითა და ძალისხმევით – ნესტანის გამოხსნა. ამგვარი („აღ-
მაფრენის მომცემი“) მეგობრობა, ტრფობის მსგავსად, მიწიერები-
დან ზეციურობისაკენ ისწრაფვის, ამაღლებული („სიყვარული
ავგამაღლებს“) და მშვენიერია („მშვენიერნი ამხანაგნი“).

ნიზამის თხზულებაში „ხოსროვშირინიანი“ მართალია,
უშუალოდ გმირთა მეგობრობა არაა ასახული, თუმცა, მეგობრო-
ბის შესახებ გააზრებანი იძებნება, კერძოდ –

„მეგობრებია მეგობართა დიდი დამხმარე,
ყოველ საქმეში მეგობარი გვჭირდება, ერთი,
რომელსაც იგი არ სჭირდება, ესაა ღმერთი.
მრავალ საქმეში მეგობარი მოგვეხმარება,
ხამს მეგობარი, თუკი საქმის ხამს მოგვარება“.

(ნიზამი განჯელი 2014: 77)

მოხმობილი ნაწყვეტიდან როგორც ჩანს, მხოლოდ საქმეს-
თან დაკავშირებითაა მეგობრის როლი გამოკვეთილი და მას
თანამდგომისა და დამხმარის ფუნქცია ენიჭება. აქვე მეტად სა-
ინტერესო აზრია გამოთქმული, კერძოდ, ერთადერთი, ვისაც
მეგობარი არ სჭირდება, ესაა ღმერთი. ამგვარი გააზრება სრული-
ად სხვაობს ქრისტიანულ სწავლებას, რომლის მიხედვით, უფა-
ლი თავის მორწმუნეთა უმთავრესი მეგობარია, რაც (როგორც
უკვე აღინიშნა) არაერთგზისაა დამოწმებული ქართულ ორიგი-
ნალურ აგიოგრაფიულ თხზულებებშიც.

„ხოსროვშირინიანში“, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნისგან“,
მიჯნური „მეგობრად“ იწოდება, კერძოდ, ფარჰადი ამგვარად მი-
მართავს შირინს: „რადგან შენ გარდა მე მეგობარს ვერავის ვპო-
ვებ, მე უმეგობროდ და უმწეოდ ნუ მიმატოვებ“ (ნიზამი გან-
ჯელი 2014: 226); ხოსროვი ამბობს შირინის შესახებ – „შირინი
გახდა მეგობარი და ჩემი წყვილი“ (იქვე: 343); შირინი სწერს ხოს-
როვს: „მე შენ ყოველთვის უახლოეს მეგობრად გთვლიდი...“
(იქვე: 287); ხოსროვი ასე მიმართავს შირინს: „ცუდი საქმეა ასე
მტრობა, ეჰ, მეგობარო!“ (იქვე: 306) და „შენ მიგატოვო, მეგობარი
სხვა მოვიძიო“ (იქვე: 307). შესაბამისად, სატრფოსთან სასიყვა-
რულო ურთიერთობა „დამეგობრებად“ არის სახელდებული –

ხოსროვისა და შაქარის ურთიერთობაზე თქმულია: „დაუმეგობრდა დაბოლოს ის ვერცხლტანიანი (ხოსროვს შაქარი – ნ. გ.), მანაც დაიწყო მეგობრობა მასთან მთლიანი“ (იქვე: 261).

„ხოსროვიშირინიანის“ გმირები ჩივიან მეგობრის არყოფაზე და ამ ჩივილიდანაა შესაძლებელი იმის ამოკითხვა, რომ ჭეშმარიტი მეგობარი სატანჯველში შემწე და მშველელია (ნიზამი განჯელი 2014: 81), სულიერად და ფიზიკურად თანამდგომი და თანაგანმცდელი, რომელიც მოყვასის „ერთგვარი (მსგავსი – ნ. გ.) სუნთქვის“ (იქვე: 287) მქონეა და რომელიც შეჭირვებულის გვერდში იქნება, თუნდ „მკაცრ ქვებსა და მთებში“ (იქვე: 114). პოემაში მეგობრის გული მიწით დაფარულ დაფასაა შედარებული, რომლის ხელის შეხება „სუფთა ნაწილს გამოაჩენს“ –

„მეგობრის გული დაფა არის მიწა წაყრილი,
თუ ხელს შეახებ, გამოჩნდება სუფთა ნაწილი“.
(ნიზამი განჯელი 2014: 141)

როგორც ამ მონაკვეთიდან ჩანს, მეგობრის გული დახურული, დაფარულია და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, როდესაც მოუხმობ, მაშინ გამოჩნდება მისი „სუფთა ნაწილი“. ამგვარი მოსაზრება სრულიად უცხოა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის. ისინი მთელი არსებით, გულითა და გონებით, ნებისმიერ დროსა და სივრცეში მეგობრებისთვის მუდამ უშურველნი არიან. რუსთაველის თქმით, სიახლოვე, ახლოს მყოფობა მეგობრობისათვის უცილობელი, რადგან სიშორე გრძნობას არ ანელებს, მაგრამ მეგობრის ცხოვრებაში, მის ყოველდღიურ ყოფაში, ჭირსა და ლხინში მონაწილეობის მიღმა ტოვებს ადამიანს. ამის ნიმუშია, ფრიდონი, თუმცა, რუსთაველი შეწყვეტილ მეგობრობას არ ცნობს და ტარიელთან გაწყვეტილ კავშირს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავთანდილის დახმარებით ადადგენს.

პოემის მთავარი პერსონაჟების საუბრებსა და წერილებში ზოგადად მოყვარე-მეგობრის დახასიათება წარმოჩნდება, კერძოდ, ხოსროვი სწერს შირინს და რჩევას აძლევს –

„ის მეგობარი ჩასთვალე შენ უეჭველ მტერად,
ჭუჭრუტანიდან ვინაც ჩუმად დაგიწყებს მზერას,
იმასთან არის მეგობრობა შესაძლებელი,
ვისაც ჰსურს შენთვის სიმდიდრე და სხვა საქონელი.
მოყვარე თუკი შენს მოძულედ გადაიქცევა,
მიწას მიეცი იგი, მიწით თუ დაიდლევა!“
(ნიზამი განჯელი 2014: 304)

მოხმობილი ნაწყვეტის დასკვნა ასეთია – მტრადქცეული მოყვარე მხოლოდ სიკვდილით უნდა მოიშორო, „მიწით დაძლიო“ (ნიზამი 304). „ვეფხისტყაოსანში“, მხოლოდ ზოგადი თვალსაზრისით, გამოთქმულია აზრი, რომ „კაცი ცრუ და ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად“ (160, 4).

პოემის დასასრულს ნიზამი ყოფნა-არყოფნასთან დაკავშირებით საუბრისას მკითხველს სიკვდილის თაობაზე ამგვარ აზრს აწვდის, რომ ამ დროს „ძმა-მეგობრები“ ცუდად მოიქცევიან, „ყველა მათგანი შენგან უკან მობრუნდებიან“ (ნიზამი განჯელი 2014: 381). მოხმობილი მონაკვეთიდან იმასაც ვიგებთ, რომ ნიზამი, რუსთაველის მსგავსად, განასხვავებს მეგობარსა და ამხანაგს. ამას სხვა ტაეპიც მოწმობს – „ამხანაგები, მეგობრები, შეყრილან ველად...“ (იქვე: 141).

აქვე ადამიანის გული „მეგობრად“ იწოდება, კერძოდ, მეგობრის გარეშე მყოფი ხოსროვი თავს ინუგეშებს იმით, რომ მხოლოდ საკუთარი გული ჰყავს მეგობრად – „შენ გიმეგობრებს მხოლოდ... შენი გული“ (იქვე: 267).

„ვეფხისტყაოსანში“ გული არა მარტო პერსონიფიცირებულია, ერთ-ერთი მთავარი თუ არა, უმთავრესი, პერსონაჟია, რასაც ლექსემასთან „გული“ დაკავშირებული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის სიუხვე წარმოაჩენს, უფრო მეტად – პერსონაჟის საკუთარ გულთან, ვითარცა პიროვნებასთან, დამოკიდებულება.¹

1 დაწვრილებით იხ. ჩვენი ნაშრომი – ნ. გონჯილაშვილი, „გულის“ ბინალური სემანტიკა და პარადიგმული სახისმეტყველება „ვეფხისტყაოსანში“, წიგნში – ნ. გონჯილაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული სამყაროს გააზრებისათვის, თბილისი: გამომცემლობა „ბიბლიო“, 2017, გვ. 179-239.

„ხოსროვშირინიანში“, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნისაგან“ (სადაც ბედი ცრუ და მუხთალ წუთისოფელს უკავშირდება), ერთგან ბედი მოყვარედაა დასახელებული (ნიზამი განჯელი 2014: 307) („ვეფხისტყაოსანში“ ბედი არასდროს მეგობრად არ იწოდება, აქ მხოლოდ „კარგი ბედი“ ითქმის). აქ ასევე გულისა და ბედის ძმობაა გამოკვეთილი, კერძოდ, ნიზამი წიგნის დაწერასთან დაკავშირებით ამბობს, რომ მისმა გულმა ბედში თავისი მომხრე დაინახა და ამიტომაც „ბედს მიემშობილა“ (იქვე: 35). ნიზამი მკითხველს მოუწოდებს მეგობრის შეძენისკენ და მეგობრობისკენ, რომ ამაზე თავადაც წუხს და ეს მწუხარება მანაც განიცადოს (იქვე: 35); ამას რუსთაველი ასე იტყვის – „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ (844, 2).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების – ხოსროვისა და შაფურის ტარიელისა და ავთანდილის მეგობრობის შედარების – შესახებ ა. ბარამიძე წერს – „პოემის მიხედვით, შაფურს ზოგჯერ მართლაც ეწოდება ხოსროვის მეგობარი. ნამდვილად კი შაფური იყო ხოსროვის თაყვანისმცემელი მსახური. შაფურმა კარგად იცოდა ხოსროვის გულის წადილი, მისი ბილწი ზრახვები. „ან ძალით, ან ხერხით, ან ნებაყოფლობით ჩემი გახადეო შირინი“ დაავალა ხოსროვმა შაფურს. ამ დავალების შესრულებისათვის ზრუნვას შეეწირა შაფურის მთელი მოღვაწეობა. გაიძვერა მაჭანკლის ხერხიანობით მოინდომა მან შირინის მონადირება, სომხეთის მეფის ასულს უტიფრად შესთავაზა ირანის შაჰის ხარჭობა, არც შერცხვენია, არც წარბი შეურხევია. გაქნილი ენის პატრონი, ცბიერი, პირფერი და მლიქვნელი, ამასთან მშიშარა და მხდალი, ძალღურად ერთგული და ლაქუცა, ნასუფრალის მოიმედე შაფური იყო ღირსეული მსახური თავისი მტარვალის მბრძანებელი პატრონისა. ასეთი იყო შაჰისა და კარისკაცის, თუ შინაყმის მეგობრობა. ტარიელისა და ავთანდილის ურთიერთობას კი ამაგრებდა და ადიადებდა თანასწორი სოციალური რანგის კეთილშობილ რაინდთა ურყევი სიყვარულისა და ჭეშმარიტი ძმობის მაღალი გრძნობა“ (ბარამიძე 1966: 272).

რუსთველოლოგიაში (ი. ჯავახიშვილი, შ. ნუცუბიძე, ალ. ბარამიძე და სხვ.) აღნიშნულია, რომ რუსთაველი სამი გმირის დამშობილება-დამოყვრებით არა მარტო კონკრეტულ პირთა სულიერ სიახლოვეს გამოხატავს, არამედ მათი სახით, სიმბოლურად, ხალხთა მეგობრობის იდეას ქადაგებს.

შ. ნუცუბიძე ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრის შესახებ საუბრისას შენიშნავს: „შვიდი მნათობი“ – ...ეს დახასიათება, თავისთავად არის ხალხთა თანასწორობის გამოხატულება, სხვადასხვა ერის შვილი ასე შეეძლო დაეხატა მხოლოდ ადამიანთა სადიდებლად მოვლენილ არსებას – გენიოსს პოეტს, რომლის სულში იმთავითვე იყო ჩაწვეთებული ხალხთა შორის თანასწორობისა და სიყვარულის აიაზმა“ (ნუცუბიძე 1969: 102).

სამეცნიერო ლიტერატურში არაერთგზის აღნიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობის მსგავსი არც დასავლეთისა და არც აღმოსავლეთის პოეზიაში არ იძებნება, ხოლო ხალხთა შორის მეგობრობა „რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური იდეალის ერთ-ერთი უნიკალური ფენომენია“ (შარია 1976: 177), „ვეფხისტყაოსნის მოყვრობა-მეგობრობა ყველა საზოგადოების მეგობრობისაგან განსხვავდება: იგი მხოლოდ ვეფხისტყაოსანის ქართულ ნიადაგზე არის წარმოშობილი, აღზრდილი და დავაჟკაცებული“ (ნოზაძე 1975: 137).

რუსთველური მეგობრობის მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებთან ტიპოლოგიურ მიმართებათა ჩვენება, ასევე სხვადასხვა მოძღვრებების გავლენათა ძიება პოეტის მსოფლმხედვის მასშტაბურობის, აზრთწყობის ტოლერანტობის მაჩვენებელია. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა „ძმობა“-„მოყვრობა“ ზოგადსაკაცობრიო იდეის განსახოვნებაა, რომელიც ყოველივეს ითავსებს და იმავდროულად თავისთავადობით, ქართული ხასიათით ყველასაგან განირჩევა. პოემის შინაარსი, მისი იდეური მხარე და პოეტიკა ძმობა-მოყვრობის განსახოვნებითაა გამსჭვალული.

დამოწმებანი:

აბულაძე 1973: აბულაძე ი. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ბარამიძე 1966: ბარამიძე ა. *შოთა რუსთაველი და მისი პოემა*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

თეიმურაზ ბაგრატიონი: ბაგრატიონი თ. *განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა*. გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და სამიუზიკით. თბილისი: საქ.სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1960.

იმედაშვილი 1968: იმედაშვილი გ. „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული კულტურა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

ინგოროყვა 1937: ინგოროყვა პ. *წინასიტყვაობა*. შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, 1937.

ლექსიკონი 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული). მთავარი რედაქტორი: არნოლდ ჩიქობავა. რედაქტორი მ. ჭაბაშვილი. თბილისი, 1986.

ნადირაძე 1958: ნადირაძე გ. *რუსთაველის ესთეტიკა*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958.

ნიზამი განჯელი 1974: ნიზამი განჯელი. *ლირიკა. ლეილი და მაჯუნღი*. მაგალი თოდუას თარგმანითა და წინასიტყვაობით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი განჯელი 2014: ნიზამი განჯელი. *ხოსროვი და შირინი*. სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუას რედაქციით. კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი. სერია კავკასიის კლასიკოსები. მეორე გამოცემა. ბაქო: გამომცემლობა „ისტ-ვესტ“, 2014.

ნოზაძე 1975: ნოზაძე ვ. *ვეფხისტყაოსანის მიჯნურთმეტყველება*. პარიზი: 1975.

ნუცუბიძე 1969: ნუცუბიძე შ. „მძობისა და ხალხთა მეგობრობის იდეა ვეფხისტყაოსანში“. *კრიტიკული ნარკვევები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1969. გვ. 99-107.

ორბელიანი 1966: ორბელიანი ს.ს. *ლექსიკონი ქართული*. წიგნი I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.

შარია 1976: შარია პ. *შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

შოთა რუსთაველი 1966: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

ჩიქოვანი 1983: ჩიქოვანი ს. „სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის სიმღერა“. თხზულებათა ოთხტომეული. ტ. III. ჭერილები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1983.

ხინთიბიძე 2005: ხინთიბიძე ე. „მეგობრობა როგორც სიყვარული“. წიგნში: ვეფხისტყაოსნის სიყვარული. თბილისი: „ქართველოლოგი“, 2005. გვ. 3-38.



„ვეფხისტყაოსნის“ მამუკა თავაქარაშვილისეული
ხელნაწერი. 1646 წ. H 599-429
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)

ლია კარიჭაშვილი
(საქართველო)

სიბრძნე, გონება, ჭკუა
(**ცნებათა დეფინიციისთვის**)

„ვეფხისტყაოსნის“ უაღრესად მდიდარ ლექსიკურ მარაგში სიბრძნის (ბრძენი, ბრძნობა), გონისა (გონება, გონიერი, უგუნური) და ჭკუის (ჭკუიანი, ჭკვიანი) ცნებებსაც ვხვდებით.

სიბრძნე – „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“ (23, 2); „მეკეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა“ (384, 1); „მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი“ (330,4); „კვლა გულსა ეტყვის: დათმობა ჰგვანდეს სიბრძნისა წყაროთა“ (726,2); „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ (12, 1).

ბრძენი – „ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული“ (33,4); „ამა საქმეს მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს“ (177,1); „რაცა გითხრა, მომისმინე, ბრძენი გეტყვი, არა ხელი“ (663,1); „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“ (789,2); „თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა“ (875,1); „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრ“ (876,1); „ხამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი სჯერა მოწვევანდას“ (1050, 4).

ბრძნობა – „ბრძენი! ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა!“ (886,1); („არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!“ (790, 3).

გონება – „მალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“ (6, 2); ენა გონება დათმობა...“ (23, 3); „მან მისთა მჭვრეტთა წაუღის გული, გონება და სული“ (33,3); „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია...“ (848,1); „გონება უც ვითა ტრედი“ (1184,4); „გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან“

(1295,4); „შენტვის დავსდებ გონებასა“ (902,1); „გონებაო, სულო, გულო“ (309,2), „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ (1191, 4).

გონება-შეიწრებული – „ამას იგონებს ტარიელ გონება-შეიწრებული“ (188,4).

გონიერი – „გონიერი, ხამს აროდეს არ აჩქარდეს“ (539,1); როსტან მისთვის აატირა გონიერი გული, ლბილი“ (146,4); „ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს“ (215,3); „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ (1191,4); „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს“ (904,2).

ჰკუა – „ვაქებ ჰკუასა ბრძენთასა“ (347,3)

ჰკვიანი/ჰკუიანი – „კვლა იტყვის, მიკვირს ნაღველი კაცი-სა ჰკუიანისა“ (863,1); „მას ერთსა მიჯნურობასა ჰკვიანნი ვერ მიჰხედებიან“ (21,1).

სიბრძნის, გონებისა და ჰკუის ცნებათა შინაარსობრივი მსგავსება ცხადია, მაგრამ საინტერესოა, რა ნიშნით ახდენს რუსთაველი მათ დეფინიციას კონკრეტულ კონტექსტებში, ან იქნებ სინონიმური მნიშვნელობით იყენებს მათ, როგორც ეს დღეს ხდება.

ვფიქრობთ, ამ ცნებებს შუა საუკუნეების რეალობის გათვალისწინებით რეტროსპექტული გააზრება სჭირდება. ვნახოთ, როგორია ლექსიკონთა მონაცემები:

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონებში ეს სიტყვები ძირითადად არ განიმარტება. 1966 წლის გამოცემის (რედ. სარგის ცაიშვილი, 1986) ლექსიკონში გონება ახსნილია, როგორც ფიქრი, აზრი, წარმოდგენა, ცნობა.

ჰკუა არ განიმარტება.

ილია აბულაძის მიერ შედგენილ ძველი ქართული ენის ლექსიკონში (1973) აღნიშნული ცნებები სინონიმებადაა წარმოდგენილი:

გონება – „გული“, გონიერება, აზრი, ზრახვა, ზნე-ჩვეულება – „გულარძნილნი გონებითა განიყოფიან ღმრთისაგან“.

გონებული, გონებიერი – ბრძენი, გონებული, ჭკუიანი, მცოდნე, გულისხმისმყოფელი, მეცნიერი (აბულაძე 1973: 95).

გონიერება – გონება, **სიბრძნე, ჭკუა**, აზრი;
გონიერ-ყოფა – განბრძნობა (აბულაძე 1973: 96).

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი სიბრძნესა და ჭკუას თითქმის აიგივებს, მაგრამ „გონებასა“ და „ჭკუას“ – არა.

სიბრძნე – „ესე არს მშობელი ჭკუისა და გამსინჯველი (გამსჯელი) ცნობათა. სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე – კეთილ, ხოლო სივერაგე – არა“ (ორბელიანი 1993: 87).

ბრძენი – „დიდად ჭკვიანი“ (ორბელიანი 1991: 116).

გონება – „არს სიტყვიერი, მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა. გონება არს ხედვა უხორცო და დაუშრომელი, მომვლელი ყოვლისა, სამ სახედ თთქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონებაცა ჩვენი. საცნაურ არს მოგონებითა მოსაგონებელითა“ (ორბელიანი 1991: 166).

„სულის“ განმარტებაში ჩანს **გონი**: – „კაცთა სული – სიტყვიერი, არსება **გონიერი**, უსხეულო, უცნაური, სიტყვიერი და უკვდავი...; სული ანგელოზი – სიტყვიერი და **გონიერი**“ (ორბელიანი 1993: 115).

ჭკუა – „სიბრძნის გზები;

ჭკვიანი – ჭკუის მქონებელი“ (ორბელიანი 1993: 405).

სულხან-საბას ამ განმარტების შესახებ ზვიად გამსახურდია შენიშნავს: „მართალია, საბა სიბრძნეს განმარტავს, როგორც მშობელს ჭკუისას, მაგრამ თავის მხრივ ჭკუა როდია სიბრძნის მშობელი. ჭკუა მხოლოდ გზაა სიბრძნისკენ საბასვე განმარტებით. ბრძენს ჭკუა გააჩნია, მაგრამ ჭკვიანს შესაძლოა არ გააჩნდეს სიბრძნე, რომელიც მართლოდენ ინტელექტისმიერი მონაცემი კი არ არის, არამედ სულიერი განათლების, საზეო გონებით გასხვიოსნების შედეგია“ (გამსახურდია 1984: 104).

სამივე ზემოაღნიშნული ცნება – სიბრძნე, გონება და ჭკუა – პოემის პროლოგშივე გვხვდება.

სიბრძნე:

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღვთო, საღვთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების ვინცა ისმენს კაცი ვარგი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია ამაღ კარგი“. (12)

საინტერესოა, სიბრძნის არისტოტელესეული განმარტება: „სიბრძნე სხვა არა არის რა, თუ არა ხელოვნების (ოსტატობის) სათნოება. როგორც ჰომეროსი ამბობს ერთ-ერთ პერსონაჟზე, მას არ მისცეს ღმერთებმა არც მიწის მთხრელის, არც მიწათმოქმედის და არც რაიმე სხვა სიბრძნე“ (არისტოტელე 2003: 134). როგორც ჩანს, არისტოტელე სიბრძნეში მოიაზრებდა პროფესიულ ცოდნას. საგულისხმოა, რომ „მეტაფიზიკაში“ ადამიანის ცოდნის სფეროს იგი ორ ნაწილად ყოფს: სხვაა „ტექნე“ (პრაქტიკული უნარი რაიმეს გაკეთებისა გარკვეული წესის მიხედვით) და მეორეა სოფია (თეორიულ-მჭვრეტელობითი ცოდნის უნარი).

სასულიერო მწერლობაში პოეზია უკვე მიიჩნეოდა საღვთო სიბრძნის გადმოცემის ფორმად. რუსთაველი ხაზს უსვამს მის ორ უმთავრეს ფუნქციას: შემეცნებითსა („მარგი“) და ესთეტიკურს („ეამების“).

სიბრძნის სემანტიკურ გააზრებას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

არსებობს ორგვარი ცოდნა და ორგვარი სიბრძნე: ერთია ემპირიული ცოდნა, რომელიც მიიღება ხილული სამყაროს უშუალო შესწავლით და, მეორე მხრივ, არსებობს კანონზომიერებანი, რომელთაც ვესწრაფვით, მაგრამ საბოლოოდ ვერასდროს მივწვდებით. ესაა უმაღლესი ცოდნა, ანუ უმაღლესი სიბრძნე.

უმაღლეს სიბრძნეს აღნიშნავს ტერმინები: „სიბრძნე ღმრთისაა“, „ზეშთასიბრძნე“. გარეშე სიბრძნის აღმნიშვნელია: „გარეშე სიბრძნე“, „სიბრძნე კაცთადა“, „სიბრძნე ამის სოფლისადა“, „სიბრძნე ხორციელი“, „სიბრძნე ზღაპართადა“, „გარეგანი სწავლანი“.

გარეშე სიბრძნე ქრისტიანობაში გულისხმობდა სამ სფეროს: 1. ანტიკურ წარმართულ სიბრძნეს; 2. ქრისტიანობის თანადროულ არასაღვთისმეტყველო სიბრძნეს, ბუნებით მეცნიერებებს, ე.წ. ტრივიუმ-ქვადრივიუმის 7 თავისუფალ მეცნიერებას.

3. მწვალელებლთა სიბრძნეს, უფრო იშვიათად კი სხვა რელიგი-
ათა სიბრძნეს.

„აზროვნების ისტორიულ განვითარებაში სიბრძნეთა ურ-
თიერთმიმართება ასე წარიმართა: სიბრძნეთა პირველადი შერ-
წყმა, შემდეგ სიბრძნეთა დიფერენცირება „გარეშე სიბრძნის
უარყოფით, შემდეგ გარეშე სიბრძნის საღვთოსადმი დაქვემ-
დებარება. ამას მოჰყვა გარეშე სიბრძნის აუცილებელი საჭირო-
ების აღიარება; სიბრძნეთა მნიშვნელობის გათანაბრება. შემდეგ
საღვთო სიბრძნის გარეშესადმი დაქვემდებარება და ბოლოს
(ათეიზმის ეპოქაში, ლ. კ.) საღვთო სიბრძნის უარყოფა“ (სირამე
1975: 235).

„წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ცხადყოფს, რომ
წმინდანის სიყრმის დრო (VIII ს.) უკვე გარეშე სიბრძნის საღ-
ვთოსადმი დაქვემდებარების ეტაპია. წმ. გრიგოლმა მიიღო სრუ-
ლი სასულიერო განათლება, ისწავლა საერო ფილოსოფიაც, მაგ-
რამ მიიღო „კეთილი“, სულისთვის სასარგებლო, ხოლო უსარ-
გებლო („ჯერკუალი“) განაგდო.

ძველი (წინარექრისტიანული) გაგებით, ან ქრისტიანობის
ადრეულ ეტაპზე, ბრძენი, როგორც ჩანს, აღნიშნავდა კონკრეტუ-
ლად გარეშე სიბრძნის მქონეს, ამით აიხსნება მოციქულის
სიტყვები: „წერილ არს: წარვწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთაჲ“
(კორინთ. 1, 19).

მოგვიანებით გაჩნდა „საღვთო სიბრძნისა“ და „უმაღლესი
სიბრძნის“ ცნებები.

უმაღლესი სიბრძნე თვითაა აბსოლუტი. ეს სიბრძნე არსე-
ბითად სიყვარულია, რადგან „ღმერთი სიყვარული არს“. უმაღ-
ლესი სიბრძნე დაფარულია, საიდუმლოა: „დაფარულნი სიბრ-
ძნისანი გიგალობენ შენ“ (ფს. 75, 11); „უჩინონი და დაფარულნი
სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე“ (ფს. 50); „სარწმუნოება
ეგე თქვენი არა იყოს სიბრძნითა კაცთაჲთა, არამედ ვიტყვი
სიბრძნესა ღმრთისასა, საიდუმლოდ დაფარულსა“ (კორინ. 2,5-7).

უმაღლესი სიბრძნე მიეცემა ყველას, ვინც ითხოვს ღვთი-
საგან: „უკეთუ ვინმე თქუენთაგანი ნაკლულევან არს სულიერი-
თა სიბრძნითა, ითხოვენ ღმრთისაგან, რომელმან იგი მისცის
ყოველთა (კათ. ეპისტ. 1, 5), მაგრამ ამისთვის არსებობს წინაპი-

რობა – სულიერი სიწმინდე („ესრეთ წმიდასა შინა გეზუნენ შენ, რათა ვიხილო მე ძალი და დიდებაჲ შენი“. ფს. 62.2).

დაფარულია უმაღლესი სიბრძნის ბუნება, მისი მოქმედების შედეგი კი შესაცნობია.

ამის შესაბამისად არსებობს „დაფარული გონება“, რომელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანშიც“. ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან ტარიელს სწერს:

„ნეტარ რა ქმნას უშენომან გულმან შენგან დალახვრულმან, გაგიცხადა დამალული, **გონებამან დაფარულმან**“. (1295)

ნოდარ ნათაძის მართებული განმარტებით, „გონებამან დაფარულმან“ ნიშნავს – ყველაზე შინაგანმა ღრმა ფიქრმა“ (ნათაძე 1992: 421). ფაქტობრივად, ესაა სულის სიღრმიდან გაცხადებული სათქმელი.

პოემაში ჩანს აგრეთვე „ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი“. ზღვათა მეფე მელიქ-სურხავი, რომელმაც არაფერი იცის ნესტან-დარეჯანის ვინაობის შესახებ, ვარაუდობს, რომ იგი მიჯნურია ან ბრძენი:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი, არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედა ზედი; ვით ზღაპარი ასრე ესმის, უბედობა თუნდა ბედი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.“ (1184)

„მაღალი“, „მაღლა მხედი“ „სიბრძნე“ ტაეჰში დაკავშირებულია „გონებასთან“, რომლის აუცილებელი მახასიათებელია სიწმინდე და ეს სიწმინდე ასახა მტრედის ბიბლიურმა სახის-მეტყველებამ: „გონება უც ვითა ტრედი“ („იყუენით უკუე მეც-ნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო ვითარცა **ტრედნი**“ მათე; 10).

სიწმინდე მიჯნურობის აუცილებელი პირობაა, ალეგორიულად საღვთო სიყვარულს მოვიაზრებთ მასში, თუ აღმო-სავლურ სუფიურ ტრფიალს. რუსთაველს ადამიანური სიყვარული საღვთო სიყვარულის გადმოსაცემად სჭირდება („ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“, 21, 3), როგორც ბაძვა, განსახოვნება მისი, ამიტომაც ხაზს უსვამს სიწმინდის აუცილებლობას:

„მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

(21, 4);

„მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“ (22, 2);

„შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“.

(27, 3)

საყურადღებოა ნიზამი განჯელის პოემა „ლეილი და მაჯუნუნის“ ეპიზოდი, რომელშიც სწორედ მიჯნურობის წესზეა საუბარი:

„მოხუცს უბრძანა: „მე თუნდაც

ამ ტყეში დავესახლოო,

მომკალი, მაგრამ მიჯნურთან

უფრო ვერ მივალ ახლოო!

სანთელი ვარ და ვითარცა

სანთლის წესია, ვიწვიო.

მასთან რომ ახლოს მივიდე,

უნდა სიკვდილი ვიწვნიო.

მაჯუნუნის საქმეც ასეა,

რამეთუ არის მიჯნური,

მიჯნური მიჯნურისაგან

მიჯნით ხამს გადამიჯნული“.

(„ლეილი და მაჯუნუნ“, გვ. 321)

გონება ღვთისგანაა, ღვთის შემწეობაა, წყალობაა. ამაზე პროლოგშივე მიანიშნებს რუსთაველი:

„აწ ენა მინდა გამოთქმად გული და ხელოვანება,

ძალი მომეც და **შეწევნა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“**. (6)

სასულიერო მწერლობაში გონიერება მჭიდრო კავშირშია რწმენასთან, უგუნურება კი რწმენამოკლებულ ცნობიერებას სახავს:

წმინდა შუშანიკი „ევედრებინ ყოველთავე ლოცვის ყოფად მისთვის, რაითამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტესსა“ (იაკობ ხუცესი 1987: 224). აბო თბილელი მიმართავს ამირას: „არა მესმიან

ცუდნი ეგე სიტყვანი შენნი, რამეთუ გონებაჲ ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცას“ (საბანისძე 1987: 464).

წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გვხვდება მეტად საყურადღებო ცნება „მოხუცებულობა გონებისა“. ახლობლები ახალგაზრდა გრიგოლის დაყოლიებას ცდილობენ მღვდლად კურთხევაზე, რადგან მას შიში დაეცა „სიახლისათვის ჰასაკისა“: „სიბერისა პატიოსნებაჲ არა მრავალი ჟამი არს და არცა რიცხვი დღეთაჲ აღრაცხილ, ხოლო მხცოვანებაჲ არს გონიერება კაცისაჲ. ... და შენ მოგცა ქრისტემან კეთილი **მოხუცებულობა გონებისაჲ**“ (გიორგი მერჩულე 1987: 528-529).

„მოხუცებულობა გონებისა“ ავთანდილის მახასიათებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც იგი მიუხედავად ასაკისა, სიბრძნესრულია, ნიშანდობლივია, რომ მისი ხელით იწერება „ანდერძი“.

„ავთანდილის სიბრძნე თანდაყოლილია და სრულიადაც არ საჭიროებს ხანდაზმულს ასაკს და ხანგრძლივ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რასაც ის ფლობს, ხომ ერთიანი და განუყოფელი ანდრეზული სიბრძნეა, რომელსაც არაფერს ჰმატებს ჟამთასვლა, რადგან ის ისედაც ძველია თავისი ბუნებით. ... და რაკი ერთხელ გაიღვიძა სიბრძნემ, ძველმა სოფიამ და „აიშენა სახლი“ (იგავნი სოლ.9.1) უწვევრულ ყრმაში, ეს ყრმა დაატარებს მას და აფრქვევს ირგვლივ“ (კიკნაძე: 2001: 10-11).

სასულიერო მწერლობაში გონების ცნების აქტიურობა და მისი კავშირი რწმენასთან, ცხადია, განპირობებულია ბიბლიური ცნებათმეტყველებით. საყურადღებოა, რომ „ოთხთავში“ „ჭკუა“, როგორც ლექსიკური ერთეული, არ გვხვდება.

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში გონება შინაარსობრივად უკავშირდება სინდისს, სულს, რწმენით ცნობიერებას. ის განუყოფელია სიკეთისგან. ვინც ვერ არჩევს კეთილსა და ბოროტს, არ იცის, რა არის სულისთვის სასიკეთო და რა – მავნებელი, ის ვერ იქნება გონიერი. აზროვნება შეიძლება დაშორდეს სიკეთეს და მივიღოთ სივერაგე (გავიხსენოთ სულხან-საბა: „სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე – კეთილ, ხოლო სივერაგე – არა“), გონიერება არ შეიძლება დაშორდეს სიკეთეს. გონიერება არის ის, რაც მიაჩნია ღმერთმა

ადამიანს, ვითარცა ხატს, და რითაც იგი მიიმსგავსა, რადგანაც აბსოლუტური გონი თვითონ ღმერთია.

წმ. გრიგოლ ნოსელი თავის ნაშრომში „შესაქმისათვის კაცისა“ წერს: – „ღვთის სახიერებამ ადამიანს მიანიჭა სიბრძნე და გონიერება ანუ მსგავსება, „შუენიერებამ შუენიერებისა თვისისა“ (გრიგოლ ნოსელი 1979: 20). ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა „ხატად და მსგავსად“ ღვთისა, როდესაც მისი მადლი – გონება მისსავე გვამშია და მართავს მას. თუკი გონება არ განაგებს სხეულს, მაშინ ადამიანი „მიდრეკილ არს კეთილთაგან“.

„მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტ გარდამოცემაში“ იოანე დამასკელიც ანალოგიურად მსჯელობს: ადამიანს რაღაც საერთო აქვს უსულო საგნებთან, თანაზიარია არაგონიერი არსებებისა, და გარდა ამისა, აქვს გონიერ არსებათათვის (იგულისხმება უსხეულო არსებები) დამახასიათებელი აზროვნების უნარიც“ (დამასკელი 1991: 290).

გონება ადამიანის ერთადერთი იარაღია. წმ. გრიგოლ ნოსელის თვალსაზრისით, ადამიანი ყოველგვარი დამცავი საშუალების გარეშეა შემოყვანილი „ამას სოფელსა“. მას არ გააჩნია არც რქა, არც კლიკები, არც ბრჭყალები, რომლითაც თავს დაცავდა, ან სხვას მიაყენებდა ზიანს. ადამიანის მთავარი და ძირითადი ღირსება, ნიჭი არის ის, რომ იგი შიგნიდანაა „აღჭურვილი და დაცული“ და ეს საჭურველი არის მისი გონება.

წმიდა მამა მსჯელობს ლუკა მახარებლის სიტყვებზე: „გიყვარდეს უფალი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით“ (ლ. 10. 27). გული, სული და გონება ადამიანის არსის შემანივთებელი ის ნაწილებია, რომლებიც მას ყველა სხვა ქმნილებისაგან განასხვავებს და რომლებითაც, ადამიანურ ძალისამებრ, ღვთის შეცნობაა შესაძლებელი. ლუკა მახარებლისეული „გული, სული და გონება“ რუსთაველთან ასე იკითხება: „მან მისთა მჭვრეტთა წაუღის **გული, გონება და სული**“ (34). არის მცირე სახეცვლილებითაც: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან“ (848).

როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი შენიშნავს, გულისხმა ანუ გონება სულიერია, ყველაზე სრულყოფილია. რასაც იგი

ჩასწვდება და მოიხელთებს, მიუწვდომელია სულიერებას (სულიერ ხედვას) მოკლებული ადამიანისთვის. ამიტომაც ბრძანებს მოციქული: „მშვინვიერი კაცი არ შეიწყნარებს იმას, რაც ღმერთის სულისაგან არის, რადგანაც სიშლეგედ უჩანს იგი“ (I კორ. 2. 14-15).

წმინდა გრიგოლ ნოსელის თქმით, მხოლოდ განწმენდილ გონებას ძალუმს ხედა ღმერთისა: „ხედა ღმერთისა არს ესე სარკის სახედ განწმედად გონებათა...“ (წმ. გრიგოლ ნოსელი 1979: 95).

ეგრემ მცირე ვსალმუნთა თარგმანებში განმარტავს რას ეწოდება „ტამარ უფლისა“: „ტამარ უფლისა არს შესაკრებელი ეკლესიისა მართლმადიდებელთაჲსა, ანუ ცაჲ, ანუ **გონება წმიდაჲ**, ანუ ქალწული, ანუ ხორცი სიუფლონი...“ (შანიძე 1968: 91).

„მარადის იხსენებდი ღმერთსა და ცა იქმნეს გონებაჲ შენი,“ – ამბობს წმ. ნილოს სინელი. წმიდა ანტონი დიდი: „ჩვეულებრივ, როცა კაცზე იტყვიან, გონიერიაო, ამ სიტყვას არასწორი მნიშვნელობით ხმარობენ. გონიერი ის როდია, ვისაც ძველ ბრძენთა გამონათქვამები და ნაწერები დაუსწავლია, არამედ ჭეშმარიტად გონიერი ის ადამიანია, ვისაც ძალუმს სწორად განსაჯოს, რა არის კეთილი და რა – ბოროტი“.

იმ ნიშნით, რომ გონიერება სიკეთისგან განუყოფელია, ამ ცნების ქრისტიანულ გაგებას თანხვედრა არისტოტელესული გაგება. „ნიკომაქეს ეთიკაში“ იგი მსჯელობს გონებისა და სიბრძნის ცნებებზე და დამოუკიდებელ კატეგორიებად განიხილავს მათ; მიიჩნევს, რომ ისინი წარმოადგენენ სულის სხვადასხვა ნაწილის სათნოებას: „ახალგაზრდები ხდებიან მათემატიკოსები, გეომეტრიის მცოდნენი და ამ საქმეში ბრძენნი, მაგრამ ვფიქრობთ ამით ისინი გონიერნი ვერ ხდებიან, ამის მიზეზი ისაა, რომ გონიერება ეხება კონკრეტულ მოვლენებს, რის ცოდნასაც გამოცდილება იძლევა“ (არისტოტელე 2003: 136).

არისტოტელე გონიერებას უკავშირებს სიკეთეს, სასარგებლოს: „ანაქსაგორასს, თალესსა და მათ მსგავსს უწოდებდნენ ბრძენთ და არა გონიერთ, რადგან არ იცოდნენ, რა იყო მათთვის სასარგებლო. სამაგიეროდ იცოდნენ სრულყოფილი და საკვირველი, ძნელი და დემონური, რაც სასარგებლო არაა, რადგან ისინი არ ეხებიან ადამიანურ სიკეთეთ“ (არისტოტელე 2003: 35).

საყურადღებოა, რომ ნიზამი განჯელი (ამბაკო ჭელიძის თარგმანის მიხედვით) გონების ცნებას მიმართავს, როდესაც საუბრობს სამყაროს შემოქმედ ღმერთზე:

„მეუფე დიდი, ჩვენ ვისთანაც გვმართებს ვედრება,
მას, უდიდესს და უზეშთაესს ვერვინ ედრება,
ზეცის შემქმნელი, ცის მნათობთა აღმანთებელი,
გონების, სიბრძნის უშუალო მასწავლებელი“.
(„ხოსროვი და შირინი“, გვ. 26)

მხოლოდ გონების ძალით არის წუთისოფლის ძლევა და ღვთის წვდომა შესაძლებელი, ცხადია, ადამიანურ ძალისამებრ:

„საწუთროს ბანზე ნუ იტყვი, თუ ვით მოექცევი,
კი მოექცევი, თვითონ შენს თავს ნუ გაექცევი!
ჰკითხე გონიერს, ვინაც არის შორს განმსჭვრეტელი:
ამ სახლის ბანზე როგორ არის გზა ასავლელი?
ბრძენის ბრძანებით გონება რომ გექნება სავსე,
ასწი ალაში ამ მაღალი სასახლის თავზე“.
(„ხოსროვი და შირინი“, გვ. 380)

შემეცნების სხვა გზებს, გარდა გონებითისა, წინ გადაულახავი დაბრკოლება ეღობება:

„გონების ძალა თუ არის იქ საქმის მოქმედი,
შექმნის მიზეზი ხდება უკვე თვალშესახედი.
შემეცნებისთვის ნუ გსურს მეტი გზის მითითება,
რადგან იქ წინ მთა ან საშიში ჭა დაგიხვდება.“
(„ხოსროვი და შირინი“, გვ. 27)

თავის ნიჭს, სიბრძნეს, გონების „განძს“ პოეტი უფალს უმადლის: „მაგრამ მე განძით სავსე ვარ, გამძემგილი მაქვს გონება“ („ადუღდი, გულო, ადუღდი“, გვ. 57). ნიზამი თავის ვაჟსაც შეაგონებს, რომ ცოდნა ღვთაებაა და ღმერთს სთხოვს, ადამიანისთვის უმთავრესი რამ, გონი, მომადლოს:

„ცოდნას მისდევ, ცოდნა რადგან თვით ღვთაებაა!
ნამდვილ ნამუსით, როგორც კი ხალხს მოსწონს ბრძენსა,
მეცი გონი, შემოქმედო, ნიჰამის ძესა!“
(„ხოსროვი და შირინი“,
„დარიგება თავის შვილის მოჰამედისა“, გვ. 384)

როგორც ვნახეთ, ზემომოხმობილ დისკურსში „გონებას“ არც ერთ შემთხვევაში არ ანაცვლებს „ჭკუის“ ცნება და მისგან მიღებული ლექსიკური ერთეულები. აღნიშნულ ცნებათა სემანტიკას მკვეთრად მიჯნავს ზვიად გამსახურდია, როდესაც მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ნახსენებ „გონებაზე“ („ძალი მომეც და შეწვენა, შენგნით მაქვს მივსცე გონება“): „უნდა გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, ინტუიტიურ გონებასა და და დისკურსიულ, ლოგიკურ განსჯას (intellectus) შორის, რომელსაც ემყარება ჭკუა. „გონების“ ამგვარი გაგება უნდა განვასხვავოთ აგრეთვე „რაციოს“ იმ გაგებისგან, რომელიც გვიან საუკუნეებში ჩამოყალიბდა და რომელსაც ემყარება სიტყვა „რაციონალიზმი“ („ირაციონალიზმთან“ დაპირისპირებული, ადამიანურ რაციოზე დაყრდნობილი მსოფლმხედველობა). ამრიგად, „ნუს“ – საღვთო, ინტუიტიური გონება“ (გამსახურდია 1984: 84).

„ჭკვიანი“ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგშივე გვხვდება და ძალზე საინტერესო კონტექსტში. საღვთო მიჯნურობასთან დაკავშირებით, პოეტი აცხადებს:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“. (21)

ერთი შეხედვით, ტაეპში მოულოდნელი რამ იკითხება: თუ ჭკვიანია, რატომ ვერ მიხვდება (ჩაწვდება) იმ ერთ მიჯნურობას? აღნიშნული ტაეპის საერთო აზრის განმარტება პოემის გამოცემებში არ გვხვდება. ჩნდება კითხვა, როგორ უნდა გავიგოთ აქ სიტყვა „ჭკვიანი“? მოცემულ სტროფში პოეტი საღვთო სიყვარულზე საუბრობს:

„ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;

იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;
ვინცა ეცდების, თმოზამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“ (20)

„მიჯნურობა პირველი“ ზეციური რაობაა, მასზე საუბარი ძნელია. ვინც ამ სიყვარულს მიუძღვნის თავს, მრავალი განსაცდელის დათმენა უწევს. ამ სიყვარულს ვერ ჩასწვდებიან „ჭკვიანები“. „ჭკვიანი“ აქ უნდა გულისხმობდეს რაციონალური აზროვნების მქონეს, ან კონკრეტული საერო (გნებავთ პროფესიული) ცოდნის მქონეს, რომლისთვისაც მიუწვდომელია საღვთო სიბრძნე ანუ სიყვარული ღვთისა. არისტოტელეს ცნებები რომ გამოვიყენოთ, მას აქვს „ტექნე“ და არა „სოფია“. როგორც ვიცით, საღვთო სიბრძნის/სიყვარულის შემეცნება, ადამიანურ შესაძლებლობათა კვალობაზე, ძალუძს მხოლოდ განწმენდილ გონებას/გულს და არა რაციონალურ, ლოგიკურ აზროვნებას (სწორედ ამით განსხვავდება რელიგია მეცნიერებისგან). რუსთაველი მიმართავს არაბულ სიტყვას „მიჯნურობა“, რომელიც ქართულად შმაგს ნიშნავს, რათა ასახოს ცნობიერების განსაკუთრებული, არა ტიპური, არა ჩვეულებრივი მდგომარეობა. უმრავლესობის გადასახედიდან სიშმაგედ, გახელებად აღიქმება ის, რაც ღვთის თვალში სიბრძნეა. მაგალითად, სალოსი, როგორც „ღვთისთვის სულელი“ – განისაზღვრება უმრავლესობის თვალსაწიერიდან, ხოლო ღვთის თვალში სწორედ იგია მიახლებული საღვთო სიბრძნეს. მამასადამე, საღვთო სიყვარულის აღმქმელია არა ჭკუა (ლოგიკური, რაციონალური აზროვნება), არამედ გონება, ან გული გონიერი; გრიგოლ ღმრთისმეტყველის (IV ს.) ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ეს არის სიბრძნე „მაღალი და აღმართმავალი“, „ხედვითი“, ხოლო იოანე დამასკელისებურად „მჭვრეტელობითი“.

მიჯნურს აღარ ძალუძს ცხოვრება რიგითი ადამიანივით, „ჭკვიანურად“, პრაგმატული უნარები მას ტოვებენ:

„ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?

ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცაღა ვიყო ცნობასა!“ (895)

– ეუბნება ტარიელი ავთანდილს, რომელიც ცდილობს სიკვდილს მიახლებული მეგობარი დაარწმუნოს, რომ მისი სასოწარკვე-

თილება არაგონივრულია, სჯობს გააზრებით, რაციონალურად მიუდგეს საქმეს და გამაგრდეს, ტანჯვა დაითმინოს („პოვნა ავთანდილისაგან დაზნედილის ტარიელისა“):

„ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ:
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის კვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ.
თავსა მრთელსა რად შეიკრავ? წყლულსა ახლად რად
იწყლულებ?“ (885)

ავთანდილი ახერხებს უსასო, პასიური მდგომარეობიდან გამოიყვანოს ტარიელი, მაგრამ ეს შეუძლებელი ხდება მაჯუნის შემთხვევაში, რომელსაც მამა მოუწოდებს ჭკუა მოიხმოს, გამოიჩინოს მოთმინება და ის უნარები, რომლებიც წუთისოფლის გასატანად საჭიროა:

„მათ მიეკედლე, რომელთაც ბედიც მიეცა, ბარაქაც,
იგი არა ქნა, ბარაქის მქონემ რაც ქვეყნად არა ქნა!
მოთმენა მწარე თავშია,
თორემ ბოლოში ამოა,
ვინც ითმენს მარგალიტები
მხოლოდ იმ მყინთავს ამოაქვს.
ჭკუა, რომელსაც არ მოსდევს,
მდევიც რომ იყოს ჩაია,
ჭკუის უქონი ყოველი
ფეხის უქონი ჭაია.
მელამ მგელს ლუკმა თუ იცი,
როგორ აართვა პირიდან? –
ამან ჭკვა თვისკენ მოიხმო,
იმან პირიდან ირიდა“.
(„ლეილი და მაჯუნი“,
მაგალი თოდუას თარგმანი, გვ.155)

მიჯნურობა და ჭკუა, როგორც პრაგმატულ-რაციონალური მოქმედების უნარი რომ ერთმანეთთან შეუთავსებელია, ამაზე საუბრობს შირინიც:

„ჭკუა ცოდნისკენ მიმითითებს ჭკუაშემცდარსა,
მაგრამ ტრფიალი მის დავთარში რომ არ ჩანს არსად!
ჭკუის მერანზე ახალგაზრდა თუ ვინმე მჯდარა,
იგი მიჯნური არ ყოფილა, არა და არა!
ლხენის წამალი ჭკვიანისგან უნდა გაკეთდეს,
რომ უჭკუოებს დასაცველად იგი მიეცეს.“
(„ხოსროვი და შირინი“ გვ. 201)

თავად ნიზამიც თავის რჩენისა და ამქვეყნიური შეძლების
რესურსად საკუთარ ჭკუას მიიჩნევს:

„დღეს მე ვფლობ ლექსის მოედანს,
მე გამაქვს ლელო სიტყვითა,
სხვამ ჩემისთანა დიდება
ქვეყნად რომელმა იტვირთა?
მიჭრიდა **ჭკუა** და ლუკმაც
ვიშოვნე, თუმცა მიჭირდა.“
(„ადუღდი, გულო, ადუღდი“,
ლირიკა, მაგალი თოდუას თარგმანი, გვ. 54)

განხილული ეპიზოდები ცხადყოფს, რომ რუსთაველის, ისევე როგორც ნიზამი განჯელის, ენობრივ-მსოფლმხედველობრივ სამყაროში სიბრძნე გულისხმობს, როგორც საღვთო, ისე საერო ცოდნას. „გონების“ სემანტიკური გააზრება უკავშირდება საღვთო ხედვის უნარს, ხოლო გარკვეულ კონტექსტებში ამ ცნების სინონიმად ვერ გამოდგება „ჭკუა“, როგორც პრაგმატული, ლოგიკური აზროვნების ნიშნული.

დამოწმებანი:

აბულაძე 1973: აბულაძე ი. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ალიბეგაშვილი 2000: ალიბეგაშვილი გ. *გრიგოლ ნოსელის ანთროპოლოგიური შეხედულებები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000.

არისტოტელე 2003: არისტოტელე. *ნიკომაქეს ეთიკა*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2003.

გამსახურდია 1984: გამსახურდია ზ. *ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.

გრიგოლ ნოსელი 1979: წმ. გრიგოლ ნოსელი. „კაცისა შესაქმისათვის“. შატბერდის კრებული. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979.

დამასკელი 1991: იოანე დამასკელი. *მართლმადიდებლური სარწმუნოების ხუსტი გარდამოცემა*. წ. III. თბილისი, 1991.

იაკობ ხუცესი 1987: იაკობ ხუცესი. „შუმანიკის წამება“. *ქართული მწერლობა*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

იმნაიშვილი 1986: იმნაიშვილი ი. *ქართული ოთხთავის სიმფონია-ლეესიკონი*. რედ. ა. შანიძე. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1986.

იოანე საბანისძე 1987: იოანე საბანისძე. „აბო თბილელის წამება“. *ქართული მწერლობა*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ. *ავთანდილის ანდერძი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 2001.

მერჩულე 1987: გიორგი მერჩულე. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. *ქართული მწერლობა*. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1987.

ნიზამი განჯელი 1974: ნიზამი განჯელი. *ლირიკა. ლეილი და მაჯუნნი*. მაგალი თოდუას თარგმანითა და წინასიტყვაობით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი განჯელი 1986: ნიზამი განჯელი. „შვიდი მზეთუნახავი“. სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ნიზამი განჯელი 2014: ნიზამი განჯელი. „ხოსროვი და შირინი“. სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუას რედაქციით. კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი. სერია კავკასიის კლასიკოსები. მეორე გამოცემა. ბაქო: გამომცემლობა „ისტ-ვესტ“, 2014.

ორბელიანი 1991: სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.

ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*. ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.

რუსთაველი 1951: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. ალ. ბარამიძის, კ. კველიძისა და ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1951.

რუსთაველი 1992: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ამხსნელი მასალა და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1992.

სირაძე 1975: სირაძე რ. *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1975.

შანიძე 1968: შანიძე მ. *შესავალი ევრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა*. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1968.



„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული
ხელნაწერი. XVIII ს. S 5006-045r
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)



„ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული
ხელნაწერი. XVIII ს. S 5006-116v
(კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი)

ლია კარიჭაშვილი
(საქართველო)

სიკეთის ცნებისათვის „ვეფხისტყაოსანში“

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.
შოთა რუსთაველი

„ჰქენი სიკეთე, სიავის გულში
კარები იკეტე,
ჰქენი სიკეთე და ნაცვლად
გზად შემოგხვდება სიკეთე!“

ნიჰამი განჯელი

ანტიკურ ფილოსოფიაში სიკეთის ცნებას ფართო მნიშვნელობა აქვს. არისტოტელე „გარეგან სიკეთეს“ უწოდებს სიმდიდრეს, ძალაუფლებას, დიდებას, კეთილდღეობას..., ხოლო სულში არსებულ სიკეთეს ყოფს გონიერებად, სათნოებად და სიამოვნებად. გარდა ამისა, მისივე თქმით, არსებობს „უმაღლესი სიკეთე“, რომელიც „სხვა სიკეთეთა მიზანია“ (არისტოტელე 1994: 15).

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში სიკეთე ღმერთის უმაღლესი ატრიბუტია. ღმერთი აბსოლუტური სიკეთეა, ძველი ქართული ცნებით, სახიერი. „იქნების სახიერებად დიდთა ღმერთის-მეტყუელთა მიერ, ვითარცა კეთილი და ვითარცა სიკეთე, ვითარცა სიყუარული და ვითარცა საყუარელი...“ (პეტრე იბერიელი 1961: 10.) ის არის პირველმიზეზი: „ყოველთა მყოფთა დასაბამი და მიზეზი უპირატესი კეთილობად არს“ (იოანე პეტრიწი 1940: 12); სამყაროს საწყისი ერთია – სიკეთე, ხოლო ბოროტება, პეტრე იბერიელის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) სწავლებით, განისაზღვრა, როგორც სიკეთის ნაკლებობა, სიკეთის გამოვლენის უმდაბლესი ხარისხი: „არასადმე არს ბოროტი, არცა არსთა შორის არს ბოროტი, რამეთუ არასადა არს ბოროტი, ვითარ იგი არს ბუნებით ბოროტი, ხოლო ბოროტ-ყოფად არა ძალისადა არს, არამედ უძლურებისადა და ეშმაკათაცა, რომელ-

იგი არიან, კეთილისაგან არიან და კეთილ არს არსებამ მათი. ხოლო ბოროტებამ მათი თვით მათისა მისგან არს კეთილთაგან განვრდომილებისა“ (პეტრე იბერიელი 1961: 57). საყურადღებოა, რომ ამ განმარტების მიხედვით, ბოროტება არა მარტო უარსო, არამედ უძლურებისა და ნაკლოვანების მანიფესტაციაა.

წმინდა გრიგოლ ნოსელის განსაზღვრება სიკეთის ბუნებისა თითქმის თანხვედრა არისტოტელეს შეხედულებას, რომლის მიხედვით, სიკეთეს ერთი სახე აქვს, ბოროტებას – მრავალგვარი: „ჭეშმარიტი სიკეთე ბუნებით მარტივი და ერთსახოვანია და უცხოა ყოველგვარი ორმაგობისა და დაპირისპირებულთა შეუღლებისათვის, ხოლო ბოროტება ჭრელია და შენიღბული“ (ნოსელი 1989: 176).

ყოველივეს სიკეთე ანიჭებს სახეს, ხოლო უსახური და უმსგავსო ღვთის სახეს დაშორებულსა და მის მსგავსებას მოკლებულს გულისხმობს. უმაღლესი სიკეთე განუყოფელია ჭეშმარიტებისგან, სიბრძნისა და მშვენიერებისგან. ადამიანის სწრაფვა საღვთო სიბრძნისკენ სიკეთისაკენ სწრაფვას გულისხმობს. „ზეგარდამოდ სიბრძნე პირველად სიწმიდე არს და მერმე მშვიდობად, სახიერებად, მორჩილებად“ (კათ. ეპისტ. 3, 17). ხოლო სიბრძნე, რომელიც ვერ ახდენს კეთილისმყოფელ გავლენას ადამიანის სულზე, ამაოა: „უსარგებლო არს სიბრძნე, რომელმან ვერ შეუძლოს განდევნად სენი იგი ბოროტი სულისაგან თვისისა“ (მამათა სწავლანი 1955: 153) (ცხადია, აქ იგულისხმება „გარეშე სიბრძნე“). საყურადღებოა სიბრძნის საბასეული განმარტება: „სიბრძნე არის მშობელი ჭკუისა და განმსჯელი ცნობათა. სიბრძნე და სივერაგე ემსგავსებიან: სიბრძნე – კეთილ, სივერაგე – არა.“ რევაზ სირაძე შენიშნავს: „საბას ეს განმარტება სიბრძნეებზე მოძღვრების რუსთველურ გაგებას ენათესავება. მათი მსგავსების საფუძველი საერთო ამოსავალია, ესაა არეოპაგიტული მოძღვრება. საბას განმარტების კვალობაზე სიბრძნე სიკეთეა, მაგრამ საბა არ აზუსტებს, თუ რომელ სიბრძნეზეა ლაპარაკი, საღვთოსა თუ საეროზე, თუ რომელი სიბრძნეა სიკეთე. ამიტომ გამოდის, რომ სიკეთეა ყოველგვარი სიბრძნე, როგორი სახითაც არ უნდა გვეძლეოდეს იგი“ (სირაძე 1975: 279).

შემთხვევითი არ არის, რომ კეთილი/სიკეთე ძველ ქართულ ენაში, საკუთრივ კეთილის გარდა, აღნიშნავს, მშვენიერს, კარგს, სახიერს, ქველს, მადლს ...

„კეთილი – ქველი, შუენიერი, უმჯობესი, სულნელი, კარგი, საპატიო, მხნე, საამო“ (აბულაძე 1973: 195).

„კეთილი – „შუენიერი, კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი (აბულაძე 1973: 508).

„სახიერი – „ქველის-მოქმედი“, კეთილი, კეთილისმოქმედი, ტკბილი“ (აბულაძე 1973: 383).

„სახიერება – სიკეთე, კეთილის-მოქმედება, სიმშვიდე, მოწყალეობა“ (აბულაძე 1973: 385).

„შუენიერი – კეთილი, პატიოსანი, ლამაზი, მშვენიერი“;

„შუენიერება – სიკეთე, სილამაზე“ (აბულაძე 1973: 508).

კეთილი – „ესე კეთილი არს ნაწილი კეთილობისა, ხოლო კეთილობა – ტბა რამე უკიდო, ხოლო სიკეთე არს წინაბჭე და ეზო კეთილობისა (+ კეთილი ნათელი არს გონიერი)“ (ორბელიანი 1991: 363-364);

სიკეთე – „წინაბჭე და ეზო კეთილობისა“ (ორბელიანი 1993: 88);

ქველი – „მოწყალე, გინა კეთილი“ (ორბელიანი 1993: 225).

მადლი განიმარტება, როგორც ყოველივე კეთილი.

მადლი – „ესე არს, რომელმან არცა ნაცვლის-გებისათვის, არცა მოყ(ვ)რობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი(ს)–საქმე ქნას; კვალად მადლი არს ყოველივე კეთილი და რადცა ცოდვა არა არს, მადლი არს“ (ორბელიანი 1991: 426-427) .

„ვეფხისტყაოსანი“ ცხადყოფს, რომ სიკეთე რუსთველის მსოფლმხედველობის, მისი მრწამსის ფუნდამენტია. ის, როგორც იდეა და მიზანი, წარმართავს პოემის სიუჟეტს და მთავარ პერსონაჟთა უმთავრეს თვისებად იკვეთება.

სიკეთის/ კეთილი, კარგი, სახიერი/ ცნება ჩანს პოემის შემდეგ ტაეპებში:

სიკეთე – „უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა“ (82, 2); „სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა“ (403, 3); „მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი“ (773, 1); „სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე“ (779, 2); „მიკვირს, თუ ეგე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების“ (1517,3); „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი“ (710).

სიკეთემიუწვდომი – „თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთემიუწვდომნია“ (1411, 1).

სიკეთე-მიუწვდომელი – „ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუწვდომელი“ (600, 4).

კეთილი – „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (1435,4); „ვერ გათნევ, თქვენმან კეთილმან, აწ ეგე არმართალია“ (565,1); „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (1361,4); „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (113,4); „ბოროტი სცვალო კეთილად, გყვენ სპანი ხრმალ-მახულები“ (1652, 4); „თქვეს: „ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთვის მზანი!“ (1509, 4); „ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო“ (809,2).

სახიერი – „მან აგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან!“ (576,3).

კარგი – „მაგრა თქმულა კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“ (432,1); „ერთგულთათვის კარგი ნუ გშურს, ორგულიმცა შენი კვდების“ (780, 2).

„ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492,2).

„ავსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკვლადებს“ (1492, 3); „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“ (1500,2); „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ (135,4); „კარგა მოხდომა საქმისა ჩემისა გაზარახულისა“ (1319,2); „კარგად მოუხდეს მათ მათნი საქმენი“ (1661,3).

„ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი იდეა სიკეთის ზეობაა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. არეოპაგიტული სწავლება სიკეთის არსისა და ბოროტების არასუბსტანციურობის შესახებ რუსთაველთან რამდენიმე ფორმულირებით გვხვდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამავე იდეას გადმოგვცემს ტაეპები: „ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (1435,4); „ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (113,4); თქვეს: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი!“ (1509, 4); „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“ (1492,2).

ნესტან-დარეჯანის გამოხსნა ქაჯეთის ციხიდან, პერსონაჟთა მიერ მრავალი განსაცდელის დაძლევის შემდეგ, წარმოადგენს სიკეთის ბოროტებაზე საბოლოო გამარჯვების სურათს, რომელიც შესაბამისი სახისმეტყველებით გადმოიცა რუსთაველის მიერ: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოემზა მთვარე გველსა“ (1420, 2). ეს მეტაფორულ-ალეგორიული სახე მითოსურ და ქრისტიანულ შრეებსაც მოიცავს, რომელთა მთავარი იდეა ბოროტების ძლევა და სიკეთის ზეობაა.

საყურადღებოა, რომ ნიზამი განჯელის შემოქმედებაში ჩანს რწმენა სიკეთისა, როგორც ერთადერთი ღვთაებრივი, ყოვლისმომცველი ჭეშმარიტებისა:

„რასაც არ უნდა ეძებდე,
რაიც არ უნდა იწვნიო,
უნდა იძიო შენ თვითონ,
შენ თვითონ უნდა იწიო.
რადგან კარგიც და ცუდიცა,
რომ გითხრა გამოკვეთილი,
მაინც სიკეთეს ერთვიან,
მაინც ერთია, – კეთილი!“

(„ლეილი და მაჯუნუნი“, გვ.110)

ღვთაებრივი სიკეთეა, რაც ადამიანს ღირსებას ანიჭებს და წუთისოფლის წყვილიადს უნათებს. ეს კარგად ჩანს მაჯუნუნის ლოცვაში უფლისადმი:

„ეჰა შენ, ვისი სიკეთით
უღირსი, ღირსად განთქმულვარ.
მომხედე, თორემ საწუთრომ
იავარმყო და დამთრგუნა!“

ნუ მიმატოვებ, უფალო,
ასე უმწეოდ დავარდნილს,
შენ, ვინც ვარ, ვინძლო შემიცნო;
კუტმა შევიძლო ნავარდი!
სიკეთით შენით ღვთიურით
გულში გამიქრე ვარამი,
შენ გამითენე წყვდიადი,
შენ განმინათლე წკვარამი!“ (გვ. 285)

„ვეფხისტყაოსანში“ ჩანს იოანე პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნების კვალი. „თვისდა ხატად წარმოიქმს ყოველი წარმოქმნილი ყოველსა თვისგნით წარმოქმნილსა“ – ამ პრინციპით, ღმერთის, აბსოლუტური სიკეთის მიერ შექმნილი სამყაროც კეთილია, მისთვის ნიშანდობლივია წესრიგი, მთლიანობა, სახეობრიობა... პეტრიწისთვის მთელი ყოფიერება ხატთა იერარქიაა. ამ ფილოსოფიურ თეორიას რევავ სირამემ უწოდა ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია (მისი აზრით, რუსთველური „სახე“ – „სახე ყოველისა ტანისა“ იგივე პეტრიწისეული „ხატია“). ამ კონცეფციის საფუძველი ბიბლიურია. ადამიანი – ხატი ღვთისა – თავისი არსით სახეობრივია. ყოფიერების სახეობრივი აღქმა გულისხმობს ესთეტიკური ხედვის პოტენციალსაც, რადგანაც ხდება ყოფიერების (საგანთა, მოვლენათა) სიმბოლიზაცია.

ამ კონცეფციის მიხედვით, ყველაფერი წუთისოფლისეული სახეობრივია, მათ შორის დროც. წარმავალი დრო მარადისობის ხატია. მას აშინაარსებს, აზრს სძენს სიკეთე. სიკეთის გარეშე დრო ფუჭია. „ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ ამქვეყნიურ მოვლენებთან, ადამიანის რაიმე საქმიანობასთან ან მთელს მის ცხოვრებასთან დაკავშირებული დროის საზრისი, მისი მნიშვნელობა უნდა განიზომებოდეს იმით, თუ ისინი როგორ მიემართება მარადიულობას, როგორ მნიშვნელობს დროის მარადიულ დინებაში და ცხოვრების შემდგომი მარადისობისათვის. ადამიანის მიერ ამქვეყნად განვლილი დრო უნდა ემსახურებოდეს მისი სულის დამკვიდრებას სასუფეველში ანუ მარადისობაში. ამიტომ ამქვეყნიური საქმიანობისათვის განკუთვნილი დრო ფასდება სიკეთით. სიკეთეა წარმავალი დროის ფასეულობის განმსაზღვრელი“ (სირამე 2000: 187). სწორედ ეს სულისკვეთება

ჩანს „ვეფხისტყაოსანში“ და განსაკუთრებით ავთანდილის „ანდერშში“, რომელშიც ყველაზე მკაფიოდ და მწყობრად გამოიკვეთა რუსთაველის ეთიკური კრედო, სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობა და ურთიერთმიმართება. „ანდერშის“ მიხედვით, განათლებამ ღმერთთან უნდა მიიყვანოს ადამიანი („მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“). აგვამალეებს სიყვარული; უმთავრესია სიკეთე, ერთგულება, მოყვასის შეწევნა და სხვა სიქველენი, რომელთაც საბოლოოდ უნდა განსაზღვრონ ადამიანის სულის საუკუნო სამყოფელი და დაუბრუნონ „მკვიდრი მამული“ – ედემი.

„ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულმხურვალები,
დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურად შევიცვალევი,
კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს, იგი ალები,
მომცეს მკვიდრივე მამული, მუნ ჩემი სასურვალები“. (812)

სიკეთე ზოგადსაკაცობრიო უნივერსალია. მასზე მაღლა არაფერია. ის თვითმიზანია. ნიზამის მთელი შემოქმედება, ლირიკული ლექსები თუ პოემები, მისი დიდაქტიკა, პირდაპირ თუ ირიბად, მანკიერებათა გმობით, მოწოდებაა სიკეთისაკენ:

„ჰქენი სიკეთე, სიავის
გულში კარები იკეტე,
ჰქენი სიკეთე და ნაცვლად
გზად შემოგხვდება სიკეთე!
ნუ ფიქრობ, რამე მოეგოს,
ვინც ივერაგა, იავა,
ბედმა მას თვისი მიუზღო
და ჰყო ვერაგი იავარ.
ჰქენი სიკეთე და თუ გინდ,
ორმოში გადაუმახე,
წინ დაგიხვდება სიკეთე
შენ, სვიანსა და უზრახველს.“ (გვ. 275)

„შეჭამეთ ნაცარი, მაგრამ ნუ შეჭამთ ბოროტების პურს!“ – ეს სიტყვები ცხადყოფს, რომ ნიზამისთვის ღირსება და სიკეთე ყოველგვარ კეთილდღეობაზე მნიშვნელოვანია.

პატიოსან, წმინდა გულის კაცს ღმერთი არ გაწირავს, სა-
ბოლოოდ მისი ხვედრი კეთილია. ბოროტი დამსახურებულ სას-
ჯელს იღებს. ესაა „მწვანე სასახლისა“ და „სანდალოზისფერი სა-
სახლის“ (პოემიდან „შვიდი მზეთუნახავი“) მთავარი სათქმელი.

ისევე როგორც რუსთაველი, ნიზამიც სიცრუეს მიიჩნევს
უზნეობისა და უბედურების საწყისად.

რუსთაველი:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:
„სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“. (797)

„რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!“ (798)

ნიზამი:

„სიცრუეშია საფუძველი
გაუტანლობის,
სიმართლე ჰგეის უკუნითი
უკუნისამდის.
(„შვიდი მზეთუნახავი“, გვ. 162)

ორივე შემოქმედისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას
იძენს სიკვდილი, ან უკეთ რომ ვთქვათ, ხსოვნა სიკვდილისა,
რომელიც საუკუნო ცხოვრების ერთგვარი კარიბჭეა და განსა-
კუთრებულ ფასს სძენს სიცოცხლეს, ამავე დროს მარადიულ
ღირებულებებზე ფიქრს აიძულებს ადამიანს:

რუსთაველი:

„ვერ ვერუვები, ვერ ვუზამ საქმესა სამაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“. (805)

„ცთების და ცთების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად,
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად“. (809)

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, მოყმე და ძალგულოვანი,
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“. (800)

ნიზამი:

„ჟამი მოვა და დარეკენ
ზარები ჩვენი გასვლისა,
საწუთრო სიქას გაგვაცლის,
გაგვაბრტყელებს და გაგვსრისავს.
ჩვენს დაფშენილ თიხას ტიალი
კვლავ რომ მოხვეტავს, იქიდან
ახალ ხატებას გამერწავს
ახალი სახის სიქითა.
ჰვი შენ, ვინაც ურცხვობის
სირცხვილით უნდა იწვოდე,
განკითხვა მოდის, სირცხვილი
თუ არ იცოდი, იცოდე!“
(„ჰვი, შენ მძიმე ვარამით...“, გვ. 82).

„სული სამადლოთ გათხოვეს
ნასხვისარი და ნისია,
ხვალ პატრონს უნდა ჩაბარდეს,
აბა პატრონი რისია!
ამ ქვეყნად ყოფნა ნეტარი
ნუ გაგიტკბება ნამეტურ!
სუფევს ამ სოფლად სიკვდილი,
სიცოცხლე ჰვიეს რამეთუ!
ჰგონია, შენ არ მოგიწევს,
აქ დაიხანე რახანაც,
გუდა-ნაბადი აიკრა,
აკრიფო ბარგი-ბარხანა!“
(„ლეილი და მაჯნუნი“, გვ. 312)

„ვეფხისტყაოსნის“ „სამყარო“ მთლიანია, ერთიანი. ცა და მიწა, სულიერი თუ უსულო ურთიერთკავშირშია, ერთ ენაზე მოლაპარაკე („... ენა რამ საიდუმლო უსაკოთა და უსულთ შორის“, ნ. ბარათაშვილი). ადამიანი ამ სამყაროს ცენტრშია, განგების მორჩილი და ღვთის მსასოებელი, ამავე დროს, სიკეთისათვის მეზრძოლი. ეს მთლიანობა და დაურღვეველი კავშირი აისახა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფში:

„რა ესოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,
ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან,
იმღერს ლექსთა საბრალოთა, ღვარისაებრ ცრემლნი სდიან“. (967)

ადამიანს შეუძლია გული გადაუშალოს ცას და მნათობებს,
როგორც მესაიდუმლეთ, თავის სატკივარზე ემუსაიფოს („წასვლა
ავთანდილისაგან ფრიდონისასა“).

სამყაროს მთლიანობის სურათს ვხედავთ ნიზამის შემოქ-
მედებაში, როდესაც მაჯნუნი ევედრება შემწეობას ცისკრის
ვარსკვლავსა და მუშთარს. მის განუყრელ ამაღლად, მცველად და
მსახურად კი ქცეულა ყველა ნადირი:

„თითქოს ნადირთაც გაეგოთ,
რომ ამ კაცს სული დასწვოდა,
მისდა მორჩილად მორბოდა,
თუ სადმე მხეცი დამრწოდა.
ლომი იყო ის, ირემი,
გინა მგელი თუ მელია,
წინ ისე უდგნენ, იტყოდი:
„ამის ბრძანებას ელიან.“
ვითა სოლომონს (ამ მეფის
ამბავი გაგეგონებათ)
მთელმა ნადირთა საუფლომ
მაჯნუნს დაუწყო მონება.“
(„ლეილი და მაჯნუნი“, გვ. 281)

რუსთველისა და ნიზამისთვის ყველაზე დიდი სიკეთე და
ღირებულება ამ სამყაროში ადამიანია, უფლის შემოქმედების
გვირგვინი, მისივე ხატი. „იგი ლხინი სოფლისა, იგია ნივთი და
ვალი“, – აღნიშნავს რუსთაველი ავთანდილის შესახებ, რომე-
ლიც ამ სოფლის მშვენება და სიხარულია, მისი შექმნის მიზეზი-
ცაა და მიზანიც. ასევეა ნიზამისთვის:

„ის ვინც, თიხიდან გთითხნიდა,
ის ვინც მიწისგან გძერწავდა,
გული გქონოდა ეცადა,
რადგან სიკეთე ეწადა.
და ავი დიდის ჯაფითა
მიწის ქმნილებას მან ცითა
სხეულში სული ჩაგიდგა,
გული აგივსო განძითა“.
(„ჰეი შენ მძიმე ვარამით“, გვ. 80)

„იგივეა მხსნელი ჩემი, ვინცა მიწა გამაკაცა“ – მეფე როსტევეანის ეს სიტყვები მის ღრმა მორწმუნეობასთან ერთად, ცხადყოფს, რომ იგი საკუთარ თავში მოიაზრებს ადამსაც, პირველკაცს, და უშუალოდ მიმართავს სამყაროს შემოქმედს.

ამავე მოტივის ვხვდებით ნიზამი განჯელთან:

„შენ ხარ, პირველად მიწისაგან შემქმენი ვინაც,
სხვა ქმნილებებზე უფრო ვინაც გამომაჩინა.
თუ განმინათლე სახის არე, თვალებიც ბარემ
შენ განმინათლე; თუ მოწყალე, მადლობით მარე.
მომე მოთმენა, ჭირში ვიყო გამძლე და მთმენი,
მაგრამ ლხინშიაც არ დამტოვო მესავი შენი.“
(„ხოსროვი და შირინი“, გვ. 31)

სამყაროს ჰარმონიულობას და წესრიგს განასახიერებს „ვეფხისტყაოსანში“ არაბეთის სამეფო. „არაბეთის კარის ამბავს გვიამბობს თავად ავტორი, რომელიც შემოქმედის კვალზე ქმნის არაბეთს, როგორც სრულყოფილი ქვეყნის ხატებას... არაბეთის კარი ჰარმონიული სამყაროს სახეა, ხოლო მისი მეფე – ღვთისა“ (კიკნაძე 2001: 5).

არაბეთში მოწესრიგებული და დალაგებულია ყველაფერი. აქაური იერარქია ბამავს ზეციურს, მორჩილება ეყრდნობა, პირველყოვლისა, სიყვარულსა და რიდს, პატივისცემას. სოციალურად მაღალი ფენა არა მარტო მზრძანებელია, არამედ მზრუნველიც არის, პატრონია დაქვემდებარებული ფენისა. მათ შორის

მეგობრული ურთიერთობა და სიყვარული შესაძლებელია. საყურადღებოა, რომ მაღალ სოციალურ ფენას, არისტოკრატებს, რომელიც ამავე დროს რაინდის სტატუსსაც უნდა ითავსებდეს, მოეთხოვება დაიცვას ზნეობრივი კოდექსი, იყოს ჰუმანური, კეთილი, სამართლიანი, მოწყალე და იმ ღირსებათა მატარებელი, რომლებიც ხაზს გაუსვამს მის შინაგან არისტოკრატიზმსაც. ეს ყოველივე გამოარჩევს მას მონა-ყმის ზოგადი მხატვრული სახისგან, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს გარკვეული (არა მხოლოდ სოციალური) ზნეობრივი ვალდებულებანი.

არაბთა მეფე როსტევეანის მხატვრული სახე, რომლითაც იწყება პოემის სიუჟეტი, წარმოადგენს მეფე-პატრონის შუასაუკუნეობრივ იდეალს, ვინაიდან მის პორტრეტში თავმოყრილია ფიზიკური, მორალური თუ ეთიკური კატეგორიების მთელი წყება („ღმრთისაგან სვიანი“, „მაღალი“, „უხვი“, „მდაბალი“, „ლაშქარმრავალი“, „მოსამართლე“, „მოწყალე“, „მორჭმული“, განგებიანი...). როსტევეანის სახე ხელმწიფის ღვთაებრივი წარმოშობით არის შთაგონებული.

პრინციპი – „რასაცა გასცემ შენია, რაც არა – დაკარგულია“, რომელსაც მეფე როსტევეანი თავის ქალიშვილს უწერავს, რეალურად მადლის მოპოვების ქრისტიანული ფორმულაა და გვახსენებს სახარებისეულ თეზას: „ვინც სთესა, მოიმკო და ვინც განაზნია გლახაკთათვის, შეიკრიბა“.

მეფე პირად ურთიერთობებში ჰუმანურია, ღმობიერი და ზოგიერთ შემთხვევაში, თავმდაბალიც კი. მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ მეფე ავთანდილს სიხარულით იღებს სიძედ მიუხედავად იმისა, რომ ის მეფური წარმოშობისა არ არის. როსტევეანი მას აფასებს პიროვნული ღირსებების: სიბრძნის, სიმამაცის, დიდსულოვნების, ერთგულებისა და სხვა სიკეთეთა გამო, ამიტომაც ამ წინადადებით გახარებულიც კი რჩება:

„სხვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს“. (1525,4)

„მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვპოვებ ვერა...“. (1526,1)

ავთანდილი – „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი“ (710). მისი სიმამაცის, ძლიერების, წონასწორო-

ბის საფუძველი ღვთის რწმენა და განგების მორჩილებაა. იგი არ კმაყოფილდება მიჯნურის დავალების შესრულებით – უცხო მოყმის მონახვით – და თავს ვალდებულად მიიჩნევს დაეხმაროს განსაცდელში მყოფ „უცხოს“, უკვე მოყვასად ქცეულს და ცხოვრების მიზნად მისი გადარჩენა დაისახოს. „მას რა ვარგო დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად“ (796). თუმცა ამ გზაზე რეალურია საბედისწერო ალბათობა: „თუ საწუთრომან დამამხო ...“ (802). „სხვისი სიკეთით გახარების იდეალის უმთავრესი გამომხატველია ავთანდილი. უავთანდილოდ სიყვარულს ბედნიერება არ უწერია“ (სირაძე 2000: 314).

რუსთაველის მთავარი პერსონაჟები უმდიდრესნი და უძლიერესნი არიან. არაერთ ეპიზოდში ვხედავთ მათ სიუხვესა და უანგარიშო, ულევ საბოძვარს, რომლითაც ავსებენ დიდსა თუ მცირეს, თუმცა ტარიელიც, ავთანდილიცა და ფრიდონიც იოლად თმობენ კეთილდღეობას ისეთი მიზნებისთვის, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, მოყვასის შეწევნა და სხვა („მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრებ კიტრად, ბერად,/ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამამად და მიჩანს მღერად“). ისინი მოქმედებენ იმ ზნეობრივი პრინციპებით, ურომლისოდაც სიცოცხლე სიკვდილზე უარესია („სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“).

ცხადია, „ვეფხისტყაოსანში“ ჩანს, რომ ადამიანი რთული ფენომენია. ყველას თანაბრად არ ძალუმს გააცნობიეროს თავისი, როგორც ღვთის ხატის, უმთავრესი დანიშნულება ამქვეყნად, იფიქროს თვითსრულყოფაზე. ასეთ ადამიანთა უმთავრესი საზრუნავი მიწიერ ზრახვებს უკავშირდება, ასეთია, მაგალითად, არაბეთის „მექრთამე“ ვაზირი, გულანშაროს მკვიდრი უსენი, მეკობრენი და სხვა. აგრეთვე, ქაჯნი, მითოლოგიური არსებანი, რომლებიც აქ ბოროტებას განასახიერებენ („ყოველთა კაცთა მავნენი...“). რუსთაველის ქმნის მხატვრულ რეალობას, რომელშიც ბოროტება და ცოდვა, ნებისითი თუ უნებლიე, სიკეთესთან ერთად თანაარსებობს, თუმცა საბოლოოდ სიკეთე იმარჯვებს ბოროტებაზე.

რუსთაველისთვის კეთილი და მშვენიერი განუყოფელია. რაც სიკეთეს მოკლებულია, ის მშვენიერი ვერ იქნება.

ღრმა კავშირს ეთიკისა და ესთეტიკის პრობლემატიკას შორის ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიექცა ყურადღება. „ნიკო-მაქეს ეთიკაში“, ისევე როგორც „დიდ ეთიკაში“, არისტოტელე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სათნოების მიზანი ზნეობრივი მშვენიერებაა. სიკეთე და მშვენიერება მისთვის ერთი მთლიანობაა, არისტოტელეს ეკუთვნის ტერმინი „კალოკაგათია“, რაც კეთილისა და მშვენიერის თანამყოფობას ნიშნავს. „არ იქნება შეცდომა, თუ ყოვლად წესიერი ადამიანის მიმართ ვიხმართ გამოთქმას კალოკაგათია, რადგან როცა კაცი ყოველმხრივ კარგია, მასზე ამბობენ, რომ ის მშვენიერიცაა და კეთილიც. მშვენიერია როგორც სათნოება, ისე მისგან გამომდინარე მოქმედებანი“ (არისტოტელე 1994: 67). არისტოტელეს მხედველობაში ჰქონდა ზოგადად კეთილი, რაც საყოველთაოდ კეთილია, და ზოგადად მშვენიერი, რაც ობიექტურად მშვენიერია.

არისტოტელესეული „უმაღლესი სათნოება“, „ზოგადი კეთილი“ და „ზოგადი მშვენიერი“ ქრისტიანულ თეოლოგიაში ჭეშმარიტი სიკეთე და მშვენიერებაა. ისინი ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთისგან გამომდინარეობენ. ღმერთი ჭეშმარიტი სიკეთეა, ჭეშმარიტი მშვენიერებაა („მშვენიერება შეიმოსა“).

სასულიერო მწერლობაში სიკეთე განუყოფელია მშვენიერებისგან. პერსონაჟის მშვენიერებას მისივე ქმედებანი განსაზღვრავს. რუსთაველი ამ ტენდენციის გამგრძელებელია. ზნეობრიობა მშვენიერების გამსაზღვრელ ძირითად ფაქტორად გვევლინება პოემაში. მკვლევარი გიორგი ნადირაძე სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს, როდესაც შენიშნავს, რომ რუსთაველისთვის ადამიანური განცდისა და ქცევის ესთეტიკური ღირსება ემყარება ეთიკურს, მშვენიერია მხოლოდ ის, რაც ზნეობრივია.

პერსონაჟთა გარეგნულ მშვენიერებას, რომელსაც ასე ჰიპერბოლურად გადმოსცემს რუსთაველი, მათი მსოფლმხედველობრივ-ეთიკური მრწამსი განსაზღვრავს და მათივე ქმედებები და ურთიერთობები ადასტურებს, ამიტომაც უკავშირდება ამ მხატვრულ სახეებს მშვენიერების, სიკეთისა და ძლიერების სიმბოლოები: მზე, ლომი, ვარდი, ნათელი და სხვა... სადაც ზნე-

ობა ნაკლოვანია, ნაკლოვანია გარეგნული ხატიც და პერსონაჟი „თვალად ნასია“.

რუსთაველისა და ნიზამის პერსონაჟთა აღწერის მხატვრული მეთოდი მსგავსია. ირინა კილაძე ნაშრომში „პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით“ ცდილობს მხატვრული ენის შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს პოეტური მეტყველების მსგავსება-განსხვავებანი. ორივე თხზულებიდან წარმოდგენილია მასალა, რომელიც პერსონაჟთა აღწერა-დახასიათებისთვის არის გამოყენებული. მასალა ასეა დაჯგუფებული: 1. მიჯნურისათვის (ზოგადად); 2. სახისათვის; 3. ტანისათვის; 4. თვალებისათვის; 5. თმებისათვის; 6. ბაგე-კბილისათვის; 7. წარბ-წამწამისათვის. მკვლევარი ასკვნის, რომ მხატვრული სახეები მეტწილად ორივე პოემაში იდენტურია. თუმცა თვალსაჩინოა განსხვავებაც, რაც ორივე პოეტის ინდივიდუალურ მხატვრულ აზროვნებასა და მეტყველებას ადასტურებს (კილაძე 1993: 51-64).

გარეგნული მშვენიერება ნიზამის შემოქმედებაში, ისევე როგორც რუსთაველთან, ძირითადად პერსონაჟის შინაგან სიკეთეს, სულიერ სილამაზეს გამოხატავს, სიმახინჯე კი მანკიერი ბუნების ამსახველია. საყურადღებოა, რომ ქალი ნიზამის შემოქმედების ცენტრალური ფიგურაა. მშვენიერების სიმბოლო, სიყვარულისა და თავყანისცემის ობიექტი. ქალთა საკითხს საგანგებო ნაშრომი უძღვნა დილარა ალიევამ. იგი აღნიშნავს, რომ ნიზამის ქალები ჭკვიანები, გონიერები, ინტელექტუალები არიან. „ნიზამამდე მსოფლიო ლიტერატურაში არც კი იყვნენ ცნობილი ასეთი ქალები ... ნიზამი და რუსთაველი ერთნაირი პატივისცემითა და მოწიწებით ეკიდებიან ქალებს, ხოლო მათი მოსაზრებანი და შეხედულებანი დაფუძნებულია ქალის როლის სწორ გაგებაზე როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში“ (ალიევა 1983: 151-155).

ნიზამი განჯელის პერსონაჟთა შორის არიან სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლები: შაჰები, დიდებულები, რიგითი ადამიანები. სიკეთე ყველას ვალდებულებაა, რადგან:

„ავს რომ ჩაიდენ, შემდეგ ხიფთას ველარ ასცდები,
სამაგიეროდ შენც სიავის წერა გახდები.
ზეცა სიმართლის სარკე არის და, შეიძლება,
რასაც რომ შენგან ნახავს, შენც ის არ მოგეშლება.
ემცნო ქვეყანას, – ცუდი საქმე ვინც ჩაიდინა,
არა სხვების სულს, მან თავის სულს ცუდი შესძინა.
ნუთუ არ იცი ნაამბობი ამ გზის გამგისა:
ვინც ჭასა სთხრიდა, თვითონ ჭაში ჩავარდა ისა“.
აზრი უფლისა უაზროდ არ წარმოითქმება,
მიწა და ზეცა უსამართლოდ არ შეიძლება“.
(„ხოსროვი და შირინი“ გვ. 396)

გზა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ არის საზოგადოების და, ზოგადად, კაცობრიობის მომავლის ორიენტირი, რადგან თავად ადამიანია უმაღლესი ღირებულება ამ სამყაროში. ნიზამის შემოქმედების მკვლევარი ჯამალ მუსტაფაევი წერს: „ნიზამის მიაჩნდა, რომ ადამიანი არის უმაღლესი, ყველაზე სრულყოფილი და ფასეული არსება. ამ საკითხის განხილვას მან დაუთმო თავისი პოემის, „საიდუმლოებათა საგანძურის“ საგანგებო თავი, რომელშიც იგი მსჯელობს ადამიანის ცხოველებზე უპირატესობის შესახებ. პოეტი-მოაზროვნის თვალსაზრისით, ადამიანი სწორედ გონიერებით აღემატება სხვა ცოცხალ და არაცოცხალ არსებებს. ადამიანი, – ამბობდა ნიზამი, – მისი ბუნებიდან გამომდინარე, არის კეთილი, სუფთა, ამიტომ უნდა ამყობდეს თავისი მაღალი დანიშნულებით. ის იბადება არა ბოროტების, არამედ სიკეთისთვის. ასე რომ, საჭიროა, ემსახუროს სიკეთეს, განავითაროს თავის თავში კეთილშობილი თვისებები (მუსტაფაევი 1962: 126).

იმავეს თქმა შეიძლება რუსთაველის შესახებაც, რომელმაც ადამიანი დააყენა სამყაროს ცენტრში, მის ძლიერებას, მშვენიერებას, გონიერებას და კეთილშობილებას შეასხა ხოტბა. რუსთაველის ანთროპოლოგია ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დგას, თუმცა რელიგიური სხვაობა ხელს არ უშლის ორ დიდ შემოქმედს იყვნენ თანამოაზრენი იმ ფუნდამენტურ საკითხებში, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით ზოგადსაკაცობრიოა და ადამიანის ზნეობრივ სრულყოფას ისახავს მიზნად.

დამოწმებანი:

აბულაძე 1973: აბულაძე ი. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973.

ალიევა 1983: ალიევა დ. *ქალი – მთავარი მოქმედი გმირი (ესთეტიკური იდეალის გამოხატულება ნიზამისა და რუსთაველის შემოქმედებაში)*. ჟურ. „მნათობი“, 1983, № 9. გვ. 151–155.

არისტოტელე 1994: არისტოტელე. დიდი ეთიკა. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შესავალი წერილი დაურთო თამარ კუკავამ. თბილისი, 1994.

გრიგოლ ნოსელი 2009: გრიგოლ ნოსელი. *შესაქმისათვის კაცისა*. ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გვანცა კობლატაძემ. თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2009.

იოანე პეტრიწი 1940: იოანე პეტრიწი. *პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი*. შრომები. ტომი I. ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. შესავალი სტატია მოსე გოგიბერიძისა. თბილისი, 1940.

კიკნაძე 2001: კიკნაძე ზ. *ავთანდილის ანდერძი*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“. 2001.

კილაძე 1993: კილაძე ი. *პერსონაჟთა გარეგნული აღწერის პოეტიკა* „ვეფხისტყაოსნისა“ და „ხოსროვშირინიანის“ მიხედვით. ჟურ. „მაცნე“. ელს. 1993, № 2, გვ. 51-64.

მამათა სწავლანი 1955: მამათა სწავლანი. X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1955.

მუსტაფაევი 1962: Мустафаев, Дж. *Философские и этические воззрения Низами*. Академия Наук Азербайджана. Баку: 1962.

ნადირაძე 2006: ნადირაძე გ. *რუსთაველის ესთეტიკა*. II გამოცემა. თბილისი, 2006.

ნიზამი განჯელი 1974: ნიზამი განჯელი. ლირიკა. „ლეილი და მაჯნუნი“. მაგალი თოდუას თარგმანითა და წინასიტყვაობით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1974.

ნიზამი განჯელი 1986: ნიზამი განჯელი. „შვიდი მზეთუნახავი“. სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.

ნიზამი განჯელი 2014: ნიზამი განჯელი. „ხოსროვი და შირინი“. სპარსულიდან თარგმნა ამბაკო ჭელიძემ, მაგალი თოდუას რედაქციით. კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი. სერია კავკასიის კლასიკოსები. მეორე გამოცემა. ბაქო: გამომცემლობა „ისტ-ვესტ“, 2014.

ორბელიანი 1991: სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*. ტ. 1. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1991.

ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი. *ლექსიკონი ქართული*. ტ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.

პეტრე იბერიელი 1961: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეპაგელი). *შრომები*. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბილისი: 1961.

რუსთაველი 1951: შოთა რუსთაველი. *ვეფხისტყაოსანი*. ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით. თბილისი, 1951.

სირაძე 1975: სირაძე რ. *ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1975.

სირაძე 2000: სირაძე რ. *ქართული კულტურის საფუძვლები*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000.

პირთა საძიებელი

ა

- აბაზოვი ალი 86, 91, 101 90,
აბაშიძე ირაკლი 41, 286, 397, 418, 419
აბაშმაძე ვახტანგ 331
აბდულაევა ფირუზა 377, 380, 387, 390, 391
აბდულქარიმი ალი ზადე 84
აბო თბილელი 465
აბუ ალი ჰუსეინ ბინ ალი (იხ. იბნ სინა)
აბუ ლ-ფარაჯ ალი იბნ ალ-ჰუსაინ ალ-ქათიბ ალ-ისპაჰანი 400, 402
აბუბაქრი 56
აბულაძე ილია 13, 288, 306, 336, 457, 460, 461, 473, 477, 491
აბდურაჰმან ჯამი 55
აგაევი აკბარ 86, 158, 168, 169, 175
ავალიშვილი ზურაბ 243, 246, 248, 260, 278, 280, 284, 286, 444
ავგუსტინე ნეტარი 223, 237
აზადე რ. 73, 86, 92, 93, 101
ათაი 178, 179, 180, 181, 186
ალამი ზ. 352, 375
ალასგარზადე ა. 171
ალაჰვერდიევა ზარა 33, 73, 85, 158, 167, 175
ალექსანდრე მაკედონელი (ალექსანდრე დიდი) 61, 64, 65, 85, 87, 89, 90, 91, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 119, 241, 339, 340, 341, 342, 343, 366, 370, 377, 378, 379, 380, 381, 382, 383, 384, 385, 386, 387, 390, 391, 392
ალიბეგაშვილი გიორგი 473
ალიევა დილარა 27, 28, 33, 34, 37, 73, 191, 204, 489, 491
ალიევა სამირა 141
ალიევი გაზანფარ 34, 73, 86, 156, 158, 161, 166, 170
ალიევი ილჰამ 173
ალიევინდირი ქაზანდარ 100, 102
ალიევი რ. 73, 86, 142, 171
ალიევი რაჰიმ 331, 332, 335
ალიევი რუსტამ 158, 170,
ალიევი ქ. 161, 171

ალიევი ჰეიდარ 161, 175
ალიზადე აბდულ ქარიმ ალი ოღლი 142, 155, 173, 175, 176
ალიზადე მუბარიზ 73,83, 84, 86, 145, 146, 171
ალიზადე ჰ. 94
ალ-კინდი 338
ალი-სულთანი 86
ალ- ტაბარი აბუ ჯაფარ მუჰამედ იბნ ალ-ჯარირ 92
ალ-ფარაბი 338
ალ ღაზალი 310
ალ-ყაზვინი ზაქარია 141
ამინი რუჰულ 139
ამირხანაშვილი ივანე 30, 31, 189, 239, 337
ანაქსაგორა 342, 468
ანდრეას კაპელანი 413
ანდრია კესარიელი 291, 305
ანტოკოლსკი პაველ 170
ანტონ I 287
ანუშე ჰ. 375
აპოლონიუსი 368
არაგონი ლუი 156, 175
არასლი ნუმბა 100, 101, 109, 110, 157, 158, 161, 175, 177
არასლი ჰამიდ 34, 35, 36, 60, 71, 73, 81, 83, 86, 101, 139, 142, 143, 144, 145,
158, 162, 175
არბერი ა. 173, 417
არაში ჰ. 98
არენდსი ა. რ. 171
არზუმანლი ვაგიფ 158, 175
არზუმანოვა იმპერიალ 158
არიანი ფ. 94, 101
არისტოლეზულუსი 90
არისტოტელე 48, 61, 77, 84, 97, 100, 198, 202, 207, 237, 241, 337, 338, 339, 341,
342, 345, 348, 349, 366, 368, 444, 462, 468, 473, 475, 476, 488, 491
არიფი მ. 73
არსენ ბერი 288
არსლანი ყიზილ 56

ასადულაევი ს.158, 171
ასათიანი გურამ 22, 23, 304, 305
ასათიანი ვალერი 350
ასათიანი ლევან 167
ასლანოვუნდურ ვაგიფ 88,100
ას საალაზი 92
ასდარზადე ალი 84
ატკინსონი ს. 167, 170
აუზლი კარლ 167, 170
აუფი 141, 142
აფაქი 57
აფსკაზადე ალასკან 84, 158
ადამიროვი ჯ. 71
ადმაშენებელი დავით 223, 224, 231
აშიკ ფაშა182, 185
ახუნდოვი მ.მ. 85
ახუნდოვი მირზა ფათალი 85
აჯიაშვილი ჯემალ 282, 305
აჰმედი 165, 170, 181, 183, 185, 186

ბ

ბაბაევი ფ. 84, 171
ბაგრატიონი თეიმურაზ 276, 277, 281, 286, 305, 431, 457
ბაგრატ კურაპალატი 287
ბადალოვა თაჰმინა 156
ბაკიხანოვი ა. 85
ბალ'ამი 92, 377, 379, 390
ბალზაკი ონორე დე 55
ბარათაშვილი ნიკოლოზ 483
ბარამიძე ალექსანდრე 13, 17, 18, 19, 21, 34, 41, 207, 234, 249, 282, 284, 310, 331, 336, 375, 376, 397, 418, 419, 444, 455, 457, 458, 474, 492
ბარბერი მალკომ 230
ბარი მაიკლ 173, 174
ბატკინი ლ. 190, 204
ბაუზანი ალექსანდრო 170

ბაშიროვა ჰურნისა 103
ბაჩერი ვილჰელმ 85, 166, 170
ბახტინი მიხეილ 45, 52, 214, 215, 216, 234, 237
ბაჰმანი ისპანდერ 105
ბერიძე ვუკოლ 280
ბერკოვი პ. 331
ბერტელსი ევგენი 13, 34, 61, 72, 73, 84, 86, 88, 93, 101, 123, 142, 143, 144, 155, 156, 157, 158, 167, 170, 171, 172, 175, 194, 204, 363, 377, 380, 385, 390, 396, 407
ბექა ოპიზარი 42
ბეჰიშტი 165, 178, 179, 182
ბილდირევი ა. 19
ბიურგელი ჯ.ს. 379, 380, 390
ბოზორგი უმიდ 182
ბოკაჩო ჯოვანი 140, 167, 169
ბოლინა 100
ბონდარენკო ა. 57
ბოტარო გ. 246
ბოურა მორის 43, 44, 45, 52, 204
ბრაგინსკი ო.ს. 167
ბრაუნი ელვარდ 85, 170
ბულიანისი (იხ. აპოლონიოს ტიანელი) 339, 340, 343
ბურგელი კ. 170
ბურსალი 179

ბ

გაზიმზადე ფუად 169
გამსახურდია ზვიად 201, 202, 206, 255, 280, 286, 287, 305, 461, 470, 473
განჯიევი აბდულ-ულა 33
გარდავაძე დარეჯან 399, 401, 402
გაწერელია აკაკი 203, 204
გაჯიევი აგილ 350
გელოვანი ნანა 333, 335
გელპკე ვ. 73,
გელპკე რუდოლფ 170, 417
გვახარია ალექსანდრე 34, 191, 204, 335, 417

გიგინეიშვილი ბაქარ 474
გიორგი III 288
გიორგი IX 399
გიორგი მერჩულე 466, 474
გიუნაშვილი ელენე 474
გოგიბერიძე მოსე 201, 204, 310, 312, 313, 324, 331, 336, 444, 491
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 160, 167, 168, 175, 342, 350
გოლცევი ვიქტორ 167
გონჯილაშვილი ნანა 202, 204, 248, 283, 297, 419, 454
გორგანი ფახრ ედ-დინ 309, 318
გოტიე თეოფილ 168
გოტფრიდ სტრასბურგელი 399, 406, 417
გოცი კარლო 167, 169
გრიბოედოვი ალექსანდრ 67
გრიგოლაშვილი ლაურა 207
გრიგოლ ნოსელი 467, 468, 473, 474, 476, 491
გრიგოლ ღვთისმეტყველი 471
გულაკი ნ. ი. 333, 335
გულშაპირი 181, 185
გულუზადე მ. 13, 73, 86, 197, 204
გულუზადე ზ. 73, 86, 355
გურგანი 37
გურევიჩი არონ 209, 211, 212, 213, 215, 216, 217, 218, 219, 237

დ

დადაშ-ზადე მ. 13
დანტე ალიგიერი 55, 167, 169, 220, 236
დარაბი ქ. ჰ. 170
დარჩია ბორის 207, 284
დასთერდი ვაჰიდ 143, 144, 148, 149, 151, 153, 154, 155, 156, 158, 171, 375
დევისი რიჩარდ 173, 381, 391
დ'ერბელო ბარქელემი 166
დე ტრუა კრეტენ 411, 412, 413, 415, 417
დეჰლევი ამირ ხოსროვი 58, 139, 161, 162, 182
დინავარი 92

დიუბუა დე მონტერე 167

დორნი ბ. ა. 85

დუხალი მირზა რასულ ისმაილოზადე 78, 84, 101

დო ვლათმაჰ სამარყანდელი 66, 69, 85, 141

დოფიკარ-აერტსი ფაუსტინა 378, 390

დუბე ლ. 170

დუკაგჯინი იაჰია 161, 165

დუნაევსკი ე. 36, 73

ე

ევკლიდე 338

ეზრა მოშე იბნ 292, 305

ეთე კარლ ჰერმან 85, 167

ელბაქიძე მაკა 31, 41, 52, 204, 205, 207, 210, 211, 221, 227, 233, 237, 390, 395, 411

ემპედოკლე 202, 345, 347

ენდრიუსი მუგადას 171

ენუქაშვილი სამსონ 492

ერდმანი ფრანც 85, 167, 170

ერიკსონი კაილი 380, 381, 390, 391

ეფენდიევა ნიაგარ 190, 191, 195, 197, 205

ეფრემ მცირე 468, 474

ვ

ვალისი (იხ. თალეს მილეტელი)

ვან გენეპი არნოლდ 225, 226, 237

ვასაძე თამაზ 247

ვახტანგ VI 286, 305

ვაცულინი ივო 26

ვენეტისი ევანჯელოს 382

ვენტადორნელი ბერნარდ 396, 406

ვიდალი პიერ 406

ვივალდი ანტონიო 193

ვილბერფორს კლარკი ჰ. 380. 392

ვირგილიუსი 209, 405

ვოლტერი 168, 169

ვორსი სკოტ 166, 170

ზ

ზადეჰი აბდულქარიმ ალი ოღლი 165

ზანჯიანი ბ. 171

ზომმორდი კ. 352, 375

თ

თალეს მილეტელი 338, 339, 342, 343, 368, 468

თამარ მეფე 19, 41, 42, 288

თამასიბი გ. 94

თევზაძე გიორგი 244, 245, 246

თერნერი ვიქტორ 226, 227, 237

თვარაძე რევაზ 207

თოდუა მაგალი 13, 21, 22, 192, 205, 247, 251, 281, 305, 306, 335, 403, 417, 457, 472, 474, 491

ი

იაზდიგარდ I 110, 114, 115, 116

იბნ ალ არაბი 83, 84, 310

იბნ რუშდი 338

იბნ სინა 310, 338, 355, 376

იბნ ჰაზმი 405, 417

ივნევი რ. 170

იზერი ვოლფგანგ 208

იმედაშვილი გაიოზ 13, 248, 258, 281, 286, 305, 425, 426, 444, 457

იმნაიშვილი ივანე 474

ინანი აბდულქადირ 74

ინგოროყვა პავლე 13, 41, 281, 286, 397, 418, 419, 431, 457

იოანე დამასკელი 467, 471, 474

იოანე მოციქული 222

იოანე პეტრიწი 202, 345, 370, 480, 491

იოვანე საბანისძე 291, 296, 299, 305, 466, 474

ისლამოვი როვმან 336

იუმანი ემინ 178

იუნგი კარლ გუსტავ 75

იუსუფლი ხალილ 34, 37, 38, 73, 86, 141, 142, 144, 148, 151, 153, 155, 158, 174, 176, 375

იფტიჰარი გ. 158

კ

კაზიმოვი მეჰდი 158, 162, 176
კალაძე ინგა 28, 29, 195, 205
კალისტენე 90, 91
კამილო ქემალ 179
კანიძია აგნეს 231, 232, 233, 235, 237
კარაჩანი თურგუთ 185
კარბელაშვილი მარიაშ 207
კარიერი მორის 170
კარიჭაშვილი ლია 203, 205, 459, 475
კასარი მარიო 380, 387, 390
კასირერი ბრუნო 417
კაფარლი რ. 197, 205
კეკელიძე კორნელი 13, 14, 16, 17, 19, 20, 34, 207, 234, 237, 310, 312, 313, 315, 316, 318, 320, 327, 335, 376, 419, 474, 492
კიკნაძე ზურაბ 281, 282, 466, 474, 485, 491
კილაძე ირინა 25, 26, 489, 491
კლარკი უ. 167
კლიმოვუნი ლ. 167
კობელი ე. 216
კობიძე დავით 13, 19, 20, 21
კონსი უილიამ 170
კოპლატაძე გვანცა 491
კოტეტიშვილი ვახუშტი 281, 306, 335
კონდაკოვი ნ. 288, 305
კონრადი ნიკოლაი 190, 205, 446
კორსუნი ა. 170
კრაულინი კ. ი. 158
კრიმსკი აგათანგელოზი 73, 85, 158, 166, 167, 176
კრაჩკოვსკი იგნატ 158, 167
კრისტევა იულია 231, 237
კრუგერი ო. 90, 102
კუბატოვი ალაკბარ 168, 175
კუბიცკი ა. ვ. 77, 84
კუკავა თამარ 491
კულაევი ნ. 158

ლ

ლამინი 139
ლარენდელი ჰამდი 182
ლევენდი ა. ს. 129, 140, 158, 186
ლევინი ე. 209
ლევი რუბენ 170
ლეონტი მროველი 288
ლერქსი პ. 167
ლესატი ა. 169
ლესე 168
ლიპსკერივი ა. 170, 350
ლობჟანიძე გიორგი 315, 336, 376
ლოლაშვილი ივანე 282
ლომიძე გაგა 29
ლომონოსოვი მიხეილ 171
ლოსევი ალექსეი 243, 246
ლუკა მახარებელი 467
ლუისი ფ. 381
ლუისი ქლაივ სთეიფლზ 45, 52

მ

მაზარ ულ-აშარ მ. 163, 164
მაკარაძე ირმა 336
მაკდონალდი მ. კ. 171
მაკოველსკი ა. ო. 73, 85, 99, 102, 167, 196, 205
მაღკოლმი ჯონ 85, 166, 170
მამაღზადე ჰამიდ 81, 84, 171
მამადი ა. 140
მამაცაშვილი მათა 22, 158, 248, 249, 281
მამედოვი შ. 197, 205, 344, 350
მანტეგი ჰაილა 377, 378, 380, 381, 391
მარი იური 13, 19, 86, 143
მარი ნიკო 13, 167, 310, 311, 312, 313, 324, 331, 336, 34, 419
მასე ანრი 170
მასუდი იზზედინ 88

მატინი ელსი 170, 417
მარადელი აშრაფ 161
მაჯუდი დინ ჰამგარი 284
მაჰარამოვი ტაჰირ 158, 171
მეისამი ჯული სკოტ 170, 173
მელვილი ფირუზა (იხ. აბდულაევა ფირუზა)
მელვილი ჩარლზ 377
მუსრატადდინი მელიქ 88, 96
მელიქიძე ი. 336
მელქისედეკ კათალიკოსი 287
მეტრეველი ელენე 13, 206
მეხსეთი განჯელი 33
მიმინოშვილი რომან 34
მირზოევა შ. 195, 205
მირ მოჰამად ისმაილ აბჯადი ალ-ჰინდი 162
მირსეიდოვი გ. 158
მიხაილოვი ანდრეი 396, 417
მოვაგარი მეჯიდ 151
მოლი ჯ. 170
მორეტი ფრანკო 229, 237
მუბარიზი ა. 146, 155
მუიზი აბუ აბდ ალ-ლაჰ მოჰამად იბნ აბდ ალ-მალექ 284
მუინი მუჰამედ 158
მუსტაფა (ალ-დარირი) 385
მუსტაფაევი ჯემალ 73, 86, 196, 205, 241, 246, 344, 345, 350, 490, 491
მუჰამედ ჯაჰან ფეხლევანი 87

ნ

ნადირაძე გიორგი 199, 201, 205, 349, 437, 457, 488, 491
ნავოი ალიშერ 55, 58, 85, 139, 161, 162
ნავიზადე ათაი 140, 165
ნათაძე ნოდარ 50, 52, 198, 202, 214, 223, 224, 238, 241, 282, 286, 346, 359, 395,
409, 411, 417, 464, 474
ნარზუაევა ს. 158

ნასერი მ. 376

ნატროშვილი გიორგი 20, 21

ნაფიზი აზარ 381, 391

ნაფიზი სეიდ 142, 143, 144, 148, 149, 151, 152, 153, 155, 158

ნემანი შიბლი 158

ნეტონი იან 379, 380, 381, 390, 391 20, 21

ნიზამი განჯელი 9, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 73, 74, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 118, 120, 121, 122, 123, 124, 126, 129, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 189, 190, 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 205, 206, 239, 240, 241, 242, 243, 245, 246, 247, 251, 252, 253, 255, 256, 257, 258, 260, 269, 270, 272, 273, 274, 278, 281, 284, 287, 292, 293, 294, 296, 298, 299, 300, 303, 305, 306, 309, 318, 323, 335, 336, 337, 338, 339, 341, 342, 343, 344, 345, 350, 351, 352, 355, 357, 358, 359, 360, 363, 364, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 377, 379, 380, 382, 385, 386, 387, 388, 389, 396, 398, 402, 403, 405, 408, 412, 417, 418, 447, 448, 449, 452, 453, 454, 455, 457, 465, 469, 473, 474, 479, 481, 482

ნიკოლაძე ნიკო 13

ნიკომაქე 97

ნილოს სინელი 468

ნოზაძე ვიკტორ 23, 24, 25, 200, 201, 206, 207, 243, 247, 248, 249, 251, 257, 261, 264, 267, 268, 269, 273, 281, 284, 286, 306, 321, 323, 336, 347, 350, 356, 357, 360, 361, 362, 364, 365, 366, 373, 374, 376, 405, 413, 414, 415, 416, 418, 419, 420, 431, 444, 456, 457

ნო'მანი შიბლი 192

ნოსრატ-ალ-დინ აბუბაქრ ბისკინ ბინ მუჰამედი 87, 88, 96

ნურულაევი რ. 344

ნუცუბიძე შალვა 13, 34, 73, 167, 190, 206, 2097, 237, 348, 350, 456, 457

ო

ოვიდიუსი 219, 220, 405, 406, 413, 414, 418

ოლფარი გერმან ადამ 166

ომიდსალარი მ. 381, 390

ოპიზარი ბეშქენ 42

ორბელი იოსიფ 86, 167

ორბელიანი სულხან-საბა 288, 319, 325, 336, 357, 373, 431, 432, 457, 461, 466, 474, 476, 477, 492

ოსმანოვი მ. ნ. 170

ოუსელი გ.85

ოუფი მაჰმად 85

პ

პალმერი რ. 227, 238

პაპუაშვილი ნუგზარ 206

პაული კიგან 381

პეტარკა ფრანჩესკო 167, 169

პეტრე იბერი 202, 345, 475, 476, 492

პიემონტე ა. მ. 381

პინჩინი გ. 170

პიტი 167

პლატონი 48, 61, 77, 99, 100, 198, 202, 203, 221, 238, 246, 247, 338, 339, 340, 341, 343, 345, 346, 347, 370, 444

პლოტინე 243

პოგლიარო ა. 170

პორფირიოს ტირელი 339, 340, 343

პორფირიუსი 100, 369

პროკლე დიადოხოსი 202, 345, 348, 491

პტოლემეოსი 90, 91 241, 244

პუშკინი ალექსანდრ 70

ჟ

ჟამთააღმწერელი 294, 306

ჟენეტი ჟერარ 209

რ

რაბლე ფრანსუა 38

რასულზადე მამედ ამინ 34, 86, 145, 155

რატიანი ირმა 13, 94, 102, 198, 206, 207, 210, 215, 216, 217, 228, 237, 238

რაფილი მიქაელ 13, 18, 19, 34, 36, 86, 399, 418

რაჰიმი მ. 375

რეიფილდი დონალდ 29, 199, 206

რზაგულუზადე გ. 375

რეუ ჩ. 85, 167

რიზვანი აჰმად 178, 182

რიკიერი გირალტ 415

რიჰკა იან 143, 151, 171

რიტერი ჰ. 171

რიუკერტი ფრიდრიჰ 85

როუდიზი ლეონ ს. 237

როშანი მოჰამად 379, 390

რუდაქი 257, 258, 281

რუიმბეკე ვან კრისტიან 173, 379, 380, 390

რუმი 385

რუსთაველი შოთა 9, 10, 13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 41, 42, 45, 47, 48, 50, 51, 52, 189, 191, 192, 198, 199, 200, 201, 202, 203, 204, 205, 206, 207, 208, 210, 211, 213, 214, 217, 218, 219, 220, 223, 224, 231, 233, 235, 236, 238, 239, 240, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 253, 254, 257, 258, 259, 263, 264, 265, 266, 267, 268, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 280, 283, 285, 287, 290, 292, 296, 297, 304, 305, 309, 310, 311, 312, 316, 317, 318, 322, 326, 327, 330, 332, 333, 335, 337, 338, 345, 346, 348, 349, 350, 351, 355, 356, 360, 373, 374, 375, 376, 395, 396, 397, 401, 418, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450,, 451, 453, 454, 455, 456, 457, 458, 460, 462, 464, 465, 467, 473, 474, 476, 477, 478, 479, 480

რუსო ა. 167, 170

რუსო ს. 85

რუსტამოვა აზადა 34, 142, 158, 403, 404, 418

რუსუდანი 19

ს

საადი 154, 192, 284, 306,
სადიოღღუ ჩ. 73, 86
საბირი მ.ა. 68
საიათნოვა 293
საიბი 148
საიდი აბუ 294, 295
სალამი სალმან იბნ 26
სარვატიანი ბ. 171
სარტრი ჟან პოლ 208
სასანი ჩინგიზ 106, 108, 109, 158
საფაროვი მ.ს. 102
სეიდ ნაფიზი 153, 154
სეიდ ჰუსეინ მ
სერგეენკო მ. ე. 101
სერვანტესი მიგელ 38, 55
სვეტლოვი პაველ 203, 206
სზალცი ალექსანდრა 379, 391
სიდნეი ფილიპ 208
სირამე რევაზ 201, 202, 206, 207, 277, 281 336, , 463, 474, 476, 480, 487, 492
სისტანელი აიათულაჰულ-უზმა სეიდ ალი ჰოსეინი 336, 376
სიხარულიძე ქეთევან 284, 285, 306
სმირნოვი ანდრეი 83,84
სოკრატე 61, 100, 339, 340, 341, 342, 343, 369
სპარიოსუ მ. ი. 227, 238
სპრინგერი ა. 170
სტეპლტონი მ.ლ. 406, 418
სტონმენი რიჩარდ 377, 378, 379, 380, 381, 390, 391, 392
სულავა ნესტან 199, 206
სულაკაური ბაკურ 350
სულტანი ალი 99, 102, 158

ტ

ტალატოვი ქამრან 173, 176
ტარბიეტი მაჰმადალი 85

ტარკოვსკი ა 170
ტაშლიჩალი იაპია 178
ტეიქსეირა პედრო 166
ტიციანი 348

უ

უილსონი ს. ე. 170
ულუთურქი ხ. რ. 375
უორნერი ა. გ. 381, 391
ურაზი მურატ 74, 75
უსკუბლუ შამი 178
უჩარი შაჰირ 185

ფ

ფაკრი ქუთაზ 178
ფაკრი ფახრადინ 170
ფანცხავა ი. 281
ფარზალი აჯღარ 56, 72
ფარულავა გრივერი 207
ფაღავა კონსტანტინე 13, 34, 73, 86
ფაშაევა ნარგიზა 171, 172
ფაშაევი მირ ჯალალი 34, 73, 86, 125, 126
ფახრი ფახრადინ 165
ფეიზი 165
ფეიზულა 165
ფელდეკი ლუბომირ 170
ფიზული მუჰამად 55, 70, 93, 139, 323, 418
ფილიპე II 96, 97
ფლავიუს არიანი 90
ფლამარიონი კ. 259
ფლუგელი გ. 85, 167, 170
ფილშტინსკი ისაკ 398, 400, 418
ფირდოუსი 37, 38, 70, 86, 93, 94, 192, 284, 298, 301, 306, 309, 323, 357, 376, 377, 379, 381, 382, 383, 385, 386, 387, 388, 389, 391
ფორსი ტ. 170

ფრანკე პატრიკ 379, 387, 391,
ფრიდლენდერი იზრაელ 379, 391
ფრილელი გიორგი 170
ფსევდო დიონისე არეოპაგელი (იხ. პეტრე იბერი)
ფსევდო კალისტენე 90, 91
ფუკო მიშელ 231, 238

ქ

ქაზიმოვი მაჰდი 162
ქაზუმოვი ოქტაი 306, 309, 313, 318, 324, 336, 351, 355, 356, 360, 366, 370
ქამალი აბდულა 160
ქარაზმი ჰაიდარ 170
ქარიმლი თემურ 62, 72, 73, 86, 94, 101, 158, 159, 172, 176
ქაშანი თაქი ალ-დინ 142
ქერმანი ხოჯუ 161
ქეშმირი სარფი 161
ქიქოძე გერონტი 13, 14
ქოიავა ნ. 284
ქოჩარლი ფირუდინბეი 67, 72
ქუთაბი 170
ქუმსიშვილი დ. 282, 286
ქურდიანი მიხეილ 207

ლ

ლარიბაშვილი მანანა 418
ლალანიძე მერაბ 207, 228, 238

ყ

ყაუხჩიშვილი სიმონ 491
ყიზილ არსლანი 88
ყუბანეიშვილი სოლომონ 306
ყული-ზადე ზ. 29, 196, 206, 407, 417

შ

შავთელი 33

შაიგი ა. 375

შალვაშვილი ბელა 306

შანიძე აკაკი 41, 238, 281, 282, 286, 305, 336, 337, 397, 418, 419, 458, 468, 474, 492

შარაძე გურამ 206, 247, 306, 376

შარია პეტრე 25, 456, 457

შარმა ს. 381

შარშუა ფ. 85, 167, 170

შაჰნაზარი გივი 306

შეიხი 165, 170, 178, 183

შექსპირი უილიამ 38, 55, 70, 159, 169, 172, 176

შილერი ფრიდრიხ 208

შირვანი ფელეკი 33

შირაზი აბდი ბეი 161, 162, 163, 164, 165, 176

შირვანი ი. 36, 73, 78, 84

შირვანი სეიდ აზიმ 67

შირვანი ჯამალ ალ-დინ ხალილ 154

შირვანი ხაკანი 33, 66

შირვანი ხასანი 162

შიშმარიოვი ვლადიმერ 396, 416, 418,

შრევე სიმპსონი მარიანა 387, 392

შრეპრენი ა. 167

ჩ

ჩაიკოვსკი პეტრე 193

ჩაქერი 165

ჩატე ბურჰან 105

ჩახრუხაძე 33, 282

ჩიქობავა არნოლდ 457

ჩიქოვანი მიხეილ 444

ჩიქოვანი სიმონ 21, 442, 458

ჩოფიკაშვილი ნ. 287, 288, 306

ც

ცაიშვილი სარგის 201, 205, 207, 249, 261, 273, 282, 346, 350, 460
ცინცაძე კალისტრატე 206, 331
ცინცაძე პოლიკარპე 444
ციციშვილი ნოდარ 140

წ

წერეთელი გიორგი 13, 41, 249, 286, 397, 418, 419

ჭ

ჭაბაშვილი მიხეილ 457
ჭელიძე ამბაკო 21, 205, 305, 336, 417
ჭიჭინაძე კონსტანტინე 310
ჭყონია თამაზ 444

ხ

ხაგანი აფხალადინ 66
ხაგანი შირვანი 191
ხაიამი ომარ 37, 192, 287, 296, 306, 338
ხალეგი-მოტლაგი ჯალალ 381, 390
ხალვაში რამაზ 330, 336
ხალილოვი ფანახ 37
ხანდანი ჯ. 86
ხანძთელი გრიგოლ 463, 466
ხატუნევსკი ნ. 170
ხახანაშვილი ალექსანდრე 13
ხეთაგუროვი ლ. 171
ხიზრი 379
ხინთიბიძე ელგუჯა 48, 52, 203, 207, 248, 249, 256, 259, 261, 282, 310, 312, 313, 315, 316, 317, 324, 326, 331, 333, 336, 337, 338, 349, 350, 356, 376, 419, 444, 458
ხონელი მოსე 33
ხოსროვი ამირ 162, 377

ჯ

ჯავახიშვილი ივანე 287, 288, 306, 419, 456
ჯაველიძე ელიზბარ 408, 418
ჯალილი 178, 179, 181, 182, 183
ჯალილ ქამალ ად-დინი 401
ჯამი აბდ-ორ- რაჰმან 58, 79, 84, 85, 141, 161, 182, 377
ჯაფარი მამად 34, 73, 86, 99
ჯაჰანი ჰაზიმ 158
ჯონსი უილიამ 85, 166

ჰ

ჰაბიბელი ისა 38, 55, 60, 61, 174, 175
ჰაიდნი იოზეფ 193
ჰინე ჰაინრიჰ 168, 175
ჰინცი 168
ჰამერი ფონ ჯოზეფ 85, 170
ჰამადოვი შამუ 158
ჰამდი ჰამდულაჰ 165, 178, 182, 185
ჰამიდოვი იმამვერდი 158
ჰანაგიდი 282
ჰასანზადე ნარიმან 57
ჰასანოვი ს. 240, 247, 338, 350
ჰასანოვლი იზ ედ-დინ 293, 306
ჰასიმზადე ე. ფ. 175
ჰატიფი აბდულაჰ 139, 162
ჰაუტსმანი 170
ჰაფეზი 192, 301, 306
ჰაჯიევა ვ. 194, 206,
ჰაჯიევი არიფ 37, 67, 72, 73, 193, 206
ჰერაკლიტე 202, 345
ჰერბელო'დე 85
ჰერმესი 100, 369
ჰერმეს ტრისმეგისტრი 339, 340, 342
ჰილი ჯორჯ 170, 417
ჰიუგო ვიქტორ 55, 259

ჰიქმეთი ნაზიმ 185
ჰოილენდი რობერტ 171
ჰომეროსი 224, 462
ჰორნი პაულ 170
ჰუმბერტი ჟან 398
ჰუმმერი ფონ ჯოზეფ 166
ჰუსეინოვი ჰეიდარ 99, 100, 101
ჰუსეინი სეიდ 72
ჰუსლეი ნორმან 230